

## შინაარსი

<b>ახალი რომანი</b>	<b>2</b>	<b>მარინე ტურავა „შეფარვით ნათქვამი“</b> (ზურაბ ლავრელაშვილის „ქალაქი მტვერში“)
<b>აკაკი წერეთელი – 170</b>	<b>4</b>	<b>იოსებ ქუმბურიძე პარზი კი არა, დიდებული</b> (ქუთაისური რჩეული)
<b>წუთები და წლები</b>	<b>6</b>	<b>ზურაბ მარშანია დაპარბული ოცნება</b>
<b>მესარეს-ინტერვიუ</b>	<b>7</b>	<b>ზაურ კალანდია „მომცნებანიც ცოტანიღა დავრჩით“</b>
<b>პროზა</b>	<b>9</b>	<b>რეზო ჭეიშვილი ბიკენტიას საძაბაბა</b>
	<b>13</b>	<b>ცირა ყურაშვილი ორი მინიატურა</b>
<b>პოეზია</b>	<b>15</b>	<b>გურამ პეტრიაშვილი ქოლგები და ქალები</b>
	<b>16</b>	<b>ირმა შიოლაშვილი ექვსი გაუგზავნელი გარათი ქმარს</b>
<b>ასეისტიკა</b>	<b>18</b>	<b>ჯორჯ სანტაიანა ირონია ლიბერალიზმისა</b>
<b>უსხოეთის სხოვრებიდან</b>	<b>23</b>	<b>ნინო ევგიაძე კინტარა, რომელმაც მაინც შესცოდა</b> (მუსტაფა მუშარაფა)
<b>ლაზარაბორია</b>	<b>25</b>	<b>გრიგოლ რობაქიძე ბრაალის მცველნი</b>
<b>რეპორაჟი</b>	<b>32</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი „აბა, საფრანგეთში ეცხოვრა!“</b> (ნინო სადღობელაშვილის რომანის „ორსული“ წარდგინება)
<b>კრიტიკა</b>	<b>37</b>	<b>ნესტან ფიფია ბულის კულტურით ნაკვები „ბულის გარკიმი“</b> (მაია ჯალიაშვილის პოეტური კრებული)
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	<b>40</b>	<b>სერგი ლომაძე ტყვიები სულში</b> (ერთი ნიმუში კატო ჯავახიშვილის ახალი ნიგნიდან)
<b>შეჯამება</b>	<b>42</b>	<b>რუსუდან ნიშნიანიძე სამი ისტორია</b>
<b>ჩემი პატარა ქალაქი</b>	<b>48</b>	<b>ნინო ვახანია ბაშლილ ზღვაში, ღია გემგანზე</b> (შოი არაგვისპირელის მონატრება)
<b>ლიბერატორული სხოვრება</b>	<b>52</b>	<b>თეკლე ჯანელიძე ქართლში ყაყაჩო — ქრისტეს კვართივით</b> (შეხვედრა მანანა ჩიტეშვილთან)
	<b>53</b>	<b>თამარ სუბელიანი „მე ცისფერ ყვავილს ამოვქარბავ</b> <b>შენს ყაბაღასზე“</b> (ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნის საღამო)
<b>გამოხმაურება</b>	<b>54</b>	<b>საბა სულხანიშვილი დუღუკის სევდა, ტკბილი დუღუკის</b> (ვასილ ბარნოვის მოთხრობის გახსენება)
<b>უსხოური ნოველა</b>	<b>55</b>	<b>ელჩინ ეფენდიევი ხუთკავიკიანი მოტოციკლათი</b>
<b>ნაკვეთი</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>სამგობლო — ყველაფერზე მაღლა</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
 რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
 გავრცელება – (995 77) 11\_24\_30  
 ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
 E\_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“ PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
 სააპოთეკო, თბილისი, საჯაროებლის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
 აბჯურონი +995 32 53 03 62 TEL/FPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მარტივილი, ჩიქოვანების საყდარი

ლადო ჩაჩუას ფოტოგრაფი

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 20 აგვისტოს**

მარინე ტურავა

# „შეზარპით ნათქვამი“

□

## ზურაბ ლავრელაშვილის „ქალაქი მტვერში“

ქალაქი ცოდვის, გარყვნილების, სულიერი დაცემის სიმბოლოდ აღიქმებოდა ოდითგანვე /ზიზღიის მიხედვით, ოთხი ქალაქი: სოდომი, გომორი, ადმა და ცეზიმი აღგავა მინის პირიდან ციდან გადმოსულმა ცეცხლმა. უფლის რისხვა გამოიწვია ამ ქალაქების მცხოვრებთა უკეთურებამ და ყოვლად ამაზრზენმა ცოდვებმა. ნინევი მხოლოდ უფლის გაფრთხილების შემდეგ გადარჩა/ და მას სოფელი უპირისპირდებოდა — სისადავით, სინმინდით, უცოდველობით... ალბათ, აქიდან მოდის მაღალსოფელიც — ადამიანთა მარადიული საუფლო, ხორციელი საზრუნავისა და ტკივილებისაგან თავისუფალი, სულიერი ნეტარების სადგური. ასე იყო ლიტერატურაშიც, მათ შორის ქართულშიც. ჯერ კიდევ გასულის საუკუნის დასაწყისში დაინერა პაოლო იაშვილის ცნობილი ლექსი — „წერილი დედას.“ სოფლის სინმინდეს, „მართალ ბათმანს“ აქ ანტი-თეზად კინტოს პროფილი, ქალაქის სიყალბე ევლინება, მყუდრო სამყოფელს, ქვითკირის მარანს, ყანას, კნუტებს, შაბიამნით შენამულ ვენახს — ყელსახვევები და ხელთათმანები... ნაღდს, სუფთას, გულიდან ნამოსულს, იდილიურს — სიყალბე, სნობიზმი, მანერულობა.

ეს სტერეოტიპი თანამედროვე ქართულ მწერლობაში დაიმსხვრა და ამის ნიმუშად გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველიც“ საკმარისია. რომანის მიხედვით — კანუდოსი არის ოცნების ქალაქი, მხსნელი ქალაქი. მართალია, კანუდოსი რეალურიც არის და წარმოსახვითიც, მაგრამ ლიტერატურაში სინამდვილისა და იდეალის გამიჯვნა ძალიან ძნელია.

ზურაბ ლავრელაშვილის რომანს „ქალაქი მტვერში“ („ჩვენი მწერლობა“, 2010, №12-13) ეპიგრაფად ლუკას სახარების სიტყვები უძღვის: „და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ და არა შეგიწყნარონ თქვენ, გამო-რაახვდოდეთ უბანთა მისთა, არქუეთ მათ: აჰა, ესერა მტუერი რომელი აღეკრა ფერხთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა. გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ“. ზურაბ ლავრელაშვილისათვის ქალაქი პირვანდელ შინაარსს იბრუნებს და ცოდვის სადგურს, ცოდვითა თავშესაფარს გულისხმობს და არა განსაზღვრულს... მტვერი ცოდვაა და არავის უნდა სხვისი ქალაქის მტვერის, ცოდვის აკიდება. ოთარ ჩხეიძის მიხედვით, ბორიაცი — ქარისაგან ჰაერში დატრიალებული მტვერი, ადამიანებს სალი აზროვნებისა და რე-

ალობის აღქმის უნარს უკარგავს. „ბორიაცი“ ახალგაზრდა კომპოზიტორი — ნიკუშა ჩაჩანიძე — ამგვარ მტვერში ეხვევა, სანამ ხელთუბანს მიაღწევდეს, მერე კიდევ უფრო ძლიერდება ბორიაცი, თვალსაწიერს უბინდავს მოგზაურს, რეალურ სახეს აკარგვინებს.

საინტერესო და სიმბოლური დატვირთვა აქვს რომანის ქრონოტიპს: ადგილი გარკვეულია — პატარა, პროვინციული ქალაქი, თავისი ცემენტის ქარხნით, საავადმყოფოთი, აბანოთი, სახანძროთი, საპატომროთი, რამდენიმე შადრევნითა და „გაუსაძლისი“ მონყენილობით. ქალაქი ალბათ ქართული, თუმცა პირველივე პერსონაჟი — უცნაური მანჯურიელი მედუქნა. დრო ცოტა გაუგებარი და მოულოდნელია — მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეში ბორნით გადადიან, თუმცა შვედი ინვესტორები ფულის დაბანდებას და ინვესტიციების სწორად დახარჯვას ცდილობენ. მწერლის პოზიციაც გასაგებია — აქ წარსული და აწმყო განუყოფელია, ერთიან დროდ წარმოგვიდგება, თუმცა არ არსებობს მომავალი, ანომალიაც გასაგებია — ქალაქში ინგრევა ყველა ახალი, საზოგადოებრივი შენობა. ქალაქს არ აქვს მომავალი და მასში სამომავლო შენობებიც უჩინრად, ანომალიურად ქრება. მეორე მხრივ, მწერალი პრობლემის ზედროულობაზე მიგვანიშნებს, არა აქვს მნიშვნელობა, როდის ან სად ხდება მოქმედება, ეს ადამიანთა მარადიული საფიქრალია — ანომალია მათ თავებშია, ამიტომაც არის უხილავი და მოუხელთებელი.

პერსონაჟთა უმრავლესობას სახელი არ გააჩნია: აფთიაქარი, გამომძიებელი, მოძღვარი, სადგურის უფროსი, პოლიცემისტერი, მისი ქალიშვილი ყველა დროსა და ადგილას შეიძლება იყვნენ, სახელით რამდენიმე პერსონაჟია მოხსენიებული — ყოფილი ანარქისტი, გიჟი იონა, რომლის ცნობიერებაც ქალაქის სანახებივით დაბინდულია (იგი არაფრით ჰგავს თავის არქეტიპურ სეხნიას, რომლის სახელიც ქალაქ ნინევის გადარჩენას და მის მოქალაქეთა მოქცევას უკავშირდება. გიჟი იონა, ბიბლიურისაგან განსხვავებით, ვეშაპის მუცელში თითქოს სამუდამო ტყვეობისათვის არის განწირული), მანჯურიელი გან ბაო, ცოცხალ მუმიად რომ ქცეულა, და ბოშათა წინამძღოლი აბულ ზივო, რომელიც ბანაკთან ერთად ქალაქის მისადგომებთან დაბანაკებულა. ვერცერთი ამ წუთას ქალაქის ბედის გადაწყვეტაში თითქოს ვერ მონაწილეობს და ამიტომაც მოხდა მათი სახელდება, გამიჯვნა დანარჩენ პერსონაჟთაგან.

მწერალი ცდილობს ანომალიის არსში გაერკვეს — სამყაროს პროვიდენციული აღქმა და თეოლოგია ტრივიალურად ეჩვენება და ახალი გზის ძიებას იწყებს. ერთი შეხედვით, ავტორის იდეების უშუალო გამომხატველი მონორობაში აფთიაქარია, რომელიც, ალქიმიკოსის სიმახვილით, იმთავითვე ყველაფერში გარკვეულია და, ცოტა არ იყოს, ირონიულად უყურებს გამომძიებლის საეჭვო ქმედებებს, ისიც მჭვრეტელია, დამკვირვებელია მწერლის მსგავსად, მეორე მხრივ, გამომძიებლის პირითაც ხშირად მჟღავნდება ავტორის პოზიცია.

„შეიძლება მწერალი არ ეხმაურებოდეს ყოველდღიურ სატკივარს, იყოს საზოგადოების გარეთ, არა მის სათავეში, მაგრამ ამ გარიყულობაში, ამ გარიყულობით ის უფრო ღრმა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შემოქმედი მყოფობს სოფელში და არცა მყოფობს მასში. ის ტრანსცენ-

დენტურია სოფლის მიმართ, მაგრამ არსებობს სოფელში და სოფლისთვის"... ზურაბ კიკნაძის ეს სიტყვები, რომელიც ამოღებულია ჟურნალ „არილისათვის“ მიცემული ინტერვიუდან, ვფიქრობ, ზუსტად გამოხატავს ზურაბ ლავრელაშვილის ტრანსცენდენტურობას ამქვეყნიურობის, ყოფის მიმართ ზოგადად, რაც კარგად აისახა ამ რომანში.

მთავარი სატიკივარი — ახალაშენებულ შენობათა უცნაური, მოულოდნელი ნგრევაა, ამ ძირითადი ამბის მიღმა, მის ჩრდილში, მწერალი პოლიციებისტერის ცოლისა და გიჟი იონას ძველი სიყვარულისა და გამოძიებლისა და პოლიციებისტერის ქალიშვილის ახალი გატაცების ამბებს გვიყვება. თითქოს ერთ ვრცელ თხრობაში პატარ-პატარა მოთხრობებს ათავსებდეს, თუმცა მკითხველს მოდუნებისა და განმუხტვის საშუალებას არ აძლევს და ბოლომდე პასუხის მოლოდინში ამყოფებს. ამ პატარ-პატარა მოთხრობებით მწერალი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ჭეშმარიტება დეტალებში, ყოველდღიურ ყოფასა და ადამიანთა ურთიერთობებშია.

აქვე მინიშნებულია გამოძიებლის ცხოვრების აბსურდულობა, ლამის მარგინალობა — იგი დევნილი და მსხეშია, არა მხოლოდ ამ ქალაქში, არამედ მთელ სამყაროში, დედამიწის ზურგზე არ ეგულება ადგილი, რომელსაც საკუთარ ბინას, თავშესაფარს უწოდებდა. ძნელია, აქ გალაკტიონი არ გაგახსენდეს: ქარიშხლის უბინაობასაც რომ მისტირის /„წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა: მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა“/. ქალაქში ჩამოსვლამდე გამოძიებელი კონკრეტული ორიენტირების გარეშე (ცხოვრობს, ერთფეროვნად, მოსაწყენად: მთელ დროს ან დივანზე ნამოგორებული, ჟურნალ-გაზეთების კითხვაში ატარებს, ან შემთხვევით ქალებთან ასევე შემთხვევითი ურთიერთობებით კლავს. ამ ქალაქიდან წასვლა, რისკენაც ხშირად მოუწოდებენ, სულაც არ არის მისთვის ხსნა, პირიქით, სწორედ ამ ქალაქმა აიძულა, საკუთარ ყოფაზე დაფიქრებულიყო, საკუთარი ცხოვრების გზა გაეანალიზებინა. თუმცა თვითჩხრეკა და თვითანალიზი ზურაბ ლავრელაშვილის ამ რომანისათვის უცხოა. მეორე მხრივ, აქ ყოფნამ მინიჭა გამოძიებლის პიროვნებას მნიშვნელობა — აქ რიგით კრიმინალისტურ ჩხირკედელაობაზე დიდი მისია ელოდა, რაღაც განსაკუთრებული, თუმცა ამას ბოლომდე თვითონაც ვერ გრძობდა.

ლიტერატურა რომ „შეფარები ნათქვამია,“ დიდი ხანია ცნობილია, ამიტომ ავტორი არა მხოლოდ შეფარულად, არამედ ბუკვალურადაც იგავით გვესაუბრება. ამ იგავში ერთი აღმოსავლელი იმპერატორი, რომლისთვისაც სამყარო მიზეზ-შედეგობრივი ფენომენია, მდინარის გაღმა შავი ტაძრის მშენებლობას უკვეთავს, რომლის მსგავსი თეთრი ტაძარიც უკვე აგებული აქვს. თუმცა ტაძრის აგება ვერ ხერხდება, რადგან მდინარეზე ხიდის აშენება ავიწყდება. ზურაბ ლავრელაშვილი კიდევ ერთხელ

მიგვანიშნებს, რომ ადამიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობებში არ არსებობს წვრილმანი, დეტალი, და იქნებ ეს არის სწორედ პროვიდენციალიზმი და სამყაროს ყველა ანომალიის ახსნის საფუძველი. და კიდევ, ჭეშმარიტების ძიება ხშირად არასწორად ხდება, რაც თვალწინ გვიტრიალებს, იმას ჭეშმარიტებად ვერ აღვიქვამთ, სადაც არა ვართ, ხსნა იქ გვეგულება. ტაძარი კი არა მხოლოდ უფლის სახლი და სალოცავი ადგილია, არამედ ღირებულებათა სისტემაცაა, რომელიც სადღაც, თუნდაც მიუდგომელ ადგილას ან ჩვენს წარმოსახვაში აუცილებლად უნდა არსებობდეს, როგორც ხსნა, გადარჩენა, არსებობის აზრი.

რაინერ მარია რილკე წერდა თავის ფრანგულ წერილებში: „ოჰ, რა შორს ვარ ამ დილას იმათგან, რომლებიც ლოცვის

დანებამდე კითხულობენ, ღმერთი თუ არსებობს, აღარ არის თუ ჯერ არ არისო. რა მნიშვნელობა აქვს ამას. მას ჩემი ლოცვა შექმნის, რადგან თვით ლოცვაა შემოქმედება, ზეცისაკენ რომ მიისწრაფის. და თუ ღმერთს, რომელსაც ისინი გულისხმობენ, ყველი აქვს გასული, მით უკეთესი! იგი ხელმეორედ შეიქმნება და ნაკლებად მობეზრებული იქნება მარადისობის საუფლოში.“ დაახლოებით ამგვარი პოზიცია აქვს ზურაბ ლავრელაშვილსაც — მას არ უნდა სამყაროს ანომალია თეოლოგიით ახსნას, თუმცა ტაძარი მასთან მუდმივი, მარადიული ღირებულებაა, რომელიც ნგრევის, მინის პირისაგან ალგვის შემდეგაც რჩება — მარადიული რწმენის, მარადიული ღირებულებათა სიმბოლოდ.

მოძღვრის სახე თითქოს ბუნდოვანი და ინდივიდუალობას მოკლებულია, მაგრამ მისი ფრანა — მანამდე

მჯეროდა, რომ სასუფევლისაკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის... ყველას თავისი გზა ჰქონია თურმე“, ამ პერსონაჟს გამორჩეულობას ნამდვილად ანიჭებს. ფრანც კავკას დაუმთავრებელ რომანში „პროცესი“ მართლმსაჯულების მცველი, მეკარე არ უშვებს ადამიანს კარიბჭეში, თუმცა არც უარს ეუბნება, მოგვიანებით შეშვებას პირდება. „თუ ძალიან გეჩქარება შიგნით შეღწევა, შედი, ჩემი აკრძალვის მიუხედავად. მაგრამ დაიმახსოვრე, მე ყოვლისშემძლე ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაბლა მდგომი ვარ. დარბაზიდან დარბაზამდე ერთმანეთზე ყოვლისშემძლე დარაჯები დგანან, მესამის წინ მეც კი ვიკარგები“. ეს სიტყვები მუქარასავით ჟღერს არა მარტო „პროცესის“ მთავარი პერსონაჟის — იოზეფისათვის, არამედ ზოგადად ადამიანისათვის, რადგან ამ ლეგენდის პერსონაჟი ერთი სოფლიდან ჩამოსული კანონიერების მაძიებელი ანუ ზოგადად ადამიანია. წლების მანძილზე ელოდება იგი კარიბჭის გაღებას და შიგნით შეღწევას. იგი გმობს გარემოებათა საბედისწერო დამთხვევას, რადგან საკუთარ თავს ვითარების მსხვერპლად მიიჩნევს. მისი მდგომარეობა იმდენად აბსურდულია, რომ მცველის ბენვიან საყელოში ჩაბუდებულ რწყილებს სთხოვს დახმარებას. იგი უძღვება სიმართლის გაგებაში, მაგრამ კარიბჭესთან მომაკვდავს უკვირს, რატომ არ ხე-



ზურაბ ლავრელაშვილი

დავს აქ კანონის სხვა მადიებლებს. სიკვდილის წინ კი იმის გაგებას ახერხებს, რომ ეს შესასვლელი მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი, აქ სხვა ვერავინ შეაღწევდა. მისი სიკვდილის მერე ეს კარიბჭეც სამუდამოდ გაქრებოდა, გაუქმდებოდა. ცხადია, სიცოცხლის ბოლოს გაგებული ეს სიტყვები შვებას ვერ მოუტანს მართლმსაჯულების მარადიულ მადიებელს. ალბათ, იმიტომ, რომ შვება კაფკასა და მისი პერსონაჟებისათვის არ არსებობს. ამ გზავნილის მიხედვით, არ არის საკმარისი იპოვო შენი, საკუთარი, ერთადერთი მართლმსაჯულების კარიბჭე, საჭიროა მასში შეღწევა. ამისათვის მხოლოდ ადამიანური, თუნდაც მაქსიმალური ძალისხმევაც ცოტაა, რადგან გარემოებათა დამთხვევას ვერავინ უპირისპირდება.

„ქალაქი მტვერში“ ხაზს უსვამს რომ არ არის საკმარისი მხოლოდ ტაძრის აგება, ასევე აუცილებელია ამ ტაძარში ადგილის მოპოვება, მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეს მარადიული ბრძოლაა და მას ყველა თავისებურად, საკუთარი გზით წარმართავს.

ზურაბ ლავრელაშვილი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართულ სალიტერატურო სივრცეში, რომლის მწერლური სტილიც ნაცნობი და გამორჩეულია. „ქალაქი მტვერში“ მწერლის ახალი რომანია, ახლებური ხედვით, საინტერესო ენობრივი საფანელითა და ფაქტურით. ზურაბ ლავრელაშვილის მხატვრული სტილი, პირველ რიგში, მდიდარი ლექსიკური მარაგით გამოირჩევა, მწერალი ოსტატურად ფლობს ენის საოცარ სიღრმეებს და უკვე დავიწყებულ, ხვასმოკიდებულ, მაგრამ საჭირო, აუცილებელ, ულამაზეს სიტყვებს გვიბრუნებს თავის პროზაში და მათ ახალ სიცოცხლეს ანიჭებს — ეს ფოსფორული ნათება ღამეს უცნაურ ჯავარს ჰფენდა; ხევის ახლოს ალაჩუხები დაედგათ და კოცონები აენთოთ; კარვის ტერში დატანებული ნახვრეტიდან მზის შუქი იცარებოდა სოხანეზე; მასპინძელმა კისრიდან ბრილიანტის ფარღული შეიხსნა; ახალშობილივით უსიზმროდ ეძინა, უსხეულოდმყოფელად; ფეხშიშველი მიაბიჯებდა კირქვის ხვინჭაზე და ტერფები ეშაშრებოდა; წვიმის წინწკალი წამოენია ქერჩრუხზე გასულს და ა.შ.

ამ სტილისათვის უცხო არ არის არც მეტაფორული აზროვნება — სიბნელის წიაღშივე ისახებოდა განთიადი; ტალღებს ებრძოდა ეული კაცი, ვინაც ტუსალი მოსტაცა მძინარე ქალაქს; ვარდის ფურცლობის ნიშანს აქ ჭინჭრის აყვავება ენაცვლება — ჭინჭარი მეორედ აყვავდა, მაგრამ გამოძიებულს ასე თუ ისე... სამხილი ჯერაც ვერ მოიქმნა და ა.შ.

პოზიციის გამოხატვისას მწერალი თითქოს არადისკურსულია, რასაც გამიზნულად აკეთებს. მთელი რომანის მანძილზე იგი სამყაროს არალოგიკურობას უსვამს ხაზს, რასაც თხრობის დროს კიდევ უფრო განამტკიცებს. თხრობის ინტონაცია თავისი გამორჩეული განონასწორებით, ერთგვარი გულგრილობით სამყაროს აღსასრულის, ყოველდღიური აპოკალიფსის მაცნეა. პარალელური თხრობითა და განმტოვებით მწერალი სამყაროს სირთულეს წარმოგვიდგენს, თუმცა თითოეულ ამბავს თავისი დატვირთვა აქვს. ბოშათა ბანაკის ეპიზოდი, ერთი შეხედვით, უფუნქციო აღმოჩნდებოდა, რომ არა მნიშვნელოვანი დეტალი — ბანაკის წინამძღოლი აბელ ზივო ნამდვილი ბოშა არ არის, ადამიანებს საკუთარი თავი და იდენტურობა აქვთ დაკარგული, როგორც სამყაროს. ამიტომაც «ანომალია არც ჩიხია და არც სასჯელი — ის მინიშნებაა... კრიპტოგრაფიკისათვის, ასეთი მონოლოგების მიუხედავად რომ ვერ ამოგვისხნია». ეს გამოძიებლის ნუხილია, რომელიც კრიპტოგრაფიის გამოფრვის მერე საბედისწერო წერილებს ნაუკითხავად ყრის წყალში, ქეშმარიტების აღმოჩენა სწორედ მაშინ ხდება, როცა ის არავის ჭირდება, როცა უკვე ძალიან გვიანია...

„ქალაქი მტვერში“ საკმაოდ არაერთგვაროვანი, რთული რომანია, ამიტომაც მისი სრულად აღქმა გამანძილებს, დისტანციის გარეშე ადვილი არ არის. ეს გახლავთ პირველი შთაბეჭდილება და არა ამ ტექსტის ნაკითხვის ერთადერთი სწორი ვერსია, ამიტომაც სიამოვნებით დაველოდები განსხვავებულ მოსაზრებებს, შეხედულებებს, ლიტერატურაზე კამათი ხომ ყველა კამათზე აღმატებული და სასიამოვნოა.

იოსებ ჭუმბურიძე

## პარბი კი არა, დიდებული!

□

### ქუთაისური რჩეული

**1882 წელი.** აკაკი წერეთელს ლექსი მი-აქვს „დროების“ რედაქციაში. გზის ფული არა აქვს, ამიტომ მეეტლეს ასე მოურიგდება: რედაქციაში ავა, ლექსს მიიტანს, ჰონორარს წინასწარ მისცემენ, ჩამოვა და მგზავრობის საფასურს გადაუხდის. ჰონორარს ზუსტად იმდენს მისცემენ, რამდენიც მეეტლეს ეკუთვნის — ერთ მანეთს. დიახ, ერთი მანეთი გადაუხადეს აკაკის (!) თავის ერთ-ერთ შედეგ-რში, რომელსაც „არაბი ფაშა“ ჰქვია.

ეს ეპიზოდი სწორედ ამ შინაარსით გვიამბო ბატონმა იოსებ ბოცვაძემ, ვინც უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ისტორიას გვიკითხავდა.

მართალია, პროფესორის მონათხრობი მთლად დეტალებში არ ემთხვევა „დროების“ თანამშრომლის დავით მესხის მოგონებას, რომელსაც მოგვიანებით გავეცანი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: ჰონორარის რაოდენობაც ზუსტია და ლექსის შედეგად მოხსენიებაც.

\* \* \*

...ლექციის დამთავრებისთანავე შევეუდექი ლექსის ძებნას. და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოვნა ძალიან გამიჭირდა. აღმოჩნდა, რომ აკაკის კრებულებში ის იშვიათად შეჰქონდათ. მაგალითად, არ შეუტანიათ 1980 წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემულ („საბჭოთა საქართველო“) „თხზულებანიში“. არადა, სწორედ ამ სერიას ყველაზე მეტად შეეფერებოდა.

1988 წელს გამოცემულ ხუთტომეულის პირველ ტომშიც დიდი სიფრთხილით (თუმცა კი „პერესტროიკის“ სიო უბერავს) შეიტანეს და ასეთი შენიშვნა დაურთეს: „აკაკი წერეთელს ლექსში შესანიშნავად აქვს გადმოცემული მტაცებლური ბუნება კაპიტალისტური ქვეყნებისა, მათი დიპლომატიის მთელი სიყალბე და უსამართლობა“.

რა თქმა უნდა, კაპიტალისტური ქვეყნებისა, თორემ სოციალისტური რუსეთის (საბ-

ჭოთა კავშირის!) მტაცებლურ ბუნებას აკაკი როგორ შეეხებოდა, მით უმეტეს, რომ არც მოსწრებია!

მაგრამ მისი ლექსი ხომ მოესწრო?!

კიდევ ბევრს მოესწრება და სულ თანამედროვე იქნება.

ღმერთმა ქნას, ოდესმე მაინც აღარ შეეფერებოდეს არსებულ სინამდვილეს ის, რასაც აკაკი ამ ლექსში ამბობს:

**კაცობრიობის სინიდის  
აბა რა მოუმატია?  
ადრინდელ ბარბაროსობას  
დღეს ჰქვია დიპლომატია!..**

**...უსამართლობა წინ მიდის  
კანონიერის გზებითა:  
სრული უფლება ეძლევა  
სხვადასხვა კონგრესებითა.**

ეს — ყველა ერის ანუ ზოგადსაკაცობრიო საწუხარი. მაგრამ აკაკი ამ ლექსში იმასაც ამბობს, რაც უპირველესად ქართველმა უნდა გაიგონოს და შეისმინოს:

**სხვისი იმედი რას არგებს  
თავისუფლების მძებნელსა?**

ასე რომ, ლექსი კონსპირაციულია: „არაბი ფაშა“ ჰქვია, სინამდვილეში, საქართველოზეა.

ცხადია, რუსეთზეც არის.

ამიტომაც არ (ვერ) შეჰქონდათ ყველა გამოცემაში.

იგივე ითქმის „შამილის სიზმარზე“, სადაც აკაკის (19-20 წლის ასაკში!) ასეთი სტრიქონებია:

**ლექებმა სისხლით შეღებეს ხელი,  
ველს ეფინება რუსების თავი!**

\*\*\*

**2010 წელი.** ქუთაისი. საგამომცემლო ცენტრი. **აკაკი წერეთელი, რჩეული ლექსები და პოემები.** შემდგენელი და გამომცემელი **ელგუჯა თავბერიძე**, რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**, იდეის ავტორი **გიზო თავაძე**, გამოყენებულია **ლადო გრიგოლიას** მხატვრული ნამუშევრები.

ისეთი გამოცემაა, ხშირად რომ გვინატრია.

ბევრჯერ დაგვმართნია ასეთი რამ: გვინახავს ლამაზად, მდიდრულად, გემოვნებით, მართლაც, „უმალლეს პოლიგრაფიულ დონეზე“ გამოცემული წიგნი, რომლის შინაარსიც ახლოს ვერ მივიდოდა გამოცემის ხარისხთან და გვითქვამს, აფსუსს, ასე რომ ვუაჟ ან აკაკი გამოგვაცემინა! და, აი, სწორედ ასე გამოცემული აკაკი!

უკეთესს რომ ვერც ინატრებ!

რა ბედნიერებაა, რომ ასეთი წიგნის დასტამბვა ქუთაისშიც არის შესაძლებელი!

რამდენადაც ვიცი, სულ ახლო წარსულში, თურქეთში ბეჭდავდნენ.

ქათქათა კაბადონი, მაგარი ყდა, „მოოქროვილი“ წარ-



წერებით, შავი ატლასის „სუპერი“ და 575 გვერდიანი ეს ულამაზესი წიგნი, ულამაზესსავე მაგარ „ბუდეში“ მოთავსებული.

სუპერზეც და ყდაზეც აკაკის ღვთაებრივი პროფილი და მისივე ხელრთვით შესრულებული საკუთარი სახელია ამოტიფრული.

გადავშალე და ანოტაციაში ვკითხულობ: „აკაკის „რჩეული ლექსები და პოემები“ პოეტის 170 წლისთავთან დაკავშირებით გამოდის. მასში ბევრი ისეთი თხზულება შევიტანეთ, რომლებიც წინა გამოცემებში არ ყოფილა“.

მაშინვე „არაბ ფაშას“ დავუწყე ძებნა. 151-ე გვერდზე წავაწყდი:

**სხვისი იმედი რას არგებს  
თავისუფლების მძებნელსა?**

\*\*\*

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გამოცემას ამშვენებს — ერთგვარ შესავლად და წინათქმად დართული გამოკვლევა — **„ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“**.

აკაკიზე ბევრი კარგი გამოკვლევა არსებობს. მათ შორის **დავით წერეთლის** ეს ეტიუდი ერთ-ერთი საუკეთესოა. ის ძალიან უხდება და მიესადაგება სწორედ ამ გამოცემას, იმდენად უხდება და მიესადაგება, რომ საგანგებოდ მისთვის დანერგილი გეგონება.

ორიგინალურია მისი დასაწყისი და მსჯელობისა და ანალიზის განშლა: **„აკაკი რომ არა, ქართული პოეზია დღემდე ენაბლუ იქნებოდა, — უთქვამს გალაკტიონს, რითაც აკაკის უშურველად მიაწერს მთელს იმ საქმეს, რაშიც არანაკლები წვლილი თვითონ მას, გალაკტიონს, მიუძღვის“**.

ორიგინალურია მკვლევარის დასკვნაც: **„აკაკისეულმა ტრადიციამ ქართული ლექსი თავის ეროვნულ, სხვათაგან გამორჩეულ თავისთავადობას მტკიცედ მიაჯაჭვა, მტკიცედ და, ალბათ, საბოლოოდ“**.

ეს ღრმა და საინტერესო გამოკვლევა თავმდაბლური სათაურითაც უხდება და შეეფერება აკაკის თხზულებათა გამოცემას.

მოკლედ, ისეთია, აკაკის რომ შეეფერება.

გამოცემაც ისეთია, აკაკის რომ ეკადრება.

\*\*\*

„ვაი იმათ, ვისაც „კარგი“ არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ.“ — წერდა ამას წინათ ელგუჯა თავბერიძე.

ვეთანხმები, მაგრამ ამ შემთხვევაში, სხენებული ეპითეტი ნამდვილად არასაკმარისია:

აკაკის ეს გამოცემა დიდებულია!..

**P.S.** ქუთაისში გამოცემულ აკაკის კრებულში სულ სხვა განცდით იკითხება ლექსი „ქუთაისი“:

„მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო...“

ეს ეპითეტი ისევე სამარადისოდ შეენივთა ქუთაისს, როგორც „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“ — საქართველოს. ორივე კი — აკაკის.

ზურაბ მარშანია

# დაკარგული ოცნება

ქართველებზე უფრო მეოცნებე ერი ალბათ დედამიწის ზურგზე ვერ მოიძებნება. ვოცნებობთ ყველაფერზე და ვოცნებობთ ყოველთვის: კარგ ცხოვრებასა თუ გაუთავებელ დროსტარებაზე, უძვირფასეს ავტომობილსა თუ პრეზიდენტის სავარძელზე, ნატო-ში შესვლასა თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე.

ოცნებას კაცი ჯერ არ მოუკლავს. არც არავის უშავდება ამით რამე. თუმცა მეოცნებე ადამიანი რაციონალური განსჯის უნარი არ უნდა დაკარგოს და სჯობს ის ისურვოს, რისი აღსრულებაც ადრე იქნება თუ გვიან სავსებით შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში აუსრულებელი ოცნება მწარე გულისტკივილს გვიტოვებს მხოლოდ.

სწორედ ერთ ასეთ ოცნებაზე მინდა გიამბოთ. ამის მოგონების სურვილი კი ძალიან საინტერესო ფოტოსურათმა აღმიძრა, სადაც თქვენი მონა-მორჩილი, არც მეტი და არც ნაკლები, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან

მეგობრულად ხელი-ხელ გადახვეული არის აღბეჭდილი.

ყველაფერ ამას დრამატული მოვლენები უძლოდა წინ.

2003 წლის ნოემბერია და საქართველოს გენერალურ საკონსულოს ვხელმძღვანელობ ვილნიუსში. ჩვენი დიპლომატიურ მისია მაშინ ლიტვის რესპუბლიკასთან ერთად ლატვიასა და ესტონეთსაც ფარავდა. იმ დღეებში მთელი ლიტვა ენით აუნერელ, ბალტიელთათვის ნაკლებად დამახასიათებელ ეიფორიას მოეცვა. საფუძველიც რეალური იყო. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მიიღო სენსაციური გადაწყვეტილება ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ნატო-ში განწევრიანების შესახებ. ამ მოვლენის აღსანიშნავად ვილნიუსს უნდა სწვეოდა და ლიტვის დედაქალაქში ბალტიის სამივე ქვეყნის პრეზიდენტს შეხვედროდა ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ რუსეთის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ნატო-ს გაფართოება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიასაც შეეზობოდა, მაგრამ ასე მალე თუ მოხდებოდა ყველაფერი ეს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

თავი ნახევრად სიზმარში მეგონა, როდესაც ჯორჯ ბუშმა ვილნიუსის გედემინასის მოედანზე შეკრებილ უამ-

რავ ლიტველს ასეთი სიტყვებით მიმართა: გილოცავთ მეგობრებო ნატო-ში განწევრიანებას, დღეიდან თქვენი მტერი ამერიკის მტერიც იქნება.

რა ქართველი ვიქნებოდი ამის მერე, რომ არ დამეფერინა ამერიკელთა ყოვლისშემძლეობა და ისიც, რომ ალიანსის გაფართოების პროცესი მალე ლოგიკურად დასრულდებოდა და ჩემი მრავალტანჯული სამშობლო ნატოს სასუფეველში იპოვნიდა უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ესოდენ ნანატრ გარანტიებს.

რა ქართველი ვიქნებოდი, რომ ვერ მომხებერხებინა ჩემი აღფრთოვანებისა და მაღლიერების გამოხატვა ერთადერთი ზესახელმწიფოს მეთაურის მიმართ.

ამის შესაძლებლობა იმავე დღეს, ამერიკის პრეზიდენტის ლიტვაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან გამართულ შეხვედრაზე მომეცა, სადაც სხვა სახელმწიფოთა დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან ერთად მეც ვიყავი მიწვეული.

საერთოდ ასეთი შეხვედრები რუტინული ხასიათის საპროტოკოლო ღონისძიებებს განეკუთვნება. როგორც წესი, ვიზიტით მყოფი მაღალი სტუმრის პატივსაცემად ჩამწკრივდებიან სოლმე ხაზზე სხვადასხვა სახელმწიფოთა ელჩები. ჩამოართმევენ თითოეულს ხელს ცივად მასპინძელი და სტუმარი ქვეყნის პრეზიდენტები, დაუკრავენ ეროვნულ ჰიმნებს და ამით მთავრდება ყველაფერი.

2003 წლის ნოემბერში ყველაფერი მთლად ასე არ დასრულებულა. მართალია ჩამოგვირბინეს თავ-

დაპირველად ყველას ჯორჯ ბუშმა და ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა. თანაც ისე სწრაფად, რომ სახეზეც კი არ შემოუხედავთ ჩემთვის. ის იყო ბუშმა ზურგი შემაქცია და თითქმის სიბრლით უნდა გამცლოდა, რომ მოვახერხე და მორიდებით, თუმცა გასაგონად მივაძახე: დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს მხარდაჭერისთვის მეთქი. არც არაფერს ველოდი, მაგრამ მოხდა საოცარი რამ, უკვე კარგა მანძილით ჩემგან მოშორებული ჯორჯ ბუში უეცრად მოტრიალდა, ჩემკენ გამოიქცა, გადამეხვია და გამიმეორა ორჯერ ამერიკელთა შორის მიღებული თავაზიანი პასუხი მაღლიერების გრძობის გამოხატვაზე: **You are welcome, my friend, you are welcome.**

შეიძლება ამერიკის პრეზიდენტი მსახიობური ნიჭით არის დაჯილდოებული, მაგრამ შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ იმ დღეს — ამ სიტყვების წარმოთქმისას — ჯორჯ ბუშის მიერ გამოხატული სიხარულის თამაში ჰოლივუდის ვარსკვლავებსაც კი გაუჭირდებოდათ.

დასრულდა ბუშის ერთდღიანი ვიზიტი ლიტვაში. ეიფორიაც ჩაცხრა. მე ვერ ვწყნარდებოდი მხოლოდ. დღისითაც და ღამითაც მედგა თვალწინ მშობლიური თბილისი და თა-



ჯორჯ ბუში და ზურაბ მარშანია

ვისუფლებს მოედანზე წამოჭიმულ ტრიბუნაზე მდგარი ჯორჯ ბუში, რომელიც მიმართავს ასეულ ათასობით ჩემ თანამემამულეს: ქართველებო, თქვენ ნატო-ში ხართ, სა-ქართველოს მტერი კი დღეიდან ამერიკის მტერიცაა.

ამ ოცნების რეალობა მოგვიანებით ლიტვაში ამერიკის ელჩმა (რომელიც ორიოდე წლის შემდეგ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩადაც დაინიშნა) ჯონ ტეფტმაც განმიმტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ლიტვაში ჩვენი სამწლიანი ერთობლივი მუშაობის განმავლობაში მე და ჯონმა დამეგობრება მოვასწარი, მაინც გამიკვირდა მისი შეკითხვა: ზურაბ, ხომ არ მიგიღია ჩვენი საელჩოდან რაიმე წერილი? როცა ვუპასუხე: არა-მეთქი, გაიკვირვა. მეორე დღეს კი ამერიკის საელჩოდან გადმომცეს კონვერტი, სადაც ჯონ ტეფტის ხელმოწერილ წერილთან ერთად ფოტოსურათიც იდო, სადაც მე და ჯორჯ ბუში ვიყავით აღბეჭდილნი.

რას ვფიქრებდი, რომ სულ ხუთიოდე წელი დაჭირდებოდა ოცნების დამსხვრევას, რომლის რეალობაში ძნელად თუ ეპარებოდა ვინმეს ეჭვი. ოცნებისა, რომელიც ქარს გაატანეს 2008 წლის აგვისტოში გორში შემოჭრილმა რუსულმა ტანკებმა და ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ჰუსეინ ობამას რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკამ.

...წყალნი მიდიან და მოდიან ქვიშანი კი დარჩებიანო — უთქვამთ ძველებს. ამერიკა და რუსეთი რომ დარჩებიან, ამას ხომ წყალი არ გაუვა, მაგრამ წყალთან ერთად პოლიტიკურ მიუსაველეთში არ გაუჩინარდეს ერთი პატარა ქვიშაც, მთელ მსოფლიოს რომ გვირჩევნია და საქართველოს სახელმწიფო ჰქვია სახელად...

მე კი ვუყურებ ამ ფოტოსურათს, ვფიქრობ და ვფიქრობ... ვფიქრობ იმაზე, თუ რაოდენ მწარეა გაცნობიერება, რომ ამდენი ხანი ყოფილხარ ოცნების ტყვეობაში, ოცნებისა, რომელიც განწირული ყოფილა.

ქასპრან-ინტარვი

ზაურ კალანდია

„მეოცნებენიც ცოტანილა დავრჩით“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა უმწეო ვერ დაგიცავს, მართალს ვერ გამოსარჩლებიხარ... სხვისი ჭირი, ღობის ჩხირით და მიიპარები შინისკენ, ფეხიც არ გერევა...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მხოლოდ იქ, სადაც ვცხოვრობ. ორი-სამი უცხო, უძველესი ქვეყნის ნახვა მინდა, მაგრამ თუ ვერ შევისრულე, დიდად არ ვინაღვლებ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ვისთვის რა არის ბედნიერება. სხვა დროს სხვანაირად ვიტყვოდი. ახლა ბედნიერება ის იქნება, ძველებურად ჩავიდე ბიჭვინთაში, ვაგრამი, სოხუმში, იქ ძველი მეგობრები — ქართველები, აფხაზები დამხვდნენ, განვმარტოვდეთ ჭიქა ყავასა თუ არაყზე... ეს ბედნიერება უკვე იყო და ვერ დავაფასეთ, ვერ გავეფრთხილდით და დავისაჯეთ... დღევანდელი რეალობა ეს არის. ჩვენ ჩვენს წილ დანაშაულს ვზღავთ, მეცა და ჩემი მეგობარი აფხაზებიც... არადა, სხვა სულისკვეთებით ვიცხოვრე, სოჭისკენ გამიბოდა თვალი, ტაო-კლარჯეთს ვეპოტინებოდი, საინგილოში გადავპარულვართ სტუდენტობისას გოგო-ბიჭები და იქ გვილოცია სამშობლოზე შიშა და სანთლების ციმციმში... ისა მწყინს, მეოცნებენიც ცოტანილა დავრჩით.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბევრია. პარადოქსია, მაგრამ შეიძლება, დღე დღონ კიხოტი მყავდეს მეგზურად, საღამოს გურამ რჩეულიშვილის

„უსახელო უფლისციხელმა“ მომაცილოს.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ორი ათეული წლის წინათ დავწერე და კვლავ გავიმეორებ: ილია ჭავჭავაძე, გიორგი მაზნიაშვილი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იმპრესიონისტები. ფერწერა ყველაფერი, უთქვამთ და ვეთანხმები. ჩემი ბინა მხატვრის სახელოსნოს უფრო ჰგავს, ვიდრე მწერლისას. ამას სტუმრებიც აღნიშნავენ და მომწონს. ვამაყობ იმით, რომ ბევრი თანამედროვე ქართველი მხატვრის ნაწუქარი თუ შექნილი სურათი მაქვს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართული ხალხური მუსიკა. ახლახან, თქვენს ჟურნალში ხორხე ლუის ბორხესის ნოველა „კედლები და წიგნების“ ბაჩანა ბრეგვაძისეულ თარგმანში ამოვიკითხე, რომ ყველა ხელოვნება მუსიკად ქცევას მიეღობოდა. დამაფიქრა. რაც ვწერ ოცნებად მაქვს, ნახევარი გვერდი მაინც დამრჩეს ისეთი, ვთქვათ, მეგრულ ხალხურ სიმღერას რომ მიუახლოვდებო.

— რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— სამართლიანობას, კეთილშობილებას, ნიჭიერებას, იუმორს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— თავმდაბლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— განმარტობა. ფიქრი, ფიქრი, ფიქრი... ბედნიერებაა, რომ ამისთვის ცალკე ადგილი და კომფორტი არ გჭირდება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?



— რაც ხანი მემატება, ვატყობ, უფრო და უფრო მამაჩემს ვემსგავსები. ეს მსიამოვნებს და მაკმაყოფილებს კიდევც.

— **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— ემოციური ვარ, ფეთქებადი. ერთ წამში ვერევი თავს და მიმტყვებელი ვხდები.

— **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ვეთაყვანები მთამსვლელებს. ქარაფზე დაკიდებულ-ლიც მზად არის მეგობრისთვის თავი გასწიროს.

— **თქვენი მთავარი ნაკლი?**

— იოლად ვიჯერებ, იოლადაც ვტყუვდები...

— **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— რთულია. ამ წუთას წარმოდგენა არ მაქვს. ისე, რაც უნდა ცუდ გუნებაზე გაგეღვიძოს, ცივი წყლის სახეში შესხმა რომ მოგინდება, უკვე კარგია. ცხოვრება გრძელდება.

— **რა იქნება თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ვინც მიყვარს, იმათგან ღალატი.

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— იმაზე ცოტათი მეტი, რაც ვარ.

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— თეთრი და ნარინჯისფერი.

— **ყვავილები, რომლებიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ყოჩივარდები. ყოჩივარდებთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით.

ახალგაზრდა მწერალი ვარ, ვმუშაობ წიგნის სახელმწიფო პალატაში (იყო ასეთი წმინდა ქართული დაწესებულება. ახლა გაუქმებულია). დირექტორი ზედმეტად მკაცრი კაცი იყო. დერეფანში და სხვის ოთახებში უფრო ვნახულობ, ვიდრე თავისთან და გამათავისუფლა. კარგა ხანს ვიარე უმუშევრად. ჩემი უფროსი ძმა გენო და ან გარდაცვლილი ჯანო ჯანელიძე ჩამოვიდნენ სოსხუმიდან. ჩემი ბედით შეწუხებული მთავაზობენ ბატონ ხუტა ბერულავასთან შუამდგომლობას, იქნებ დაგეხმაროსო. ბატონი ხუტა ჟურნალ „დროის“ რედაქტორი იყო. რა ექნა, მივყვები მორჩილად, თუმცა ისიც ვიცი, ბატონი ხუტა წინა დირექტორზე უფრო მკაცრია და მომთხოვნი. გაგვიმართლა, ერთ კვირაში მოვიდეს და სამსახური ექნება, დაგვირდა. გახარებულები გამოგვიშვა. შვიდი მარტი უწევს. ვიფიქრე, რვა მარტი ქალების დღეა, გადავგორებ, ცხრაში მივალ-მეთქი. ბედად, ჩემი თანამშრომლები მესტუმრნენ და ქეიფი ჩემთან რომ დავინყეთ, სად და რომელ უბანში თუ რესტორანში დავამთავრეთ, ახლაც ვერ ვიხსენებ. მოკლედ, რვა მარტის ადრიანი დილა, რუსთაველზე, კინოს სახლის წინ ვდგავარ მთვრალი. მთელი ტროტუარი მე მიჭირავს. მანამდე, რუსთაველის მეტროსთან წყნეთელ მეყვავილესგან ყოჩივარდების მთელი კალათა კალათიანად შევიძინე (ფული ჩემდაჭირად აღმომაჩნდა) და ვარიგებ კონა-კონა, ქალს არ ვუშვებ უყვავილოდ, უღიმელოდ, უკომენტაროდ... გავიხედე, ბატონი ხუტა მოდის, მისი მკაცრი და შეუვალი პროფილი მისწორდება... ტანში გამცრა, გაგმტერდი... რედაქტორმა უსიტყვოდ ჩამიარა. ვითომ არ შევუმჩნევივარ, წაეიდა... არადა, „ხვალ“ ვაპირებდი მისვლას. არ მივსულვარ. ათიოდე წლის შემდეგ გამომიტყდა ხუტა: კიდევ კარგი, მაშინ არ მოხვედი, შანსი არ იყო, მიმეღო. ორივენი დავრჩით-მეთქი, მე გამეცინა, ხუტას — არა. მიყვარს ყოჩივარდები... თუმცა ისიც უნდა ვთქვა, ამ ბოლო დროს უფრო ხშირად მახსოვს ჩემი უფროსი მეგობრის ბესიკ ხარანაულის სტრიქონი: „ყვავილებისთვის არ ვიხრები, პალოებს ვაძრობ...“

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბელურა. ერთგულია, არსად მიფრინავს.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ერთი დიდებული მეგობარი მყავდა, უშანგი გაბიტაშვილი. ჩემი თაობის ლიტერატორებსა და მწერლებს კარგად ახსოვთ ალბათ. თუ რამე კარგი პროზაული წიგნი მაქვს წაკითხული, მისი დამსახურებაა. მისაღებ გამოცდას აბარებს უშანგი უნივერსიტეტში. ზეპირ გამოცდაზეა ლიტერატურაში და ბრძღვის ყველაფერს. ერთ-ერთმა გამომცდელმა დამატებითი კითხვა დაუსვა, ასო გ-ზე ჩამომითვალე მწერლებიო. დაიწყო უშანგიმ: გურამიშვილი, გოეთე, გოგოლი, გოტიე, გოლსუორთი, გოლდონი... გამომცდელი გორ... გორ... ო, ვილაცას კარნახობს. ის კი აგრძელებს: გრილპარცერი, გოცი, გამსახურდია, გილვიკი, გილიენი... ვერ ითმენს გამომცდელი — გორკი სად არისო? გორკის რა უნდა მწერლებში, გორკი რა მწერალიაო, გაკვირვებას ვერ მალავს უშანგი. ასე რომ, ჩემი მეგობრისა არ იყოს, ძალიან გრძელი სია გამომივა.

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— გააჩნია, ვინ როდის მოგანატრებს თავს. ეს ხან გურამიშვილია, ხან ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი...

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?**

— ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“. გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულის“ — მზია.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ჭაბუა ამირეჯიბი, ბიძინა კვერნაძე, რობერტ სტურუა...

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— შუშანიკი, ქეთევან წამებული, ჟანა დ'არკი.

— **საყვარელი სახელები?**

— მიკერძოებული ვიქნები ანუ ჩემს შვილებს რაც ჰქვიათ — ვერიკო, სალომე, ირაკლი.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ორპირობას.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?**

— „ქართლის ცხოვრებიდან“ ყორღანაშვილი.

— **საომაში მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა.**

— დიდგორის ბრძოლა.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ხატვის.

— **როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— მშვიდად და სიმშვიდეში.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ვარ ისე... კარგა ხნის ჩამქრალ კოცონს სულს რომ უბერავ, იქნებ ალი აჰყვესო!..

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?**

— ახალგაზრდა კაცის უნებლიე შეცდომები, რომლებიც სიბრალულს უფრო იწვევს, ვიდრე სასჯელს.

— **თქვენი ღვევი?**

— მარტო იმაზე ვფიქრობდე, რისი კეთებაც მიყვარს.

— **ოდესმე ღმერთს თუ შეხვდებით, რას ისურვებდით ეთქვა მას თქვენთვის?**

— ასეთი პრეტენზიული ვერ ვიქნები. მის ერთ თბილ მზერას ვიკმარებდი.



რეზო ჭეიშვილს მკითხველის წინაშე, რა თქმა უნდა, წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ ვფიქრობთ, მის ნაწარმოებს სჭირდება წარდგენა, ან წარმოდგენა მაინც, იმიტომ, რომ ყოველ ახალ ოპუსში ხედვის იმდენად ახალ, მოულოდნელ, მოუხელთებელ რაკურსს არჩევს, შეიძლება დაიბნე და ყველაფერი ისე ვერ გაიგო, ისე ვერ წაიკითხო, როგორც წერია. მაგალითად, ავიღოთ ფორმა. მოთხრობა არის? — არ არის; პიესა არის? — არ არის; პოეტური პროზა არის? — არ არის.

პოლიფონიური თხრობის დიდოსტატთან სიფრთხილე გვმართებს. მით უმეტეს, თუ წინასწარ გაფრთხილებული ვართ: დროთა კავშირი აქაც დარღვეულია! ამიტომ ფორმა შესაძლოა იმდენად მნიშვნელოვანი არ იყოს, რამდენადაც მოტივი, ბგერა, განწყობილება.

მანერა — მეტისმეტად თავისუფალი, თავისებური, სუბიექტური — ერთ მხარეს რჩება, მეორე მხარეს კი არის სინამდვილე, რეალობა, ცხოვრება შიშველი დოკუმენტალიზმით. ერთი შეხედვით, გამოყენებულია ჰიპერრეალიზმის მსგავსი რაღაც, დაახლოებით ის, რასაც ავტობიოგრაფიული ფიქსაციის ხერხს უწოდებენ, მაგრამ, ამავე დროს, ეს არ არის ფოტორეალიზმი, რადგან არ ჩანს ფერი, ფაქტურა, ვიზუალური ხატი. თუმცა ეს ყველაფერი გამოსჭვივის დიალოგებში.

იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ დოკუმენტურობა უბრალოდ ილუზიაა, ფარსია, თამაშია, რომელსაც ერთი სინამდვილიდან მეორე სინამდვილეში გადავყავართ. ცხოვრებიდან — ლიტერატურაში, ლიტერატურიდან — ცხოვრებაში. რა ახლოა მანძილი მათ შორის. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, მით უფრო შორდებიან. თანაც რა მტანჯველია ეს დაშორება, სევდიანი, გულისმომკვლევი.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს რეზო ჭეიშვილის შემოქმედების უცვლელი სიდიდე — იუმორი, პერმანენტული ჰუმორი, როგორც ცხოვრების წესი, თავად ცხოვრება და ოსტატობის გამოვლინება — ვიზუალური, ფსიქოლოგიური და დროითი აპლიკაციები როგორც სამშენებლო მასალა მხატვრული სინამდვილისათვის.

რეზო ჭეიშვილი

# ბიკენტისას საქაბაბე

□

საქაბაბე—საცხენისი,  
ზაზაულად მიირთმევიან,  
დროთა კავშირი დარღვეულია,—აქაც!

წინვები ჭიქაში  
ავდარში გავედით,—სისხამზე.  
წავიღეთ ციციქა და ჭიქები...  
ცრიდა და ციოდა ცის მადლზე...  
სასმელიც ცივი და საჭიქე...  
მივედით, შევადეთ ბჭისკარი,  
ვიშოვნეთ დალევის მომენტი,  
ვიტყვი და დუმილი გვითხარი,  
შენი დაბადების დღეა,—თებერვლის 12.  
ცივად ლიცლიცებდა სასმელი,  
ჭიქაში ცვიოდნენ წინვები,  
ვთბებოდით ციციქით და სისველით...  
ფიჭვების ყვითელი წინვებით...

... გილოცავთ დაბადების დღეს. შენი ხსოვნისა და ხსენებისა იყოს!.. მოვიგონოთ ჩვენებიც,—აქაური ბინადარნი... ნუ ჩამოვთვლით, ვიღაც გამოგვრჩება და ხსოვნა და შენდობა დანაკლულდება...

ჩავმუხლდით ხვნეშით და წვალეებით,  
ანვიმდა პურმარის იაფიანს,  
ფარვიდეს მაქაური ძალები

შენსა და ჩვენს ეპიტაფიებს!..  
ცრის და ცრის, სველია ქვა-ლოდი,  
წვრილ ჭიქებს მასპინძლობს ქვაკენტი...  
ბიკენტის დალუპვას ელოდი,  
გახსოვს ხომ საწყალი ბიკენტი?!  
მახსოვს და ვიშორებ ფიქრიდან,  
ის კაცი თავს რგავდა ბანარში?  
თუ ის იმ საქმეს იქმნიდა,  
ნაღ წამებს გაცვლიდა სხვა წამში? (ვინ იფიქრებდა!)  
ვახსენოთ ბიკენტი სხვასავით,  
დავთვალოთ წინვები, გირჩები,  
ბიკენტის სად ჰქონდა სხვა თავი,  
წავდივართ, შენ მარტო გვირჩები.  
ახლა ჟანგიან კარს მიგიხურავთ,  
წარმოვთქვამთ საჭირთანოს კარგარეთ,  
სხვა დროს გადავხურავთ სხვა სახურავს,  
კარი კი დარჩება კარგარეთ...

რჭ.

ბიკენტი (ჩარჩოში და რამდენიმე):—არაყი იქით, ფული აქ, ჟენია.. სამი პივა, გაავსე ყველა!.. ფული აქეთ, ბესარიონოვიჩთან ხართ?! ზურაბთან?

—ზურაბ!

—აქ ვართ!

სხვანი: ჯანჯიკია, ტრისტანია, ზურაბია, მერე?...სამი პივა, ლუდი, ამას გაუვსე: თქვენ? ზურაბისთან ხართ? სადღაა საცოდავი! სადღა არიან!

გამოსვლა პირველი.

ზურაბი სამია (იყო).

მეოთხე იქ დაგტოვეთ ფიჭვქვეშ, საყდრიდან მეოთხე (IV) ბილიკში, ჟანგიან ჭიშკარში. ახლაც იქ არი.

—სადაც არი, იქ გაუმარჯოს!

ზურაბია. ჯანჯიკია. ტრისტანია. (საქაბაბეში) დაგტოვეთ. ნოე,— ვტოვებთ?!

—აუცილებლად! (ხმები საიდანლაც).

—სადაც არიან, იქ გაუმარჯოთ!

—სად არიან?!

— გაჩერდი (ხმადაბლა), არ იცი, ძმაკაც, შენ!  
 — პირველად ვარ და...  
 — ბიკენტი, ოთხი ალფაიდური!  
 — სამიო მაგან?  
 — არ იცის, დებილია, ოთხი!  
 — ოთხი?! — მელოტი, კითხვისნიშნით დაცვარული თავი გამოცდება ჩარჩოს.  
 — ვოთხი?  
 — ოთხი!  
 — ვაა! — გაქრება. ჩარჩოში აღარაა...  
 ოთხიდან ერთი:  
 ...არ მინდა, კაცო, ეს ალფაიდური, როცა ვიყავი, მაშინაც არ მინდოდა!..  
 — რაც არ გინდოდა, ხომ არ მოგეცა?! ახლა, არ დაგწყევლი და... — რაც არ გინდა, ღმერთმა არ მოგცეს!  
 — მლოცავ?! არ მინდა ეს ალფაიდური, რა გამიხურეთ!..  
 — გიჭამია?  
 — არა, გინდათ, მაჭამოთ მაგრამ არ ვჭამ!..  
 — ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია!  
 — ბატონო? რა ბრძანეთ?  
 — რაც გაიგონე.  
 სამხედრო ფორმიანი პირი გამოდის არენაზე და ერთგვარი დისონანსი შეაქვს საქაბაბის ყოფაში:  
 — სკოლკო სტოიტ ქაბაბი?  
 — ვინაა?  
 — პირველად ვხედავ, ტო.  
 — პირველად ხარ და მეორედ ვერ შეხედავდი!  
 — პრინციპში, მართალი ხარ, ვაფშჩე და რასაც ვხედავ, ვაფშჩე, რაც მესმის, თითქო ნანახი მაქვს, ტო და მოსმენილი, ტო! ისე, მართალია, პირველად ვარ, ის სამხედრო დეისტვიტელნია?  
 ... რუსია. ქართული, ალაგობრივი ჯარის ზავხოზი.  
 — ინტენდანტ ოსობოვო, მესტინოვო ბატალიონა, — ინტენდანტ!  
 — კომენდანტ?  
 — კომენდანტამდე ცოტა აკლია...  
 — ია ბიკენდანტ!  
 — რაო?  
**რუსია...** — ბიკენტი, პრავილნო ია გავარიუ და?... და-რაგოი ბიკენტი, სკოლკო სტოიტ ალფაიდური?  
 — ალფაიდური? ალფაიდური დვაპიატდესიატ ჩემტო...  
 — აბიკნავენნი?  
 — ტოჟე.  
 — რაზნიც ნეტ?  
 — ესტ.  
 — კაკიმ ობრაზომ, ჩტო-ტო ნე ტონჩნო, ნე პონიატნო...  
 — რა მიხვედრილი რუსია!  
 — ია აფიცერ ბატალიონა, ია ინტენდანტ!  
 — რუსია, დედამოტყიარებული...  
 — ჩუმად, ვირისთავო?!  
 — რა იყო, შე ჩემისა, რა ვთქვი ასეთი? რას გაიგებს ჩვენს ქართულს?!  
 — მაგი არავინ იცის, ან გაიგებს, ან — არა!  
 — ბიკენტი, სკოლკო სტოიტ ქაბაბი, პოვტარიტე, ესლი ნე ტრუდნო, უმენია დენგი მალო, ნადო პასჩიტატ... — ჯიბეში იქექება — სკოლკო?

— ქაბაბი?  
 — ქაბაბი, ბეზ ლიშნის.  
 — დვა პიდისიატ, მოჭრით.  
 — სკოლკო? — ცალ ყურზე იფარებს ცალ ხელისგულს ფრიად, ზედმეტად გაოცებული ინტენდანტი.  
 — დვა სოროკ.  
 — სკოლკო?! — ხმას უწევს ზევით, ყრუდ.  
 — დვა დვადცატ.  
 — სკოლკო?!  
 — დვა რუბლ, ბეზ ლიშნიმ, მომკლა ამ კაცმა, დავუნერო?!  
 — სკოლკო?  
 — რუბლ პიდესიატ...  
 — სკოლკო?  
 — არ ესმის, ბიკენტი, ხმამალლა უთხარი!  
 — სკოლკო? — უმეორებს რუსი.  
 — რუბლ, ერთი ლარი, ოდინ მანათ! მეტი რა ვქნა, ხმაც დაგვარგე, აღარა მაქვს.  
 — სკოლკო?!  
 — დაპატიჟებული ხარ-თქვა, უთხარით, არ მინდა მაგის არაფერი, მაგის კეთილები...  
 — არ შემაგინო, ბიკენტი, თვარა გესვრი უეჭველი! — თითქო სასროლს უფათურებს ხელს იმ ჯიბეში, საიდანაც, როგორც ეგონათ, ფულს იღებდა.  
 — არ ვახდევინებ არაფერს, მაგ ცეცხლნაკიდებულს, ცოდნია ქართული... რამ მოიყვანა აქანა?! გესვრიო, რას მესვრის?! — თვალეზი დამრგვალებია რაგბისბურთკვერცხოვან სახეზე, თავით ჩანს ჩარჩოში, დახლის ფიცარზე:  
 — იცოდა ქართული?  
 — ისწავლა, ბიკენტი, იმდენი გელაპარაკა, — ისწავლა, დილიდან აქაა და აითვისა...  
 — დამალოს, უთხარით, ვითოჟირია თუ, ჩემი შაბანყურბანა, აქანა ტირი კი არა მაქვს!  
 — კირუხი იარალია...  
 — რა კირუხი, ტო, სტეჩკინი ამონია, დავინახე, ჩემი კარგი, ტო!...  
 — მოგელანდა...  
 — არა, ტო, ჩემი დედა... დავინახე, ტო, სტეჩკინია...  
 — მართალია, მაგრამ არ ისვრის, კირუხია!...  
 — კანეშნა, ტო, ზავხოზიო, ვინ მიცემდა იარალს, მაგრამ დავინახე, ტო, ჩემი კარგები!...  
 — გაიყვანოთ იქნებ აქედან!...  
 — ნუ გეშინია, ბიკენტი, გესვრის, მაგრამ ვერ მოგარტყამს, არიფია, ზავხოზ!...  
 — ოფიცერ ბატალიონა, ინტენდანტ!  
 — ინტერ რაო? ინტერნატი მინდოდა აქანე?!  
 — რის ინტერნატი, ბიკენტდანტი ვარო...  
 იფხრინებთან სიცილით...  
 — ვკეტავ ქაბაბს, ვოტკა ნალეგო, პივა პრიამო, ქაბაბ ზდეს, ნო ნე ბუდუ პრადავატ, ზაკრივიოუ ზაზარ!  
 — რავარი რუსული ცოდნია ამ ჩემის ბიკენტის!  
 — ზურაბ ტამ, და?! — აზუსტებს ბატალიონის ინტენდანტი.  
 — ონ ტამ!  
 — ზდაროვა, ზურაბ,  
 — ზდრავი ჟელაემ, საიდან გაიჩითე, ნიკოლოზ?  
 — ჩვენი ზურაბი იქაა, დავტოვეთ ფიჭვიანში.

—იმას გაუმარჯოს, დაბადების დღეა ხომ, იყავით გასული საფლავზე, ხომ?

- ვიყავით, სიმონ.
- რამდენი ზურაბი ვართ...
- არც ერთი, ერთი იქაა...
- ზურაბ პრივეტსტეუიუ!
- ზდრასტი, კოლია!
- ვოდკა კ ზურაბუ!
- ნი ნადა, კოლია, ნი ნადა!
- ნადა!
- ერთი ალფაიდური!

—ალფაიდურიო ამანაც, რა ალფაიდური აუტყდებათ ამ მკვდარძაღლებს, ვინ მოიგონა, იმის ოჯახი დაიქცა...

—აბა, ბიკენტი, ბი-ერთი, ბი-კენტი, ბი-ნომი... ალფაიდური!

—ახლავე... ეს ჩვეულებრივი, ესეც... შენ ალფაიდური მაინცდამაინც? გადამრევს ეს ხალხი!... მწვანე ხახვის ორ, მიმჭკნარ ღერს ადებს ჯვარედინად ტყემლიან, შემწვარ—შეპინკინებული ქაბაბის ორ ლულას?—ესეც ალფაიდური, მოვიდა ალფაიდური!

—ვოტ, ეტო პანი-მაიუ...

—ამან იცოდა ქართული თუ მომეყურა, ტო?!

—აქ ისწავლაო, ხომ გითხრეს!...

- ზურაბს გაუმარჯოს, ბრატ მოი, ვოდკა!
- ნინადა, ნიკოლოზ, ნინადა...
- ნადა, ბესარიონოვიჩ, ჩემგან, ზურაბ!
- ჩვენი ზურაბი იქ დარჩა.
- იქ გაუმარჯოს.

—ვოტკა ნილევი, პივი პრიამო, ეს კაცი მომამოროთ იქნებ, შარია, უეჭველი შარია!...

—კომენდანტია, დამცველია ჩვენი, სანყოფის იცავს, ოკუპანტი კი არ არის, ბიკენტი!

—შარია, ნუ მასწავლით, ვხვდები!

—კეთილი გულით მოძღვნილიო... მერე როგორ არი, ზურაბ?...

—მცირედიც შეინირებისო...

—აი ეგრე, ზა ზურაბი, ყველა ზურაბის ხსოვნის იყოს. შეზარხოშებული ახლები შემოდინ თამამად, ნინ მაღალი სათვალისანი მოუძღვით, იმათი ატამანი უნდა იყოს.

—პრივეტები.

—არჩილიჩ, აქეთ მობრძანდით!..

—ერთადა ვართ. ქალაქის მაცხოვრებელთა ერთი მესამედი, ჩვენ ქალაქზე არაა ლაპარაკი, ცალფეხაა.

—რა არიო?

—ცალფეხააო?

—ვინო?

—პავტარიტე ესლი მოჟნო?

—ეს ვინ არი?

—ბატალიონის ზავხოზია, მნე.

—მე, კლე გავიგონე, მნეო თუ კლე—ო, ქალაქის მაცხოვრებელთა ერთი მესამედი, პავტარიით, ცალფეხაა...

—სად ნახა ამნაირი ქალაქი?!

—ერთი წუთით!

—ვაცალოთ, ბრძანეთ, არჩილიჩ...

—ერთი მესამედი მხოლოდ... ერთი მესამედი ფეხშიშველი დადის.

—რას შობაო?

—დადისო...

—ამაში არაა საქმე...

—ერთი მესამედი ნორმალურად იცვამს...

—ესე იგი, ეს აცვამს?!

—ასე გამოდის!

—რომელი იყო, არა უშავდა... ესე იგი, ვიმეორებ: თავის დედისას მიერთმევს ვილაც, ერთი მესამედი ცალფეხაა, ერთი მესამედი ფეხშიშველია, ერთი მესამედი ჩვეულებრივი ფეხოსანია... რამდენი ცალი, ცალი და არა—წყვილი, ფეხსაცმელი ჭირდება ქალაქს?!

—ბიკენტი, გაანძრიე ტვინი!

—რამდენი?

—რამდენი დაგრჩა?!

—მაქვს, კაცო, რა გინდათ ალფაიდურიც დამრჩა, ჩაფლადიურიც...

—მაგას ვინ გეკითხება!.. რამდენი ცალი ფეხსაცმელი ჭირდება ქალაქს,—უპასუხე!

—მე??—ჩარჩოში გულზე იდებს, როგორც ჩანს, ხელს, თუმცაღა ხელის მტევანი არ ჩანს,—მე რა ვიცი, ქალაქს რამდენი ფეხსაცმელი ჭირდება. მე მეფეხსაცმლე არ ვარ, რა ვიცი...

—შენ რომ არ იცი, ბიკენტი, არაფერი არაა ისეთი!

—არ ვიცი, კაცო, მე ჩემი მყოფნის! მაგან არკვიოს, ვის რამდენი ფეხი აქვს, მე დამანებოს თავი!

—ხედავ, არჩილიჩ, რაებს ამბობს!

—ბიკენტი მაგარია!

—რა ვქნათ, არჩილიჩ?!—მისი კომანდის წევრი კითხულობს, არცთუ სხვათაშორის.


—რა უნდა ვქნათ, აქ ადგილი არაა და ბიკენტი ჩვენი გულისათვის თავს არ ჩამოიხრჩობს

—მაგი საკითხავია...ამას რა ატირებს?

—სასმელს ვერ იტანს და ქაბაბი ეზიზღება...

—ზურაბ, ტო, საერთოდ რა პონტია თავის ჩამოხრჩობა, არ მესმის, თავი როგორ უნდა ჩამოიხრჩოს კაცმა, ტო, საკუთარი თავი ვაბშჩე?!

—ხდება, ამ რუსს რა უნდა აქ?!



მხატვარი ინა ჭელიძე

—არ გინდა, არჩილიჩ, მაგიც მთვრალია.  
 —რა უნდა, ამისხენით, აქ?!  
 —არა, კაცო, არჩილიჩ, აქეთ მოდი, ზურაბი ვარ, ხომ მიცნობ...  
 —დაველაპარაკო ამ კაცს, ინტენდანტი ვარო.  
 — ინტენდანტ და საერთოდ, თქვენზე ნაკლები ქართველის დედა მოვ...— ჩემდათავად!...  
 —რას შობი ახლა!

სათვალე მოიხსნა და თავი აჯახა არჩილიჩმა.  
 ამოიღო რუსმა ავად ნახსენები სტეჩკინი და იყვირა:  
 ლაჟის, სუკა! ... და ყველა ტყვია, რატომღაც, ჭერში ააჭედა... ცარიელი სტეჩკინი წაართვეს, სამხედრო პატრული მოვიდა, სამოქალაქოც და იმ ღამით, გათენებისას ბიკენტიმ იმ თავი ჩამოიხრჩო.

ასე დამთავრდა ის დღე და  
**ბოლო:**

... ჩვენ ახლა ვიმყოფებით სამაუნყებლო ტელეარხ იანეთში, გადამღებ ჯგუფთან ერთად, ეგრეთწოდებული ბიკენტის საქაბაბის მისაღებში.

—ბატონო რამაზ—...

—რამზეს—...

—ბატონო?!  
 —რეზო დამიძახეთ.

—უკაცრავად, ბატონო რეზო, როგორ შეაფასებდით შარშანწინდელ აქტს?

—სამწუხაროდ...

ელოდებიან. მიკროფონი მოშვერილი აქეთ ისევ...

—მე მგონი, გასაგებად ვთქვი.

**წამყვანი:**

...საზოგადოებრივი თვალსაზრისით ფაქტი შემაშფოთებელია, ცოლშვილიანმა პირმა, პიროვნებამ, თავი ჩამოიხრჩოს საკუთარი სურვილით...

—და საკუთარი სახსრებით...

— ბატონო, რამაზ, თოკს გულისხმობთ?

—არა, ძაფს... მოთმინების ძაფს, იგი განყვიტა, — განყდა და დასრულდა...

—აჰა, გასაგებია... გმადლობთ, ბატონო რამაზ, უკაცრავად, — ბატონო რევაზ!.. ნოე, ვინერთ?..

გაურკვეველი ხმები მოდის ნოეს მხრიდან...

—გასაგებია, ესეც აღინიშნა, რომ დარბაზს, რომლის წინაც ვდგავართ ჩვენ, დაერქმევა საბიკენტო დარბაზი... ეთანხმებით თქვენ ამ გადაწყვეტილებას?

—არავითარი ამდაგვარი გადაწყვეტილება არ მიღებულა, თქვენი სახელი, უკაცრავად?

—ნუნუ.

—ქალბატონი, ნუნუ...

—ახლობელი იყო თქვენი განსვენებული?

—როგორ გითხრათ, —ფიქრობს,—იყო ალბათ, ჩემი რეზიდენცია, ოფისი, ხიდგაღმაა, აქვე, თითქმის ყოველდღიურად, მარტოხელა ადამიანის ცხოვრება მოგეხსენებათ, ყოველდღიურად მიწევდა აქ გადმოსვლა, ყოველდღიურად, ყოველდღე, წლების განმავლობაში, მრავალი წლის მანძილზე ვხვდებოდით ერთმანეთს...

—გამოდის, რომ თქვენზე ახლობელი იმ ბიკენტის, შინაურებს გამოვრიცხავ, არავინ ჰყავდა... შეიძლება ითქვას?..

—შეიძლება.

—როგორ დაახასიათებდით, როგორც პიროვნებას, ბატონო რამაზ?..

...რა გითხრათ, იცით, ქალბატონო ყულიცა...

—ნუნუ...

—მე ბიკენტი მთლიანად არ მინახავს...

—როგორ გავიგოთ?

—პირდაპირ...

—ნოე, ვინერთ?

გაურკვეველი ხმაურია...

— თუ შეიძლება გაიმეორეთ. ტელემაყურებელს აინტერესებს...

...დიახ, მთლიანად, თავიდან ბოლომდე ბიკენტი არ მინახავს...

—თქვენ იმეორებთ — ესე იგი, მთლიანად არ გინახავთ?

—მეე?—ნოეს ხმაა.

—შენ სიცხე!

—**წამყვანი:** აბა ნაწილობრივ?

—არა, ეს ბევრს ეშლება, მხოლოდ ერთი ნაწილით.

—თუ შეიძლება, თავიდან...

—დიახ, მხოლოდ თავს ვხედავდი და ხელებს, ბეჭების ჩათვლით.

—ნაწილს, მთელისას, — ერთ მესამედს?

—ცოტა ნაკლებს...

—მეოთხედს, გული გამიხდა ცუდად, მეოთხედს?

—ოდნავ მეტს, კუბოშიც თავი ჩანდა მხოლოდ, ნაბან-რალი, წითელი რკალით, ხელები გაფშეკილი, გულზე ნაჭრილდაკრეფილი... თქვენი სახელი ნუნუ, ხომ, სხვანაირად არ გაიგოთ, ბიკენტი მთლიანად არ მინახავს... —

—გასაგებია, ნოე, ვტოვებთ...

გაურკვეველი ხმები ჩამოდის.

—გასაგებია, დარბაზიდან, სადაც საქაბაბე იყო, ბაგი-ბუგის ხმა... ღრიანცელია, დინამიკებს თქვენ ვირის ყურები უწოდებთ.

—საჭიროა—მეთქი...

—ვირის ყურები?

—დინამიკები, რადიოტალღები, კერძოდ.

—ახლაც ამ აზრის ხართ?

—ახლა მითუმეტეს და მაინც: დასაშვებად, მისაღებად მიმაჩნია, თუნდაც, ეს ღრიანცელი, დროის ფაქტორია, დროს ვერავინ გააჩერებს, დრო, ამ პროვინციული ქალაქის დროებითობის თანმდევია.

—სიჩუმე?!

თებერვლის შუა რიცხვების სველი და ცივი სიჩუმე ნევს სასაფლაოზე, ჟანგირიანი ლითონით შერკინულ ჭიმკარში, სამარის თავლოდზე ნაღვინარი ჭიქაა, ერთადერთი წინვი ანუპებია შიგნიდან ჭიქას!

**ახლა ჟანგიან კარს მიგიხურავთ, წარმოვთქვამთ საჭირთანოს კარგარეთ, სხვა დროს გადავხურავთ სხვა სახურავს, კარი კი დარჩება კარგარეთ...**

**რჭ.**

კარი მეორე შემდეგ

ცირა ყურაშვილი

## ორი მინიატურა

ანას და ჰორეს დედა  
(ზღაპარი დიდებისთვისაც)

იცოცხლე, რა ძნელია, ქარის ფრთას ისე გამოეხე, რომ სადმე, სადაც არ გინდა, იქ არ ჩამოვარდე?

ანოს და ჰორეს დედაც ასე ფიქრობდა, როცა თავისი თავშალი ქარის კუდს გადაასკვნა, მეორე ბოლოთი წელზე მოიხვია და ქარს უცხო ქვეყანაში გაჰყვია. ეს სურათი რომ დაგვენახა, ვიტყვით — ქარის კულულებს გამოვბია მქროლავი ქალიო. დიახ, — ქარის კულულებსო, — ასე ვიტყვით.

ავტომანქანით არა, მატარებლით არა, თვითმფრინავითაც, არა. ანოს და ჰორეს დედას რა იმდენი ფული ჰქონდა, რომ მგზავრობის ღირებულება გადაეხადა? ჰოდა, აი, ქარს კუდში ჩასჭიდა ხელი და უცხო ქვეყანაში გაჰყვია.

ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ანოს და ჰორეს ერთ დღეს მოშივდათ, საპურეებს თავი რიგრიგობით ახადეს და იკითხეს:

**დედა, ძლიერ გვშიანო,  
პური რომელშიაო?**

დედამ პასუხი ვერ მიუგო, რადგან პური არცერთ საპურეში არ იყო. და აი, იგი ქარს გაჰყვია უცხო ქვეყანაში. გზაში ქარს ძალ-ღონე გამოელია და ანოს და ჰორეს დედა კინალამ ოკეანის თევზების კერძი გახადა. მაგრამ ნათქვამია, თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებსო. დიდი ტალღა ჩაეჭიდა ქალს, გააქანა და ოკეანის სანაპიროზე გარიყა. აქ არ მოგვევები, რა ცუდია, როცა მარილიან წყალში იგუდები, თუმცა უმარილო წყალში დახრჩობაც ვერაფერი შელავათია. ისე, გამოცდილი თუ გაქვს, რა კარგია, დახრჩობას რომ გადაურჩები? ქალმაც თვალი გაახილა, თავი გამოიმჯობინა, მიდგა-მოდგა, სამუშაო იპოვნა და მუყაითად შეუდგა მის შესრულებას.

იქაურებს უკვირდათ, ამისთანა ლამაზი, ჭკვიანი და შეილების ერთგული ქალი ამხელა გზაზე რამ წამოიყვანაო. ქალი კი იქაურ გამხიარულეებულ ბავშვებს რომ დაინახავდა, გული უკვებოდა: „ჩემი ანო და ჰორე, ჩემი ჰორე და ანო“ — სულ ამას იმეორებდა. სადილის ჯერზე თითო ლუკმას თითო ჭიქა ცრემლს აყოლებდა.

ანოს და ჰორეს მამა იმ დროს, არ ვიცი, გარდაცვლილი იყო, არ ვიცი, ოჯახს გაშორებოდა, არ ვიცი, დომინოს თამაშობდა მეზობლებთან. იმ ქარიან ქალაქში დომინოს თამაში პატარა საქმე კი არ იყო. ძლიერი ქარი რომ ამოვარდებოდა და თმებს თუ კულულებს დაიშლიდა, დომინოს კენჭებს წელისწყვეტით ალაგებდა და მერე მყუდრო, ქარსმოფარებულ ადგილას ხვნიშით დალაგებდა ხომ უნდოდა?! აბა, ასეთ ძნელ საქმეებსაც ეჭიდებიან ადამიანები, მათ შორის ზოგიერთი, მთელი სიცოცხლე.

ანოს და ჰორეს დედა კი... როგორ გაეხარდა, როცა პირველივე საღამოს მთვარე დაინახა ცაზე, ასე ეგონა, ამ ქვეყანას

ნას ცა არ ჰქონდა და მზე და მთვარე საიდან ექნებოდა? ეგონა, დღისითაც მხოლოდ ნათურებით ინთებოდა ქალაქი და გულში შიშობდა — შუქი რომ გაითიშოს, მთელი ქვეყანა ჩაბნელდებაო.

მზე კი ანოსა და ჰორეს ქვეყანაში რომ ჩავიდოდა, ანოს დედასთან ამოვიდოდა, იქ რომ ღამე იყო, აქ დღე, და პირიქით. და ახლა, როცა დრო გასულიყო, და ანოს და ჰორეს დედას შვილებისთვის საჩუქრებიც გაემზადებინა, სულ ამას ნატრობდა, ნეტა დამავალ მზეზე ამიყვანა, რომ ჩავყევ და ანოსა და ჰორესთან ამოვიყვო. აბა, ქარს როგორღა ენდობოდა. იმას, იმ თავქარიანს და უხერხემლოს გაბერილი ბუმტებს თუ გაატანდა მხოლოდ.

ეჰ, ჩამავალ მზეზეც კი რა ძნელია ბავშვების საჩუქრების ატანა. აბა, ვინ დაგეხმარება, რომ გააჩერო და უთხრა: იცით, მე ანოს და ჰორეს დედა ვარ, ახლა ჩემი ბარგით მზეზე უნდა ავცოცდე, საჩუქრებს ხომ არ მომანოდებდით? — სასაცილოდ არ ეყოფათ.

ისე კეთილი ადამიანების მეტი რა არის? მაგრამ, აბა, რა სინდისით სთხოვ დახმარებას, როცა საჩუქრების მოწოდებისას შეიძლება მზეზე ხელები დაინვას. ანოს და ჰორეს დედასაც შეიძლება დაენვას მზეზე ფეხები, მაგრამ არ იჯავრებს, იტყვის, მთავარია ანოს და ჰორეს საჩუქრები არ დამენვასო. იმიტომ იტყვის, რომ დედაა, ასე არ არის?

თუმცა ანოს და ჰორეს დედა მზეზე რომ ფეხს შედგამს, მზის მხურვალეება შეიძლება განელდეს. ასე, ერთმა წმიდა კაცმა დიდი ხნის წინათ მზე ხომ გააჩერა? ფეხს რომ შედგამს, უნდა განელდეს, აბა, რა, ბავშვებს საჩუქრები არ უნდათ? რომ გახსნიან, ჩვენც კი დავვიძახებენ.

როგორ მიზიდავს და მაინტერესებს ეს შეფუთული საჩუქრები! ერთი სული მაქვს, შიგ როდის ჩავიჭვრიტავ.

**ზოზო და კუსა...  
და საფლავეები**

ზოზო და კუსა მთაში ჩემი ქოხის ბინადრები გახლავთ. ეს სახელები შარშანწინ ზაფხულს შევარქვი. ბარში რომ დავბრუნდი, მამას ვუამბე ამ პატარა სულიერების შესახებ. მამა მაშინ გამხიარულდა, იცინა, გაეხარდა, რომ მის მამულში პატარა არსებები მაინც დამხვდნენ. მამა უკვე გარდაცვლილია და როცა მას ვიხსენებ, სამივე ერთად მახსენდება — მამა, კუსა და ზოზო.

ამას წინათ ზოზოს სახელი გადამავინყდა, ძალიან შევშოთი — კუსა და რა? კუსა და რა დავარქვი იმ მეორესმეთქი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი. ვერ მოვიგონე და ზოზოსთვის ის იყო სახელის გადარქმევა განვიზრახე, სწორედ ამ დროს გამახსენდა, რომ ზოზო დავარქვი. ეჰ, რამდენი სიფრთხილე მართებს ადამიანს, როცა სახელის დარ-



ქმევას გადაწყვეტს. ზოზო — განა ზოზინაა ან ზარმაცი. ნურას უკაცრავად! ისე დახტის, ფუმფულა კუდს დააფრიალებს და კუსკუსებს, კუსკუსა უნდა დამერქმია.

კუსა?

კუსა იქნება ახლა იქვე, მინის სიღრმეში თავნარგული. შარშანწინ ზაფხულს ქობის კარზე იყო აპორტყებული და თვალდაკუსული მიცქერდა. ხელი ავუქნიე, ფაცხაფუცხით ისე გავარდა, წვრილ კუდსა მოვკარი თვალი. მაგრამ წუთიც არ იყო გასული, ისევ დავინახე კარის ჩარჩოდან მისი დადარაჯებული, წვრილი თვალები.

ზოზო და კუსა, თუ კუსა და კუსკუსა?

როცა ჩემს ფიქრებთან განმარტოება მომინდება, ჩავჯდები მთაში მიმავალ ჯაყჯაყა ავტობუსში, ერთ გადასახვევთან ჩამოვალ, იმ გადასახვევიდან ერთ იმდენ გზას ფეხით გავივლი და ავალ მთაში. იქ ქობი გვაქვს პატარა. მამამ და ჩემმა ძმამ შეჭედეს. იქ მხედებიან მისი ბინადრები — ზოზო და კუსა.

ბოლო დროს მამა ვეღარ დადიოდა ძველებურად. მე კი მთაში წასვლა ისევ მინდოდა. მამისთვისაც ნუგეში იყო, მის მამულში ფეხს თუ დავადგამდი. წასვლის წინ დედამ მითხრა — დაფიქრდი, იქნებ არ ღირდეს მარტო წასვლა? ვინმემ არ შეგაშინოს.

— იქ ორი საფლავი გვაქვს, გადარუნებულ სიტყვასაც ვერავინ მკადრებს, — ვანუგეშე მე.

აი, მამის გავიცანი ქობის კარზე გატვრენილი ხელიკი და კუსა დავარქვი. ქობში მისულს თრითინა დამხვდა. უნდა გენახათ, ჩემს დანახვაზე რა უსიამო ჩყიპინი და აღიაქოთი ატეხა, თითქოს ქობის მეპატრონე თვითონ ყოფილიყო და მე წართმევას ვუპირებდი. გაბრაზებული ჩყიპინებდა, თავზე გულგამოლრუტნულ თხილებს და ხმელ ნემოს მაყრიდა.

იმ საღამოს საფლავებს მაღალი ბალახი გადავართვი, რეზინის ჩექმები ჩავიცვი, ხელზეც რეზინის სქელი ხელთათმანები გავიკეთე და გველებს აღარ შემშინებია. საღამოს ქობის კარიც საგულდაგულოდ ჩავკეტე. მე და ზოზო შვერიგდით, გულმოსული აღარ ჩყიპინებდა, თუმცა დროდადრო გულგამოლრუტნულ თხილებს მესროდა, ნემოსაც ფრიალით მაყრიდა გულზე, სანამ დავიძინებდი.

მეორე დღით, როცა მე და კუსა ქობის წინ მზეზე ვთბებოდით. უფრო სწორად კუსა ქობის კარზე იყო მიპარტყნილი და ისე თბებოდა, მე კი წიგნს ვკითხულობდი, ქვემოდან ოთხი ადამიანი გვესტუმრა, ორი ქალი და ორი კაცი. ეს მოულოდნელი სტუმრობა წიგნის კითხვის დროს ისე არ მესიამოვნა, რომ ზოზო აღარ გამიმტყუნებია. გუნება იმა-

ნაც დამიმძიმა, რომ კაცებს თვალდათვალ შეეტყოთ, ნანობდნენ ქალებთან ერთად ამოსვლას. — აქ მარტო ხარ? — მკითხა ერთმა კაცმა.

— სამნი ვართ, — ვუთხარი მე.

— განა მარტო არ მოდიოდი? — ისევ იმ კაცმა.

— სამნი ვართ. — ისევ, მე.

— რას აკეთებ? — ქალებიდან ერთმა.

— ვკითხულობ!

— მაჩვენე, — მან წიგნის ყდას დახედა, — მარტო ხარ?

ისხდნენ მზიან ფერდზე, მაკვირდებოდნენ, მწონდნენ, აკვირდებოდნენ ქობს, შიგ შეჭვრეტაც კი სურდათ, მაგრამ მე კარი მიხურული მქონდა.

მათ მზერაში დაღონდა ჩემი არსება. კუსასავით მეც უძრავად მივეხატე ჩემი ქობის კარს. ზოზომ იგრძო ჩემი გაჭირვება და ქობში ისე აჩყიპინდა, გარეთაც მშვენივრად გაისმა მისი ხმა: გამოვვარდე, ერთი გარეთ გამოვვარდე, სულ კოტრიალ-კოტრიალით ჩავრეკო ეგენი ქვემოთ!

ქალებმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს. კაცებს შეურაცხყოფა დაენერათ სახეებზე.

— მარტო არა ხარ? — მკითხა ისევ ერთმა.

— სამნი ვართ. ხუთნი ვართ სულ. — ბრაზიანად ვუთხარი. ორი საფლავიც ვიგულისხმე, მაინც რას გაიგებდნენ.

თვითონ ოთხნი იყვნენ. ადგნენ, წავიდნენ. დანალიკებულნი ვინრო ბილიკით ჩადიოდნენ, კისერმოლრეცილინი იხედებოდნენ უკან-უკან. არ მომეწონა ეს ადამიანები. ეტყობა, ცუდ მხარზე იყვნენ გაღვიძებულინი.

მამის დავაფასე ზოზო, ეს კუსკუსა არსება და მესამე დღეს, როცა ვემშვიდობებოდი, ქობი მას ჩავაბარე:

— ქობი შენია, ზოზო. ქობის მეპატრონე შენა ხარ. კუსას დარაჯად გიტოვებ, სანამ აცივდება, მაინც ქობის კარზე იქნება მიპარტყნილი.

დაბრუნებისას მამას უუამბე ეს ამბავი. მამამ ზოზოსა და კუსაზე ბევრი იცინა. მას იქ ჰქონდა ბავშვობა გატარებული და პანია არსებების ამბის გაგება ძალიან ესიამოვნა. ნეტა ზოზოსთვის კუსკუსა დამერქმია, უფრო მოეწონებოდა.

მამა მერე მალე გარდაიცვალა. მე კი, როცა მამას ვისხენებ, მასთან ერთად მახსენდება კუსაც და თავნება ზოზოც. თვალთ რომ მწონიან, ის მზერა არ მიყვარს, თორემ თრითინას თავნებობას კი ვიტან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალი ვარ, მერე მეორეც... როცა ეს გულგამოლრუტნული თხილები და ნემოები გულზე მაცვივა, არ მწყინს. ასე მგონია, ხის ფესვები ვარ და ჩემი ზემოთ ატყორცნილი ნაწილი ნელ-ნელა მიბრუნდება.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

პატივცემულო რედაქტორო, საყვარელო ძმაო როსტომ!

გთავაზობ რამდენიმე ლექსს, რომლებსაც ვუძღვნი ჭეშმარიტი მამულიშვილის, შესანიშნავი პოეტისა და რომანტიკის დიდი ქომაგის, უდროოდ წასული ჩვენი სულიერი ძმის – რატი (ტატო) ნინუას ხსოვნას.

მისი სიკვდილის შემდეგ შევიტყე, რომ რატის მეც რომანტიკოსად მივაჩნდი. იმედი მაქვს, რომ სულეთში მას გაახარებს ჩემი ლექსები და იტყვის, რომანტიკოსად დარჩენილაო.

**გურამ პეტრიაშვილი**

**ქოლგები და ქალები**

ქოლგებს უნდათ, ქალები  
აიტაცონ ზეცაში.

ქალებს უნდათ, ქოლგები  
ფრენას გადააჩვიონ,  
ჩაითრიონ მინიერ  
ფუსფუსსა და წენვაში,  
სული გამოაცალონ,  
ყრუ ნივთებად აქციონ.

გითხრა, ძმაო, შედეგი?  
შენც გამყოფო ძრწოლაში?  
არ გითხრა და... სიმართლეს  
საით დავემალები ?

ვაგლახ! ამ არსებათა  
შეჯიბრება-ბრძოლაში  
ჯერჯერობით ამკარად  
იმარჯვებენ ქალები

**ტროლეიბუსი თოვანში**

ღამის ტროლეიბუსი  
მიდიოდა თოვანში.  
ვუცქირე და... უეცრად  
სპილო წარმოვიდგინე.  
დიდი სპილო, პეპლების  
თეთრ-ფარფატა გროვანში...  
სევდა-ლხენამ ამავსო  
ვიტირე თუ ვიცინე... .


ვიცი, არ გაგვიკვირდათ  
ჩემი ქცევა ასეთი,  
თქვენც გინახავთ მრავალჯერ,  
არ მჭირდება ფიცილი,  
ერთმანეთში ჩანწული  
როა სილამაზეთი  
სიხარულის ცრემლი და  
სევდიანი სიცილი...

**ლომი და კაცი**

იტანჯებოდა ლომი.  
ძლიერ სტკიოდა კბილი.  
მაგრამ არ ჰქონდა სხვა გზა,  
უნდა გაეღო პირი,

რომ შიგ შეეყო თავი  
ამ კაცს შოლტიანს, ჩიას  
და მაყურებლებს ეთქვათ,  
რომ კაცი არის გმირი.

მართლაც ამბობდა ხალხი:  
„ეს ლომი ისე გრგვინავს,  
ისე ტორტმანებს ავად,  
ისე უელავს თვალი,  
რომ გადაყლაპავს წამში  
ამ პატარა კაცს, მამაცს,  
და გადაყლაპავს ისე,  
არც კი დარჩება კვალი...“



მერე კი უკვე გვიან,  
როცა წავიდა ხალხი,  
კაცმა წამალი მისცა  
და დაუამა კბილი.  
ლომის სადგომში ორნი  
ერთუროს პირისპირ ესხდნენ,  
როგორც ორი ძმა ტკბილი,  
ანდა მამა და შვილი.

მამას ლომი ჰგავს უფრო,  
როცა შეარხევს ფაფარს,  
ტორში უჭირავს ჭიქა,  
სავსე ანკარა ღვინით.  
ქართული სუფრის მადლში  
სიამტკბილობენ ისე,  
ყველა დაგატკბობთ,ნეტავ,  
ღმერთმა ამგვარი ღვინით...

**კლოუნები**

კლოუნმა დიდი ჩაქუჩი  
მეორე კლოუნს ჩასცხო,  
წაქცეულს თავზე დაადგა  
და კვლავ დასცხო და დასცხო.

იცინის ხალხი, ხარხარებს,  
კლოუნი გდია პირქვე...  
უცებ ჩამრტყმელი შეირხა  
და ჩაიკეცა იქვე.

ჩაყურდნენ მაყურებლები,  
იგრძნეს, მკვლელობა მოხდა...  
კულისებიდან გამორბის  
გიმნასტი ქალი კოხტა.

მივარდა მოკლულს, დასტირის  
და თავში იცემს ხელებს...

მერე მკვლელს რისხვით მიაპყრობს  
თვალებს, ცრემლებით სველებს.

ის ნამოდგება ნელ-ნელა  
და არენიდან გავა...  
და როცა ყველას ეგონა,  
რომ ცირკიდანაც წავა,

თოკის კიბეზე აირბენს,  
როგორც მოქნილი კატა.  
ტირის: „თუ მკვლელად მაქცევდი,  
ღმერთო, შემქმენი რადა...“

თაღქვეშ დადგება თავდახრით,  
ქალს ჩამოჰბღალავებს: „ია !“,  
გადმოუშვება... ჰა, წამიც...  
და უკვე მკვდარი გდია...  
.....

ვისაც ცრემლები მოგადგათ,  
თქვენ ხართ მართლები ცამდე.  
მე კი მოთხრობილ ამბავში  
ეს ძველი დარდი ჩავდე:

როცა გვაცინებს კლოუნის  
ქცევა თუ სიტყვა თქმული,  
ვაითუ, იმ დროს ცრემლებად  
იღვრება მისი გული...

**ფილოსოფოსი და ვარდი**

ფილოსოფოსს მელოტზე  
ვარდი ამოუვიდა.  
ჰოდა, ბრძენკაცს იმ ვარდმა  
აურია დავთრები...  
თქვა: „ეს სინამდვილეა?  
თუ მე წარმოვიდგინე?  
ალბათ მაშინ მივხვდები,  
თუკი მაგრად დავთვრები...“

დათვრა, გამოიძინა.  
ვარდი ჰყვავის მელოტზე.  
თანაც ვარდის საყნოსად  
რიგი დადგა ქალების...  
და თქვა ფილოსოფოსმა:  
„თუ ეს მართლა ვარდია,  
ალბათ იგი ჯილდოა  
ტვინის ტანჯვა-წვალების“.

და უეცრად მალლიდან  
ვარდმა ჩამოუმღერა:  
„მე ისა ვარ, სკოლაში  
შენ რომ გოგო გიყვარდა.  
ცდები, ფილოსოფოსო!  
განა შენმა აზრებმა,  
იმ ბავშვურად ალაღმა  
შენმა გრძნობამ ივარდა...“



ირმა შიოლაშვილი

**ექვსი გაუბზავნელი  
ბარათი ქმარს**

\* \* \*

შორიდან მიყურებ.  
იმდენად უცხო ვარ  
ჩემი წანერებით და ჩემი სიზმრებით  
რომ ვიცი, ყოველთვის გული გეკუმშება  
და დარდად ამოგდის  
თვალებთან წამწამი. თითებთან ფრჩხილები.  
შორიდან ვინყები. ვიხრები. ვსწორდები  
და შენსკენ მოვლალავ გრძელი ფარასავით  
ყველაფერს, რაც მიყვარს, რაც ჩემი სათუთი  
სულიდან სიტყვების ბალახად ამოდის,  
ყოველთვის მიყვარდი... ზეცაშიც, მიწაზეც  
და შენთან შეხვედრის მზეებით ვხარობდი.

\* \* \*

შენი სახლი ვარ -  
აგიშენე ყოველდღიური საცხოვრისი  
დაგიფინე: შესასვლელში მარილის ქვის ნამტვრევები,  
აივანთან ხორბლის სიყვითლე,  
შუა ოთახში ნატვრით სავსე ვარცლი დაგიდგი.  
ფანჯრები დამრჩა - აღარ ვიცი  
ფარდის ნაცვლად ლექსიანი ქალღმერთი აგიკრა თუ  
უბრალოდ სიტყვა მივანებო შიშველ მიწაზე...

.....  
თითქოს მოგწონდა დასაწყისში ჩემი სინაზე  
და ჩემი გრძელი, დარდიანი მოსახვევები,  
მანაც ამბობდი, რომ ქალები ერთმანეთს ვგავართ  
პრეტენზიებით, ნერვიული, მშრალი ხელებით,  
რომ ყველას სულზე დაგვიდის წვიმა  
რალაცნაირი - ლურჯი ან მწვანე,  
რომ, აბა, როგორ წაგვაქცევს ქარი  
ასე ძალიან ხეების მგვანებს,  
რომ ვლლით გარშემო კაცების მოდემას  
როდესაც ყელთან ეგოიზმი ცრემლად გვანვება...

.....  
მაგრამ რატომღაც მაინც სახლად ამომირჩიე  
და მოგნონს, როცა ფანჯარაზე სიტყვებს ვანებებ.

\* \* \*

დიდი ხანია, სამი რამე კარგად გამომდის:  
ნერა, ტკივილში შეყუჟვა და გრძელი დუმილით  
დამორჩილება შენი ღრმა და ლურჯი თვალებს;  
დიდი ხანია, რაც მიწოდებ პირველ ნახევარს  
და გებრალეები. და ხანდახან არც გებრალეები  
როცა ვცდილობ, რომ მზარეულის როლი მოვირგო  
და დაენვა ტაფა, ანდა კვერცხი, ანდა ნავიდე  
აღელვებული სასეირნოდ, რადგან გავნბილდი  
და შენი გრძელი მოლოდინის ცოდვა დავიდე.  
დიდი ხანია, აკვირდები, როგორ მეშლება  
ბაგიდან ლექსი და თავიდან თმების თავშალი  
და თვალებიდან გრძელი სევდა როგორ ეშვება  
მრგვალი მიწისკენ, რომ ბალახის სუნი ნაშალოს  
და გითხრას, როგორ ვარჯიშობდა მთელი ცხოვრება  
რომ ყოფილიყო თეთრი მიწა - შენი ნაწილი,  
როგორი თმენით მოელოდა გამეორებას  
ამ სამყაროში - ხანდახან რომ ასე ანბილებს.

\* \* \*

ძველებური ვარ  
და, შენც ასე,  
ძველებურად, გულუბრყვილოდ,  
ლამაზად გეტრფი,  
მამრი ხარ და ჩემს გრძნობებში  
რას გაერკვევი.  
თანაც უცხოდ წერ, უცხოდ გტკივა,  
უცხოდ საუბრობ  
და როცა სუნთქავ —  
მკერდზე უცხო ღრუბლები დაგდის.

მაინცდამაინც შენს სიტყვებში შემოვებეტე  
და თავბრუც უცხოდ,  
სიტყვასავით მართლად დამეხვა;

ვერ მოვიწიე, რა ვქნა, დღემდე, ის სიტყვისფერი  
და ზეცისფერი თავბრუსხვევა,  
ვერ დავინმინდე მდებრის ცრემლში ამოვლებული  
პოეტური და გულუბრყვილო გულის ღარები,  
ვერ შევეგუე ყოველდღიურ, მსუბუქ ცხოვრებას  
და სისხლშიც ეჭვის გრძელი ჭია დაიარება

და რამდენჯერაც არ უნდა მითხრა:  
ჩემი მეორე ნახევარი,  
ან უფრო სწორედ  
ჩემი პირველი ნახევარი ნამდვილად ხარო,  
ზუსტად იმდენჯერ საყვედურით მოგიბრუნდები  
და ვეფხვის მზერით გიპასუხებ  
რომ შენზე უფრო დიდი არის ეს სიყვარული,  
რომ ძველ ჩრდილებში ორივენი პატარად ვჩანვართ.

### ვისჯები

ჩემი ბრალია ყველაფერი —  
ოდნავ ნაკლებად რომ მყვარებული  
და ცოლობაზე უარი მეთქვა  
პოეტის თითებს ალტაცებით დაჰკოცნიდნენ  
მარტოსული სალამოები.  
ჩემი ბრალია ყველაფერი,  
ყოველ ბინდში  
წინსაფარს ვირგებ  
და გინვავ გრძელი მარტოობით შეზავებულ  
გულის ნაგლეჯებს —  
რომელიც, ვიცი, არც თუ ისე გემრიელია.  
აღარ მოგნონვარ.  
აღარ მოგნონს ჩემი ვახშამი,  
— მომწყინდაო — მამაკაცის სიხარბით ამბობ,  
გულიდან გინვეთს ეგოიზმის ცივი წვიმები.


მე კი მივათრევ წარსულისკენ საკუთარ ცოდვას —  
რომელიც, ალბათ, ათი წელია,  
ელოდებოდა ჩემს დაბრუნებას  
რომ ჩემი ასე ბედნიერი როლებისთვის  
ყველა თვალი ამოეთხარა  
და ეთქვა, რომ დავისაჯე, — რადგან შენს გამო  
და ზღაპრის გამო ვულალატე გრძელ მარტოობას.

\* \* \*

ხანდახან სხეულს თუ ასცდები -  
კედლიდან გადმოსული ჩრდილები დაგახრჩობენ,  
მე ამ ჩრდილებმა მასწავლეს, რომ მეტისმეტია  
ასე ძალიან მიყვარდე და მჯეროდეს შენი.  
ხანდახან სიცხე ამინვეს და ისე ვცახცახებ, -  
ვერაფერს მშველი —  
ვერ მაჩერებ —  
ლექსად მახველებს ათიათასი საყვედური  
და ყელზე გაბამ საკუთარ მკლავებს  
და გინასკვავ მკლავებს ბანტივით.

რომელი ქალი იქნებოდა ნეტა მარტივი,  
რომელი ქალი გასწავლიდა, რომ სათვალის მიღმა მიწაა  
და არა ციდან ჩამოშლილი ღრუბლის ნამტვრევი...

მივდივარ.  
შენ კი სხეულს ასცდი.  
და რომ ასცდები,  
სანერ მაგიდას გადახედე — ჩემით დამტკვერილს.



ნიკა სახანბერიძე სერიიდან: რბილი ფორმაციები

ჯორჯ სანტიანა

# ირონია ლიბერალიზმისა


ყველგან, სადაც ცხოვრობდა, სანტიანა მოკრძალებით ცხოვრობდა და მშვენიერი სტილით წერდა. „ირონია ლიბერალიზმისა“, ამოღებულია კრებულიდან „მონოლოგები ინგლისში და გვიანდელი მონოლოგები“ (ნიუ-იორკი, 1922). აქ ლიბერალიზმი მიჩნეულია გაქრობისათვის განწინაურულ ფაზად.

ძველების აზრით, ვისაც რაღაცა გაეგებოდათ ასეთ რამეებისა, თავისუფლება და კეთილდღეობა ძნელად თუ შეეთვისებოდა ერთიმეორეს; მიუხედავად ამისა, თანამედროვე ლიბერალიზმს მათი ერთად ხილვა სურს. ლიბერალებს სჯერათ, რომ თავისუფალი კვლევა-ძიება, თავისუფალი გამომგონებლობა, თავისუფალი ასოციაციები და თავისუფალი ვაჭრობა აუცილებლად მოიტანს კეთილდღეობას. ეჭვიც არ მეპარება, რომ მართლები არიან; ლიბერალიზმის ოქროს ხანამ, XIX საუკუნემ, მართლაც იხილა, თუ როგორ იმატა სიმდიდრემ, მეცნიერებამ და კომფორტმა. სულ სხვა საკითხავია, თუ რა ჰქონდათ მანამდე ძველებს; მათ არ გააჩნდათ გამოცდილება ლიბერალიზმში; ენდობოდნენ სახელმწიფოს წარმმართველ როლს რელიგიაში, ადათ-წესებსა და სამხედრო საქმეში; თვით პიროვნულ და საოჯახო ზნეობაშიც კი უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ უმკაცრესი დისციპლინის გამო; მათი სახელმწიფოები მტკიცედ უნდა ყოფილიყო შეკრული, რადგანაც პატარები იყო და მუდმივი საფრთხე არსებობდა სრული განადგურებისა. ამგვარ ვითარებაში მათთვის ნათელი გახლდათ, რომ კეთილდღეობა, როგორც უნდა ყოფილიყო, სახიფათო იყო თავისუფლებისათვის. კეთილდღეობას მოაქვს ძალა; და როცა ერთი ხალხი სხვა ხალხებს დაიმორჩილებს, მისი მთავრობა შინაც მძიმე ასატანი ხდება; მის მიერ შექმნილი მანქანა არ ჩერდება და ვერც გააუმჯობესებ; იმპერიული ხალხები თვითვე ხდებიან მონები თავიანთივე შექმნილ-მიღწეულისა. გარდა ამისა, კეთილდღეობა მოითხოვს უთანასწორობას საქმიანობაში და მოაქვს ქონებრივი უთანასწორობა; და ორივე — მეტისმეტად ბევრი შრომა და მეტისმეტად ბევრი სიმდიდრე — კლავს თავისუფლებას პიროვნებაში. ისინი წარმოშობენ საგნების წინაშე მორჩილებას; და ეს კი სანინალმდეგია იმისა, რასაც ძველები, ვინც ამაყნი იყვნენ ვით კეთილშობილი ცხოველები, თავისუფლებას ეძახდნენ. კეთილდღეობა პიროვნებისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც ნიშნავს მფლობელობას; და მფლობელობა ნიშნავს ტვირთს, ხუნდებს და მონობას; და, ამავე დროს, მონობას გონებისაც, რადგან არა მარტო გონება ვარდება ტყვეობაში მდიდარი კაცისა, არამედ მისი მიდრეკილებებიც, მისი განსჯაც და მისი ფიქრების მიმართულებაც.

ჩემი მდიდარი მეგობრების შემხედვარეს ხშირად მაინტერესებს, თუ რამდენადაა მათ მფლობელობაში არსებული საგნები საშუალება და რამდენად — დაბრკოლება. მაგალითად, ტელეფონი საშუალებაა, რაც შეგაძლებინებს ერთდროულად ბევრ ადგილზე იყო და დაესწრო ყველაფერს, რაც მოხდება; დაბრკოლებად გადაიქცევა მაშინ, თუ ბედნიერი ხარ იქ, სადაც იმყოფები და იმით, რასაც აკეთებ. საჯარო ავტომანქანები, სა-

ჯარო ბიბლიოთეკები, საჯარო მსახურები (მიმტანები სასტუმროში) მოსახერხებელია და ყველაზე ახირებული კაციც კი ვერ უკუაგდებს მათ; მაგრამ კერძო ავტომობილები, წიგნების ან ნახატთა კერძო კოლექცია, პირადი მსახურები, ჩემი აზრით, ტვირთია; მაგრამ მე ხომ ჩამორჩენილი ბებერი ვარ, თითქმის გარდასული ფილოსოფოსი და ანგარიშიც არ ჩავითვლები. ვაფასებ ცივილიზაციას, რადგან ქალაქებში აღვიზარდე; მომწონს, როცა მესმის და ვხედავ, თუ რა სიახლეები შემოდის ხალხის საკეთილდღეოდ. მიყვარს სეირნობა მშვენიერ საგნებს შორის, ქვეყნიერებას რომ ალამაზებენ; მაგრამ კერძო სიმდიდრეს ან რაიმეგვარ პირად მფლობელობას მოვიმორებდი, რადგან თავისუფლებას მართმევენ.

ლიბერალიზმი, ალბათ, იმას უფრო ესწრაფის, რომ თავისუფლება პროგრესთან მეტად დააქორწინოს, ვიდრე კეთილდღეობასთან. პროგრესი ნიშნავს გამუდმებულ ცვლილებას უკეთესობისათვის; ცხადია, თავისუფლება შეენევა პროგრესს ყველა ისეთ საქმეში, როგორცაა ლექსების წერა, რასაც კაცი სხვათა დაუხმარებლად თუ ჩაურევლად შეძლებს; ხოლო იქ, სადაც დახმარება აუცილებელია და ჩარევა — შესაძლებელი, ვთქვათ, პოლიტიკაში, თავისუფლება პროგრესს მხოლოდ იმდენად შეენევა, რამდენადაც ხალხი იქნება ერთსულოვანი და სპონტანურად მოისურვებენ ერთი მიმართულებით წინსვლას. რა მიმართულების ცვლილებანი მიაჩნიათ პროგრესად ლიბერალებს? წმინდა წყლის ლიბერალი გიპასუხებდათ, თავისუფალი მიმართულებით; იდეალია, თვითეული ადამიანი იმ მიმართულებით წავიდეს, საითაც სურს, მათი შემწეობით, ვინც ეთანხმება, და იმათ ჩაურევლად, ვინც არ ეთანხმება. ამგვარად, წარმოდგენილი თავისუფლება იგივე ბედნიერებაა, უნაკლოდ და უსაფრთხოდ გატარებული უზრუნველი ცხოვრება; და რადგან ლიბერალიზმი ცდილობს ყველას მისცეს ის, რაც თვითეულს სურს რამდენიც კი შესაძლებელია, იგივე გამოდის, რაც მარტივი სიკეთეა. თავიდან გულმონყალება იყო ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი ლიბერალიზმში და მრავალი ლიბერალი დღესაც სავსეა სიკეთით პირად შესაძლებლობათა კვალობაზე. მაგრამ პოლიტიკურად ლიბერალი უფრო მეტია, ვიდრე კეთილი. მიმართულება, საითაც მრავალთ ანუ ხალხის უმრავლესობას სურს წასვლა, აკვირვებს და აბრაზებს ლიბერალს; სრულებითაც არ უნდა მათი ბედნიერება, თუ ისე არ მოიქცევიან, როგორც მან გამოუწერა; და რადგანაც რეფორმატორი და ფილანტროპია, ცდილობს ისეთნაირად გარდაქმნას, რომ მათი მონონება შეძლოს. ფიქრობს, თავკერძობა იქნება ადამიანები, რომ მივატოვოთ. უნდა დავეხმარო და დავეხმარო არა იმაში რაც სურთ — ამით ხომ შეიძლება თავს რამე დაუშავონ — არამედ სწორი გზით წინსვლაში. პროგრესი ვერ მოხდება მცირეოდენ მოსახლეობაში, მარტივ ეკონომიკაში, ზნეობრივ მრავალფეროვნებაში ერებს შორის და თვითეულ მათგანში მკაცრი ზნეობრივი დისციპლინის პირობებში. ეს იქნებოდა უკუპროგრესი, და



თუკი ხალხი ბედნიერი იქნებოდა ამ პირობებში, ლიბერალი დამწუხრდებოდა. იგი კმაყოფილი იქნებოდა თუ პროგრესი დაადგებოდა XIX საუკუნის გზას — გამრავლების მატერიალური სირთულის, ზნეობრივი ერთფეროვნებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების. ლიბერალური იდეალის მიხედვით, მაგალითისათვის, საუკეთესო ყმანვილი უნდა იბანდეს, მიდიოდეს სკოლაში, ასრულებდეს შევედურ ვარჯიშებს და ყველაფერს წიგნიდან სწავლობდეს. მაგრამ თუკი ერთი პატარა ბიჭი, პიროვნულად (ლიბერალური ფილოსოფიის მიხედვით კი პიროვნება ხელშეუხებელია და ერთადერთი მსაჯული მისი სიკეთისა და სიმართლისა მისივე სინდისია) მოინდომებს იაროს ჭუჭყიანმა, დააბინძუროს ქუჩა და ყველაფერი გამოცდილებითა და უფროსი ბიჭებისაგან ისწავლოს, როცა ფილანტროპი გადასარჩენად მიაშურებს, ეს პატარა უმადური მიახლის უმთავრეს პრინციპს ლიბერალური თავისუფლებისა — „თავი დამანებე“. ასეთი ლანირაკისათვის იმის ჩაგონება, რომ მან არ იცის თუ რა არის მისთვის უკეთესი, რომ იგი მავნე ჩვევებისა და სატანურ ინსტინქტთა მონაა, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება მისთვის მხოლოდ საკუთარი თავის გამოსწორებითაა შესაძლებელი, როცა რელიგურ ბედნიერებას სიქველის შემწობით შეიცნობს, ნამდვილად აღარ იქნება ლიბერალიზმის სფერო და კლასიკურ დოქტრინას ვუბრუნდებით, რომ სიკეთეა არა თავისუფლება, არამედ სიბრძნე. ლიბერალიზმი იყო პროტესტი ავტორიტეტის ამგვარი გააზრების წინააღმდეგ. ის მკვეთრად უარყოფდა გაპყობვას, როგორც აბსურდულად უწოდებენ, საბოლოო სტიოკური თავისუფლების გზას, რასაც მივალწვედით, როცა ყველაფერს გაცემდით, რაც ნამდვილად გვსურდა, ანუ — მსახურების თავისუფლების პაროლია. ლიბერალიზმი, პატარა ბიჭისათვის, შუა გზას ირჩევს. იგი დარწმუნებულია — თუმცა ამას გამოუდგებით არ გაუმეორებს ბიჭს — რომ ნება უნდა დაერთოს ჭუჭყიანმა იაროს, ვიდრე საკმარისი გამოცდილება არ ასწავლის თუ რაოდენ უფრო სასიამოვნოა სისუფთავე; ლიბერალიზმს ისიც სჯერა, რომ ბიჭი თვითონ წავა სკოლაში, თუ წიგნებში მეტი სურათები იქნება და მასწავლებელი აჩვენებს, თუ როგორ მზადდება ქვიშის საუკეთესო ღვეზელი. რაც შეეხება ზნეობასა და რელიგიას, ბიჭი და მისი მეგობრები თვითონვე ამოირჩევენ ყველაზე ჭეშმარიტსა და შესაფერის თავის დროზე, საკუთარი გამოცდილებით.

აქ უკვე ლიბერალური ფილოსოფია აღარ არის ემპირიული და ბრიტანული, რათა გადაიქცეს გერმანულად და ტრანსცენდენტურად. ახლა უკვე სწამს, რომ ზნეობრივი ცხოვრება ყველანაირი თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ ლტოლვა კი არ არის ყველანაირ ქმნილებათა მიერ, არამედ — ერთეული სულის განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვადასხვა ფაზების გავლით, რომელთაგან თვითეული წინაზე მაღალია. ამრიგად, არავის შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, რელიგურად ისურვოს რამე იმის გარდა, რაც საუკეთესო ადამიანებს შეუძლიათ ისურვონ. ეს არის უმაღლესი სნობიზმის პრინციპი; და არსებითად ყველა პატიოსანი ლიბერალი სნობია. თუ უარს იტყვი ნახვიდე მითითებული მიმართულებით, არამართო განსხვავებული იქნები, არამედ — ახირებული და შეპყრობილი. ველური არ უნდა დარჩეს ველურად, მონაზონი — მონაზვნად და ჩინეთმა უნდა დაშალოს კედელი. თუ ცხოველები ცხოველებად დარჩებიან, ესე იგი საკმარისი ნება ვერ გამოამყლავნეს, რაც

სამწუხაროა. კლასიკური თავისუფლება თუმცა მხოლოდ ჯიუტ დამოკიდებულებასა და საკუთარი ბუნებისადმი მორჩილებას ერქვა, კაცი გაცილებით თავისუფალი გახლდათ, ვიდრე თანამედროვე ლიბერალი. კლასიკური თავისუფლებისათვის მისაღები იყო ყველანაირი სრულყოფა, ცხოველური, ადამიანური და ღვთაებრივი, როგორც საბოლოო სამყოფელი მათნაირთათვის — საკმარისი ღირსებისა და ბედნიერებისათვის. კლასიკური პოლითესტური გახლდათ. ის ნებას არ დართავდა ზნეობრივ წინსვლასა და განვითარებას ბატონსა და მსახურს, ქალსა და კაცს შორის; ისინი თანასწორად სრულყოფილი იყვნენ ან უნდა ყოფილიყვნენ. უთანასწორობა დიდად იყო დაფასებული; ყველაზე მდაბალიც კი შეიძლება ყოფილიყვნენ ღირსეულნი და კეთილნი; სნობობა უფრო მაღლის მიმართ აბსურდული გახლდათ, რადგან თუ იმით არ კმაყოფილდებოდით, რაც იყავი, როგორ დაკმაყოფილდებოდი სხვა რაიმეთი? ხოლო პროგრესის ტრანსცენდენტური პრინციპი პანთესტური. ის მოითხოვს ყველას შინ ყოფნას სწეულებისა და გაჯანსაღებისას; არავინ არ შეიძლება იყოს ნამდვილად თავისუფალი ან ბედნიერი, არამედ ერთად უნდა შეგროვდნენ ჯგუფური ემიგრანტებით — ერთსა და იმავე უბინაო მიმართულებით გასამგზავრებლად. სამყარო ნისლეულისაგან წარმოიშვა და იქვე ბრუნდება. ბედნიერება კი ინტერვალებში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორც გამორჩეული ვარსკვლავი, შეძლებისდაგვარად კამკაშა და, თუნდაც დროებით, წმინდა; ბედნიერება უნდა წარედგინოს და თანაგრძნობით შეერწყას მავანის მაღალ დანიშნულებას.

პროგრესის გაგება ამგვარად უერთდება უნივერსალურ ევოლუციას და კარგავს თავისუფლებისა და თვითგაუმჯობესების ელემენტსაც კი. მიუხედავად ამისა, ლიბერალიზმის პოლიტიკურ გამოხატულებაში თავისუფლება წინა პლანზე გამოდის. პროტესტანტებმა იმით დაიწყეს, რომ წმინდა წერილის პიროვნული განსჯა დაიჩემეს; ტრანსცენდენტალისტებმა იმით დაასრულეს, რომ თქვეს, ინდივიდის ღვთაებრივი უფლებაა თავის სულში მოაქციოს ყველაფერი, რასაც შეეხებაო. ინდივიდის მოვალეობა და, ამასთან, უღრმესი ინსტინქტიც უნდა ყოფილიყო ყველაფრის შეთვინება, რაც გარშემო გვახვევია, და უკუგდება ყველაფრისა, რაც ხელს გვიშლის და გვანუხებს. ხანდახან ინდივიდის თანამიმდევრული ეგოიზმი იქამდეც კი მიდის, რომ უარყოფს ყოველივეს მხოლოდ არსებობასაც კი, რასაც ვერ შეითვისებდა ან მიიჩნევდა, რომ მატერიალური სამყარო და უცხო ერები მხოლოდ იდეალური პაიკები იყვნენ იმ თამაშში თვითონ რომ თამაშობს საკუთარი განვითარებისათვის. მაშინაც კი, როცა არ ზიარებოდა ტრანსცენდენტურ მისტერიებს, ალვსილი იყო პრაქტიკული თავდაჯერებით, სურვილით — თავისუფლება მიენიჭებინა საკუთარი თავისათვის, და რწმენით, ამას ვიმსახურებო. საჭირო არ იყო არაფრის შესწავლა, რასაც შესწავლის ღირსად არ აგებდა; თანასწორი უფლება ჰქონდა საკუთარი აზრის გამოთქმისა, რაც არ უნდა შეზღუდული ყოფილიყო მისი ცოდნა; არაფრით არ შეიძლება გეიძულებინა რაიმეს გაკეთება. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიზანშეწონილობის გამო, ინდივიდმა შეიძლება უმრავლესობასთან შეერთება მოინდომოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მისი ხმა გათვალისწინებული იქნება, როგორც ერთგვარი დაზღვევა, რომ მის ყოფით თავისუფლებას არავინ შეეხება.

არსებობდა საერთო რწმენა ყველა ამ გამონათქვამის მიღმა, რომ ტრადიცია რყვნის გამოცდილებას. ყოველი შეგრძნება — რაც ფაქტის შემომწმებაა — ვილაციის შეგრძნებაა; ყოველი გააზრება ვილაციის გააზრებაა და ცხოვლად დამარწმუნებელი, როცა პირველია; მაგრამ გადაცემისას სიცხადე იკარგება, სიტყვებს აკლდებათ სრული მნიშვნელობა და ინერტული პირობითობა აყალიბებს ვილაციის მიერ მიღწეულ წვდომას. ამიტომ რეფორმა, რევიზია, გარდაქმნა მუდამ საჭიროა: ამ თვალსაზრისით ინდივიდი, ვინც პატიოსნად ასწავლებს ტრადიციას, დარწმუნებულია, რომ აუმჯობესებს მას. ის, რაც არ არის ცინცხალი ქმნილება სულისა და არ შესესაბამება იმდროინდელ მოთხოვნას, ცუდის მომტანია ამ სულისათვის. უტრადიციო ადამიანი, მატერიალურად კარგად უზრუნველყოფილი, უფრო სუფთა იქნება, უფრო რაციონალური, უფრო კეთილმოქმედი, ვიდრე მამინ, მემკვიდრეობა რომ აწვეს ტვირთად. *Weh dir, dass due in Enkel bist!*\* ნეტარ არიან ობოლნი, რადგან მათ მიეცემათ შვილები; ნეტარ არს ამერიკელი! ფილოსოფია ტრანსცენდენტური უნდა იყოს, ისტორია — რომანტიკული და მიმართული საკუთარი ქვეყნისაკენ, პოლიტიკა დემოკრატიული, ხელოვნება ინდივიდუალური და პირობითობაზე მაღლა მდგომი. რელიგიური დოგმების მრავალფეროვნება მხოლოდ განამტკიცებს და შინაგანად შთააგონებს ჭეშმარიტებას.

და მაინც, თუ ეს ტრანსცენდენტური თავისუფლება ყოფილა ლიბერალიზმის თავი და ბოლო, განა, ბოლოს და ბოლოს, ცხოველები მათგან ყველაზე მფრთხალნი და უკარებანი, არ იქნებოდნენ ჭეშმარიტი ლიბერალები? განა ისინი მთლიანად შიგნიდან არ იმართებიან? განა არ ტკბებიან სრული თავისუფლებით სინდისისა და გამოხატვისა? განა მისის გრანდი\*\* ერევა მათ სპონტანურ საქციელში? განა ოდესმე და რაიმეთი მოწოდებულნი არიან ბრძოლისათვის, გარდა თავისივე იმპულსისა და კერძო ინტერესისა? და არც ბუნებასთან დაბრუნება ყოფილა ლიბერალიზმის იდეალი; — შორს მისგან. ლიბერალიზმი მოუწოდებს ძალღებს, არ იყეფონ და არ იკბინებოდნენ, თუნდაც, პოეტის თქმისა არ იყოს, „ეს იყოს მათი ბუნება“. ტრანსცენდენტური ფილოსოფიის მიხედვით, ძალღები უნდა გამოსწორდნენ და უკეთ მოიქცნენ. ლიბერალური შთაგონების მთავარი ნაწილი იყო სიყვარული მშვიდობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და ზოგადი ინფორმაციისა; მიზნად ისახავდა მყარ სიმდიდრეს, დაიყინებდა განათლებას და ეთავიანებოდა კულტურას. სრულებით არ მოსწონდა ადამიანის ველური ინსტინქტები, არ მოსწონდა ფურაჟის დამზადება, ნადირობა, ბრძოლა, შეთქმულება, ქეიფი ან თუნდ ეპიტემის შესრულება. მძაფრად და ავადმყოფურად ემინოდა ტანჯვისა; სისასტიკე სატანური იყო მისთვის, ხოლო სიძნელე და ტკივილი — მხეცობა. ვშიშობ, ლიბერალიზმი უიმედოდ წინარე-ნიცშეანური გახლდათ, ვიქტორიანული, მოთვინიერებული. რაკი ყველას თავისუფლებასა და ავტონომიურობას სთავაზობს, ლიბერალიზმი იცის, რომ თუ თავისუფალი იქნება, კაცი გამდიდრებას, და განათლებას მონდომებს და მორიდებული გახდება. მამ რატომ არ

უნდა ესურვა კაცს ცხოვრების წესი, რაც ლიბერალთა თვალში, ცხადზე უცხადესია, საუკეთესო იყო? და მეტისმეტად მტკივნეული სიურპრიზი და აუხსნელი უნდა ყოფილიყო მათთვის, რომ ვისაც ლიბერალური სისტემისათვის გემო გაუხსნჯავს, არავის მოსწონებია.

სიყვარულის თავისუფლებაზე რაღას ვიტყვით? უკვდავთა შორის თუ ვინმეა გულწრფელი, ეს ფრთიანი ქმნილება ეროსი გახლავთ; რაც უფრო წმინდაა და უმანკო სიყვარული, მით ძლიერ იფარფავთებს, უფრო შორსაც გაიჭრება და უფრო მაღლაც აიჭრება, მაგრამ როგორც კი შეეხება მატერიას, გარემოებას, პირობებს და იგრობობს, თუ როგორ იზღუდება, თავისუფლება ტრაგედიად გადაექცევა! მოაქვს აკრძალვები, ფარისევლობა, პასუხისმგებლობა, სევდა! ცივილიზაციის პროგრესი აიძულებს სიყვარულს პატივი სცეს შეზღუდვებს, რაც მანამდელ პირობითობას დაუდგენია, ასაკს, სქესს, კლასს, რასას, რელიგიას, სისხლით ნათესაობას, თუნდაც მოჩვენებით ურთიერთობას; პატივი სცეს საზღვრებს, რომელსაც თავანწყვეტილი ეროსი არ იცნობდა. საზოგადოება მოგუდავს ამ ეშმაკუნას გრძელ ქრისტიანულ ტანსაცმელში და რელიგიური მოვალეობის პირუთენელი მორჩილებით. რაც ერთდროს იყო გრძნობათა მონამვლა, მისტიკური აღფრთოვანება, მოვადოებული მეგობრობა, გადაიქცევა საკითხად ფულისა, ჩვეულებათა და შვილებისა. ბრიტანული ლიბერალიზმი განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა სიყვარულისადმი; ვიქტორიანულ ეპოქაში მისი ყოველი საამო იმპულსი მიჩნეული იყო უნესობად, მანამდემ, სანამ საქორწინო მოწმობა არ გადააქცევდა მას ღვთაებრივად, თუმცა ხსენება მაინც არ ეგებოდა. და თუნდაც ბოლოდროინდელი რადიკალური თავისუფლება რას აძლევს გულს? თავისუფლება გაყრას; გაყრა დიადი საფასურის ფასად; გაცვეთილი ცრუმორწმუნეობითა და საჯარო სკანდალებით, მხოლოდ იმისათვის, რომ ხელახლა დაქორწინდნენ, ვიდრე ხელახლა გაიყრებოდნენ. განა მეტი სინრფელე და პატიოსნება არ იქნებოდა, რომ სიყვარული პოეტებისათვის დაეტოვებინათ, ისე როგორც ესპანეთშია; რათა რამდენიც ენებათ ეუღლეობით გიტარა მთვარის შუქზე, მგზნებარედ შეეხვდათ ერთმანეთისათვის, დარაბებთან ეჩურჩულათ დღის სინათლეზე, ხოლო შემდეგ, როცა პატარძალი შავში გამოეწყობა, ეკლესიის კართან დატოვებს თავისუფალ ფანტაზიებს და იტყვის: ამის შემდეგ დაე შენი სახელი იყოს კეთილგონიერება, ერთგულება და მორჩილება?

პოლიტიკას არ შეუძლია ჭეშმარიტ თავისუფლებას აზიაროს სული; ამის მიღწევა, თუკი საერთოდ შესაძლებელია, შეიძლება ფილოსოფიით; ხოლო ლიბერალიზმს შეუძლია მრავალი საშუალება გაუჩინოს კაცს ცხოვრებაში მისალწევად. ის აძლიერებს — რაკილა მისალწევად სახავს — საზოგადოებრივი გამორჩევის, ფუფუნების, ზიზილ-პიპილურით შემორტყმული სიყვარულის სატყუარას. ლიბერალური სახელმწიფო უმაღლეს დონეზე აქეზებს პატივმოყვარე ადამიანის წარმოსახვას. მათ, ვისაც კარგი წინაპირობა აქვთ საყოველთაო შეჯიბრში, მოეპოვებათ ბასრი ჭკუა და გაბედულება, მრავალი საჩუქარი ელოდებათ. სიმდიდრით მოსულ პიროვნებას, როცა დიდსულოვანია, მოსდევს ამპარტავნება უსაზღვრო გულუხვობისა; სიმდიდრის სამსახურშია კულტურა და კულტურის სამსახურში კი — მეცნიერება. როცა მეცნიერებას შეუძლია უზრუნველყო

\* ვაი შენ, რამეთუ შვილიშვილი ხარ.

\*\* თომას მორტონის პიესაში „აჩქარე გუთან“ (1798) ყველა კითხვობს: რას იტყვის ამაზე მისის გრანდი? — ანუ დახატულია ჩაკეტილი კონვენციური საზოგადოება.

სიმდიდრე და ცოდნას კი — მბრძანებლობა; ორივე გადაივლის პლუტოკრატიის მხრებზე, რაც მართავს ლიბერალურ სახელმწიფოს; და მეცნიერება და კულტურა აღავსებენ სახელმწიფოს უსაზღვრო კომფორტითა და განსაცვიფრებელი გამოგონებებით. ამავე დროს ხელს არაფერი უშლის მდიდარ ოჯახთა უმცროს წევრებს, გახდნენ სასულიერო პირები, მეცნიერები ან ხელოვანნი; და მოედნონ ხუთსავე კონტინენტს, ინადირონ ჯუნგლებში გადარჩენილ ცხოველებზე და დანერონ წიგნები ველურებზე.

ღირს თუ არა ლიბერალური საზოგადოების ამ ჯილდოთა მოპოვება, გამოცდილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან არასოდეს მსურვებია არცერთი; მაგრამ თანამედროვე ცხოვრების ასპექტები, რაც ყველას შეუძლია იხილოს, და ანალიტიკური სურათი ჩვენი ცხოვრებისა, რასაც რომანისტები გვანვდიან, მიმზიდველი არ არის. სიმდიდრე ყოველთვის, თუნდაც ძალზე დაცული იყოს, აღსავსეა შიშითა და უხერხულობით; უნდა იზრუნო ჯანმრთელობაზე, ბავშვებზე, რელიგიაზე, ქორწინებაზე, მსახურებზე და უმძიმეს კითხვაზე — თუ სად იცხოვრო, როცა ყველგან შეგიძლია იცხოვრო, და მაინც, ყველაფერი თითქოსდა არჩევანზე უკიდია. პოლიტიკოსისათვის პოლიტიკა ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი საქმეები და ნაკლებსაინტერესოა, ვიდრე ბრიჯი; ამას გარდა, არსებობს მისივე პარტია, ან ჯიუტი ოპოზიცია, რასაც იოლად გადააბრალებს, როცა დაუდევრობით საქმეს წაახდენს. კაბინეტებში არ სხედან ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწენი, რადგან ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე თანამიმდევრულია, ხოლო საზოგადოებრივი აზრი ვერასოდეს მოითმენს ხანგრძლივად თანამიმდევრულ კურსს. წარმატებულ ადამიანს თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე მეტად სიყვარული ალღევებს; სიყვარული მისთვის მგრძობელობის, ამაოებისა და მეგობრობის უცნაური ნაზავია; სიყვარული მის ფიქრებში აანთებს და აამოძრავებს მთელ მსოფლიოს იდუმალი და მერყევი ცეცხლის ალებით. მაშინაც კი, როცა ორმხრივია და კანონიერი, სიყვარულის სამი მეოთხედი მაინც თითქოს დარდი და წუხილია; რადგან თუნდაც ცუდი არაფერი შეემთხვეთ შეყვარებულებს, ხომ დაბერდებიან მაინც. მდიდრებს შორის სიცილს ვერ გაიგონებ თუ არა ნაძალადევსა და ნერვიულს. ვერც ზნეობრივი უსაფრთხოების განცდას შეხვდები მათ შორის, ვერ ბედნიერ თავისუფლებას, ვერც ხელმარჯვებობას. და მაინც, სწორედ ეს არის ლიბერალური ცხოვრების ნალები — სწრაფვა ბრწყინვალე წარმატებისაკენ, რამაც ქრისტიანობა ამოატრიალა და ზანტი გლეხები ფაბრიკის მუშებად, მედუქნეებად და მძღოლებად აქცია.

როდესაც სიები ყველასათვის გახსნილია და ცხოვრების ერთადერთი მიზანია — რაც შეიძლება მეტად დაემგვანო მდიდარს, უმრავლესობამ საკუთარ სურვილებზე ხელი უნდა აიღოს. იგივე ამოცანაა წამოჭრილი უთანაბრო ძალების წინაშე და შეჯიბრება აძლიერებს უთანასწორობას. ასე წააქეზეს საშუალო ადამიანები, როცა უთხრეს: ბედნიერება სწორედ საშუალოობასა და რომელიმე სპეციალური ბრჭყვილა ხელობის შექენაშიაო. და მასები, შორიდან უიმედოდ რომ შესცქეროდნენ რბოლას სიმდიდრისათვის, წამოიძალნენ და ყიჟინით გაეშურნენ. თავისუფალი, სიის გარეთ დარჩენილი კაცი ისე ცოტას იმუშავებს და იმდენს დალევს, რამდენიც შეუძლია, ყველაზე იაფ საცხოვრებელს მოძებნის დასაბინავებლად, ისეთ საზოგადოებას მოძებნის, დიდი მოთხოვნები

რომ არ გააჩნიათ და სირცხვილიც ნაკლებად იცინან, იმდენ შვილს იყოლიებს, რამდენსაც შორსმჭვრეტელობის უუნარობა გამოუგზავნის; უკიდურეს შემთხვევაში ხელს ჰკიდებს ყველანაირ სამსახურს ყოველნაირ ფასად; შეუერთდება რომელიმე გაერთიანებულ მონობას ან რომელიმე დიდ მიგრაციას, ან უკიდურესი გაჭირვების მარტოსულობაში ჩაიძირება. მერე დაბინავდება რომელიმე იმ ნესტიან კვარტალში, რკინიგზის ხიდის ქვეშ, ლუდის სახდელებსა ან გაზის სადგურებთან, სადაც საროსკიპოებიდან გამოჭიატებული მჭუტავი სინათლე გამოანათებს ყოველ წვიმიან კუთხეში და ერთადერთ თავშესაქცევს სთავაზობს ცხოვრებაში; და დიდად სასიამოვნოც არაფერია, როცა კართან ისეთივე გამობრუებული მდებრები უდარაჯებენ, როგორც ის მობარბაცე უსაქმურები არიან, ვის შეტყუებასაც ცდილობენ; მაგრამ ალბათ ღმერთი ვერ ხედავს ყველაფერ ამას, რადგან შავნული კვამლი ფარავს ყველაფერს — გამუდმებით. ლიბერალურმა სისტემამ, რომელსაც უნდა აღეზარდა პიროვნება, გადაავგარა მასები; და ისე ფართოდ გავრცელდა და ისე დაბლა დაეშვა, რომ კვლავ წინა პლანზე იწევს სხვა ელემენტი ლიბერალიზმისა — ფილანტროპული მგზნებარება. თავისუფლებამ თავი ჩამოიხრჩო, ამბობენ ახალი რადიკალები, მოდით ხალხი გადავარჩინოთო. ლიბერალურმა კანონმდებლობამ, რომელსაც მმართველობა უკიდურესად უნდა შეეზღუდა და პოლიციის საქმიანობა შეემცირებინა, ახლა უკვე სახალხო განათლებას, სოციალურ რეფორმასა და ინდუსტრიის მენეჯმენტსაც კი მოჰკიდა ხელი.

ამ ბედნიერმა ხალხმა წერა-კითხვა იცის. ეს კი პრესას განაზრახვინებს მოერგოს უბრალო ადამიანის გემოვნებას, ანუ საერთო გემოვნებას; რადგან ის, რაც საუკეთესოა თვითუღმში, ისეთი მოლიაგებული არ არის, რომ საჯაროდ გაანანილო. გარდა ამისა, პრესა თავხედურად იმართება რომელიმე მაძიებელი ძალის მიერ, ვინც მას თავისი კომერციული თუ სექტუარი მიზნებისათვის იყენებს. ამგვარ გარემოში ჰყვავის ძველი თუ ახალი ცრურწმენები; მას ახლა უკვე ახირებული პატივისცემით ექცევიან, თითქოს ცრურწმენის საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონდეს. ერთმანეთში ითქვიფება წინასწარწმენები და ჭორები; რომელიც პირველი შეძერება ყურში, ბირთვად გადაიქცევა შემდგომი ვარაუდებისა და მიდრეკილებათათვის. დღესდღეობით რეკლამა ჩაენაცვლა არგუმენტს და ისე მოქმედებს, რომ ყველაზე უარესი სტატია ყველაზე უკეთესად წარმოიჩნდეს. პროპაგანდა და დაბნეული შეჯიბრი — ადამიანის ბუნების გამრყენელი — რეკლამის ხელოვნების მიერ მიგნებული, უაღრესად დახელოვნებული ფსიქოლოგიური მეთოდებით მიმდინარეობს; მაგალითად, ტყუილს წინ წამოწევენ და იმეორებენ, იმის ნაცვლად, რომ უკან მიაგდონ და დამალონ. მსოფლიო თითქმის სულ დაყრუვდა, მაგრამ ცალკეული პროპაგანდის მეშვეობით მაინც აგროვებენ გადაბირებულითა მცირე ჯგუფებს და შთაავგონებენ მათ მზადყოფნას დევნისა და ტანჯვისათვის დიდი მიზნის მისაღწევად. საქმე მხოლოდ ისაა, რომ რომელიმე ცალკეულმა პროპაგანდამ სხვებს დაასწროს ხალხის რიცხოზობრივ უმრავლესობის დაპყრობა და შეძლოს საკუთარი სურვილისამებრ ჩაახშოს ყველა დანარჩენი. დღესდღეობით ისე ჩანს, რომ გერმანულს, კათოლიკურსა და კომუნისტურ პროპაგანდას აქვთ საუკეთესო მანსები; მაგრამ სამივე ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავდება (თუმცა საერთო მტრის წინააღმდეგ დროებით ერთად საქმიანობა შეუძლიათ, როგორც ბოლო ომის დროს მოხ-

და) და ადამიანური ბუნების სხვადასხვა სისუსტეებს იყენებენ; რაც უნდა იყოს, ერთნაირად ლიბერალური არიან, ერთნაირად rucksichtos\* და bose\*\*, ერთნაირად არ ადარდებთ, თუ რა ზიანს მოიტანენ, და ყოველივეს ერთ დიდებაში მოაქცევენ, აქაოდა სატანას ვეძენითო. ამგვარი პროპაგანდისათვის აღვირის მიშვებამ, ხალხის გარყვანამ მეტისმეტი ოპტიმიზმით, მოთმინებითა და ნეიტრალიტეტით, ლიბერალიზმი დაამკვიდრა ახალ მბრძანებლად უვიცი ბოროტგანზრახულობისა. სიჯიუტე და მტრობა ყველგანაა; ერები და კლასები მხოლოდ იმისთვის არიან მონოდებულინი, რომ მათ განსახორციელებლად იცხოვრონ; ლიდერები მოუწოდებენ გამოფხიზლდნენ კმაყოფილების ლეთარგიული ძილისაგან და გააცნობიერონ თავიანთი არსებობა და საშინელი დანაშაულებანი. ამ პროპაგანდამ ფორმა შეიძინა ლიბერალიზმის ლურჯი ცის ქვეშ, როგორც უამრავმა ზაფხულის ღრუბელმა; ისინი მშვიდობის დროში მოცურავე საჰაერო ხომალდებს ჰგვანან, მაგრამ საომარი მანქანები კია და პირველივე შემთხვევისთანავე ნამდვილი ფერის ალმებს ააფრიალებენ და დაარღვევენ მშვიდობას, რისი მეოხებითაც ასე თავისუფლად დაცურავდნენ ჩვენს გარშემო. თვითუფლები შეეცდებოდა ძალით დაამკვიდროს საყოველთაო ძალაუფლება, დათრგუნოს პიროვნული თავისუფლება თუ უმრავლესობის ხმა. მილიონთა აპათიისა და ბუნდოვანების წინააღმდეგ იგი ეყრდნობა საკუთარი მიმდევრების მობილიზებულ მგზნებარებას. უმცირესობას ყველგან თავისი გზა აქვს, ხოლო უმრავლესობა ეჩვევა იმ ნაყოფს, რომელმაც თავიდან თავზარი დასცა, და ერთ მშვენიერ დილას გადაწყვეტს, რომ, ბოლოს და ბოლოს, დიდი უბედურება არ იქნება, თუ ცხვარავით გაჰყვება. თვითუფლები ამქარი, სექტა, კერძო კომპანია და მიზანსწრაფილი ერი, წინამძღოლს რომ გამოძინოს, „დაუნდობლად“ უპირისპირდება ყველა დანარჩენს. პოლიტიკის ორგანიზმში წამოჩიტილი ფორმაციები შეიჭრებიან, დაიმორჩილებენ ძველ შემადგენლობას, ჭამენ ერთმანეთს, როგორც ცხოველთა განსხვავებული სახეობანი; და ბრძოლა არ წყდება არასოდეს, ალბათ, გარდა იმ დღისა, როცა მებრძოლნი განწყდებიან. ლიბერალიზმმა მოედანი მოუშადა იმ პირებსა და გაერთიანებებს, რომელთაც სხვებთან მებრძოლება სურთ ძალაუფლების მოსაპოვებლად. ვინც უნდა გაიმარჯვოს ამ ბრძოლაში, ბოლოს მოუღებს ლიბერალიზმს, და ახალი წესრიგი, რომელსაც ეგონება, საფრთხე არ მემუქრება, იძულებული გახდება თავი დაიცვას მომდევნო ეპოქაში, ახალალმოცენებულ ამბოხებულთაგან.

პირადად მე, თუკი მოვესწრებოდი, არ შემეშინებოდა მომავალი მბრძანებლობისა, როგორც უნდა იყოს. კაცმა რომელიმე საუკუნეში, რაღაც გარემოში უნდა იცხოვროს; სხვადასხვა დროსა და ადგილას გამოვცადე და დავრწმუნდი, რომ ლიბერალური, კათოლიკური და გერმანული ჰაერით სუნთქვა სავსებით შესაძლებელია; დარწმუნებული ვარ, კომუნიზმაც ექნებოდა რაღაც სასარგებლო თავისუფალი გონებისა და აღმატებული განცდებისათვის. როგორც ტაციტუსი ამბობს, იუდეველი და ქრისტიანი ფანატიკოსები გაჟღენთილნი არიან მტრობით ადამიანური მოდემისადმი, რომელიც შეურაცხყოფს მათ, თუმცა თვითონაც ადამიანები არიან და ბუნება შურს იძიებს მათზე, როცა ტკბილსა და გონიერ ბუმბულებს იკიდებს მათი სიგიჟის შადრევანში. მოვალეობათაგან ახალ-

თავდაღწეული კასტა დააფუძნებს მმართველობას, კონვენციურ ზნეობას, ღირსების სტანდარტს; ამის შემდეგ უსაფრთხოება და ბედნიერება არბილებს ტირანის გულს. არისტოკრატი იცის, თუ როგორ დაუკოცნოს თავისი მოიჯარის შვილებს ნითელი ლოყები, და ვიდრე თავის სუფთა სისხლის ბედაურს შემოახტებოდეს მამულის ჭიმკარში, თათმანთან ხელსაც მოუთათუნებს და შაქარყინულსაც აჩუქებს; არც ის დაავინწყება, რომ კეთილად მოიკითხოს მეჯინიბე, როცა იგი ომში წასასვლელად ემზადება. საბრალო მსახური ბიჭი! დემაგოგები ეტყვიან, სულელი ხარ, ჯარში განწევას რომ ემორჩილები და მიაბიჯებ, რათა გამოსცადო ენით უთქმელი გაჭირვება, სიკვდილი, მძიმე ჭრილობები და ეს ყველაფერი იმ ფანტასტიკურ მიზეზთა გამო, რასთანაც არაფერი გასაქმებო. მძიმე ბედისწერაა, მაგრამ განა ვინმეს წუთისოფელი უკეთესს სთავაზობს რამეს? სამაგიეროდ, ლამაზი ფორმა აცვია, ლუდსა და გოგობზე ხელი მიუწვდება, მის გვერდით მრავალი მეგობარი მიაბიჯებს და, თუ იღბალი შეეწევა, დაბრუნდება, რათა კვლავ იმუშაოს თავისი ბატონის საჯინიბოში, ნაიქიფოს ფუნდუკში და საკუთარი ქოხის წინ, ეზოში, ბაღის ბუჩქებს შორის, მუხლზე ათამაშოს თავისი შვილები. შეუძლიათ დემაგოგებს უკეთესი პირობებისა ან უკეთესი ბატონის შეთავაზება? სულ რომ არ ჰყავდეს ბატონი, უფრო ბედნიერი იქნებოდა? რას გვეუბნება თვით დემაგოგთა ყოფა და მათი ისტორია? ისინი თავის მონოდებას ჰპოვებენ უკიდურეს ტანჯვაში და ესეც განასხვავებს მათ და გამოარჩევს, როგორც ახალ სახეობას, ახალ იარაღს არსებობისათვის ბრძოლაში რომ მოიმარჯვებენ ხოლმე. დურდო და ტალახი ერთად მოიყრის თავს, გადაიქცევა კრიმინალურ ანუ რევოლუციურ საზოგადოებად, იპოვის წინასწარმეტყველს ან კოსმოპოლიტ აგიტატორ წინამძღოლს, დააფუძნებს საკუთარ ეთიკურ ნორმებს, თავის ნევრებში მოკვეთილთა თავზეხელაღებულ დისციპლინას და ამყარებს და მოემზადება გახლიჩოს თავისუფალი საზოგადოება, რომელიც არსებობის უფლებას ანიჭებდა. განსაცვიფრებელია, რომ ინგლისელი ხალხი, ასე ეჭვიანად რომ უფრთხილდება პიროვნულ თავისუფლებას, როგორ ემორჩილება უდრტივნიველად ასეთ რევოლუციურ ხუნტას, რომელიც ბევრავს და მბრძანებლობს მათზე; დეკრეტით განსაზღვრავს, როდის იშინშილონ და როდის იბრძოლონ. ვეჭვობ, ქალაქების მშრომელ მოსახლეობას კიდევ შერჩენოდეთ ბრიტანული ხასიათი. მათი იძულებითი ერთსულგობანი მოქმედება და ვნება რწმენის საუკუნეებისასა ჰგავს; ეს შთაგონება — ადრეული ქრისტიანობის მსგავსად — მცირეოდენ მოციქულთაგან მოდის, ალბათ უცხოელი ებრაელებისაგან, ადამიანებისაგან, ვისაც რამდენიმე ათასწლეულის განჭვრეტა შეეძლოთ; ერთგულთა რიგების შემჭიდროვება ხდება ლოცვით, დევნითა და მკვლევლობით. და მაინც, გასაგებია, რომ ყველაზე სერიოზული ლიბერალები, ვინც, რამდენადაც თავისუფლებას ადვოკატობდნენ, იმდენადვე ჰქმნიდნენ ამ შეთქმულებებს, და რამდენადაც ფილანტროპები იყვნენ, იმდენად ტაშს უკრავდნენ შეთქმულებებსა და გრძნობდნენ ახალი ტირანის საჭიროებას. მათ გადაარჩინეს ლიბერალური პრინციპები იმით, რომ განაცხადეს, ტირანიას ტაშს ვუკრავთ, როგორც აუცილებელ საშუალებას ხალხის გასათავისუფლებლად. მაგრამ რისგან ათავისუფლებდნენ ხალხს? — თავისუფლების შედეგებისაგან.

\* დაუნდობელი  
\*\* ლვარძლიანი

დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ ენაზე გამოქვეყნდა გამორჩენილი ფიზიკოსისა და ერთადერთი რომანის ავტორის მუსტაფა მუშარაფას მხატვრული ქმნილება „კინტარა, რომელმაც შესცოდა“ (აპოლონ სილაგაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით). ალბერტ აინშტაინის მეგობარმა ეს რომანი დაწერა არა კლასიკურ არაბულ ენაზე, არამედ უშუალოდ ეგვიპტურ დიალექტზე, ამიტომაც მის სათარგმნელად აუცილებელი იყო ამ დიალექტის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა, რაც ნიშანდობლივია ნინო ეჯიბაძისათვის, ვინც აქამდე ცალკე წიგნებად გამოაქვეყნა „ეგვიპტური არაბული (ტექსტები და ლექსიკონი)“ და „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკის“ პირველი ნაწილი (ფონეტიკა, მორფოლოგია, მორფოფონეტიკა). მისი ეს ცდა საკმაოდ რთული მხატვრული ქმნილების გადმოსაღებად უდავოდ წარმატებული აღმოჩნდა და მოსალოდნელია, რომ მას პროფესიულადაც შეაფასებენ ჩვენი არაბისტები. მანამდე კი გთავაზობთ ნინო ეჯიბაძის სტატიას ამ კოლორიტულ არაბ მწერალზე.

ნინო ეჯიბაძე

## კინტარა, რომელმაც მაინც შესცოდა

„რობყი“ ეგვიპტეში ისეთ სახლებს ერქვა, რომელთა კვადრატული ეზოს გარშემო აშენებული რამდენიმესართულიანი შენობის ყოველი ოთახი სხვადასხვა ოჯახს ეკავა ქირით. აქ ძირითადად ღარიბი ადამიანები ცხოვრობდნენ, საერთო საპირფარეო ჰქონდათ, ხოლო ოთახები ისეთი ვიწრო იყო, რომ ციხის საკნებს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავისუფალ ადამიანთა სადგომს. ეგვიპტეში საცხოვრებლად ვარგისი მიწა ყოველთვის ძვირად ფასობდა, ამიტომაც ფართოდ ცხოვრების ფუფუნება მხოლოდ რჩეულებს ჰქონდათ.

კაიროს ძველი უბნის ასეთ რობყში ცხოვრობდნენ მუსტაფა მუშარაფას რომანის გმირები და მათ შორის ცხოვრობდა „კინტარა, რომელმაც შესცოდა“.

მუსტაფა მუშარაფა მწერალი არ ყოფილა, ფიზიკოსი გახლდათ. ეგვიპტის პატარა ქალაქ დამიეტაში დაიბადა, რომელიც გამორჩეული მხოლოდ იმითაა, რომ აქ დამიეტურ თეთრ ყველს ამზადებენ. მეცნიერებას ჯერ სამშობლოში ეზიარა, შემდეგ – ვეროპაში, და პირველი ეგვიპტელი გახდა, ვინც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო (ლონდონის უნივერსიტეტში).

ალბერტ აინშტაინის კოლეგა იყო, ამბობენ, რომ არა მხოლოდ კოლეგა, მეგობარიც. მიუხედავად ამისა, უარყო სახელოვანი კოლეგის მიწვევა, ერთად ემუშავათ, რადგან მიაჩნდა, რომ მისი პოტენციალი სამშობლოს სჭირდებოდა. დაბრუნებულს ასოცირებული პროფესორის თანამდებობა შესთავაზეს ეგვიპტის უნივერსიტეტში. 28 წლისა უკვე პროფესორი გახდა. შემდგომ, სიცოცხლის ბოლომდე, უნივერსიტეტის რექტორი იყო, პირველი ეგვიპტელი რექტორი ეგვიპტეში.

მუშარაფა ატომის სტრუქტურის საკითხებზე მუშაობდა და ითვლება, რომ მსოფლიოს შვიდ მეცნიერთაგან



მუსტაფა მუშარაფა

ერთ-ერთი იყო აინშტაინთან ერთად, ვინც ამ პრობლემატიკას ფლობდა. მისი ნაშრომები ატომის, ფარდობითობის თეორიისა და სხვა საკითხებზე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე ითარგმნებოდა მათზე დიდი სამეცნიერო მოთხოვნილების გამო.

ამბობენ, კარგი ფიზიკოსები და მათემატიკოსები კარგი მუსიკოსებიც არიანო. მუსიკით გატაცებული მუსტაფა მუშარაფასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ ტეკობა მუსიკით, მისი მიზანი იყო, მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობა ეგვიპტელებამდეც მიეტანა.

თუმცა ეს ადვილი როდი იყო. ქვეყანაში, სადაც XXI საუკუნეშიც კი ჯერ კიდევ ებრძვიან წერა-კითხვის უცოდინრობას, XX საუკუნის შუა ხანებში მოსახლეობის შთამბეჭდავი ნაწილი გაუნათლებელი იყო და არათუ უცხო ენებზე, არაბულადაც სუსტად კითხულობდნენ. ამიტომ მუშარაფამ გადაწყვიტა მშობლიურ ენაზე ეთარგმნა ყველაზე პოპულარული ოპერები, რათა ტექსტი ეგვიპტელთათვის უფრო ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო. ამასთან, ცდილობდა არაბული მუსიკაც, არაბული სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობაც გაეცნო, უპირველესად ყოვლისა, თვით არაბთათვის, – რაც მათი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას შეუნყოფდა ხელს, – და მსოფლიოსთვისაც. ამას თავისი სალექციო კურსებისა და პუბლიკაციების საშუალებით აკეთებდა.

მუსტაფა მუშარაფა ეგვიპტის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ჩამოაყალიბა ეგვიპტეში დასავლური (კლასიკური) მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება და თვითონვე ხელმძღვანელობდა სამუსიკო სეზონთა მსვლელობას. ჩამოაყალიბა ეგვიპტის საბუნებისმეტყველო მეცნიერთა კავშირი. 20-იან წლებში დაწერა „კინტარა, რომელმაც შესცოდა“, თავისი ერთადერთი რომანი.

ბრიტანული კოლონიალიზმის წინააღმდეგ 1919 წელს აგორდა ეგვიპტელთა და სუდანელთა რევოლუცია, რომლის სულისჩამდგმელიც ე.წ. ალ-ვაფდის პარტია და საადზალლული იყო და რომელსაც შედეგად 1922 წელს ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის დამოუკიდებლობის ცნობა მოჰყვა. სწორედ ამ რევოლუციის ფონზე იშლება მუშარაფას რომანის სიუჟეტი. მასში არაა ერთი პროტაგონისტი, რომანს რამდენიმე მთავარი გმირი ჰყავს და ყოველი მათგანი ნამ-

დვილი ეგვიპტელი ტიპაჟია, კარგად ცნობილი მათთვის, ვისაც ამ ქვეყანაში უცხოვრია და მისი ყოფა ახლოდან შეუსწავლია. წიგნის გვერდებზე იშლება თითოეულის ტრაგიზმით სავსე ცხოვრება. რაც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან „კინტარა...“ პირველი მცდელობა იყო არაბულ სინამდვილეში (და არა მხოლოდ ეგვიპტეში) დიალექტზე არაიუმორისტული ნაწარმოების შექმნისა. ამაში კიდევ ერთხელ იკვეთება ავტორის ნიჭიც და პატრიოტიზმიც, სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და მისი ენის.

ეს მტკიცება მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, აქ მოკლედ უნდა შევეხოთ ენობრივ სიტუაციას არაბულ სამყაროში. მსოფლიოში 22 არაბული ქვეყანაა და თითოეულში არაბები ადგილობრივ დიალექტებზე საუბრობენ. სწორედ ამ დიალექტებზე იწყებენ ლაპარაკს, ამ დიალექტებს სწავლობენ ბუნებრივი წესით და მათზე აზროვნებენ. რაც შეეხება სალიტერატურო არაბულს, ეს არის კოინე, რომელიც პრეისლამურ ხანაში შეიქმნა, როგორც არაბთა ტომთაშორისი კომუნიკაციების გამარტივებისა და ლიტერატურულ ძეგლთა ენა. ეს ენა დღევანდლამდე პრაქტიკულად უცვლელია. მას არაბები საგანგებოდ სწავლობენ სკოლებში და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებიც კი არ ფლობენ ყოველთვის ამ ენის ნორმებს სრულფასოვნად. ასეთია რეალური მდგომარეობა XXI საუკუნის დასაწყისში. და, რა თქმა უნდა, უკეთესი არ იყო არც ერთი საუკუნის წინათ. სულაც არ გადავამეტებთ, თუ ვიტყვი, რომ თითოეული არაბისთვის მშობლიური ენა არის არა არაბულის რაიმე ერთიანი ფორმა, არამედ ტერიტორიული დიალექტი. შესაბამისად, ეგვიპტელთა მშობლიური ენა ეგვიპტური დიალექტია. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რომ ამ ნიჭიერმა ადამიანმა, „ეგვიპტელმა გენიოსმა“, როგორც მას ევროპულ სამეცნიერო წრეებში უწოდებდნენ, მხატვრული ნაწარმოები თავიდან ბოლომდე დიალექტზე შექმნა.

რომანის მკითხველის თვალწინ უცნაური სამყარო იშლება, თითქოს შორეული, გარდასული დროის კუთვნილება, თითქოს იმდენად პრობლემატური, რომ მომხიბვლელობას მოკლებული უნდა იყოს, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან ახლობელი, ნაცნობი და ძვირფასიც კი მათთვის, ვისაც აღმოსავლური სამყარო უყვარს. უბრალო ადამიანები თავიანთი დრამატული და ტრაგიკული ცხოვრებით, ლუკმაპურისთვის სიღარიბესთან კი არა, სიღატაკესთან მეტროპოლი ხალხი; ასაკგადასული გასათხოვარი ქალები, რომელთა წარმოდგენით, ქალის ერთადერთი და ძირითადი დანიშნულება გათხოვებაა და, მაშასადამე, ამ ძირითადს მოკლებულნი; გულწრფელად შეყვარებულნი და გახრწნილნი, ვინც ხურდა ფულად უმანკო გოგონას ყიდვას არ ერიდება; პატრიოტები, ვისაც ქვეყნის თვთმყოფადობისთვის ტკივა გული, და ანგარებიანნი, ვინც მიზნისკენ სავალ გზაზე სულიერად და ხორციელად დაღუპული ადამიანები მოიგოვა; მათხოვრები და მდიდრები, მეძაგები, ბრმები; ოჯახის ერთგული, მხიარული კაცები და უსინდისო, გაფუჭებული სულის მამრები. ამ პანაია რომანში ყველა ეტევა, ყველასთვის გამოინახა ადგილი და ყოველი მათგანი რომანის მთავარი გმირია. როდესაც წიგნს ხელში შეათამაშებთ, გაგიკვირდებათ, როგორ ადრითა ამდენი ამ მომცრო თხზულებაში, ამდენი ადამიანი, ამდენი ბედისწერა, ამდენი სამყარო, რომელთაც ერთი რამ აკავშირებთ: ყველა ისინი ადამიანები არიან და სწორედ ამიტომ მათი ყვე-

ლაზე სასტიკი, ყველაზე ამაზრზენი ფიქრები და ქმედებანიც კი გასაგებია; იმიტომ, რომ ადამიანი ადამიანია ენის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილებისა და დროის მიუხედავად. ოღონდ არ უნდა იფიქროთ, რომ ეს რომანი მხოლოდ ადამიანის სულის სიბინძურის სარკეა, აქ ლამაზი ბავშვური ოცნებაცაა, უცოდველთა სინანულიც, მამაშვილური სიყვარულიც. ეს ქმნილება თითქოს ცხოვრების მინიატურაა, ცხოვრებისა, რომელშიც ხალხი ყოველთვის ჭრელია.

შეიხი კინტარა, ვის სახელსაც ატარებს რომანი, ლატაკი ინტელიგენტი, რომლის სულიერებასაც განათლებამ ბევრი ვერაფერი შესძინა, ან შეიძლება უბედური კაცი, რომლის სულიც შიმშილს შემოეჭამა. რომანის ბოლოს კინტარა აცხადებს, მე არ შემიცოდავსო. რა მწარედ გაჰკრავს მკითხველის გულს ეს სიტყვები! შეიხი კინტარა თავს იკლავს.

ნორჩი საიდა, აჰმადის შეყვარებული, ბავშვი, რომელსაც ბედნიერი ბავშვობა არ დასცალდა. გარყვნილი მორიელებისგან დაკბენილი მთლად ახალგაზრდა, უბედური ლატაკი გოგონა, თავს რომ იკლავს.

ქამილ საიდელი, მომღერალი, წესიერი, გულჩათხრობილი სოფლელი კაცი, გულწრფელად შეყვარებული, უბედური სიყვარულის მსხვერპლი. „დიდებული სიკვდილით“ მკვდარი. ფატმა, სპეკულიანტი ფატმატუმი, გემრიელი, ჩასაბუნძი, ბრჭყვიალა ქალი თავისი თავსაფრებითა და ფერადი ბოხნებით. ბოლოს მაინც გათხოვდა, მაინც აისრულა სანადელი.

საიდას მოხუცი ბრმა დედა. ქათამს დანატრებული ქალი. „რას მიქვია შეყვარება, გარყვნილი გოგო ხო არა ხარ!“ სიკვდილის წინ მაინც ჭამა საიდას უბინობით ნაყიდი ქათმის შეჭამადი, რომელიც ერთი თვით ადრე რომ ყოფილიყო, აჰმადს გადაარჩენდა.

თვით აჰმადი, საიდას შეყვარებული. უცნაური ჭაბუკი, ვისაც თავისი სასურველი მუდამაც ასეთი უყვარდა – უბინო გოგო. მამის გულისმკვლელი, ბრმა ტყვიასა და უსახსრობას შეწირული ყმანვილი.

ერის მამა – საად ზალლული, ვისაც თავმოდრეკილი ეგვიპტელის ნახვა არ უყვარდა, ვისაც ეგვიპტელი ცოტა ამპარტავანიც კი სურდა. კვდება.

არ კვდება ვივი, მეძავი, უბედური, და ისედაც მკვდარი ქალი.

არ კვდება ასიმ ფაშა, მდიდარი თახსირი, ფაქტობრივად, ისედაც მკვდარი კაცი.

არ კვდება ჰაგ გადი, აჰმადის მამა, „წელში გადანყვებილი“, „ფესვებმოკვეთილ ხესავით მოცვლილი“ კაცი, ვინც საიდა – გარდაცვლილი შვილის შეყვარებული – შვილის გვერდით დამარხა.

არ კვდება ბატონი მუჰამადი, რომელიც წინ იყურება ნათელ მომავალში და იცის, რომ „ძველი უნდა წავიდეს და ადგილი ახალს გადაულოცოს“.

ამბობენ, ეს რომანი რევოლუციანულია. სინამდვილეში ის ცხოვრებაზეა. მერე რა, რომ ამ ცხოვრებამ სწორედ 19 წლის რევოლუციის დროს ჩაიარა. რომანის ჩამთავრებისას გული ჩაგწყდებათ, მაგრამ თან დაგრჩებათ რაღაც თბილი, გაურკვეველი გრძნობაც, რომელიც ამ არალოგიკური, სასტიკი, უსამართლო, მაგრამ მაინც ტკბილი, მაინც სასურველი, მაინც ლამაზი ცხოვრებისადმი სიყვარულს ჰგავს.

1950 წელს, საეჭვო პირობებში, მუსტაფა მუშარრაფა გარდაიცვალა.

ამ ორი ათეული წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრმა დასადგმელად დაისაჭიროვა გრიგოლ რობაქიძის რომანის „გრაალის მცველნი“ ინსცენირებული ვერსია. თუმცა ვვარაუდობთ, რომ მწერლის არქივში არსებობს ამ რომანის ქართული ორიგინალი, რაკილა ხელი არ მიგვიწვდებოდა (ჯერაც ხელმიუწვდომელია!), თეატრის თხოვნით ნაირა გელაშვილმა პირდაპირ პიესად გადმოიღო ეს მხატვრული ქმნილება და კიდევ წარმატებით დაიდგა. თარგმანი კი გამოქვეყნდა გორის სალიტერატურო ჟურნალის – „კლდე-კარი“ – ფურცლებზე (1991, №1, 2).

„გრაალის მცველნი“ იმ რანგის თხზულებაა, თანაც ისეთი დოკუმენტური სიზუსტით აღადგენს 1924 წლის ამბოხების ტრაგიკულ სურათებს, აუცილებელი შეიქნა მისი სრული სახით გადმოღებაც. ეს მნიშვნელოვანი საქმე ითავა თამარ კოტრიკაძემ, ჩინებულმა მთარგმნელმა, ვის სახელსაც უკავშირდება რაინერ მარია რილკეს, დევიდ ლორენსის, დიმიტრი მერუჟკოვსკის, ალექსანდრე მენისა თუ სხვა დიდებულ მწერალთა და რელიგიურ მოაზროვნეთა სხვადასხვა ნიმუშთა თარგმნა. ამიტომაც მოსალოდნელია, „გრაალის მცველნი“ იმ ექსპრესიით და შთაბეჭდაობით ამეცყველდეს ქართულად, გრიგოლ რობაქიძის სახელს რომ შეჰფერის.

გრიგოლ რობაქიძე

## გრაალის მცველნი

გრაალის სილვა

მდუმარედ მიდიოდნენ: კოსტა ნალვლიანი ჩანდა, ლევანი — ჩაფიქრებული, ავალა — დაღვრემილი. კოჯრის გზატკეცილს რომ მიადგნენ, ლევანსა და კოსტას ავალასთან დამშვიდობება უნდოდათ, მაგრამ მან დაიჟინა, კიდევ ცოტას გაგაცილებთო. ისევე მდუმარედ ჩაუყვინნ გზატკეცილს. თანდათან თვალწინ ქალაქი გადაეშალათ, მთელი თავისი მშვენიერებით: ისე იყო განათებული, რომ ათას ერთი ლამის ზღაპრულ ზმანებას ჰგავდა. მის გარს წამომდგარ მთვლეიმარე ბორცვებს ღამე ეფარათ საბნად და თითქოს ძილში მოძრაობდნენ.

— ეს მთები და ბორცვები კამეჩებს მაგონებენ, წარღვნის დროს წყალში მცურავ კამეჩებს, — ოცნებაში მორეული ხმით წარმოთქვა ავალამ.

— საოცარია, — შენიშნა ლევანმა, — მთელი ეს მთაგრებილი, თბილისს გარს რომ შემოხვევია, ისე ირხევა, თითქოს წყალდიდობის ზვირთებმა აიტაცეს და დაარწევნო.

— კამეჩებიც უხდებიან ამ სურათს, — თავის მხრივ ჩაურთო კოსტამ, — ქართული თქმულების თანახმად, კამეჩი ერთადერთი ცხოველი ყოფილა, ნოეს კიდობნის გარეთ რომ აღმოჩნდა და მაინც არ დამხრჩვალა. მის ყრუ ბლავილში უცნაური ბგერები ისმის, ნოეს სახელს რომ მოგვაგონებს: კამეჩი, როცა ბლავის, ბიბლიურ პატრიარქს მოუხმობსო, ასე იტყვის ხოლმე ქართველი.

გუნება გამოუკეთდათ.

იმ მოსახვევს მიადგნენ, საიდანაც ბილიკი ხევის გავლით ბოტანიკური ბაღისაკენ ჩადიოდა. ნალვლიანად აღმართულიყო ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

— ახლა კი შინ უნდა დაბრუნდე, — მიუბრუნდა ლევანი ავალას.

— ჯერ არა, — მიუგო იმან, — ცოტა ხნით დავტკბეთ აქედან ქალაქით. ხომ აღუწერლად მშვენიერია, არა?

ციხის გალავნის კუთხეზე ჩამოსხდნენ.

— იმიტომ, რომ თბილისის ბედისწერა ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი, — ჩურჩულით წარმოთქვა ლევანმა.

— როგორ? — ვერ მიხვდა გაცეხილი კოსტა.

— უეჭველია, რომ საქართველოს აღმავლობის ხანა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქას ემთხვევა, — ისევე ჩაილაპარაკა ლევანმა.

მათ შორის დუმილი ჩამოწვა.

— გავისენოთ ის დრო, — განაგრძო ლევანმა ორიოდ წუთის შემდეგ, — 1099 წელს იერუსალიმი ჯვაროსანმა რაინდებმა აიღეს. სირიასა და პალესტინაში ქრისტიანული სამთავროები ჩნდება. ისლამური სამყარო, თითქოსდა სამუდამოდ წელში გადატეხილი, მაინც საპასუხო იერიშისათვის ემზადება. ერთი მცდელობა კიდევ გამოდგება ილბიანი: ნადიმ ედდინ ელლაზი, ალექსის სულთანი, 1119 წელს ამარცხებს როჟე ანტიოქიელს. ეს მხოლოდ ძალის მოსინჯვა იყო: მთავარ დარტყმას მომავლისათვის ინახავენ. უეცრად შეიტყობს მუსულმანური სამყარო, რომ ჩრდილოეთში აღმამუნებლის წინამძღოლობით მომძლავრებულა ქრისტიანი სახელმწიფო: საქართველო. მუსლიმი ხელმწიფე შეფიქრიანდნენ.

ლევანი დადუმდა და ღრმად ამოიოხრა.

— ესე იგი, სავარაუდოა, რომ ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის რალაც იდუმალი, დღემდე გამოუცნობი კავშირი არსებულა, — თითქმის შეკითხვის კილოთი მითართა ავალამ.

— მე ამას ვგრძნობ, — ხმადაბლა და მტკიცედ წარმოთქვა ლევანმა.

შემდეგ თხრობა განაგრძო. მუსლიმთა საბოლოო მიზანი — ჯვაროსანთა განდევნა, მიუღწეველი დარჩებოდა, ვიდრე ჩრდილოეთიდან წამოსულ საფრთხეს არ გაუმკლავდებოდნენ. 1121 წელს წინა აზიის სამხრეთიდან დაიძრა უზამაზარი, ექვსასიათასიანი ლაშქარი. სელჯუკები, თურქმენები, არაბები, მძლავრ ცხენებზე ამხედრებულნი, ნადიმ ედდინ ელლაზის სარდლობით გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს ხელმწიფე ბრძოლისათვის გაემზადა. საკუთარ თავს მონეტებზე ხან „ქრისტეს მონად“, ხანაც „ქრისტეს მახვილად“ იხსენიებდა.



\* თავები რომანიდან

ამჟამად ოდენ „მახვილად“ ქცეულიყო. მაგრამ როგორ გამკლავებოდა ამ ძალას? სამოციანთას მხედარზე მეტი არ ჰყავდა. თანაც, თბილისი ჯერ ისევ არაბი ამირას ხელში რჩებოდა, ხოლო სელჯუკი სულთანი თოღრული, სისხლს მონყურებული მხეცივით რომ ჩასაფრებოდა საქართველოს, ბუნებრივია, ახალშემოჭრილ მტრის ჯარს მოკავშირედ დაუხვდებოდა. სამჯერ ორი ორჯერ სამზე მეტიაო, იტყოდა მათემატიკოსი. ამ საიდუმლოს გუმანით გრძნობდა ყველა ჭეშმარიტი მხედართმთავარი. დიდი აღმაშენებელიც გრძნობდა ამას. რათა ძალები გაეთანაბრებინა, მოძრაობა აქცია ძალად. პირდაპირ შეტევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მითუმეტეს, მტრის ჯარისათვის ალყის შემორტყმაზე. ხელმწიფემ თავისი ლაშქარი არნახულად მოქნილი გახადა როგორც თავდაცვისათვის, ისე შეტევისთვისაც: მტრის იერიშის მოგერიებისას ხან მარჯვნივ შეეძლოთ გადაადგილება, ხანაც მარცხნივ. ზურგს ღობურებით გადახერგილი დიდი ტყე უმაგრებდათ. იქ მშვილდოსნები ჩასაფრებულიყვნენ, ოსტატურად რომ ისროდნენ. მოწინააღმდეგის ჯარი დიდგორის ველზე დაბანაკებულიყო. ხელმწიფის გეგმებსაც სწორედ ეს შეჰფეროდა საუკეთესოდ: ველის გარშემო მთების მთელი რკალი გულდაგულ იქნა შესწავლილი საბრძოლო პოზიციების განსაზღვრებლად. ბრძოლა აღმაშენებელმა დაიწყო. პირველი შეტევისას მისი რამდენიმე რაზმი გვერდიდან ეკვეთა მტერს. განარისხებული მტერი სპასუნო დარტყმისათვის გამოენთო, მაგრამ თავდამსხმელი უკვალოდ მიმალულიყო. მომხდურთა ჯარი აირ-დაირია. ხელმწიფემ სხვადასხვა მხრიდან გაიმეორა მსგავსი შეტევები და ყოველ ჯერზე მოიერიშენი კვლავაც მარჯვედ უსხლტებოდნენ მტერს. დაბნეული და გაოგნებული მტერი ალყაში მომწყვეული ნადირით შფოთავდა. აი, დადგა გადამწყვეტი დღეც, 12 აგვისტო. შეტევა კვლავ ქართველთა ხელმწიფემ დაიწყო. მისი ლაშქრის თითოეული ნაწილი ისე იბრძოდა, თითქოს მარტო ყოფილიყო მტრის პირისპირ. და, ამასთან, ყველა ერთსულოვნად მოქმედებდა: მთავარსარდლის უდრეკი ნება და გამარჯვების წყურვილი უხილავად და განუყრელად აძლიერებდათ. ყველაფერი იმაზე ეკიდა, ზუსტად საჭირო მომენტს დამთხვევოდა გაბედული სვლა. მტრის უზარმაზარ ლაშქარს უეცრად თითქოს საყრდენი გამოეცალა. ქართველთა ხელმწიფეს დიდგვაროვან მხედართა თავდამსხმელი რაზმი შეეშველა, ბოლო ნუთამდე სამალავში რომ იმყოფებოდა. მსოფლიო ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით აღსრულდა. ერთეულმა გენიამ მრავალთა ძალას სძლია. წინააზიურმა ჯარმა უკან დაიხია და გაიქცა. ქართველებმა მას ანისამდე სდიეს და განადგურეს. თავში მიძიმედ დაჭრილი ნადიმ ედდინ ელლაზი შინ გაცამტვერებული დაბრუნდა. მალევე თბილისიც გაათავისუფლეს და ანისიც საქართველოს შემოუერთეს.

ლევანი შეკავებული მღელვარებით ჰყვებოდა. ავალა და კოსტა მონუსხულები უგდებდნენ ყურს, თუმცა ამ ბრძოლის შესახებ ბევრი რამ მანამდეც იცოდნენ.

— ასე გვიამბობენ ქართველი ჟამთააღმწერლები, — შენიშნა კოსტამ.

— სომეხი ჟამთააღმწერელი მათეოს ედესელიც იგივეს ამბობს, — დაუმატა ავალამ.

— ასევე ასირიელი აბულ ფარაჯიც, — თქვა ლევანმა, — და არაბებიც: იბნ ალასირი, კემალ ედინი, იბნ ხალდუნი, — და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო, — მაგრამ ყველაზე

საუკეთესოდ 12 აგვისტოს მოვლენებს აღწერს ნორმანი გოტიე — ანტიოქიის სამთავროს კანცლერი — თავის „bella antiochica“-ში.

ისტორიის ქალღმერთმა, კლიომ, მამაკაცებს თავისი მსუბუქი ფრთები გადააფარა და გარდასულ დროთა ლანდები ყრუ ჩურჩულით წამოიშალნენ ქალაქის თავზე.

— მხოლოდ ახლა მივხვდი, რაც ერთხელ მამაჩემმა მითხრა, — ჩაილაპარაკა დუმბილის შემდეგ კოსტამ: — ჯვაროსნებმა აღმაშენებელი თავიანთ თანამებრძოლად აღიარესო.

— სავსებით მართალია, — მგზნებარედ დაუდასტურა ლევანმა, — 1109 წლის 30 ივლისს უფლის საფლავის კანტორი ანსელუსი იერუსალიმიდან პარიზს გადასცემს ჯვარს, რომელზედაც მაცხოვარი მისტიკური სიკვდილით აღესრულა. ეს ყოველად მოულოდნელი ნეტარებაა მთელი საფრანგეთისათვის. ის საზეიმოდ დაასვენეს ბაზილიკაში, უბრალო სალოცავში, რომლის ადგილას მოგვიანებით პარიზის სახელგანთქმული ღვთისმშობლის ტაძარი აღიმართა. ჯვარს „კრუ-ანსელის“ სახელით იხსენიებდნენ. თითქმის შვიდი საუკუნე ესვენა ღვთის სავანის ჩრდილში. 1793 წელს კი ღვთისმშობლის ტაძარი გაიძარცვა და შეირყვნა. მას შემდეგ ჯვრის ბედი ყველასათვის უცნობია, — ლევანი ეროზნანს დუმდა, — არადა, ეს ჯვარი ჯვაროსნებს საქართველოდან გადაეცათ, — ავალა და კოსტა გაოცდნენ, — ანსელუსი თვითვე მოწმობს ამას, — განაგრძო ლევანმა, — ეპისტოლეში პარიზის არქივისკოპოს გალონისა და არქიდიაკვან სტეფანესადმი: მისი თქმით, მას ეს ჯვარი საქართველოს მეფის, დავითის ქვრივმა გადასცა. მართალია, ქვრივის შესახებ ცნობა მცდარია, მაგრამ ამით არაფერი იცვლება: მთავარი ისაა, რომ ჯვარი აღმაშენებლის სამეფოდან წამოუღიათ. თვით მეფე ამ ეპისტოლეში უდიდესი მონივნებითაა მოხსენიებული: „შემდგომ ამისა დავითი, მეფე ქართველთა, ჭეშმარიტად უდიდესი რუდონებითა და სიხარულით იხსნავდა ჯვარს, მანამ ცოცხალი იყო. ამ მეფეს, მის წინამორბედთა დარად, მტკიცე ხელით ეპყრა კასპიის კარიბჭე, რომლის მიღმა გოგი და მაგოგია გამომწყვდეული და სადაც ამჟამად მისი ვაჟი ახერხებს სპარსელთა და მიდიელთა მოდრეკას. მისი სახელმწიფო საგუშაგო ციხე-კოშკია ჩვენთვის.“ — ლევანი მცირე ხნით დადუმდა, — განა შეიძლება ამაზე შთამბეჭდავად გამოხატო აღმაშენებლის მსოფლიო-ისტორიული სიდიადე? საგუშაგო ციხე-კოშკი — საოცარია, არა? მერედა, ეს მითიური სახელები: გოგი და მაგოგი, სულის საზარელ, ქაოტურ ძალებზე რომ მიგვანიშნებს, — ესეც ხომ შთამბეჭდავია? დი-ახ, მე ამას ვგრძნობ: საქართველოს უზენაესი დანიშნულებაა, გოგსა და მაგოგს შორის დაამკვიდროს რაღაც შეუდარებლად დიდი, რასაც ახლა სიტყვით ვერ განვმარტავ!

ლევანი გაყურდა. ერთთავად ცახცახებდა. სამივე მამაკაცი საქართველოს ისტორიულ სიმძლავრეს განემსჭვავლა. უეცრად ავალა ალაპარაკდა.

— ამასწინათ ამბავი მომივიდა პარიზიდან, — დაიწყო მან: — იქ თურმე ახლახან აღმოუჩენიათ ერთი ჯვაროსანი რაინდის წერილი, ბეზანსონის ეპისკოპოსს ამაღლოსადმი მიწერილი. დათარიღებული არ არის, მაგრამ, რაკილა ამაღლო ეპისკოპოსის წოდებას 1195 წლიდან 1220 წლამდე ატარებდა, წერილიც, შესაბამისად, დროის ამ მონაკვეთს უნდა ემთხვეოდეს. რაინდი იწერება: „ქართულმა ლაშქარმა გამარ-

ჯვეებით გადაიარა მთელი წინა აზია, აილო სამასი ციხე-სი-  
მაგრე და ცხრა დიდი ქალაქი. ჩვენკენ მოემართება თამარ  
მეფის ვაჟი, გასაოცარი ჭაბუკი, გარდაცვლილი დედის სა-  
ნუკვარი სურვილისამებრ, იერუსალიმის აღება რომ გა-  
ნუზრახავს. აქ მას სულმოუთქმელად ელოდებიან. თავისი  
გვირგვინოსანი დედის მიწიერ ნეშტსაც თან მოასვენებს“.

ავალამ თხრობა შეწყვიტა. ლევანი და კოსტა არ იძვ-  
როდნენ. ლევენდარული მეფე-ქალის ცხედარი, როგორც  
უნმინდესი გზისმკვლევნი დროშა მისი ვაჟის ლაშქრისათ-  
ვის, ჯვაროსანთა დასახმარებლად რომ მიიჩქარის, — ამ  
სურათმა ყველანი მონუსხა.

— საოცარი თქმულებაა! — ჩურჩულით აღმოხდა კოსტას.

— თქმულება, ოღონდაც ისტორიულ ფაქტზე უფრო  
რეალური, — შენიშნა ლევანმა, — სინამდვილის მასაზრ-  
დოებელი თქმულება, ჯვაროსანთა უძლიერესი ნატვრი-  
დან ამოზრდილი, — აი, რა არის ეს.

მამაკაცებმა ქალაქის მარცხენა მხარეს დიდუბეს მი-  
აპყრეს თვალი, სადაც შვიდი საუკუნის წინათ სულმნათმა  
მეფე-ქალმა დაინერა ჯვარი. ქალაქს თითქოს თამარის აჩ-  
რდილი დასტრიალებდა. ლევანმა იგრძნო, როგორ შეიძრა  
რალაც მისი არსების შიგნით.

— თბილისი მართლაც ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი,  
— თქვა ავალამ.

— ნუ დაგვაგინებდა, რომ წმინდა ნინოს ჯვარიც იქ  
ასვენია, — ჩუმად წარმოთქვა კოსტამ და ხელი საკათედ-  
რო ტაძრისაკენ გაიშვირა.

ლევანი შეკრთა. ის ახლა საკუთარ თავს აღარ ეკუთვ-  
ნოდა. თითქოს სრულად შესისხლხორცებოდა ამ წმინდა  
ნამს, — არა წარმავალ, არამედ მასთან ერთად გაუკვდა-  
ვებულ უწმინდეს მომენტს. რამდენიმე კვირის წინათ ხილ-  
ვა ჰქონდა, რომელიც მან პოეტურ ქმნილებად აქცია. ეს  
იყო ნანახის პირველი დაბადება სიტყვიერი ფორმით. ხო-  
ლო მეორე ახლა ერგო წილად. ის ფეხზე წამოდგა და ამ-  
ლერდა: ის ლექსი აახშიანა, მისი სულის წიაღში რომ შეის-  
ხა ხორცი. მისი ხმა შორს მოეფინა მდუმარე მიდამოს. შო-  
რიახლო პატარა ურმით დაგვიანებულმა გლეხმა ჩამოიარ-  
რა. სიმღერის ხმაზე სვლა შეაჩერა. ქალაქისაკენ მიმავალი  
სამი ბიჭიც შეჩერდა. ლევანი ვერაფერს ამჩნევდა. თავდა-  
ვინწყებით მღეროდა. სიტყვები ხან ფოთლოვანში გაჟღე-  
რებულ ფრინველის ჭიკჭიკს ჰგავდა, ხანაც შორეულ  
წყვიდადში გაჭენებული ცხენების თვალბივით ელავდა.  
თანდათან გამოიკვეთა ლექსის სათქმელი:

უფსკრულის პირას დამდგარან უკანასკნელი რაინდე-  
ბი თავიანთ ერთგულებთან ერთად, მტრის წინაშე ქედის  
მოდრეკას იკვდილი ურჩევნით. თან მოაქვთ თავიანთი  
სინმინდე: წმინდა ნინოს თმით გადაბმული ვაზის ჯვარი.  
მამაკაცები უფსკრულში ჩახტომას გადანწყვეტენ, მაგრამ  
ბოლო ნუთში, თვალცრემლიანი ციციქნა გოგონა ხელით  
შეეხება ჯვარს და, ჰოი, საოცრება: ჯვრიდან ამოსკდება  
ყვავილოვანი ვაზის ყლორტები და, აი, უკვე ოქროსფერი  
მტევნებიც მწიფან მასზე. სასონარკვეთილთ უსასრულო  
აღტაცება ეუფლებათ და ზეადამიანურ ძალას ანიჭებთ:  
ახლა მათ ველარავინ დაამარცხებთ.

ასე იწყებდა ლექსი. ლევანი განაგრძობდა სიმღერას:  
რაინდებმა სასნულებრივ მტევანთა წვენი თასში შეაგ-  
როვეს, როგორც იოსებ არიმათიელმა შეაგროვა მაცხოვრის  
გოლგოთაზე დაღვრილი სისხლის წვეთები. თასი შინ მიიტა-

ნეს და წმიდათაწმიდაში ინახავდნენ. თასის გარშემო, წმინ-  
და გრაალის ორდენის მსგავსად, საიდუმლო სამძო შეიკრა.  
საუკუნეთა მანძილზე მცველები მას ერთუროს გადასცემდ-  
ნენ. იმ თასში გული იყო დაცული: საქართველოს მზე. გრაა-  
ლის მცველნი მშობლიურ მიწას მტრისაგან იცავდნენ.

ლევანი თავდავინწყებით მღეროდა. კვლავაც და კვლა-  
ვაც მეორდებოდა მისი მოძახილი: სადა ხარ, თასო? — ავა-  
ლა და კოსტა ცახცახებდნენ. სამივე ყოფიერების ზღვარ-  
ზე იდგა. მათ წინაშე გადაშლილი ქალაქი საკუთარი თავის  
ხილვად ქცეულიყო. მაღლა, მის თავზე, წამით იელვა მახ-  
ვილებივით გადაჭდობილმა სხივებმა და მათზე თითქოს  
უსპეტაკესი ნათელისაგან გამონაძერნი თასი ესვენა. ეს  
სურათი ისევე უეცრად ჩაქრა, როგორც გამოჩნდა. ლევა-  
ნი უძრავად იდგა წელგამართული, თითქოს თვითონაც  
ქცეულიყო ერთ-ერთ იმ სხივოსან მახვილად. ლვთაებრივ-  
მა სიტყვამ გაიჟღერა. და მის შემდეგ კაცს ველარ გაებდა  
სიტყვის წარმოთქმა. სამივე დუმდა. უეცრად გზის მოსახ-  
ვევიდან ტლანქი სიცილი მოისმა.

— სადა ხარ, თასო? — სამი ბიჭიდან ერთმა ლევანის შე-  
ძახილს გააჯვარა. ეტყობოდათ, კომკავშირლები იყვნენ.

— პიტნავას დუქანში, — დამცინავადვე გაუპასუხა მეორე.

— ჰა-ჰა-ჰა, ჰი-ჰი-ჰი! — გამკივიანი სიცილით დაიმანჭა  
მესამე.

ლევანისთვის ეს ზურგიდან ვერაგული დარტყმის  
ტოლფასი იყო. ავალა და კოსტაც განადგურებულები იდ-  
გნენ. სხვა დროს ლევანი ამ თავხედ ლლაპებს კისერს მო-  
უგრებდა, მაგრამ ახლა ეს არ შეეძლო. ფოლადივით  
მძლავრი ვაჟკაცი წამში მოეშვა და დაძაბუნდა. მიბრუნდა  
და ერთ-ერთი ბიჭი იცნო.

— მამაშენთან მიდი, — ჩუმად გასძახა ლევანმა, — და  
უამბე, რაც ნახე.

— ისიც იმ ძველ, აშშორებულ საქართველოზე ოცნე-  
ბობს, თქვენ რომ ასე აქებთ თქვენს სულელურ სიმღერა-  
ში, — მიუგო უზრდელმა ყმანვილმა.

— მოწყდით აქედან, თქვე იქადნის ნაშიერნო! — დას-  
ჭექა უეცრად მოხუცმა გლეხმა და ბიჭებს ნაჯახით დაე-  
მუქრა, — თქვე დედის საშოს წამბილწავებო!

ბიჭები შეკრთნენ. ხმის ამოღება ველარ გაბედეს. შეც-  
ბუნებულნი გაშორდნენ იქაურობას.

— არამზადები ესენი! — ჩაილაპარაკა გლეხმა და თა-  
ვის გზას გაუდგა.

ლევანმა, ავალამ და კოსტამ თვალი გაადევნეს.

— არა, საქართველო დაღუპული არ არის, — თქვა  
კოსტამ.

— არ არის, — ჩაიჩურჩულა ავალამ.

ლევანი მონუსხული იდგა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

— ახლა ხომ ნახვალ შინ? — მიუბრუნდა კოსტა ავალას.

— არა, — მიუგო იმან, — დღეს მარტო ვერ დავრჩები,  
შენთან გავათევ ლამეს.

— კეთილი, მაშინ ლევანი მივაცილოთ შინამდე, — შეს-  
თავაზა კოსტამ.

სამმა მამაკაცმა ლანდებივით შეაბიჯა ქალაქში. დამშ-  
ვიდობებისას ავალამ გაუბედავად ჰკითხა ლევანს:

— ეს ყველაფერი შეთხზული ხომ არაა? — იმ თქმულე-  
ბას გულუხმობდა, სიმღერაში რომ იყო გადმოცემული.

— არა, მე ეს თვალწინ მიდგას, — მტკიცედ, თითქოს  
სხვა, მიღმიერი სამყაროდან მიუგო ლევანმა.

ბრაალის თასი

თავადი გიორგი განაგრძობდა დღიურის შევსებას. აღწერა სტუმრებთან საუბარი და შემდეგ ჩანერა: „ყოველი არსი საკუთარ წიაღში საფრთხეს ატარებს საპირისპირო პოლუსის სახით; ასევეა ქართველობაც. ქართველი ჭეშმარიტი ერისკაცის ცხოვრებით ცხოვრობს და, ამავე დროს, მასავით მზაკვრულად ვერავინ უღალატებს საკუთარ ერსა და მოდგმას. თავადია და — ლაქიად გადაიქცევა, რაინდია და — შეუძლია ვიგინდარა და არამზადა გახდეს. გულუხვი და უანგარო, — ჭკუასუსტი მფლანგველი ხდება. სიცოცხლის ხალისი მასთან არცთუ ხშირად ფათერაკების ძიებაში გადაიზრდება, სიყვარულის უმკაცრესი წესი კი — წუთიერ გატაცებად. ზნედაცემული ქართველი მართლაც რომ ამაზრზენი შესახედია. ნეტავ თვითონ ქართველები თუ გრძნობენ მათში ჩასაფრებულ საშიშროებას? თუმცა ლევანს ორბელის ბედი არ მაშინებს.“ თავადმა კალამი გვერდზე გადადო და საათს შეხედა: თერთმეტი სრულდებოდა.

— აგვიანდებათ, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ახალგაზრდობის ბრალია, — ნალვლიანად ჩაფიქრდა მოხუცი.

რამდენიმე წამის მერე ოთახში ლევანი და ნორინოდა შემოვიდნენ. ტყეში სიარულის შემდეგ სახეები უხილავი სხივებით განემსჭვალათ და მთლიანად გამჭვირვალეობდათ. თავადის მახვილმა მზერამ უმალ შენიშნა ის სიასლოვე, მამაკაცსა და ქალს შორის რომ დამყარებულიყო. მაგრამ, საოცარია, თავადს ეს ახლა უკვე აღარ აღელვებდა.

— რაო? როგორი იყო ბასილასთან? — იკითხა მოხუცმა. ნორინამ ყველაფერი წვრილად უამბო.

— ძალიან სასიხარულოა, — წარმოთქვა თავადმა.

შემდეგ ლევანი ალაპარაკდა ტყისა და მისი მომაჯადოებელი ძალის შესახებ. ამასობაში ნორინამ ჩაი, კონიაკი, ნამცხვარი და ხილი მოიტანა.

— ცხოვრებას მუდამ ისე უნდა შევხედოთ, როგორც ღვთისაგან ნაბოძებ საჩუქარს, — სახე გაუცისკროვნდა თავადს.

ლევანს და ნორინას გაეხარდათ, რომ თავადი თავს უკეთ გრძნობდა. საუბარი ისე ცოცხლად და შთაგონებულად წარიმართა, როგორც რომელიმე პითაგორელის ბინაში.

— იქნებ თქვენი წმინდა წინოს საგალობელი მოგვასმენინოთ? — მოულოდნელად მიუბრუნდა თავადი ლევანს. რაკილა იმან პასუხი დააყოვნა, თავადმა დაუმატა: — მომიტყევე, დამავინყდა, რომ არ გიყვართ უკვე წარმოთქმული ლექსის გამეორება.

— მთლად ასე არ გახლავთ, — მიუგო ლევანმა, — ლექსი მრავალჯერ შემოძლია წარმოვთქვა, ოღონდაც ისეთი გრძნობით, თითქოს მას პირველად ვკითხულობდე. ეს ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ კი — არა...

— ამჯერად უეჭველად გამოგივათ, — სიტყვა ჩამოართვა ნორინამ.

— თუკი ნორინა ამ აზრისაა, ნამდვილად შეძლებთ, — თქვა თავადმა, — სხვათა შორის, მას ეს საგალობელი მაშინ არ მოუსმენია, — მან ღიმილით შეხედა ქალს.

— მაშ, კარგი, — თქვა ლევანმა.

კრიალა სიჩუმე ჩამოწვა. მან მაშინდელივით მოიკრიბა შინაგანი ძალები და სულის ნიალიდან მომდინარე წმინდა ნაკადს მიაყურადა. მთელი არსებით დაიძაბა, რათა დროე-

ბით ამ ნაკადის სრულყოფილ გამტარად ქცეულიყო. მისი ხმა, ძლიერი და მჟღერი, თავიდან ყრუდ გაისმა. საგალობლის ძარღვებში მზის სისხლი დიოდა, მასში წარმოსახული ყოველი სურათი თითქოს ცეცხლოვან ასომთავრულად იყო ამოტვიფრული. ბინდში ჩაფერვლილ მზესავით მიქრა საგალობელი. კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, როგორც ნეტარი ინტერვალი, რომელშიც მხოლოდ გულისცემა ისმოდა. ლევანი ქანცგამოლეული იყო, თითქოს მის სულს ქარიშხალმა გადაუქროლა. აღელვებით დასტაცა ხელი სიგარეტს.

— რაო, ნორინა, — ჩუმიად იკითხა თავადმა, — რას იტყვი?

— ენობრივ სინატიფეს, რა თქმა უნდა, ჯეროვნად ვერ შევაფასებ, მაგრამ ქალწული ახლაც თვალწინ მიდგას, ნათელი და სპეტაკი.

— ეს არის ნათელმჭვრეტი სიბრმავე, — თქვა თავადმა, — სულის სიღრმეში ჩაბრუნებული მზერა, იდუმალი ნიალიდან ამოსულ სახებებს რომ ჭვრეტს.

ლევანს მდუმარედ დაეხარა თავი.

— ეს ხილვა სულის განსაკუთრებულ მდგომარეობაში უნდა გწვეოდეთ, — მიმართა მას თავადმა.

— ასეც არის, ეს 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომ დღეებში მოხდა, — მიუგო ლევანმა, — მაშინ სრულიად განადგურებული ვიყავი.

— მაშასადამე, იმ დღის შემდეგ, როცა მეთერთმეტე ბოლშევიკური არმია თბილისში შემოვიდა?

— დიახ.

— და ეს ზმანება უსასობის ჟამს გენვიათ?

— დიახ, სრული უსასობის ჟამს, — ლევანი თანდათან გამოცოცხლდა, — მოგეხსენებათ, ალბათ, რომ ამ ქალაქს გამუდმებით რალაც დემონი დარაჯობს. იმ ღამით ეს დემონური საფრთხე მომაკვდინებელ სახებად წარმომიდგა თვალწინ. უეცრად საქართველოს მთელი ისტორია თითქოს ჩაიმსხვრა ჩემს სულში და მას შემდეგ თვითონაც ფუტყადატეხილი ვარ.

— არა, თქვენ ახლაც ჯან-ღონითა და გზნებით ხართ სავსე, — მოუთმენელი აღერსით შეეკამათა ნორინა.

— ეს გზნება ალბათ ნერვული ცახცახია აღსასრულის წინ.

— არა, შეუძლებელია! — შეჰყვირა ქალმა.

— არა, ძვირფასო ლევან, — არ დაეთანხმა თავადიც, — ეს უდავოდ დიდი დარტყმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა დამანგრეველი, ასე რომ არ იყოს, ამ საგალობელს ვერ გვაჩუქებდით. მაგრამ შევეშვით ამას, — წამით დადუმდა, — ჩემი აზრით, ამ ლექსს საფუძვლად რალაც მოვლენა უნდა ედოს, თუნდაც წარმოსახვითი.

— დიახ, სწორედ ასეა, — მიუგო ლევანმა, ცოტაოდენ გაოგნებულმა.

— მართლა? რა იყო ეს?

— რამდენიმე წლის წინათ ხილვა მენვია, — დაიწყო ლევანმა თხრობა, — მონღოლები შემოიჭრნენ საქართველოში. მთელი ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ ერთი გვარი რჩება მესხეთში, ვისთანაც წმინდა ვაზის ჯვარი ინახებოდა: ისინი ჯერაც არ უდრეკენ ქედს ნახევარი მსოფლიოს დამპყრობლებს. ვიდრე თუნდაც ერთი უდრეკი, ერის ღირსება არ მოისპობა, თუნდაც მთელი ხალხი დამარცხებული და ზნედაცემული იყოს. გვარის უხუცესი მძლეთამძლე ვაჟკაცია. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ წყვეტს, არადა, თან-

დათან ისიც უკვე ძალისაგან იცლება. ბოლოს და ბოლოს, თავისიანებთან ერთად ტოვებს მამულს და თვითონაც არ უწყის, რა გზას დაადგეს. ზურგსუკან მონღოლებია, წინ — უფსკრული. უზუცესი და მისი შეფიცულნი უკვე მზად არიან, კლდიდან უფსკრულში გადაეშენენ. უკანასკნელად ჩაიმხლებენ ჯვრის წინაშე. უეცრად იქ საიდანღაც პატარა გოგონა ჩნდება და თავისი უმნიკვლო ხელით ეხება ჯვარს. ხდება საოცრება: სამი ოქროს მტევანი ამოსკდება ჯვრიდან. უდიდესი ციური მადლი. ვილა მოდრეკს ამის შემდგომ გმირებს? ასე ვიხილე ეს ყოველივე. ჩემი საგალობელი, კაცმა რომ თქვას, ჯვრის წინაშე აღვლენილი იმ ღოცვის გამეორებას ლამობს.

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა. ნორინა მონუსხული უსმენდა. თავადი გიორგი სულის სიღრმემდე შეძრა მოსმენილმა, მარჯვენა თვალებზე მომდგარი ცრემლი იგრძნო. შემდეგ ნელა წამოდგა, ოდნავ ბარბაცით მივიდა ოთახის კუთხეში და სანთლები აანთო.

— ასე სჯობს, — უფრო თავისთვის ჩაიჩურჩულა, რათა დუმილი უსასრულოდ არ გაჭიმულიყო.

ბედნიერებით გაცისკროვნებულმა ნორინამ ლევანის ხელი აიღო და მაგრად ჩასჭიდა საკუთარი. ლევანმაც მოუჭირა ხელი და ამ საპასუხო სიმსურვალეში ქალმა ამოიკითხა უხმო მოძახილი: შენ! — მშვიდად და თავისუფლად გაუსწორა თვალი მამაკაცის მზერას. ლევანი მის სხივებში ბანაობდა. თავადი გიორგი დიდ ფანჯარას მიუახლოვდა და გაალო, გარედან თივის სურნელის ნაკადი შემოეგება. მიდამოს სიჩუმეში ყრუდ მოისმოდა შორიდან ძაღლის ყეფა. რა ხშირად გაჟღერებულა ამ მიდამოებში ძაღლის ყეფა საუკუნეთა მანძილზე? — უეცრად გაუელვა გონებაში. წარმოსახვით უძირო მარადისობას ჩასწვდა. თავადი კვლავაც ტახტთან დაბრუნდა.

— დიახ, ეს მოვლენა მხოლოდ ხილვა როდია, — ჩურჩულით წარმოთქვა მან.

— როგორ? — ლევანს თითქოს ელდა ეცა.

— ეს ისტორიული ფაქტიცაა, — უპასუხა თავადმა, — რამე თუ გსმენიათ ამის შესახებ?

— არაფერი, — ლევანი სუნთქვაშეკრული იჯდა.

— სასწაულია! — აღმოხდა გაცოცხლებულ ქალს.

— დიახ, მართლაც ასეა, — ისევ წამოიწყო თავადმა, — ვაზის ჯვარი იმხანად მართლაც მესხეთის ერთ-ერთ სამთავროში ინახებოდა.

- და მტევნების სასწაული? — იკითხა ქალმა.
- ეს მაშინ კი არა, რამდენიმე საუკუნით ადრე მოხდა. ლევანი მთელი არსებით შეძრა თავადის სიტყვებმა. ხმის ამოღება არ შეეძლო.
- ეს სასწაული არაბთა შემოსევის დროს მოხდა, — განაგრძობდა თავადი ისე, თითქოს სხვა სამყაროდან საუბრობდა, — არგვეთის თავადებს გადახდათ თავს ეს ამბავი.
- მაშასადამე, თქვენს წინაპრებს? — ჰკითხა ნორინამ.
- ასეა, გადმოცემის თანახმად.



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

ლევანი გაფაციცებული იჯდა, სახეზე წარბიც კი არ უკრთოდა. თავად გიორგის მთელი ძალისხმევა იქითკენ მიემართა, რომ ლევანისაგან კიდევ რაიმე შეეტყო.

— განა ეს საიდუმლო, სხვა სახით ხორცშესხმული, თაობიდან თაობამდე არ უნდა გადმოცემულიყო? — ჩაფიქრებით, გამომცდელი კილოთი დასვა მან კითხვა.

— მეც ასე მგონია, — როგორც იქნა, სიტყვა დასძრა ლევანმა.

— რა სახით? — ფრთხილად იკითხა ნორინამ.

— იოსებ არიმთიელმა მაცხოვრის სისხლი თასში შეაგროვა; ამ თასის გარშემო გრაალის მცველთა ორდენი ჩამოყალიბდა.

— და...?

— სავარაუდოა, რომ ქართველმა რაინდებმაც ასეთსავე თასში შეაგროვეს სასწაულებრივ მტევანთა წვენი.

— და ამ თასის გარშემოც შეფიცულთა საიდუმლო საძმო შეიქმნა!

— ჰო, ასე უნდა იყოს.

ლევანი უჩვეულო მღელვარებით ჰპასუხობდა ქალს. თავადი გიორგი მდუმარედ მონანილებოდა საუბარში. შინაგანი თანადგომით მიანიჭა ლევანს უფლება, გზნებით ამოეთქვა ის, რაც სურდა. ახლა თვითონაც ელდნაცემი ჩანდა.

— თქვენი წარმოსახვა უსაზღვროა, — უთხრა ლევანს ნორინამ.

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამას წარმოსახვა ვუნოდოთ. როგორ აგისხნათ? როდესაც ეს ხილვა მეწვია, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მანამდე უკვე ვიცოდი ეს ყოველივე, თვით უმცირეს წვრილმანამდეც კი. ასე მეჩვენება, თითქოს ვიღაცას მსგავსი რამ დიდი ხნის წინათ ეამბონოს ჩემთვის. ღონდაც არ ვიცი, ვინ იყო ეს. სიზმრად თუ ჩამჩურჩულა? არც ეგ ვიცი. ან იქნებ წინა ცხოვრებაში შევიტყე ამის შესახებ? კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და, ზოგჯერ მგონია, რომ სწორედ ასე უნდა იყოს.

— რა საოცარი შთაგონებაა!

ლევანი კვლავ საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა. თავადი არ იძვროდა. განათებული, მოუსვენარი მზერით შეჰყურებდა ხან ლევანს, ხანაც ნორინას.

— ჭეშმარიტი ხილვა მუდამ სინამდვილეს შეესაბამება, — იღუმალი კილოთი წარმოთქვა ბოლოს, — ამ შემთხვევაშიც ასე უნდა იყოს.

ნორინა გაფაციცებული წამოიმართა, ლევანი ძლიერად შეკრთა და გამოფხიზლდა თავისი გარინდებიდან.

— ესე იგი, გრაალის ეს ხილვა ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ? — იკითხა შემკრთალმა ქალმა.

— თუკი წარმოსახვა ასე შორს მიდის, კიდევ უნდა შესაბამებოდეს ჭეშმარიტებას, — შენიშნა თავადმა.

— თქვენ? — გრძობათა სისავსისაგან გაფართოებული თვალებით მიუბრუნდა ქალი ლევანს, — თქვენ თვითონ თუ გნამთ ამ ხილვისა?

— სავსებით, — უპასუხა ლევანმა. ნორინა შეშინდა, იმდენად მტკიცე და შეუპოვარი იყო ეს პასუხი.

— ეძებთ ამ გრაალს? — აღტაცებული ქალი თავს ველარ იკავებდა.

— დღე და ღამე.

— გნამთ, რომ იპოვით? — არ ეშვებოდა ქალი.

ლევანმა პასუხი ველარ გასცა.

— ვინც ასე მტკიცედ ეძიებს, ყოველთვის ჰპოვებს, — წარმოთქვა თავადმა.

— ესე იგი, თქვენც გნამთ, რომ ეს გრაალი ოდესღაც მართლაც არსებობდა? — ახლა თავადს მიუბრუნდა ქალი.

— არა მხოლოდ მწამს, არამედ ვიცი კიდევაც.

ქალი ადგილზე გაქვავდა. თავადის მზერა ნორინასა და ლევანს მიღმა, სიცარიელეში მიმართულიყო. ყველა დუმდა. თითქოს რაღაც იღუმალი მიმოდიოდა ოთახში მათ შორის. ღამემ ზანტად შემოაცურა თავისი ჯადოსნური რიდე და მათ მდუმარე ერთადყოფნას შემოახვია. შორიდან კვლავ ძაღლის ყევა მოისმა.

ლევანის არსებაში გახშიანდა: „როგორც იქნა!“ პოეტი ახლა უკვე მზადაა ამ საიდუმლოსათვის, გაიფიქრა თავადმა. მაგრამ არცერთს არ დაუძრავს სიტყვა.

— კიდევ ერთ ფინჯანს ხომ არ ინებებთ? — იკითხა ნორინამ, რათა უხერხული დუმილი გაეფანტა. ორივე მამაკაცი მადლიერებით შესვდა ამ სიტყვებს, რომლებმაც საუბარი კვლავ გამოაცოცხლა.

— მართალია, ქართული გრაალი იმ მეორეს ვერ შეედრება, — კვლავაც წამოიწყო თავადმა, — იმ გრაალში ხომ თვით მაცხოვრის წმინდა სისხლია დაცული. და მაინც, თავისი საგნობრიობით ჩვენი გრაალი უფრო ხელშესახები და არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი მეჩვენება. თანაც მასში ზიარების წმინდა წესი ამქვეყნიური, მიწიერი სურათითაა გაცოცხლებული: მტევანთა წვენი საკრალურ სისხლთან იგივედება.

შემდეგ ნორინამ იკითხა, თუ რა იყო ცნობილი გრაალის მცველთა საძმოს შესახებ.

— თასი მუდამ რჩეულთა ხელში იყო, საუკუნეთა მანძილზე ის ერთი რაინდიდან მეორესთან გადადიოდა. ყოველივე მასთან დაკავშირებული უდიდეს საიდუმლოს წარმოადგენდა.

ნორინას ახლა იმის გაგება ენადა, თუ რა ნიშნით შეიძლებოდა რჩეულის ამოცნობა.

— მზით გასხივოსნებული ცხოვრებით, როგორც ეს ლევანმა ასე ნათლად გვიჩვენა საზეიმო სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვაში. მზესთან ხომ ოდითგან სიღრმისეული კავშირი გვექონდა. ჩვენს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში ცხოვრობდნენ ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები, გრძნეული ქურუმები, მზის შესახებ უძველეს ცოდნას რომ ფლობდნენ. ქრისტეს სჯულს ჩვენში არ შეუმუსრავს უძველესი სიბრძნე: პირიქით, სწორედ მზეში გამობრწყინდა ქრისტიანობის უღრმესი არსი. ამის საუკეთესო სიმბოლო ვაზის ჯვარია. მათ, ვისი მოწოდებაც ვაზის მოვლა და ღვინის შენახვა იყო, სულიცა და სხეულიც უმნიშვნელოდ უნდა შეენარჩუნებინათ მზესთან შესაუღლებლად.

ლევანი მდუმარედ და აღელვებით ისმენდა ამ სიტყვებს.

— მაშასადამე, გრაალის პირველი მცველნი არგვეთელი თავადები იყვნენ, — გაბედულად იკითხა ნორინამ.

— დიახ, — უპასუხა თავადმა.

— შემდგომშიც მათთან თუ დარჩა წმინდა თასი?

— არა, — გაიღიმა თავადმა, — მათ სამუდამოდ როდი შეინარჩუნეს სულის სისპეტავე.

ნორინას სურდა, კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ეს თასი საკუთარ თავში საქართველოსთვის ზეგარდმო მონიჭებულ მადლს ინახავდა, განაგრძობდა თავადი, — სწორედ ის იყო მისი მასაზრდოებელი წყარო. თუკი გრაალის მცველნი ჭეშმარიტი მზისშვილები იყვნენ, წყარო არ წყდებოდა, მაგრამ თუკი ნებას მოაძუენებდნენ, მაცოცხლებელი ნაკადიც უმალ დაშრეტით ეშუქებოდათ. ამას შეიძლება საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ზუსტად ვადევნოთ თვალი. იმ საბედისწერო დარტყმებს, ასე მრავლად რომ ახსოვს ჩვენს ისტორიას, გარედან მოსული საფრთხით ვერ ავხსნით; მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ ჩვენს ღალატთან საკუთარი თავისა და წმინდა გრაალის წინაშე.

თავადი დადუმდა, მისი სახე ღრმა მწუხარებას დაეჩრდილა.

— ალბათ რწმენა დაეკარგეთ, — განაგრძო მისი ფიქრი ლევანმა.

— ჰო, შესაძლოა, — უპასუხა თავადმა, — რწმენა დაეკარგეთ; ოღონდაც ამით რჯულს არ ვგულისხმობ.

— განა რწმენა და რჯული ერთი არაა? — ჰკითხა ნორინამ.

— არა. რწმენა რჯულზე მეტია. თუკი რაღაცას ვაღიარებ, ის მაინც ჩემგან განზე მდგომ საგნად რჩება, ხოლო თუ ვირწმუნე, მაშინ ის უკვე ჩემი არსების ნაწილად იქცევა. მეტრფისათვის სატრფოს სახე მის პირისპირ მდგარი აღარ არის, ის მისთვის განუმეორებელი სახებაა, რომელშიც საკუთარ თავს პოულობს. ვერავის ძალუძს იმ სინამდვილის წვდომა, მეტრფეთა შორის, მათ ერთადყოფნაში რომ წარმოიქმნება, და მაინც, ის ჭეშმარიტად არსებული და ქმედითია. გარეშე თვალისთვის ის არ არსებობს, შინაგანი მზერა კი მას უმალლეს რეალობად აღიქვამს. თუ სიყვარული გაქრა, მაშინ მეტრფეთა შორის სიცარიელე წარმოიქმნება: ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგებიან ერთუთოს შემზარავად გაუცხოებულნი, ერთუთოსათვის გარეშე არსებებად ქცეულნი. ასევე მორწმუნეც ახალ სინამდვილეს ქმნის თავისი რწმენით.

— მაშასადამე, წარმოსახვის ძალით?.. — ჭოჭმანით წარმოთქვა ნორინამ.

— ასეა, ოღონდ წარმოსახვა ღვთაებრივი შთაგონების აზრით უნდა გავიგოთ. ქვეყნად ყოველივე ღვთის წარმოსახვით შეიქმნა. შემოქმედების ეს უნარია სწორედ რწმენის საიდუმლო. მხოლოდ გაცნობიერება და აღიარება აქ როდი კმარა. მე შემძლია ისევე ვაღიარო უფალი, როგორც ნეტარი ავგუსტინე აღიარებდა, მაგრამ განა მხოლოდ ამით ისევე მივუახლოვდები უფალს, როგორც ამ დიდმა წმინდანმა შეძლო? დღევანდელ კაცობრიობას სწორედ რწმენის ეს შემოქმედი ძალა აკლია. ის იმ კაცსა ჰგავს, სახარებაში მაცხოვარს რომ მიმართა: „მწამს, უფალო, შეენი ჩემს ურწმუნობას!“ დიახ, ასეა.

ღუმილი ჩამოწვა.

— განა შეიძლება ასეთი ძლიერი რწმენა უკვალოდ გაქრეს? — იკითხა ნორინამ.

— რწმენას მაშინ ვკარგავთ, როდესაც მიწის, ჩვენი მარადიული დედის, წაბლწვას ვინწყებთ. წარმართი მონუსხული მზერით მუდამ მოზღოდინე მიწის ბნელ საშოს ჩაჰყურებს, სცნობს ცოცხალ თესლებს სიკვდილსა და ხელახალ დაბადებაში, უსასრულოდ შეჰხარის წვიმას, გვალვისაგან გადასკდარ მიწას რომ არწყულებს, თავდავინწყებული ტკობით აკვირდება, თბილ სინოტივებს თესლის მჭკნარი პარკებიდან ნორჩი ღივები როგორ ამოჰყავს. ცოცხლად განიცდის მომკილი პურის გზას კალოდან წისქვილის ქვამდე. წარმოიდგინეთ, რა უღრმესი მგრძობელობით აგემოვნებს იგი მზეს მწიფე მტევნებში და შემდეგ ისიც წარმოიდგინეთ, რომ მან ქრისტე აღიარა და ახლა წირვის შემდგომ ზიარება უნდა მიიღოს...

— მასში უთუოდ წმინდა მხეცი გამოიღვიძებს, — უცრად ცხარე ჩურჩულით ამოთქვა ლევანმა.

— სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, — დაუდასტურა თავადმა.

— წმინდა მხეცი — ამის შესახებ არაფერი ვიცი, — თქვა გაოგნებულმა ნორინამ.

— ოდესმე გაიგებ, თუ რას ნიშნავს ეს, — მიუგო მოხუცმა, — და, ეჭვი არაა, — განყვეტილი სიტყვა განაგრძო მან, — რომ ამ წარმართის არსებაში პური მართლაც ქრისტეს ხორცად გარდაისახება, ღვინო კი — სისხლად. ჩვენ კი რას ჩავდივართ? საუკუნეთა მანძილზე ან შევეურაცხყოფდით მიწას, ან ვებრძოდით მას, უკეთეს შემთხვევაში — უგულვებლევყოფდით. დაუფიქრებლად ვცოდავთ დიადი დედის წინაშე იმით, რომ სინმინდესა და სიდიადეს ვართმევთ, და, აი, უკვე ვიგემთ კიდევ ჩვენი ცოდვის მწარე ნაყოფი: დავჩლუნგდით, დავბეჩავდით, ღირსნი აღარ ვართ, ღვთისშვილებად ვინოდებოდით. მილიონი ჩვენგანი ექპარისტის პურს უბრალო აბივით ყლაპავს. ხორცად ქცეული სიტყვა — ეს საიდუმლო მყიფე მეტაფორადღა შემოგვრჩა. არადა, ის ხომ მიწაზე მოგვითითებს, როგორც ლოგოსის დამბადებელ საშობე! თუკი მიწის საშოს მკვდარ მატერიალ მიიჩნევს, ადამიანი იმწამსვე დაიცლება ლოგოსური ძალებისაგან. სული დაკარგავს თავის ნაყოფიერ სისავსეს და მყიფე რაციომდე დაეცემა, ხოლო რაციოს არ შესწევს ძალა, რწმენის შემოქმედებითი აქტი განახორციელოს.

მოხუცი დადუმდა. ტახტზე სანახევროდ გადანოლილი, სამადჰის მდგომარეობაში მყოფ ნათელმჭვრეტელს ჰგავდა; მთელი არსება გაუნათდა და გაუმჭვირვალდა. სულის

ფსკერამდე გამჭოლი სიჩუმე ჩამოწვა. ლევანი უძრავად იჯდა, ღრმად ჩაფიქრებული. ნორინა ამოძრავდა, რათა ეს სიჩუმე ასატანი გამხდარიყო. უხმოდ მივიდა ფანჯარასთან, ღამის ცარიელ სივრცეს ჩააშტერდა. მთვლემარე ხეების ფოთლებს ნელმა ნიაგმა გადაუქროლა.

— დიახ, ასეა, — მხოლოდ თავისთვის გაიმეორა თავადმა.

— გრაალის თასსაც იგივე დაემართა ალბათ, — გამოსთქვა ლევანმა თავისი ფიქრი.

— დიახ, — დაეთანხმა მოხუცი, — ასე გაგვერიდა გრაალის ძალა და მადლი.

— კი მაგრამ, თავად თასი — ნუთუ ისიც გაქრა? — იკითხა ნორინამ.

— არა, მაგრამ რას გვარგებს! — უპასუხა თავადმა, — ის მუზეუმის ექსპონატად შემოგვრჩა, ეს არის და ეს. მის გასაცოცხლებლად ღვთისაგან შთაგონებული სულის მისტიკური ნაპერწკალია საჭირო; ის კი არსად ჩანს.

— მუზეუმის ექსპონატი, — შეჰყვირა ქალის მთელმა არსებამ. როგორც ძლიერი ქარი აღელვებს ზღვის ზედაპირის მშვიდ სიგლუვეს, ისე აამღვრია ამ სიტყვამ სიყვარულის კრიალა სასმელი, რომელიც ქალმა ტყეში სეირნობისას განცდილი წინათგრძობით იგემა.

საუბარი თითქოს დასრულდა, ანკი რაღა უნდა თქმულიყო? ნორინამ მაჯის საათზე დაიხედა: სამის თხუთმეტი ნუთი იყო.

— უკვე გვიანია, — თქვა და ლევანს გადახედა. ლევანი ნამოდგა.

— თუ ძალიან არ დალილობართ, კიდევ ცოტა ხანს დარჩით, — მიმართა თავადმა ლევანს.

— სიამოვნებით, — მიუგო მან.

ნორინა ნასასვლელად მოემზადა.

— ხომ არ ეჭვიანობ? — ჰკითხა თავადმა.

— რა თქმა უნდა, — ღიმილით უპასუხა ქალმა და გამომეშვიდობა.

მამაკაცებმა ახლად შენიშნეს, რომ ნორინა საუბარს უადვილებდათ. ახლა ორივეს გულზე გამოუთქმელი შეკითხვა აწვა და ვერცერთი ვერ ბედავდა დაწყებას.

— ოდესმე ამ თასის პოვნა თუ გაგახარებთ? — როგორც იქნა, ჰკითხა თავადმა.

— უსაზღვროდ, — უპასუხა ლევანმა.

— და არ შეგეშინდებათ?..

— დიახ, როგორ არა, მაგრამ...

— ორჭოფობთ?

— არა!

კვლავ მძიმე ღუმილი ჩამოწვა. შემდეგ თავადი ნამოდგა, უხმაუროდ მივიდა კარადასთან, გაალო და იქიდან რაღაც გამოიღო. ლევანი გაცოცხლებული ადევნებდა თვალს: მოხუცს ხელში პატარა გასაღები ეჭირა. შემდეგ იმ მეორე, მასიური ხის კარადას მიუახლოვდა, რომლის წინამეც სანთლები ენთო. ლევანი აღუნერელი მღელვარებით აყოლებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. მოხუცი ლანდით მოძრაობდა. კარადის კარი ნელა გამოაღო. შემდეგ უძრავად გაშეშდა. კარადის სიღრმეში მცირე ზომის ყუთი იდო ეულად.

— აი, აქ, წმინთ ასვენია თასი, — თითქოს ძილბურანშიაო, მონოტონურად გამოსცრა თავადმა.

ლევანი უეცარმა დარტყმამ შეძრა. სუნთქვაშეკრული ახლოს მივიდა. რაღაც იდუმალი უხმობდა ამ კოლოფიდან, თა-

ვისკენ იზიდავდა და, ამავე დროს, მახვილივით სერავდა მთელ მის არსებას. უეცრად მუხლი მოეკვეთა, უღონოდ და თან საოცარი გზებით დაიჩოქა. ამ უდრეკმა, მუდამ მტკიცე და თავშეკავებულმა მამაკაცმა ახლა იგრძნო, ლანჯებზე როგორ ჩამოუგორდა დიდრონი ცრემლები. მთელი მისი არსება თითქოს ატომის ბირთვში შემჭიდროვდა და მთლიანად ლოცვად გარდასახა. ამავე წამს თასი საკუთარი არსის ნაწილად შეიგრძნო. მამაკაცი შეკრთა, მაგრამ ეს ფიქრი, ელვის გაკვეთებასავით წამიერი, კვლავ გამქრალიყო. თავადი გიორგი მის გვერდით იდგა. ხმას არ იღებდა, რათა ახალი თესლის გაღვივებისათვის ხელი არ შეეშალა. ბოლოს ფრთხილად შეახო მარჯვენა ხელი ლევანის მხარს. ლევანი შეკრთა.

— ნამოდექით, — უთხრა მოხუცმა.

ლევანი ზეზე წამოიმართა. დუმილი განახლდა, მაგრამ ამჯერად დამთრგუნველი აღარ ყოფილა. მოხუცმა კვლავ სათუთად დაკეტა კარადა და ტახტს დაუბრუნდა. ლევანიც თავისი ადგილისაკენ გაემართა, ისე ფრთხილად, თითქოს საკუთარი ნაბიჯების ხმა აშინებდა. ერთიმეორის დუმილს აყურადებდნენ. ახლა გამოუთქმელი სიტყვები ტვირთად აღარ აწვებოდათ. თანდათან დამშვიდდნენ. როგორც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ძვირფასი არსება ზოგჯერ სიზმრად მოგვევლინება და უსიტყვოდ გვიმზერს, მხოლოდ ანათებს, — ასე ეჩვენა ახალგაზრდა კაცს თავადი.

— ნუთუ თქვენც ისე ინახავდით ამ თასს, როგორც ძველი დროის ნაშთს, როგორც ექსპონატს? — სიჩუმე გაუბედავად დაარღვია ლევანმა.

— დიახ, მეც, — უპასუხა თავადმა, — ჩემში დავანებულნი წმინდა მხეცის ძალა დაუფიქრებლად გავფლანგე.

— როგორ ვირწმუნო, რომ თქვენ სამყაროს ოდენ ზედაპირულ ჭვრეტას დასჯერდით?

— სწორედაც რომ ოდენ ზედაპირულ ჭვრეტას. ეს კიდევ არ იქნებოდა ყველაზე უარესი, ინდოელებისა და ჩინელების მსგავსად ყოფიერად რომ მივცემოდი ამ ჭვრეტას, მაგრამ ჩემმა ჭვრეტამ თანდათან დასავლური სახე მიიღო: მშრალ, ცარიელ ცოდნად იქცა.

საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

შემდეგ თავადი ფეხზე წამოდგა, ნელა მიუახლოვდა ფანჯარას და რამდენიმე წამს ცას შეჰყურებდა.

— ორიონი უკვე გამოჩნდა, — ჩურჩულით წარმოსთქვა, — გინდათ შეხედოთ?

ლევანი მიუახლოვდა.

— დაე, ის იყოს ჩვენი იდუმალი მოწმე! — თქვა თავადმა. უეცრად მკვეთრი მოძრაობით შემობრუნდა და უცხო, სხვაგვარი მზერით შეხედა ლევანს.

— აიღეთ ეს გასაღები, — თავადმა ღრმად ჩაისუნთქა და შემდეგ წარმოსთქვა: — ამიერიდან შენ იქნები თასის მცველი.

ლევანმა უხმოდ, ათრთოლებული ხელით გამოართვა გასაღები.

— ამას ჩემს დღიურში ანდერძის სახით შევიტან, — განაგრძო თავადმა.

ახალგაზრდა კაცი დიდხანს შეჰყურებდა მოხუცს თვალბეჭით.

**გერმანულიდან თარგმნა  
თამარ კოტრიკაძე**

ეკა ბუჯიაშვილი

## „აბა, საფრანგეთში იცხოვრა!“

□

### ნიწო სადღობელაშვილის რომანის წარდგინება

ფრანგ მწერალ ქალს რომ შეექმნა ეს რომანი — „ორსული“ — წარმომიდგენია, განათლებული საზოგადოების რა ხმაური მოჰყვებოდაო, — ასე დაიწყებს როსტომ ჩხეიძე საუბარს ნიწო სადღობელაშვილის ნიწის შესახებ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ წარდგინებაზე.

ჟურნალში დაბეჭდილიც ერთბაშად მოიპოვებდა მკითხველს, ევროპულ ენებზეც სასწრაფოდ ითარგმნებოდა, არც რეცენზიები თუ ლიტერატურულ-კრიტიკული ესეები მოაკლდებოდა, და როსტომ ჩხეიძეს იმაზე სწყდება გული, რომანს ჩვენში რომ ვერ მოუპოვებია სათანადო გამოხმაურება:

— ჩვენში შესაფერის გამოხმაურებას არ უნდა ელოდეს... რაც არ ღირსებით კიდევ უფრო მნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებებს, თუნდაც რომანთა წყებას, „ორსულს“ როგორღა დაებერტყება თავს... უჩემრად გადადის თითო-ოროლა მკითხველის ხელში, რადგანაც ავტორი არ მიეკუთვნება ფსევდოელიტარულ დაჯგუფებებსა თუ ტელემწერლებსო, — ამბობს იგი და მთლად რომ არ მოშლილა და წამხდარა ყველაფერი, ესლა აძლევს იმედს, რომ სალიტერატურო კრიტიკაც თვალსაჩინო ნაკადად გამოიკვეთება და არც „ორსული“ დარჩება ბედის ანაბარად, თორემ „ცოდვანი არიან მისი გმირები, რომელნიც ასეთი მღელვარებით, ასეთი დაუცხრომლობით ლამობენ მარტოობის გარსის გადალახვას, ხელისგულზე გიდებენ ყველაზე იდუმალ ფიქრებსა და განცდებს“, გიგროვებენ სიკეთესა დასიყვარულს, გიგროვებენ სიჩუმეს, როსტომ ჩხეიძეს ჰაინრიხ ბიოლის ერთ ნოველას რომ ასხენებს უცნაური სახელწოდებით — „დოქტორი მურკე აგროვებს... დუმილს“ — და ნობელიანტი მწერლის ამ სატირულ-გროტესკული ხერხებით გამორჩეულ თხზულებასთან პარალელს რომ გაავლებს, იტყვის:

„რაკურსი თავისთავადაა განსხვავებული სხვადასხვა მწერლური მანერის გამო. ამგვარი მიგნებანი მნიშვნელოვანი გავლენით არ ხდება — იმის მიუხედავად, ახსოვდა თუ არ ახსოვდა ამ სტრიქონების წერისას დოქტორი მურკეს სახე — ნიწო სადღობელაშვილის რომანის ეს პასაჟი ამიტომაცაა არა ნასესხობის ნაყოფი, არამედ ორიგინალური, დაგვირგვინებული სიჩუმის ასე მოულოდნელი აღქმით, რაც გარეგნულ ეფექტზე მეტად იმ სიღრმითა და

ნიუანსობით გვიხილავს, რაც საერთოდ ნიშანდობლივია ამ რომანის სტილისტიკისათვის“.

ნიგნი, რომელიც რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე ტრიალებს, ყურადღებას სწორედ მწერლური მანერით იპყრობს.

„ყოფითობა ძალუმად გიბიძგებს პუბლიცისტური მანერისაკენ, არა მოჩვენებითი ჟურნალიზმისაკენ — რაც სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი მხატვრული მეთოდი — არამედ ნამდვილი პუბლიცისტური სტილისტიკისაკენ და... კიდევ დაკარგავს თხრობა თავის დანიშნულებას არალიტერატურული ნაკადის შერევით.

მითუფრო საფრთხილია, რომ პუბლიცისტური ნაკადი არ შემოგერიოს, როდესაც უშუალოდ შემოგაქვს დოკუმენტური ფონი, როგორც აგერ ნინო სადლობელაშვილის რომანში ჩნდება 2007 წლის 7 ნოემბრის რბევის სურათები. ხელშესახებად წარმოსახო ის დრამატული დღე და ხელიდან არ გაგისხლტეს მხატვრული საბურველის ძაფი, რათა თხრობას ქსოვილის უსიამოვნო ნარღვევები არ დააჩნდეს“...

ბატონი როსტომი ნანარმოებში გამოკვეთილ სიმბოლოებზეც გაამახვილებს ყურადღებას, იმ ბიბლიურ სურნელზეც „ქარს გატანებული პურის“ სიმბოლიკას რომ მოაქვს. მასზე, როგორც ზნეობრივ საყრდენზე, ამოშენებული რომანი, თავისებურ სენტენციად წარმოდგენილი სათაურითაც რომ გამოირჩევა, მონაპოვრად შეემატება ქართულ ლიტერატურას. და როსტომ ჩხეიძეც, ვინც არაერთ ახალგაზრდა მწერალი გამოიყვანა სალიტერატურო ასპარეზზე და ხელი შეუწყო დამკვიდრებაში, იტყვის:

„ზომ შეგვიძლია ვესწრაფოთ დიდ სახელმწიფოთა — თუნდაც საფრანგეთის — მაგალითის განმეორებას და ყურადღება არ მოვაკლოთ ნიჭის ყოველ გამონათებას.

გამონათებასაც კი, თორემ ნინო სადლობელაშვილის რანგის შემოქმედს ისედაც არ უნდა მოაკლდეს ზრუნვა — ხშირად კი არ ვართ მონმენი „ორსულისთანა“ რომანების გამოჩენის... არც იმგვარი ლირიკული ნიმუშების, მისი პოეტური ოსტატობით რომ აღბეჭდილან... არც იმგვარი ესეების, თანდათანობით წიგნადაც რომ მოიყრის თავს...

ისე, აბა საფრანგეთში ეცხოვრა“...

\*\*\*

**მაია ჯალიაშვილი:**

— ხანდახან ამა თუ იმ ავტორის დებიუტი გამორჩეულია, მაგრამ შემდეგი ნანარმოებები ახალს აღარაფერს გვეუბნებიან. ნინო სადლობელაშვილის შემთხვევაში კი ასე არ მოხდა. რომანის ჟანრი მაინც თავისებურ ოსტატობას მოითხოვს ავტორისგან და მან ეს თავის ახალ წიგნში წარმატებულად დაძლია. ჩემი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიიქცია ნანარმოების ენობრივმა სამყარომ, მდიდარმა ლექსიკამ, დამოკიდებულებამ სიტყვისადმი... გამაოცეს პერსონაჟებმა, იყო საშიშროება, რომ ისინი სქემატურნი ყოფილიყვნენ, მაგრამ ავტორმა შეძლო გამოკვეთილი სახეებისა და ხასიათების შექმნა. კითხვისას მაინც მქონდა განცდა, რომ მთავარი გმირი ავტორია. მართალია, მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ამ რომანით ალბათ იმაზე უკეთ გავიცანი, ვიდრე ჩემი რომელიმე ნაცნობი. ეს გმირები მისი პერსონიფიცირებული იმედები არიან.

სათაური გავიაზრე როგორც შთაგონებით, სიტყვით ორსული მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სიცოცხლე გაგრძელდეს. აუცილებელია სულიერი შთამომავლობის დატოვება. დახვეწილი ფრაზები, ხატოვანი ენა და უჩვეულო მეტაფორები კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი, უწინარესად, პოეტია...

**სალომე კაპანაძე:**

— როცა ნანარმოებს კითხულობ, შენს დვრიტას უნდა პოულობდე. ნინო სადლობელაშვილის რომანში სწორედ ეს დვრიტაა. ის ძალიან ჰგავს თავის გმირებს. მომწონს მისეული აღქმა პატრიარქალური ფშავისა, განცდა აფხაზეთის მოვლენებისა...

თომას მანი ამბობს: მწერალს არა აქვს უფლება უყვარდეს, მან უნდა იცოდეს რა არის სიყვარულიო. გავბედავ და შევეწინააღმდეგები: ჩემი აზრით, სიყვარულის გარეშე ვერ განიცდება ის ყველაფერი, რასაც მწერალი გადმოგვცემს. ყველაფერი საკუთარი განცდებით უნდა იწერებოდეს. გული და გონება მწერლისა სინთეზში უნდა იყოს. სწორედ ეს არის ის დვრიტა, რაზეც ვსაუბრობდი და რაც მთელი სიცხადით დამანახებს ნანარმოებში აღწერილ მოვლენებს.

მინდა ვუსურვო ნინოს, რომ მასთან ყოველთვის იყოს სიტყვა, რომელიც არის ღმერთი, რადგან მისი სიტყვა უკვე არის ღმერთი, რაკი შეუძლია ასე დაგვანახოს და განგვაცდევინოს სამყარო.

\*\*\*

— მოგეხსენებათ, გამომცემლობაში მოდის ყველა, ვინც კი რამეს წერს. ჩვენ ხანდახან ვხუმრობთ: წერას ჰყავს ატანილი მთელი საქართველოო, — იტყვის შეკრებაზე გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი **კახმეგ კუდავა**, — მახსოვს, ნინოს ნანარმოებები თანამშრომელმა, ნინო ყულოშვილმა მომცა. სალამოს ვიფიქრე: გადავხედავ-მეთქი და აღმოჩნდა, რომ იმავე ლამეს მთლიანად წავიკითხე და გადავწყვიტე წიგნად გამომეცა. დღეს



ნინო სადლობელაშვილი

კი მემამაყება, რომ მისი პირველი წიგნი „ბამბაზიის სამოთხე“ „ინტელექტმა“ მოამზადა.

ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ახალგაზრდების შემოქმედება საზღვარგარეთ გავიტანოთ. ჩვენ ბევრ წიგნს ვთარგმნით ქართულად და ახლა, ჩემი აზრით, ქართულიდანაც უნდა ითარგმნოს. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ამ თვალსაზრისით სხვა გამოცემლობებთან და ახალგაზრდა მწერლების, მათ შორის ნინო სადღობელაშვილის შემოქმედებაც, ყოველგვარი დახმარების გარეშე გამოვცეთ. თუკი რამდენიმე გამოცემლობა ერთად დავედგებით, ამ კარგი საქმის გაკეთებაც შეიძლება.

„ბამბაზიის სამოთხე“ კი უკვე ქუთაისის თეატრის სცენაზეც დაიდგა და ფილმაც გადაიღეს. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი **ვანო ხუციშვილი** პირველთაგანია მათ შორის, ვინც ნინო სადღობელაშვილის სათქმელს იგებს:

„ამისათვის მადლიერი ვარ უფლისა, მადლიერი ვარ იმიტომ, რომ ასეთ ადამიანს გადავეყარე. ნინო პიროვნულადაც ისეთია, როგორც წერს. მისი „ბამბაზიის სამოთხე“ რეპეტიციაზე მიმავალმა სამარშრუტო ტაქსში წავიკითხეთეატრში მისულმა პირდაპირ რეჟისორს, გიორგი სიხარულიძეს მივეცი და ვუთხარი, რომ ეს ის ნაწარმოები იყო, რომელიც სცენაზე უნდა გაცოცხლებულიყო.

ვფიქრობ, წარმატებული სპექტაკლი გამოვიდა. ბოლო ათწლეულის თეატრალურ სამყაროში „ბამბაზიის სამოთხე“ ერთ-ერთი იყო იმ პიესებს შორის, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვულოცავ მწერალს და აქვე ვთხოვ, რომ დრამატურგიაშიც ხშირად მოსინჯოს კალამი. მას ეს ძალიან კარგად გამოსდის.

სწორედ ამ ნოველათა კრებულს გამოარჩევს საუბრისას **გია ჯოხაძე**, „ბამბაზიის სამოთხის“ გმირებს რომ აღწერს — სულიერი ტკივილით გათანგულ ადამიანებს, „რომელთა სამყაროში სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩენილა ცნობიერების გახლეჩამდე და, მგონი, ველარც მთხრობელი არჩევს კარგად, სულის ტკივილიმა პერსონაჟი სულით ავადმყოფად ხომ არ აქცია“.

იგი ჩაუღრმავდება წუთისოფელში ერთ წუთით დარჩენის ნეტარებასაც, ნაწარმოების შრეებში გამორჩეულ ფოლკლორულ ნიუანსებსაც, სევდის ერთგული მწერლის ესთეტიკასაც და მაინც... მაინც უშუალოდ ნოველა „ბამბაზიის სამოთხეს“ გამოარჩევს, დრამას ტკივილებით გათანგული ქალისა, რომელსაც თავისი შემოდგომისას ნამოსწევია ერთადერთი ვაჟის დაკარგვა და ახლა თავის ამოყირავებულ სამყაროში მხოლოდ კედლები თუ შეიჩინებენ ხსოვნას დაკარგულ სამოთხეზე, ვაჟზე, რომლის პატარაობისდროინდელი ბამბაზიის სამოსელიდან დედა ყველა ბავშვისთვის საყვარელ ფიგურებს ქრის.

„სამოთხე ერთხელ და სამუდამოდ დაკარგულია. დანანვერებულია გონება, ამიტომაც შობს მის სიმულაციას: მეორე რეალობას, რომლის აღქმას ჯიუტად უარყოფენ ირგვლივმყოფნი. მოელი კიდევ, რომ ყველაფერი ასეთათვის ავადსახსენებელი მოდელირებული სამოთხით — ფსიქიატრიული კლინიკით დამთავრდება. მაგრამ ერთი რამ გნავს და გთრგუნავს ამ არჩევანში: მწერალი მართალია, რაც იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟი ცოცხალია. იმდენად მართალია, რომ ზემოთ აღწერილი დედა და ქალი

არც პროტესტს გამოხატავს, არც პირს იხოკავს, არც ლანდებსა და აჩრდილებთან მეგობრობს... ის ბოლომდე, ფსკერამდე წვდება თავის ტკივილს, რადგან ეს ერთადერთი გზაა ფეხზე ნამოსადგომად — ანუ „ახალ პლანეტაზე“ დასამკვიდრებლად, რომელსაც აკი ეწვევა კიდევ მოთხრობის ბოლოს საჩვენებელი ფრენისას გადმომხტარი პერსონაჟი.

სამოთხეში დაბრუნება კი... მხოლოდ სიკვდილით შეიძლება“, — იტყვის ბატონი გია და ნინო სადღობელაშვილის მიერ ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილ მშვენიერ ესეისაც — „აველუმ, მშვიდობით!“ — რომ მიმოიხილავს, ერთგვარ რევერანსად წაიკითხავს, ბელა ახმადუღინას მიერ ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი ლექსის თარგმანს, რომლითაც კიდევ ერთხელ წარმოჩნდება გია ჯოხაძის მთარგმნელობითი ნიჭი.

\*\*\*

**ზვიად კვარაცხელია:**

„ქალმა რომ რომანი დაწეროს, საჭიროა ფული და საკუთარი ოთახი“, — ამბობდა საუკუნის წინათ ღრმად პატივცემული ვირჯინია ვულფი. მერე დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელია ის, რაც მაშინაც იყო — ნაკადი მოსაწყენი რომანებისა და მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული წიგნი. მეტიც — შეიქმნა ერთგვარი დოგმატი თანამედროვე რომანისთვის, სადაც აუცილებლად უნდა იყოს სისხლი და გაუკულმართებული სექსუალური ურთიერთობები. ეს თეორიული სტანდარტი ნინო სადღობელაშვილის წიგნში ძალიან მკრთალად ილანდება, სამაგიეროდ, რომანს ჰყავს სხვა პერსონაჟები — ავტორის უჩვეულო წარმოსახვის შვილები.

ამ რომანის პერსონაჟია ამირანის მითი, ბავშვობიდან რომ დაატარებ. ტირილამდე მშობლიურია ქრისტე-ღმერთის ნათლულისა და მიცვალებული ჭაბუკის უთანასწორო შერკინება — რაც შაოსან დედას იოლად ძალუძს, დევებთან მორკინალი და ბოროტების მომსვრელი გამირისთვის შეუძლებელი გამხდარა.

„როსულის“ მოქმედი პირია (თანაც გამორჩეულად სახიერი) ეკა გვიანიძის ოთახი — შუაზე გაყოფილი ტყუპი სივრცე. ერთ ნაწილში ადამიანური ქაოსი სუფევს: საკერავი მანქანა, რკინის სასტუმრო საწოლი, მტვერსასრუტი, კარადა... მეორე ნაწილი ყოფითობისგან დაცლილა და ზედმეტად ჰაეროვანი, მშვენიერიც კი ეთქმის — აქ ნაბლისფერი საწერი მაგიდაა, ქათქათა ფურცლებითა და უნესრიგოდ მიმოფანტული წიგნებით. ოთახს ზედმიწევნით შეეფერება ბიბლიური სიმბოლო: მართა და მარიამი.

ნინო სადღობელაშვილის განუყრელი გმირები არიან ქართული გვარები, რომლებიც ხან სიჩუმიდან დაიძრებიან ყეფა-ღავღავით, ხან ლავაშებივით განვებიან მთვარის პირზე, ხანაც, როგორც პურის მარცვალი, მღივან მიწაში ჩაცვივდებიან და ოქროდ ჩაღვლებიან.

არ დამავიწყდეს: მარტო სახე რად ღირს — „გვირილებივით დაწყობილი ხინკალი“ — და მერე მთელი შემოქმედებითი ლაბორატორია, განსაკუთრებული სიჩუმით ხელმონერილი, რადგან უაზროდ წამოსროლილმა სიტყვამ შეიძლება ხინკლის ნაოჭები შელახოს და კედლებს სიმყიფე დაუკარგოს.

ამ მიზეზებისა და პერსონაჟების გათვალისწინებით, ნინო სადღობელაშვილის „ორსული“ ამოვარდნილია თანამედროვე რომანის კლიშეებიდან, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი სწორედ იმ თანაგრძობის, თანალმობის, მწერლის თანაარსებობის მაღლს დაატარებს, რომელიც ასე გვაღელვებს და გვენატრება თითოეულ ჩვენგანს“.

**ინგა მილორავა:**

— რაღა თქმა უნდა, ნინოს ასე თუ ისე ვიცნობდი, მაგრამ ამ რომანმა სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილება დატოვა, რადგან, ჩემი აზრით, თანამედროვე რომანისტიკა არ არის განებივრებული ამ ჟანრის თხზულებებით. აქ ერთმანეთს შეერწყა სრულიად განსხვავებული მხატვრული აღქმა, წერის მანერა და, ამავე დროს, შინაგანი სიბრძნე — ერთდროულად მიწიერიც და ზეციერიც, ინტელექტუალური და, ასევე, ინტუიტიური, სადაც ქვეცნობიერიდან წამოსული. მწერალი ჩვენი ყოფიერების ისეთ შრეებს ხსნის, რომ თუ არა ქვეცნობიერი, მხოლოდ ცნობიერით ამ ყველაფერს ვერ ჩანვდები. ეს არის ნაწარმოები, რომლის შესახებაც შეიძლება დანერო, მაგრამ ფიქრი მის შესახებ არ მთავრდება და მუდმივად ახალ-ახალი განცდები ჩნდება.

რომანში სამი შრე ამოქმედდა:

ამბავი, რომელიც ძალიან საინტერესოა და სრულიად უცხო გრაფიკული სტრუქტურით არის დანაწევრებული; ემოციური შრე, რომლითაც იკვრება კავშირი მწერალსა და მკითხველს შორის და ეს თანაზიარობა გრძელდება და გრძელდება;

და რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უნიკალურია — მხატვრული ქსოვილი, ტექსტი მთელი თავისი ნიშნებით, სივრცისა და დროის სრულიად განსაკუთრებული სტრუქტურით, ძალიან საინტერესო ხატებითა და სახეებით შევსებული.

აი, ამ ქარგაში იქსოვება სიუჟეტი — მწერლის გულით და არა ხელით. და თუ გაქვს შესაბამისი აღქმის უნარი, უდაბნაკარგოდ მიიღებ ამ ყველაფერს.

ნინო სიტყვით მხატვარია. მას თხრობაში ერთგვარი ბინდი შემოაქვს, რომელიც თანაზიარობას, იქ ყოფნის განცდას იწვევს და ამ ლურჯ ბინდში ჩაძირულ სამყაროში მოძრაობენ ეს სხეულები, რეალურნიც და ირეალურნიც, ხელშესახებნიც და, ამავე დროს, ეფემერულნიც. შენ შეგიძლია შეხვიდე და იცხოვრო ამ სამყაროში, სადაც სულზე მთხრობელ პოეტურ ტექსტში სულ ცოტა ხნის წინანდელი რეალობა შემოდის, რეალობა, რომელიც გაანალიზებულია არა მატერიალისტურად, არამედ მხატვრული სახეებით და ამით აღწევს ავტორი ემოციურ ზეგავლენას მკითხველზე.

\* \* \*

— ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ჟამი შემოსაზღვრულია, ძალიან მოკლე დრო-წუთი ეძლევა ამ სამყოფელში. ბოლო კი სიკვდილია. ეს მრავალგზის ნათქვამი და ნაფიქრალი მწერალმა ხელახლა, ოღონდ თავისებურად და მიმზიდველად შეგვახსენა. „სიკვდილი მიყვარს, ის გამონვევასავითაა, მტერივით, რომელიც შენი ცხოვრების მთავარ აზრად გექცევა ბოლოს“.

გიყვარდეს მტერი შენი გარდატეხულია როგორც გიყვარდეს სიკვდილი შენი. სიკვდილზე გამარჯვების, სიცოცხლის მარადიულობის, სულის, ნიჭის, სიყვარულის მარადიულობა სწამს მწერალს და ეს რწმენა გადამდებია, — აღნიშნავს **ნინო ვახანია**, ვინც ჩვეული სიღრმით მოიხილავს ნაწარმოებში გამოკვეთილ თემებსა თუ სიმბოლოებს და ყურადღებას პურის სიმბოლიკაზე გაამახვილებს.

— რადგან არაფერი ადამიანური ადამიანისთვის უცხო არ არის, სხვა გამოსავალი რომ არ აქვს, მთავარი გმირი კოტე ნიჟარაძე ბავშვობის მეგობარს დააბეზლებს და მერე აღსარებასავით ხატავს იუდას, ქრისტეს გასაცემად რომ მიიჩქარის.

რომანში არის უძღები შვილის ალუზიაც, პერსონაჟთა დამოკიდებულება საკუთარ მამებთან შეიძლება წავიკითხოთ, როგორც დამოკიდებულება ღმერთთან. ყველაზე ხელშესახები მაინც პურის სიმბოლოა:

„ქარს რომ გაატან შენს პურს, რათა მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძიო — აი, ამ კარგვაზე და პოვნაზე ეს ნიგნი.“

ქარი კი მთელ სამყაროში დადის და სრულიად წარმოუდგენელ ადგილებშიც შეუძლია დათესოს შენი პური.

ეს ნიგნი ამ მომკილ პურსაც გულისხმობს.“

და მაინც, ეს არის ბიბლიურ თემებზე დაწერილი ნიგნი, როგორც პურის მარცვალი არ იკარგება უკვალოდ, ხნულში გადაგდებული ღივდება და კვლავ პურად იქცევა, ასევე მუდმივია სულიერი პური, სულიერი საგზალი, რომელიც მარადიული ფასეულობების სახით გვეძლევა.

ყველა მოკვდავის ბედისწერა ისეთია, როგორც რომანის ერთი პერსონაჟისა, რომელიც „მიდიოდა რწვეა-რწვევით, მანძილი ნელ-ნელა აპატარავებდა მის ტანს, ჩრდილს. ამცრობდა, ათხელედა და ბოლოს სულაც ჩვილისხელასაც მალე შეინოვდა შუადღის მუცელი და თავის პირველ სამშობლოში დააბრუნებდა. ასე იწყებია და მთავრდებია ადამიანები ყოველდღე, ყოველწამს, თუკი ისინი გზას ადგანან და თუკი მათ, მგზავრებს, მიმავლებს, ვიღაც თვალმოუშორებლად ზურგიდან შესცქერის, თვალებით უხვრეტს ზურგს და ფიქრობს, რომ აღარც ეს დრო და აღარც ეს კადრი აღარასოდეს განმეორდება“.

**მარიამ ნიკლაური** კი პოეტის სიტყვასა და სიტყვის მისტერიის უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრებს, ტექსტის ყველაზე დაფარულ ლაბირინთებშიც შეგვახედებს, მწერლის ოსტატობასა და ლამის პირად ნაცნობებად ქცეულ პერსონაჟთა გალერეასაც წარმოგვიდგენს და ამ პასაჟს გამოარჩევს ნაწარმოებიდან:

— აი, უმთავრესი, რაც მინდა გამოვყო და რაზეც აქ არ უთქვამთ: ეს არის დედის სიტყვები მთავარი გმირის, კოტე ნიჟარაძის შესახებ (მე ვიტყვოდი, გასაღებიც კი ამ რომანისა): „საშინელი თვისება აქვს: არასოდეს მარცხდება! და რაა ეს დაუმარცხებლობა? იქნებ სწორედ გამარჯვების კარის დახშვა საკუთარ თავში და იქნებ ეს თვისება არა მხოლოდ პოეტს, არამედ მთელ საზოგადოებასაც გვჭირს?“

ძალიან ბევრი რამის თქმა შესაძლებელი და ბევრი ადგილი და პასაჟია გამოსაყოფი ამ რომანიდან, მაგრამ ავტორის მიერ გამოგონილი „მეთერთმეტე მცნებისა“ არ

იყოს, „არ მოიხიბლო“, ჩვენც და ალბათ მთელ საზოგადოებასაც ამაზე გვაქვს დასაფიქრებელი.

მთელი რომანი დაწერილია მისტიკის, ცხად-სიზმრის, პოეტურობისა და ცხოვრებისეული სისასტიკის ზღვარზე და როგორც ამ რომანის ერთი გმირი ამბობს: „ბავშვობიდან მძულს მისტიკა, რადგან სულ მგონია, რომ ამაზე ყალბი არაფერია სამყაროში. სიყალბე კიდევ სიცრუეა და ძალიან ბრძენი უნდა იყო, ტყუილი რომ კეთილად მოიხმარო“.

ბრძენია ავტორი, რომლის მიერ არაჩვეულებრივად მიგნებული ეს საცალფეხო ბილიკი რომ არა, სტილურად ვერაფრით შეკრავდი ამდენ ერთი შეხედვით დამოუკიდებელ ამბავსა და პრობლემას, როგორიცაა: საქართველოს უახლოესი წარსული და დღევანდელი, მითიური ამირანის ძლევა-უძღვევლობა თუ მთაში შენახული ყველაზე წრფელი სიყვარულის თემები, აფხაზეთისა და საერთოდ, შინაგანი ლტოლვილობის თემა, საკუთარი თავიდან გასვლისა და საკუთარი უნაყოფობის დაძლევის პრობლემა, მარადი იუდასა და მარადი ქრისტეს ურთიერთობა, ეგოიზმისა და სიყვარულის ბრძოლა, ხელოვანის ზნეობა, წარსულისადმი პასუხისმგებლობა და მომავლისადმი დამოკიდებულება, ყოველდღიურობაში შემოჭრილი პოლიტიკა, თავისუფლების არსის გარკვევა, მამის ნიაღის ძებნა, ცხოვრებისეული საზრისის, სამშობლოსა და ღვთის ძიება. მერე ამ ყველაფრის ხელოვნებაში და სიტყვაში გადასახლება და ამით სამყაროს კიდევ ერთხელ და უთვალავჯერ აღწერა, გამოხატვა. უთვალავჯერ „რწმუნების“ მოძიება საკუთარ თავში და საკუთარ ერშიც, რომ სიყვარული უმაღლესი თავისუფლებაა, გზაა ღვთისკენ, მარადისობაა. და ამ გზაზე დაცემული ადამიანის კათარზისისთვის კი ალბათ მართლაც საჭირო „დედის მუცელში დაბრუნება და ხელახლა შობა“.

\*\*\*

— აი, გამოვედი ჩემი ნუსხით... ამჯერად შვიდი პუნქტი მაქვს მოხაზული, — იტყვის **თემურ ნადარეიშვილი** და ვიდრე ფურცელზე ჩანიშნულ სათქმელთა რიგს ჩამოუყვება, გულდანყვეტილი დასძენს: დროის სიმცირეს რა ვუთხრა, თორემ ჩანიშნული უფრო მეტიც მაქვს, — და ისაუბრებს გამომსვლელთა სიტყვებით გამოწვეულ ასოციაციებზე, ისაუბრებს იმ არაჩვეულებრივი წერტილიდან, სადაც, ფიზიკისა და ლიტერატურის უცნაურ გადაკვეთაზე რომ მდებარეობს. და ამ უჩვეულო პრიზმიდან დაგათვალისწინებს არა მხოლოდ ლიტერატურის სივრცეებს. აი, მაგალითად, ასე:

— გამახსენდა სიტყვები „რიჩარდ მესამედან“:

„ჩვენ მხოლოდ სახეებს ვცნობთ და არა გულებს ერთმანეთისას“.

ჩემი აზრით, ამ წიგნითაც გულს ეცნობი, მწერლის გულს და ეს მთავარი მგონია.

როსტომმა სიჩუმის ხელოვნება ახსენა. ლაო-ძი ამბობდა: სიცარიელე ყველაფერი (ფიზიკაში მტკიცდება, რომ მხოლოდ სიცარიელე კი არა, ვაკუუმიც ყველაფერი). სიჩუმე ყველაფერს მოიცავს, აკირო კუროსავას ერთ-ერთ ფილმში არის გმირი, რომელიც ხმას არ იღებს და ეს ძალიან შთამბეჭდავია. ასე რომ, „სიჩუმის შემგროვებელი“ კარგი მოვლენაა.

ნინო სიტყვით მხატვარი არისო, — ითქვა აქ და მისი სიტყვები ლეონარდოს ბუნდოვან ფერებს შეადარეს. მახსოვს პირველად რომ ნავიკითხე მოხუცი და ზღვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იმ ნავში მეც ვიჯექი. სიტყვა ზოგჯერ ამგვარად მატერიალიზდება. ასე ხდება ამ რომანშიცო.

**ლევან ქურციკაშვილი** კი — ექიმი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს — გაიხსენებს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე „პრუსტის ანკეტი“ რუბრიკით გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელიც კარგად ამჟღავნებს ნინო სადღობელაშვილის ბუნებასა და მრწამსს — შემოქმედებისა და პიროვნულსაც. განსაკუთრებულად კი მის ერთ პასუხს გამოარჩევს: კითხვაზე — თუკი ოდესმე შეხვდებოდი ღმერთს, რას ისურვებდი, რომ მას თქვენთვის ეთქვა? — ნინო პასუხობს:

— მოდი ჩემთან.

მგონი მხოლოდ ეს ერთი ფრაზა კმარა იმისათვის, რომ ჩვენთვის თვალნათლივ გაიხსნას ნინო სადღობელაშვილის ბუნებაო.

სწორედ ამ ბუნებას, მწერლის სულის მოძრაობას, ტკივილ-სიყვარულის თანამონაცვლეობას ვაპყვება **სოფიო ჯაფარიძე**, საინტერესო წერილით რომ გაგვიძღვება ნინო სადღობელაშვილის შემოქმედების სიღრმეებისაკენ და ერთგვარ პორტრეტსაც კი მოგვიხაზავს მწერლისა.

„მარადიულად მსხომიარე, სამყაროს ცენტრში აღმოცენებულ ცხოვრების ხედ მესახება ნინო სადღობელაშვილი მის სულში, მისივე შემოქმედებით მზირალს. „შენ ხარ ჩემი ხე“, — მისი ლექსის სიტყვებით ვეტყვი, — ამაყად ტანაყრილი, ცისკენ აღერებული, რომელსაც სცვივა და სცვივა დატკბილული ნაყოფი დამძიმებული ტოტებიდან, ზოგი — ლექსად, ზოგი — მოთხრობად. თუ ქარი ამოვარდა, კარგად შეთვალულმა ნაყოფმა იქნებ მეზობლის ეზოსაც უწიოს, ან მასაც გადაშორდეს და უცნობ სანახებსაც მიაღწიოს, იქაც დათესოს „სულის პური“.

„ქარი ხომ მთელ სამყაროში დაიარება“, „ჩვენ კი ერთმანეთში საკუთარი თავები უნდა ამოვიკითხოთ უნაყოფოების სახადივით ვეკრძალოთ და ერთურთის ჯვარი ვიტვირთოთ, ვინაშე „ერთად“ ქვეულმა სულმა კვლავაც შეძლოს სამყაროს „დაორსულება“.

ეს მხოლოდ ამონარიდია წერილიდან, რომელსაც სხვა გამომსვლელთა სიტყვებთან ერთად თანდათანობით ვრცლად გაეცნობა „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი, მანამდე კი...

თემურ ნადარეიშვილის გულისწყვეტით გეტყვით, რომ უფრო მეტი რამ მქონდა მონიშნული, უფრო მეტის თქმაც მინდოდა, მეტი ამონარიდის მოყვანაც, იმდენის, ნინო სადღობელაშვილის სულიერების, მისი ნიჭიერებისა თუ პიროვნული ხიბლის წარმოჩენას რომ იყოს, მაგრამ... ძნელია უცებ მოძებნო ყველა საჭირო სიტყვა და მეც დროებით ამას ვიკმარებ — ახალი ქარის ამოვარდნამდე, ახალი ნაყოფის შეთვალვამდე, ახალ „ორსულობამდე“, ახალი „სიცოცხლის“ დაბადებამდე, ახალ აღიარებამდე... შესაფერისი გამომხაურება რომ მოჰყვება ჩვენშიც.

— არადა, აბა საფრანგეთში ეცხოვრაო, — გული სწყდებოდათ „ჩვენი მწერლობის“ სალონში შეკრებილებს.

ნესტან ფიფია

## გულის კულტურით ნაკვები „გულის ბარძიმი“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ ბრძანა: „ქართველი კაცი მდიდარია, დაჯილდოებულია გულის კულტურით და ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ უმაღლესი ჯილდო მოგვანიჭა“.

ეს ჯილდო ასხივოსნებს ადამიანს, მიმღებლობის უნარის შესაბამისად, და როცა ხვდები მისი მადლით გამორჩეულს, გრძნობ განსაკუთრებულ სამყაროს, სიბოს.

ადამიანებთან, სიტყვასთან, გულის კულტურით ურთიერთობს მაია ჯალიაშვილი, მისი კრებული „გულის ბარძიმი“ რვა თავად სახელდებული ლექსების, იგავ-არაკების, მოთხრობების, რადიოპიესების, დღიურისგან შედგება.

შემოქმედის მადლიანი სითამამე სიტყვასთან, ფაქიზი დამოკიდებულება სასუფევლის იდუმალეხასთან თავის-თავადი სახეებით იკინძება.

საინტერესოა პოეტის მიერ ჩაფიქრებული სათაურის პოეტიკა, რომელიც უშუალო კავშირშია ლექსების ცალკეული თავების იდეურ და მხატვრულ ქსოვილთან. გიზიდავს, შთაგაგონებს კრებულის სახელწოდება „გულის ბარძიმი“. ბლეს პასკალის აზრით გული ინტუიტიური ცნობიერების იარაღია: „გულს თავისი კანონები აქვს, რომლებიც სრულიად უცხოა გონებისათვის“.

ბარძიმი კი სულიერების ისტორიაში ზეცნობიერ მადლთან ზიარებას უკავშირდება. თვით გრაალის თასი, ზოგიერთი მოსაზრებით, იოსებ არიმათიელის ბარძიშია, რომელშიც ქრისტეს სისხლი ჩაიღვარა.

ამდენად, მსაზღვრელ-საზღვრული „გულის ბარძიმი“ ამალღებულს და უფლის მთელი არსებით განცდას უკავშირდება.

სხვადასხვა თავების სახელწოდებანია: „ჰორიზონტის შადრევნები“, „მზის ტაძარი“, „ვარსკვლავთა წვიმა“, „ფოთლის პერგამენტი“, „მეწამული ხმები“, „შემკრთალი მინანქარი“, „დუმბილის მიღმა“.

„გულის ბარძიმი“ იხსნება ლექსით „ფიქრი სასუფეველზე“. აქ საღამო სადაფისებურია და შორეულ სასუფეველზე ფიქრი თითქოს განსახიერდება:

„სულს სინანულად შეენისლება ფიქრი შორეულ სასუფეველზე“, — ამბობს პოეტი.

მაია ჯალიაშვილის ლექსებში გრძნობა, განცდა, რით-მა შეუდარებლად წრფელია, გულის გულში გამოტარებული, ამიტომაც აქვს ძალა — ჩაგიყოლიოს და თანაზიარი გაგხადოს. აქ წუთისოფლის დაპირისპირებულობა, მინის კანონები — „ვით სახადი“, მართალი სიტყვის წყურვილი,



აკანკალებული სულით ნანატრი „მზეი ცხოველი“, ტკივილიანი წარსული („ხანძთა“, „შატბერდი“) მკვიდრობს და ფორი-ქობს. პოეტი ქალი დედაკაცური მადლმოსილებით ფლობს სიტყვას და ქმნის ლექსებს — გამორჩეულს, თბილს და ძლიერს, სევდიანს და ომახიანს, სინანულით დანისლულს და ზეცისადმი მიმართულს.

„ქალი პეპელაა, დედაკაცი ფუტკარიო“, — ბრძანებდა ილია მართალი. ქალი-პეპელა ამ პოეტურ სივრცეს ვერ განვდებოდა, „გულის ბარძიმი“ ქალი-ფუტკარის ნაღვანია, ნაყოფი კი სულის საღებუნია... „ჟამის უჟმურ წყვდიადში“ ცოდვა-მადლის პაექრობას „ლოცვის ლურჯი ნიაფი“ ააღვარებს და:

**სინანულის ცრემლებით  
დაიღტობა გუამი და  
კვალად აყვავილდება  
სულის შტო დაშრეტილი.**

მიძიმა ბნელისა და ნათლის მონაცვლეობა, „ცოდნის მღვრიე კოცონის“, „სიცრუის უდაბნოს“ განცდა, რაც კანონზომიერებად მოიაზრება, აქ „სიცოცხლე და სიკვდილი დროის ხარბი ჩარჩები“ არიან...

**დღე ღამეს მისდევს, ღამე – დღეს,  
სულის მოქანცულ წვალებით...**

და ამ სინამდვილით დაღლილ სულს ნათლის ზემი სწყურია:

**სული ჰგავს ნოტიო ლელიანს,  
მზის სხივთა აღერსის ნდომაში...**

ლექსი „სონეტი უცხო მონაზონს“ შინაგანი წვდომის სიძლიერით არის აჟღერებული. არანაკლებ შთამბეჭდავია პოეტური სახეები: „ვერცხლისფერი სული“, „მოგიზგიზე ცეცხლის სივრცეები“, „ჰორიზონტის სევდა“.

**მაღალ ცაში დასრიალებს ვერცხლისფერი სული,  
მიატოვე მოგიზგიზე ცეცხლის სივრცეები.  
შმაგ ტკივილებს დაგიაშებს ანგელოზი ფრთებით,  
განელდება ყოფნის მწარე,**

**გადახსნილი წყლული.**

ვკითხულობთ ლექსში.

ნათლიერებასთან თანაზიარების წყურვილია უსათაურო ლექსი („მეუფეო ზეცათაო...“)

**მეუფეო ზეცათაო,  
უამურ დროთ დამთმენო,  
მომეც ძალა,სულის ბნელი ცისკრად ამოვათენო...**

ამ სწრაფვაში, ძე შეცდომილის გზის გავლაში ფიქრები აფართოვებულან — „ფრთადაჭრილი ჩიტები“, ხოლო ძალა სიტყვაა, ამიტომაც „სიტყვას ცრემლი სცვივა ბროლის“, სწორედ ეს ცრემლიანი სიტყვა არის მაღლი, რომელიც სულის ბნელს ცისკრად ამოანათებს.

სიტყვის და ცრემლის მხატვრულ-მინაარსობრივი მთლიანობა განსაკუთრებული სილამაზით აჟღერდა ლექსში „და მოუღლეღად იქადაგებ“ (მამა არჩილს, მინდიაშვილს):

**სინათლის რტოებს გამოსტაცებ  
ტალღას ვნებისას  
და მოუღლეღად იქადაგებ  
სიმართლეს ღვთისას.  
მიაყურადებ ბნელ ღამეში  
ღვთისმშობლის ლოცვას,  
თვალთ გაგიცრიცავს  
მოვარდნილი ცრემლების შხეფი.  
ზეციურ მამულს სასოებით  
აღაპყრობ მზერას  
და მინიერი საქართველოს  
შეგაკრობს ბედი.**

ზეციურ მამულს მიპყრობილი მზერა და მინიერი საქართველოს დარდი იკითხება ლექსებში: „მთანმინდელთა ქართულით“, „ხანძთა“, „შატბერდი“ და ა.შ.

მთანმინდელთა მოვლინება ქართულ სინამდვილეში ღვთისმშობლის წყალობად იხატება ლექსში:

**თენდებოდა, ბრწყინდებოდა  
ცა ღვთისმშობლის თვალებით...**

შედეგად კი:

**და ბიბლიის ბილიკებით,  
ერი ნელგამართული,  
უფლისაკენ მიდიოდა  
მთანმინდელთა ქართულით.**

პოეტურ სამყაროში შობილი ეს ფრაზები ამთლიანებს დროსა და სივრცეს, მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვს: მთანმინდელ მამათა გონისა და ბავისგან „დაუყენებლად ვითარცა წყაროი აღმოდის“ უმნიშვნელოვანესი ქმნილებები, თარგმანები. და ამ სულიერი განძით შემდგომი საქართველო „უფლისკენ მიდიოდა. მშობლიურად გეტკივილებს „ხანძთა – ხერხემალგადამსხვრეული“, რომელიც

**სველ ქუთუთოებს ძლივს აწევს მაღლა,  
ფსალმუნთა სითბოს მონატრებულნი.**

ეს ლექსი ხანძთის ნახვამდე დავწერეო, — ამბობს პოეტი. ტაო-კლარჯეთის მოხილვამ კი განაცხოველა დარდი, ტკივილი ხელშესახებად ახლობელი გახდა და ღია ჭრილობას დაამსგავსა განცდა.

დღიურში 2008 წლის 17-19 ოქტომბრით დათარიღებულ ჩანაწერი გვამცნობს: „სამი დღე დავდიოდით ტაო-კლარჯეთის მიდამოებში, როგორც დაკარგული ედემის მაძიებლები...“

ის სამი დღე დაყვავი სხვა განზომილებაში, მარადისობაში, ან უკეთ, მარადისობის მინიერ გამოვლინებაში. ამიტომაც, ხორციტ განვეშორე ტაო-კლარჯეთს, მაგრამ სულით მარადის მივეჯაჭვე.

ახლად შევიგრძენი დაკარგული სამშობლოს ტკივილი“.

ეს განცდა ლირიკული სიღრმითა და სინაზით გახმიანდა ლექსად:

**შემინდე, შევცდი და შორეული  
გამიხდი ღვიძლო,მშობელო ჩემო,  
უნდა გაუძლო, არ დამიბერდე,  
არ ჩაგეშალოს მოწყალე მკერდი  
მოვალ, მიშველე, მაპკურებ ნათელს  
და შენდობილი ახლად ვიშვები.**

მაია ჯალიაშვილის ლექსები ჭეშმარიტ სიტყვასთან (ქრისტიანობასთან) ნილნაყარია. კრებულში არის ციკლი ქრისტიანული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი: „წინასაშობაო განწყობილება“, „ფიქრები შობისათვის“.

„სამყაროს საღბუნია“ ჰქვია ლექსს, რომელშიც პოეტურად არის გადმოცემული ვნების კვირის სიუჟეტი:

**ჩავლილი პარასკევი, ჩავლილი შაბათი.  
ორი დღე, რომელიც უდრიდა სიბნელეს  
და უსასოობის უსასრულობას.  
იქ თესლი დაიმარხა. დადუმდა. იდარდეს  
და მოლოდინში გამოიდარა.  
დარღვეულ სამყაროს დაედო საღბუნია.  
ლოდმა გაამყარა ნაბზარო თავანი...“**

„მელოდეთ“ აპოკალიფსურ ჟამს ხატავს:

**მოვავენ ქარებით  
წვიმებით, დარებით,  
ჩემს მაღლს და სიყვარულს,  
ჩემს მაღალ ზვარაკებს.  
კამკამა გულებით იმ წამებს ელოდეთ,  
ღამე რომ შუაში მზით გაიბზარება,  
დარეკენ ზარები, ზეიმით, წვალებით.  
და მოვალ, მომელის მწყემსიც და ჰეროდეს.  
კაშკაშა, ნეტარი სიტყვებით მოვდივარ,  
ოღონდაც მელნისფერ ღამეში იფხიზლეთ,  
ოღონდაც ჩაუშქრალ კანდელით მელოდე.**

მაია ჯალიაშვილის პოეზიის მხატვრული სისტემასთან მიახლოების გასაღებად კულტურის კოდს მოვიარებთ. „ლოდი თავკიდური“ (ლოდმა გაამყარა ნაბზარი

„თავანი“) „მზიანი ღამე“ („ღამე რომ შუაში მზით გაიბზარება“) უფლის მეტაფორებია. ქეშმარიტებაზე, სიცოცხლის არსზე ადამიანი თუ არ დაფიქრებულა, ნათლიერების ნაკლულევანებით დაბრკოლებულა იგი: „ვინც თავის დღეს და წუთისოფელს ისე ატარებს, რომ ერთხელაც არ დაუფიქრდება სიცოცხლის საბოლოო მიზანს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თავში ვერ პოულობს საკმარისს ნათელს“, მაგრამ სადაც მზის და ნათლის წყურვილია, იქ ადამიანობის – მისიის ერთგულებაა.

მზე „გულის ბარძიმში“ სხვადასხვა კონტექსტით გვხვდება, მაგრამ არსი ერთია: მზე-ნათლიერება: „იქ ახლა ის მოვა, ვინ ჩემი ნისლიდან მზე ამოზიდა“ („ფიქრები შობისათვის“); „ამოგინატრე მზეი ცხოველი შუალამისა...“ („ამოგინატრე“); „სული ჰგავს ნოტიო ლელიანს, მზის სხივთააღერის ნდომაში“ („განდობა ძნელია“); „ნახვალ მზესთან, სადაც მიწყვი ანთია კელაპტრები“ („სიმღერა“); „სველ ბალახში მზე რომ აიბურდება, მე სიცოცხლით ისევე გადავირევი“ („ავყვავილდები“); მზე გაიღიმებს, როგორც მარიამ... დაელმდებიან ბაღში ვარდები“ („გავალ ბილიკზე“); ლექსში პოეტი მზის ბინადარია: „მზე დამლევს, მზე მიგზნებს, მზე მიმზერს, მზეს ვუმზერ. მზეში ვარ. ვილევი“ („მზეში“)

ამ ლექსთა სამყაროში შენდობაც მზისფერია:

**უსჯულო კაცსაც შვილად მიითვლი და უწყალობებ მზისფერ შენდობას.**

ხვალინდელი დღისადმი ვედრებაც მზეს ემთლიანება:

**აღმავლინე, მზის ტაძარში დამანთე, ვით სანთელი ობლად მოძერნილი. დე სამყაროს სიცოცხლისთვის ლოცვაში მეცა მქონდეს ნილი.**  
(„მზის ტაძარში“)

ტკივილიანი სულის სალბუნსაც მზისგან ითხოვს:

**გათენდი, ჰე მზეო, სად ხარ, გათენდი, მისხენი.**  
(„მზეო, მისხენი“)

და როცა

**დაანერს შუბლზე სველი თითებით ცას ცისარტყელას, უფალი გზნებით...**

ველის შროშანების მხიარული შარიშურის ფონზე

**პირდაბანილი მზე გამოჩნდება, ხალეზიანი ტანის დარწვეით...**  
(„ცისარტყელა“)

მზიანი სინამდვილე არის „ნაზი და მშვიდი, როგორც რძიანი სუნთქვა ჩვილისა“.

მზის თანაზიარი პოეტი ვარსკვლავების წვიმით იჟღერებდა და ელტვის მზეს:

**მზეს შევხვდები, როგორც ცვარი და დავინთქმები... სამყაროს ზედა, და გაჟღენთილი სული ჩემი ვარსკვლავთა წვიმით მზეს ეახლება.**

(„ვარსკვლავთა წვიმით“)

ვარსკვლავთა წვიმის ტოლი ძალა აქვს ლექსის ქნარებს, ამიტომ უადვილებს პოეტს მზის ტაძართან მიახლებას:

**ნავალ და ლექსის ქნარებით მზის ტაძარს შევახიზნები.**  
(„ლექსის ქნარებით“)

საგულისხმოა, რომ ლექსების კრებულში თითოეულ განყოფილებას აქვს თავისი სათქმელი, აქ დაბინავებული ლექსები კი საოცარი ძალით იპყრობს მკითხველს, ხშირად განსხვავდება განწყობა და მხატვრული სახეები.

„ფოთლის პერგამენტი“ აერთიანებს ხელოვნებისა და ხელოვანებისადმი მიძღვნილ ლექსებს. აქ დაწერილი და დაუნერული ლექსების გზნება მჩქეფარებს:

**ახლა მე შეშლილს ვგავარ, სულში უცნაურ გზნებით მირღვევს სიცოცხლის სამანს დაუნერული ლექსი.**  
(„დაუნერული ლექსი“)

ან:

**რთველი მქონდა კანდამსკდარი ფიქრის, სიტყვის გორა ყურძენით დავწურე, ღვინოსავით ჩამოვასხი ლექსები, დიონისემ ვერ დაუდოს რამ წუნი.**  
(„უსათაურო“)

ტიციანის ლექსებით მენყრად მოვარდნილია პოეტის შთაგონება, მაგრამ მას „გულის ბარძიმში“ დატენილი ლექსები ჰქვია...

**დამახალე დატენილი ლექსები, გული მოკვდეს, გრძნობა სისხლად დაიქცეს... გამათავე სანამ დამენანება, სანამ ლექსი ცხელია და მქუხარე.**  
(„სანამ ლექსი ცხელია“)

ამ განწყობის დაკონკრეტებაა:

**დავიტბორე ღვითურ მადლით, მინდა ნათლად ჩამოვჩქერდე.**  
(„წამო ჩემთან“)

ამავე თავში ვხვდებით მიძღვენებს: „ვან გოგის ცხადში დასიზმრება“, „ფიროსმანი“. „ნათლად ამოჩქერილ“ ლექსთა სამყაროსთვის სევდა, მონატრება, იღუმალი დარდი

უცხო როდია. მზის ნათელთან წილნაყარი პოეტური ხმა მინასაც განსაკუთრებული ძალით უგალობს:

**ბავშვობა დარჩა სადღაც გარიყული,  
გაცვეთილი მოგონების ამარა.  
(„მენატრები“)**

მარად სათაყვანო ბავშვობის ხანას ეხიზნება წყურვილისფერი მონატრება და ბაბოს ხატება:

**ამ შემოდგომას შევხვდი უშენოდ,  
გარეთ ქარია და მენატრები.  
არ ვიცი სულს რა შემოვუშენო,  
გაძრცვილან ზეცის ლურჯი ხატები.**

მაია ჯალიაშვილის მადლიანი კალამი ლექსებს აგვირისტებს „მაღალი ფიქრების ზედაშეთი“ და ცრემლივით დაგორებული დღით, მარადიული კითხვით:

**სიმშვიდე — სინათლე თუ სიბნელე?  
როგორც მზიანი ღამის ქარაგმა.**

და ერთგვარი პასუხივით ჟღერს ლექსი „მინის ძახილი“:

**და მძაფრდება ჟინი ანდამატივით,  
რომ შეერწყა, შეეხვიო მინას.  
შეეყუდო ვით სანუკველ ტაძარში  
და ლოცვები იგალობო წმინდა.  
შემოინნა ტანზე მინის სიგრილე,  
მინა ხარ და მინად ყოფნა გინდა.**

მინის ძალა წინაპართა უხმო ძახილშია. აღნიშნულ კრებულში ბოლო ლექსის განწყობაც აღმაგალია, ნათლისკენ მიმსწრაფი:

**წავლენ ქალწულნი  
მრუმე ღამეში  
და იმ შორეულ ნათლის სვეტებს  
შეერევიან.**

მაია ჯალიაშვილის პოეტური ნააზრევი საინტერესოა გამოსახვის საშუალებათა ჰარმონიული შერწყმით, სიმბოლური დატვირთვით, მხატვრული სახეების ბიბლიასთან კავშირით. ყოველივე ამის გათვალისწინებით ყალიბდება „გულის ბარძიშის“ მხატვრული მოდელის განმსაზღვრელი ძირითადი კონსტრუქციული კოდი:

ამ მხატვრულ მოდელს სიცოცხლისუნარიანობას, გულისმიერ სითბოს ანიჭებს თვით ავტორი, ქმნადობისა და ურთიერთობის მაღლით ხელდასხმული ადამიანი, რომელიც ცივ გონიერებაზე მაღლა დგას.

წმინდა ნიკოლოზ სერბი ამბობდა: „სიყვარული განდევნის განსჯას, როგორც უსარგებლო მსტოვარს. სამაგიეროდ, აერთიანებს სამ სხივს — გონებას, გულსა და სულს და მათ ერთ სანთლად აღანთებს“.

სწორედ ეს სანთელი ანათებს „გულის ბარძიშს“ და მის ავტორს.

სერგი ლომაძე

## ტყვიები სულში

□

### ერთი ნიმუში კატო ჯავახიშვილის ახალი ნიგნიდან

რა ადვილია ფიქრი, და რა რთულია ამ ფიქრის ფურცელზე გადატანა: ზოგ რალაცას ისე ვერ ვწერ, როგორც მსურს, ხოლო ზოგი რალაცის თქმას გაბედავც უნდა...

დიდხანს ვყოყმანობდი, — ვერ გადამენწყვიტა, პირდაპირ დამეწერა თუ არა ის, რასაც ვფიქრობ: ოცდამეერთე საუკუნის პოეტ ქალთაგან, საქართველოში, კატო ჯავახიშვილი ერთ-ერთ ლიდერად მიმაჩნია, რამეთუ სრულიად განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეულია მისი პოეტური ხმა, მისი ლამაზი, გრძნობიერი, რთული ფრაზები... თუმცა ეს საუკუნე ახალია, და კატომაც ბოლო დროს დაინყო ლიტერატურაში სერიოზული განაცხადების გაკეთება (ვგულისხმობ მის ნიგნებს — „შენიდან ჩემამდე“ (2008 წელი) და „მარცხნივ“ (2010 წელი), მაინც ორივემ — ახალმა ასწლელმაც, შედარებით ახალგაზრდა პოეტმაც — ნაწილობრივ უკვე თქვეს თავიანთი მკვეთრი სათქმელი.

მოკლედ, ჩემი სტატია მართლაც ხმამაღალი ფრაზებით დავიწყე, ასე ვთქვათ, თვალშისაცემი „განცხადებით“, რაც შეიძლება არ იყოს მთლად გამართლებული, მიუთმეტეს, როცა ახალგაზრდა პოეტზე ვწერ, მაგრამ თუკი ამ პოეტის ნიგნის რედაქტორი როსტომ ჩხეიძეა, ხოლო ბოლოსიტყვაობა გივი ალხაზიშვილს ეკუთვნის, თუკი ასეთი ლიტერატურული ავტორიტეტებიც აღიარებენ კატო ჯავახიშვილს, ესე იგი ყველაფერი რიგზეა — ჩემი არჩევანი მცდარი არაა.

„მარცხნივ“ კატოს მესამე ნიგნია, და მეორე, რომელმაც ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ვფიქრობ, ესაა ძალიან რთული პოეტური ნაშრომი, ამიტომაც თავიდანვე გამოვრიცხე სტატიის შექმნა მთელი ნიგნის შესახებ: ამას ძალიან დიდი ენერგია სჭირდება. მე ავარჩიე მხოლოდ ერთი ლექსი, ერთადერთი ის, რომელიც პირდაპირ „გულზე მომხვდა“. სწორედ ამ ლირიკული ქმნილების შესახებ მინდა დავწერო. არა, არ ვამტკიცებ, რომ ზუსტად იგია საუკეთესო ნიგნში, უბრალოდ, მე ვწერ პატარა პოეტური ნახატის შესახებ, რომელიც სიტყვებითაა წარმოსახული, და რომელსაც შედეგად მივიჩნევ. ლექსის სათაურია „ამ ქალაქს“.

**„ამ ქალაქს, როგორც ნოსტალგიამოდებულ ღამის ასფალტზე წრიალს, მტკვრის სარკეში სრულიად მკვეთრად გამოსატული ნაოჭები უეცრად დადლის და მერე რალაც შეირხევა მარცხნივ და მკერდთან“.**

პირველივე კუბლეთი ტკივილიან პოეტურ ლაბირინთში იტყუებს პოეზიასმონყურებულ მკითხველს. აი ქალაქი, და ადამიანი, რომელიც იგივედება მშობლიურ ქალაქთან. და ეს ქალაქი-ადამიანი მტვრის სარკეში ჩასცქერს ნაოჭებით დაღარულ საკუთარ სახეს. მოხუცია ქალაქი, ხოლო სულით მოხუცია ადამიანი, რამეთუ ცხოვრება ისეთი სულაც არ

აღმოჩნდა, როგორადაც ჩვენ ამას გადმოგვცემდნენ (ბავშვობისას) უფროსების კეთილი ზღაპრები. ადამიანი იღლება ყველაფრისაგან, და იწყება გულის ტკივილი.

„სიმძიმის გრძობას შეაჩერებ მიჭერით ხელის ფილტვისკენ, სადაც ზღვის გადაღმა ჩაგდებულ ბადეს უცებ თუ მიხვდი, რა ამოჰყვა არცერთი თევზი და რუხი ფონი სასიკვდილო ელფერად გადევს სახეზე, თუნდაც აღარ ღირდეს დარჩენა მაშინ, თუნდაც ამ მიწას სიცხისაგან აწვავდე ტუჩებს და იდგე ცის ქვეშ და იცოდე ქოლგას ვერ გაშლი და შენთან ერთად ნატყვიარი აწვიმდეთ ქუჩებს“.

რას იზამ, ესაა კიდევ ერთი „დაღუპული თაობის“ ტკივილი, რომელიც თავიდანვე შეესწრო რამდენიმე ომს. არა მგონია, რომ ხელის ერთი უბრალო მიჭერით შეჩერდეს გულთან გაჩენილი „სიმძიმის გრძობა“. რალა თქმა უნდა, არც ზღვის გადაღმა ჩაგუბებულ ბადეს ამოჰყვება თევზი, და არც სასიკვდილო ელფერი გადავა სახიდან. ესაა გასიმბოლოებული ფრაზები, რომელიც ზუსტად გადმოსცემენ არეულ დროში მცხოვრები პიროვნების ტრაგედიას, ხოლო ლექსს საოცარ დრამატულობას ანიჭებენ. და მერე — „აღარ ღირდეს დარჩენა?!“ ალბათ არ უნდა გადამწყვიტა ჩემი წერილი ასეთ მუქ ფერებში, მაგრამ მე ვნერ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ლექსის შესახებ, ხოლო პოეზიას ტრაგიკულობა უხდება (გავიხსენოთ თუნდაც ტერენტი გრანელი...). არ ვამტკიცებ, რომ ზემოთქმულ ფრაზაში კატომ მაინცდამაინც სუიციდი იგულისხმა, მაგრამ ის, რომ მან პირდაპირ მიანიშნა, ამავე ლექსში, თავისი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ისტორიის შესახებ, აშკარაა. ვგულისხმობ ფრაზას: **„და შენთან ერთად ნატყვიარი აწვიმდეთ ქუჩებს“**. ესაა ახალი ისტორია, მოყოლებული 90-იანი წლებიდან, და ჩატყული ერთ ფრაზაში: **„ტყვიები ქალაქთა ქუჩებში თუ — ტყვიები სულში“**...

„...ნატყვიარი აწვიმდეთ ქუჩებს, რომლებსაც ისე ვერ ეშვები დარჩენით, თითქოს იწყები ისე, როგორც უკვე დამთავრდი გუშინ და წლების ნაცვლად ამ კედლების ბზარები გითხოვს და წლების ნაცვლად ამ ბზარებზე ბავშვობას გაშლილს ხედავ“...

დაღალულ ქალაქს ვერ ეშვება ადამიანი, რამეთუ მისია ეს ჯოჯოხეთური სამოთხე, აქ ქუჩებიც, სახლების დაბზარული კედლებიც, ყველაფერი საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ ბიოგრაფიას ახსენებს. კინოკადრებით გაირბენ დაბერებულ კედლებზე წარსულის წლები, ბავშვობის სახით, და ღამაზია ასეთი ღრმად-პოეტურობა, ფანტაზიის ასეთი უნარი... ის, რასაც კატო ამბობს, შესაძლოა პირველად არც გამიგია, მაგრამ კატო ჯავახიშვილს აქვს იმდენი ლიტერატურული ოსტატობა, რომ იგი მოძველებული ფერებისაგანაც ადვილად ქმნის სიახლის განცდას, არცთუ იშვიათად — სრულ სიახლესაც...

ახლა ჩავაკვირდეთ საწყის-სასრულის მისეულ ხედვას: **„იწყები ისე, როგორც უკვე დამთავრდი გუშინ“**. როგორც ხედავთ, აქ არ არსებობს ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. რატომღაც ღაზარე წამომაგონდა, ის კაცი, რომელმაც, უფაღ იესოს წყალობით, ორივე (რეალური და ირეალური) სამყარო ისე მოიხილა, სიკვდილ-სიცოცხლის ურყევ კანონს



გადააბიჯა. შემთხვევითი არაა ისიც, რომ კატო ჯავახიშვილის პოეზიაში ღაზარეს იდუმალებით მოცული სახე (რომელსაც ქართულ ენასთან აიგივებენ) არაერთხელ გვხვდება...

დავუბრუნდეთ ლექსს:

**...და მერე ისევ ისე, თავიდან დილა იწყება კვლავ და შენი სახლის კარებთან დაყრი ფურცლებს და ქართველ მეეზოვეს ქალაქში მიაქვს ქალაქში, სადაც ერთ უბანში შენ გძინავს დალილს.**

პოეტი ყოველთვის ტოვებს სტრიქონებს შორის არაერთ სათქმელს. მისი ფრაზები, შეიძლება ვთქვათ, სამმა სხვადასხვა ადამიანმა სამნაირად წაიკითხო. მაგალითად, მგონია, რომ იმ **„სახლის კარებთან დაყრილ ფურცლებზე“** ლექსები წერია. არ ვიცი, თვითონ კატომ რა იგულისხმა, არც ის ვიცი, რას იგულისხმებენ სხვა ადამიანები, მე კი მხოლოდ ლექსებს ვიგულისხმებ, ახალგაზრდა პოეტის ლექსებს, რომელსაც მთელს ქალაქში არიგებს **„ქართველი მეეზოვე“**, ხოლო რადგანაც ჩვენს ქალაქში მეეზოვეთა უმეტესობა არაქართველია, ეტყობა ამ სიტყვათშეხამებაშიც („ქართველი მეეზოვე“) რალაც სიმბოლოა ნაგულისხმევი. ვინ იცის...

შემდეგ ფრაზაში კი წინა პლანზე ისევ წამოიწვეს დაღლილობის თემა. ლექსის ლირიკული გმირი საკუთარი ქალაქით, მშობლიური ქალაქით დაღლილია, მას სძინავს სადაც, მეგაპოლისის ერთ უბანში, ერთ წერტილში, მაგრამ ძილშიაც გრძნობს, განიცდის ყველაფერს, რამეთუ მისი სიზმრები ჰგავს **„ნოსტალგიამოდებული ღამის სიზმრებს“** და სავსეა ფერადი ფიქრებით.

ლირიკულ პერსონაჟს, რეალობისაგან ვნებულს, თითქოს აღარც სურს გამოღვიძება. როგორც ჩანს, იმ დროს, როცა ცხადშია, იგი სიზმრებში გაქცევაზე, ირეალურ სამყაროში ცხოვრებაზე ოცნებობს:

**და ფიქრი, როგორც ნოსტალგიამოდებულ ღამის სიზმარი, სადაც შენ გაქცევა გინდოდა, შენთან რჩება და როცა მტკვრის სარკეში შენ მზერას ჩაღვრი ხედები, რომ რალაც არ გასვენებს მარცხნივ და მკერდთან...**

ლირიკული ქმნილება სრულდება იმით, რითიც დაიწყო, — დასამახსოვრებელი პოეტური სახეებით და გულის ტკივილით. მთავრდება ლექსი, მაგრამ არ მთავრდება ის სევდა, რომელიც მან დატოვა, ის დაფიქრება, რომელიც მოგვგვარა...

ერთხელ, ადრე, ვთქვი, პოეზია არაა ქალის საქმე-მეთქი. მაშინ ძალიან, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მერე ღრმად ჩავაკვირდი ანა კალანდაძის, მედეა კახიძის, ლია სტურუას, იზა ორჯონიკიძის, ეთერ თათარაიძის თუ სხვათა ქმნილებებს და ვინანე ჩემი სიტყვები (საზღვარგარეთული ლიტერატურიდან კი გამაოცა **ემილი დიკინსონმა, სილვია პლათმა, ენ სექსტონმა, ფილის მაკკინლიმ, საფომ და კასიომ**... სხვებმაც).

**პოეტის ერთი ლექსი**

მიხარია, რომ ახალ საუკუნეშიც წარმატებით აგრძელებენ ძველ პოეტურ ტრადიციებს ქართველი ქალები. **მირანდა გოდერძიშვილის, მარი თინაშვილის, ნინო სადღობელაშვილის, ნათია ნაცვლიშვილის, ნატა ვარადას** თუ სხვათა ბოლოდროინდელი პოეტური ნაშრომები მეტყვე-

ლებენ ამაზე... და, რაღა თქმა უნდა, კატო ჯავახიშვილის ქმნილებანი, ქმნილებანი ადამიანისა, რომელსაც, ვფიქრობ, ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ ქართული პოეზიის (მსოფლიოში ყველაზე ორიგინალური პოეზიის) ვარსკვლავად იქცეს...

**შეჯამება**

რუსუდან ნიშნიანიძე

**სამი ისტორია**

საზრუნავი — დიდი და მცირე...

1) ჰაუსი ზრუნავს ერთ ავადმყოფზე, რომელიც სასამართლოში უჩივლებს... მერე კი გადარჩენილი, ფეხზე დამდგარი მადლობას უხდის, რომ „არ დანებდა“.

ჰაუსი ზრუნავს ყველა მის პაციენტზე — თუნდაც ეს შეურაცხყოფის ფასად, უსამართლო განქიქებად, დაუმსახურებელ ქილიკად (რომ მას მხოლოდ თავსატეხის „ამოცნობა“ უნდა) დაუჯდეს. და რაა ეს — პასუხისმგებლობა ყველას სიცოცხლეზე? მეტისმეტად ბევრს ხომ არ თხოვენ?!

2) დედოფალი — გურჯი ხათუნი ფიქრობს თავისი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის — პური გაუიყავა.

გურჯი ხათუნი ფიქრობს ყველაზე — როცა მისი მმართველობის დროს ეკლესიის კედელზე სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების, მსოფლმხედველობის ადამიანები ერთმანეთის გვერდით ამაყად და მშვიდადაა გამოსახული.

3) ილია ჭავჭავაძე — თითოეულ ქართველს უფრთხილდება, მისი სიცოცხლე, განათლება, საბანკო (მატერიალური) უზრუნველყოფა მისთვის უმთავრესია.

„საქართველოს მოურავი“, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ბანკირი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ქართულ თუ რუსულ თეატრზე მოფიქრალი, გაზეთის და ჟურნალის რედაქტორი, მომრიგებელი მოსამართლე, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი... მოკლედ, საქართველის ისტორიაში მისი ერთ-ერთი დიდი შვილი, რომელიც ასე ეფერება მთელ სამშობლოს: „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ „ჩემო თვალის სინათლევ...“

ისტორია I

**ამერიკული ტელესერიალი „ექიმი ჰაუსი“**

— თქვენ ისე იქცევით, როგორც იდიოტი... თუ არაფერს მოვიმოქმედებთ, თქვენ შეიძლება, მოკვდეთ კვირის ბოლოსთვის.

— თქვენ დარწმუნებული ხართ?...

— როცა გამოკეთდებით, ჩემს სიგელებს გიჩვენებთ...“

ხეიბარი, გაუპარსავი, უხეში, ენამწარე... „ჩვეულებრივად“ ისმენ ირონიას, გელიმება ცინიზმზე, პატიობ უხეშობას (არაიშვიათად, ზღვარგადასულსაც, თუმცა ზღვარდა-

დებული როდისაა), ცოდნის იმედით, ჭკუის იმედით, „თავსატეხის ამოცნობის“ იმედით. გონიერს ბევრი ეპატიება. სიცოცხლის გადარჩენა კი ყველაფერზე მაღლა დგას, ის „ამართლებს“ ყველა ზემოწამოთვლილს.

არაერთი რეცენზია გამოქვეყნდა — მათში მთავარი იყო ფრაზა: „თანამედროვე სერიალების ალიარებული ფავორიტი“... „ყველაზე პოპულარული სერიალი“...

ჯილდოები: სერიალმა ორგზის მიიღო ისეთი სერიოზული პრიზი, როგორცაა „ოქროს გლობუსი“ (თავის კატეგორიაში) — 2006 და 2007 წლებში.

სერიალის შემქმნელები დაჯილდოვდნენ ამერიკის ტელეკავადების ჯილდოთი საუკეთესო რეჟისურისათვის — სატელევიზიო პრემია — „ემმი“.

„2008 წლის ყველაზე პოპულარული სერიალი“, — ის ინფორმაცია სააგენტო AFP-მ გაავრცელა ფრანგული კომპანიის Eurodata TV Worldwide მოხსენების შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ტელემარკეტინგის გამოკვლევებზე სპეციალიზებულია. შედეგები გამოცხადდა მონტე კარლოში ჩატარებულ ტელეფესტივალზე. მონაცემები უჩვეულოდ შთაბეჭდავი იყო: 2008 წელს „ექიმი ჰაუსს“ (66 ქვეყნის მონაცემებით) მსოფლიოს 1, 6 მილიარდი ადამიანიდან 81, 8 მილიონი მაყურებელი ჰყავდა — პრიზი: „ოქროს ნიმიფა“.

„ეს ჰაუსომანიაა!“ — ლიმილიანი დასკვნა.

ბერლინში — კატეგორიაში საუკეთესო სერიალი: „ექიმი ჰაუსი“ დასახელდა და გადაეცა საპატიო — „ოქროს კამერა“.

2010 წელს ლოს-ანჯელესში ყოველწლიური პრემია — საუკეთესო დრამატული სერიალი. „ხალხის არჩევანი“ ერთადერთი ჯილდოა, რომლის ლაურეატები მაყურებელთა ხმის მიცემით ხდებიან. დაჯილდოების ცერემონია პირდაპირი ეთერით გადაიცემა. იმხანად, უამრავ რეცენზენტთა შორის, ერთ-ერთმა ასეთი ცნობისმოყვარე კითხვაც დასვა: რამდენ ხანს „გაძლებდა“ ტელეშოუ ნაკლებადსასიამოვნო გენიოსზე, რომელმაც ლამის ნახევარი „მსოფლიო აიძულა დაეზუთხა მგლურას სიმპტომები...“

კინოკრიტიკოსები ჰაუსს „მარადიულ პერსონაჟს“ — შერლოკ ჰოლმსს ადარებდნენ. დიდი „შრომა“ არ დასჭირვებიათ. ფილმის შემქმნელი დევიდ შორი თითქმის ყოველ ინტერვიუში ხაზს უსვამდა თავისი გმირის ჰოლმსთან იგივეობას თუ „ნათესაობას“. ოღონდ გრეგ ჰაუსი ნიუ ჯერსი-



ში ცხოვრობს და არა ღონდონში — ბეიკერსტრიტზე, თუმცა, ვინც თანამედროვე ექიმის ნახვას შეეცდება, უნდა მოძებნოს სახლი, იგივე 221. საერთოც ბევრი აქვთ: ჭკუა, დაკვირვებული თვალი, გამძაფრებული პროფესიული პასუხისმგებლობის გრძობა, მხოლოდ ერთადერთი მეგობარი, მუსიკის სიყვარული (ჰოლმსთან - ვიოლინო, ჰაუსთან - გიტარა, ფორტეპიანო...) და ა.შ.

კინოგმირი — ჰაუსი ექიმი, ლიტერატურული გმირი ჰოლმსი — მაძებარი, გამომძიებელი, მაგრამ მისი ავტორი — არტურ კონან დოილია, პროფესიით ექიმი. თავისი საყვარელი გმირის, ჰოლმსის პროტოტიპია ედინბურგის უნივერსიტეტში მისი მასწავლებელი, საუკეთესო ქირურგი ჯოზეფ ბელი, რომლის გამორჩეული ნიჭი სწორედ დიაგნოსტიკაში მჟღავნდებოდა; პარალელურად, იგი ისეთ დეტალებსაც აქცევდა ყურადღებას, რომ არა მხოლოდ დაავადების მიზეზს ხსნიდა, არამედ პაციენტის ცხოვრებისეული ყოფიდან ბევრ ფაქტს ამოატივტივებდა. ჰაუსიც იქ მყოფი კოლეგებისთვისაც კი შეუმჩნეველ დეტალებს აღმოაჩენს (თუ ეს საკმარისი არაა, სახლის დასათვალისწინებლადაც გზავნის, რათა მეტი ინფორმაცია მოიპოვოს). მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მას მხოლოდ სიმპტომებისთვის არ სჭირდება. ამ დეტალების „აღმოჩენით“ სრულიად დახლართულ საქმეს ან ამოუცნობ ავადმყოფობას მიაკვლევს და დიაგნოზიც დასმულია!

აქ ერთი ფაქტი, რომელზეც უნდა ითქვას და რომელიც როგორც აღმოჩნდა, არაერთგან მოხდა: თურმე სხვადასხვა დარგის მედიკოსები გულმოდგინედ ეძებდნენ „დაავადებებს“, „ახალ“ წამლებს ინტერნეტში, ცნობარებში... მერე არაერთმა დაასკვნა: რა სისულელეა, ტყუილია, ამას როგორ უყურებთ?... სხვას გაეცინა: ამთ საღამოობით „ექიმობანას“ გაკვეთილები უნდოდათ მედიცინაში... საგანმანათლებლო ფილმი? ან მხატვრული? არადა, ეს გასართობია, თანაც, სერიალი; მოთხოვნაც რამხელაა: „არა-წამდვილი!“ ბრაზილიურ-მექსიკურ იაფფასიან სერიალებში ხომ ყველაფერი „წამდვილია“? გამოგონილი, ყალბი, ცრემლადდაღვრილი „სიყვარულები“, სერიოზულ ბოროტებამდე მისული „ვიტომდა“ წერილმანი ინტრიგები 279 სერიის განმავლობაში რომ გრძელდება... ის ხომ დამაჯერებელია?! უფრო ზუსტი იქნებოდა, იმისი ხომ სჯერათ?! აქ მთავარი ის კი არაა, ზუსტია თუ არა სერიალში ნახსენები დაავადების სახელები ან არსებობს თუ არა ასეთი სახელები, მთავარი დამოკიდებულებაა: ფიქრი, განსჯა, ძიება. დავეთანხმე, როცა ერთი (უცხოელი კრიტიკოსის) მოსაზრება ნაკვირვალად: „ფილმი ექიმებზე არაა, არამედ ცხოვრებაზე“. მე აქ მთავარი სქემა მგონია — პერსონაჟების ფუნქცია: მოცემულ მომენტში ვინ როგორ მოიქცევა (აკი სერია იწყება სვლით — ჰაუსი და მისი გუნდი მოდის! მოდის — გიშველის). ვინ შეასრულებს ჰაუსის დავალებას, ვინ დაუპირისპირდება და არ დაუჯერებს (გააქილიკებს), ვინ საკუთარ ვერსიასაც შესთავაზებს, ანუ ვინ როგორ იბრძვის სიცოცხლის გადასარჩენად. თითოეული ადამიანის „ყოფნა“ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთელი გუნდი მუშაობს. ყოველი ახალი ავადმყოფი — ახალი თავსატეხი — ახალი საზრუნავია. ერთიც ხაზგასმითაა აღსანიშნავი: ჰაუსის კოლეგები ავადმყოფის დათვალისწინება-კვლევას, ისტორიის შესწავლას თავს არ არიდებენ. პირიქით, ძალიან მობილიზებულინიც არიან, ანუ სერიალში ჰაუსს საგანგებო „ფონი“ არ უკეთდება. მსჯელობა, ფიქრი, „მომანოდეთ იდეები“, მათ სწავლის, განვითარების საშუალებას აძლევს.

ნათელი აზროვნების ერთი ნიშანი ისიცაა, რომ ექიმს შეცდომა არ აბრკოლებს. ამიტომ ის უფრო სწრაფად პოულობს ლოგიკურ გადანწყვეტას, ვიდრე ყველა დანარჩენი, ვისაც შეცდომის „გადახარშვისთვის“ დრო სჭირდება. მისი მიხვედრის უჩვეულობა არაიშვიათად „აკომპლექსებს“ მის კოლეგებს, მაგრამ თვითონ „წარმატების ფართო დემონსტრირებას“ არასოდეს შეუდგება. მისი მოსაზრებები ვერსიებად დალაგებული ვარაუდები არაა, ეს ლოგიკურ აზროვნებაზე დამყარებული დასკვნებია. ცდება? რა ვუყოთ? ხომ არსებობს ალოგიკურობის ლოგიკა. ისე, ავადმყოფი ადამიანები ხანდახან კვდებიან! ეს რეალობაშიც ასეა; მიძიება, მაგრამ ხდება. ყველა პაციენტის გადარჩენა კი სერიალს ზედმეტად მელოდრამატულს, „წამდვილ სერიალს“ დაამსგავსებდა... ექიმი ჰაუსის ერთი გავრცელებული ფრაზაა: „პაციენტებს ყოველთვის უნდათ მტკიცებულებები... ჩვენ აქ ავტომობილებს არ ვაკეთებთ, ჩვენ აქ გარანტიებს არ ვიძლევი“... გონიერი, ჭკვიანი, ძალაუფლების მოყვარული, ექსცენტრიული, ამასთან, მგრძობიარე, არა—ჩვეულებრივი. იმდენად დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, რომ არ ეშინია შეცდომის აღიარების — კარგად იცის, ეს მას „უცოდინარობად“ არ ჩაეთვლება, არც არაპროფესიონალიზმად. სხვაა შეცდომა, სხვა — არაკომპეტენტურობა! „ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მე ვცდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ვიფიქროთ საერთოდ“- ესეც მისი სიტყვებია. „მე არ ვიცი“- ესეც შეუძლია თქვას მანაც და მისმა გუნდის წევრებმაც; ფრაზა, რომელიც ისე გაიშვიათდა, რომ ველარ მოისმენ; პირიქით, ყოველდღე ვუსმენთ „ყოველისმცოდნეებს“, ერთ დარგში კი არა, ყველა სფეროში ყველაფერი „ზედმინენით“ რომ იციან და ერთხელაც არ აღიარებენ, რომ რალაცამი დაეჭვდნენ...

სერია: „უარი რეანიმაციაზე“ იწყება კამათით: მოვა თუ არა ჯონ ჰენრი. მოვა. ინვალიდის სკამზე მჯდომი 2 საათის დაგვიანების შემდეგ (განსაკუთრებული უხერხულობის გარეშე) მივა ახალგაზრდა მუსიკოსებთან. თვითონ უკვე ლეგენდარული პიროვნებაა ამ დარგში... მას მოკრძალებით და ეჭვითაც (ამხელა შემსრულებელი მოვა, კი?) ელოდებიან. მოვა, მაგრამ თვითონ კიდევ ერთხელ დარწმუნდება: მორჩა, დაკვრა აღარ შეუძლია. ის, რომ სიარული არ შეუძლია, უბედურებაა, მაგრამ დაკვრა... ეს დასასრულია! აქ სწორედ იმით მოვიდა, შეემონებინა: შეძლება თუ არა შესრულებას. როგორც ვთქვი, არ შეუძლია, არც ახლა — ეს გაარკვია და ვერც მომავალში მოახერხებს — ეს უკვე პალატაში გახდა ცხადი. ისეც იცის მისი პირადი ექიმისგან, კალიფორნიელი ჰამილტონისაგან („ჰამილტონი არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან ჭკვიანი ექიმი, მაგრამ მისი მკურნალობა ვერ მესმარება“, — ამას თავად ჯონ ჰენრი განსაზღვრავს) დამატებით, ფორმანისაგან (ჰაუსის გუნდის წევრისგან) შეიტყობს; ამიტომ ავადმყოფი კატეგორიულად განაცხადებს უარს რეანიმაციაზე.

ექიმი ჰაუსი პირველად რეალურად მაშინ დაეხმარება ჰენრის, როცა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილისთვის ჟანგბადის ბალიშის გამოყენებას მის გარდა ვერაფერს გაბედავს. აკი ავადმყოფმა ოფიციალურად გააფორმა უარი. ექიმების მიერ ეს აღარ განიხილება. ჰაუსისთვის სხვაგვარადაა: ავადმყოფი კომპეტენტური არაა, მიიღოს გადანწყვეტილება; ის ამ გადანწყვეტილებას ემოციით იღებს.

შთამბეჭდავია სასამართლოს სცენა: ჰაუსს ავადმყოფის უფლების შელახვისთვის უჩივიან. უფრო გასაგებად: პაციენტს სიკვდილი უნდა და ექიმი ამის „საშუალებას“ არ აძლევს,

ამიტომაც აღმოჩნდება განსასჯელის სკამზე; არავითარი გალიზიანება, არავითარი „ჯანდაბამდე გზა ჰქონია...“ ექიმის ლოგიკით, ის ავადმყოფია, ამიტომ ვერ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, ამიტომ ეშლება, ძალიან ეშლება, მაგრამ ამის გამო არ უნდა დაისაჯოს. სასამართლოს დარბაზშიც კი ჰაუსი „დროის მოგებას“ ცდილობს — სწორი დიაგნოზი აქვს დასასმელი; მოსამართლესაც გააცურებს (უგნებელი სიცრუე), ოჯახში გულით ავადმყოფთა „ისტორიას“ მოიკითხავს და მოსამართლეს ყურადღებას მისი ხელის თითებზე მიაქცევინებს, ეს მიდრეკილება ხომ არაა ნიშანი მსგავსი დაავადებისკენ?...

— თუ შეიძლება, მიაკითხეთ თქვენს ექიმს, — თხოვნა, ისეთი გამომეტყველებით, ეჭვი ძნელად რომ შეგვაპარება და... გაჭრა: კადრი — მოსამართლე ჩუმად გააპარებს თვალს და სინათლეზე თავის თითებს დაკვირვებით ათვალიერებს... სასამართლო დასრულდა. მეგობარი ექიმები ერთად გამოდიან დარბაზიდან, და ვილსონის კითხვა:

— მე ვერ შევამჩნიე.

— ვერც მე, — იყო პასუხი.

სერიაში, ვფიქრობ, ორი დიალოგია ძალიან საინტერესო; პირველი — დიდი მუსიკოსისა და გენიალური ექიმის სცენა: თითოეულის ფუნქცია, დანიშნულება და მერმისის პერსპექტივა — „ყველაფერი დამთავრებულია!“

— მე აღარ შემიძლია დაკვრა!

— მხოლოდ ეს ხართ? მემუსიკე? („musician?“)

ის არ ამბობს: „მუსიკოსი,“ ირონიამ არ გაჭრა. მაშინ... „დამთავრებულია, ოღონდ არა ჩემთვის“ — და კიდევ ერთხელ ეცდება, სიკვდილს გადაარჩინოს.

მეორე დიალოგი: საუბარი ფორმანთან — კოლეგასთან, საკუთარი გუნდის წევრთან, შეგირდთან, რაც გნებავთ, დაარქვით. ეს მხოლოდ ფორმანის მოსასმენი მონოლოგი არ მგონია; მას უზარმაზარი რაოდენობის მაყურებელი უსმენს და უყურებს: როცა პასუხისმგებელი ხარ, თვით შეცდომაშიც. როცა შენ შეგეშალა, მაგრამ მოგეცა შანსი გენიალური შეცდომის. სხვა (ამ შემთხვევაში, ფორმანის ყოფილი უფროსი) მიიჩნევს, რომ შენ აკეთებ საქმეს და „რაც მოხდება, მოხდება“. ჰაუსს კი მიაჩნია, რომ რასაც ის ან „შენ“ აკეთებ, რაღაცად ღირს, რაღაცას ნიშნავს! ჰამილტონს ღამით უკეთ სძინავს, არადა, სულ ტყუილ-უბრალოდ! (ხომ ვთქვი, ფილმი მართო ექიმებზე არ მგონია-მეთქი).

ექიმ ჰაუსს არ შეუძლია (როგორ უცნაურადაც უნდა უღერდეს დღეს ეს სიტყვები), სწორედაც „არ შეუძლია“ იყოს მშვიდი, ნეიტრალური. არადა, მას არ ევალება იყოს პასუხისმგებელი ამ კონკრეტული ადამიანის, ჯონ ჰენრის ჯანმრთელობაზე: საქმის ხელმძღვანელად ფორმანი ინიშნება, ხოლო მისი მკურნალი და მეგობარი — ჰამილტონი საგანგებოდ კალიფორნიიდან ჩამოფრინდება. რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა — ირონია, სარკაზმი... ის ჰაუსის გამორჩეული, დამახასიათებელი შტრიხია (ცუდიც)... სერიალში არათუ სიტყვებს, არამედ ინტონაციასაც კი სხვა დატვირთვა აქვს.

— გმადლობთ, რომ არ დანებდით, — ამბობს გამოჯანმრთლებული მუსიკოსი და გულწრფელად ხრის თავს ჰაუსის ხასიათის ამ შტრიხის და მისი პროფესიონალიზმის წინაშე.

— სხვაგვარად არ შემიძლია, — ღიმილით პასუხობს ექიმი.

და ფინალი:

ჯონ ჰენრი თავის ინსტრუმენტს აჩუქებს მკურნალს.

— მე მიხდა, რომ ეს თქვენთან იყოს.

— ვაუ!!!

— შეგიძლიათ გაყიდოთ, მაგრამ დამპირდით, რომ არ დაუკრავთ მასზე.

ორივე ილიმება.

რატომ გადასცემს მისთვის ყველაზე ძვირფასს და მნიშვნელოვანს? ბევრი ვერსია იქნება...

ფილმის დასაწყისში ამ ორი ადამიანის დიალოგი გავიხსენე; გამოიკვეთა — მათ „პირადი“ არ გააჩნიათ; მაგრამ აქვთ სხვა, რაც ხდის მათ გამორჩეულს, განსაკუთრებულს: ჰაუსისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ძვირფასი — სიცოცხლის გადაარჩენაა, ჯონ ჰენრისათვის — მუსიკა. „ამან“ — სიცოცხლე აჩუქა, „იმან“ — ინსტრუმენტი „გაიმეტა“.

და მაინც:

— რამდენ ტაბლეტს იღებთ?

— მე მტკივა.

— დიახ, ისე, როგორც ჩვენ ყველას.

ყველას თავისი წილი ტკივილი აქვს: ზოგს მეტი, ზოგსაც — ნაკლებად. ჰაუსი მუდმივად ებრძვის, უფრო ზუსტი იქნებოდა, „იყურებს“ საკუთარ ტკივილს, მაგრამ ვერ ერევა სამედიცინო თვალსაზრისით. ის არაა იდეალური, ნარკოტიკით იყურებს... (როცა სხვისთვის ჩაეფლობა საქმეში, მედიცინას „შეაფარებს“ თავს, აქ ავინყდება საკუთარი, პირადი... თუმცა, ვიკოლინი არ ავინყდება... აქვე ვიტყვი, უკვე შემდეგი სეზონის სერიებში ეს იცვლება...)

მერე ყველაფერი თავიდან იწყება...

ბოლო კადრი: ფორმანისადმი მიმართული რეპლიკა: — ხვალ შევხვდებით...

... და სერიალი გრძელდება...

## ისტორია II

### დათო ტურაშვილის ტელემოთხრობა „გურჯინ ხათუნი“

ეს ტელემოთხრობა ბევრი თვალსაზრისითაა საინტერესო: ისტორიული, მხატვრული, ინფორმაციული. ვთქვათ პირდაპირ, თამარი — გურჯინ ხათუნი ისეთი პოპულარული ფიგურა არაა, რომ მისი ამბავი „ყველამ“ იცოდეს. ფორმაც ზუსტადაა ნაპოვნი: ტელემოთხრობას კომპიუტერში ბევრი ადამიანი (მათ შორის მოზარდი, ე.წ. „თინეიჯერი“) ნახავს, წიგნის ნაკითხვა... მწერალმა საინტერესო ისტორიული გმირი გააცოცხლა — თამარ ბაგრატიონი ლიტერატურულ პერსონაჟად აქცია, მაგრამ წიგნზე არაფერს ვიტყვი, ამჯერად მხოლოდ ტელემოთხრობაზე ვისაუბროთ. მთავარი ღირსება ის მგონია, რომ მკვეთრი ზღვარი არაა წარსულსა და აწმყოს შორის, მიჯნა, რომელიც ისტორიულ გმირებს საოცრად მიუწვდომლად, არარეალურად დასახავს ხოლმე, მათ ამბებსაც რაღაც „განყენებულად“ ისმენ; თითქოს შენ კი არა ხარ მისი პირდაპირი შთამომავალი, არამედ ისაა შორეული, თან ძალიან შორეული წინაპარი. აქ კი ზუსტადაა შერჩეული ე.წ. „ფორმატი“. მწერალი თვითონ რომ ჰყვება ამბავს, ეს უფრო მოსახერხებელია: არც დროს სწყევდი და წარსულიც უფრო „ახლოსაა“, თანაც იმ გზას მასთან ერთად გაივლი. უსმენ, უყურებ, ათვალიერებ... შენიღბულია „გართობა“.

„ოსმალეთში მანამდეც ნამყოფი ვიყავი, მაგრამ გურჯინ ხათუნის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ცამეტი წლისა გა-

ათხოვეს რუმის სულთანზე.” ავტორი გზებს წარსულში ეძებს: რუკები... ყოველი გავლილი ქალაქი და მასთან დაკავშირებული მოვლენები, ამბები... შვიდი საუკუნის წინ დიდებული მაცრიონით ლაზეთის გზით წასული 13 წლის თამარი მეფური ქორნილით, ლეგენდარული სილამაზით და საქმიანობით, საარაკო ამბად შემორჩა ისტორიის, და არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ფურცლებს. ამბავს უცბად ჩაენაცვლება მელოდია, სამანქანო გზა, „ახალი თურქეთი“ და საქართველოს პარლამენტის სხდომის ხმები. ეს შენი სამშობლოა; ასე ნაცნობი და ახლობელი. ტელემთხრობაში ეს პარალელური დრო-ისმიერი ორი სივრცე დაუბრკოლებლად შეგიძლია წარმოიდგინო. როცა დიდი თამარის შვილიშვილზე — გურჯი ხათუნზე საუბრობენ, ფონად საოცარი მელოდია გაჰყვება; ის მთელი ფილმის განწყობას განსაზღვრავს და ჰკრავს კიდეც.

რუმის სულთანის მიერ სივრცეში მოიჭრა ქართველი ცოლის სახელზე მონეტა — სხივოსანი მზე — გურჯი ხათუნი. ნუმიზმატებმა იციან ხურ ი შიდის ტიპის მონეტები.

ქვეყანასთან ურთიერთობას — ამ ქვეყნის დედოფალი პუერის გაიაფებით იწყებს. სულიერი კავშირების გაბმას — პოეტსა და მოაზროვნესთან, მევლანასთან ურთიერთობით; პირადი მიმონერა, მოლა ნასრედინი, სხვა უჩვეულო ამბებიც...

მევლანა — იგივე, მევლანა ჯელალ ად-დინ მოჰამად მეველევი ბალხი რუმი, დიდი პოეტი. ვიკტორ ნოზაძის 70-იან წლებში საფრანგეთში გამოცემულ ერთ გამოკვლევას ვკითხულობდი ამას წინათ, რომელშიც მეცნიერი მევლანას სტრიქონებს დაიმონებებს და იქვე კომენტარსაც დაურთავს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ:

„ჯალალ ალ-დინ რუმის (1207 — 1273 წ.წ.) ეკუთვნის განთქმული სუფისტური გალობა —

**რა ვქმნა, ო მუსულმანო? მე ველარ ვცნობ ჩემს თავს.  
მე არა ვარ ქრისტიანი, არც ებრაელი, არც ურნმუნო,  
არც მუსლიმი.**

**მე არა ვარ არც აღმოსავლეთიდან, არც დასავლეთიდან,  
არც ხმელეთიდან, არც ზღვიდან;**

**მე არა ვარ ბუნების წყარო, არც მბრუნავნი ცანი.**

**მე არა ვარ მიწა, არც წყალი, არც ჰაერი, არც ცეცხლი;**

**მე არა ვარ არც ზეცათა სამყაროდან, არც მტვერისაგან;  
არც არსებობისაგან, არც არსისაგან.**

**მე არა ვარ ინდოეთიდან, არც ჩინეთიდან,  
არც ბულგარიდან, არც საყსინიდან;**

**მე არა ვარ ერაყის სამეფოდან,  
არც ხორასანის ქვეყნიდან.**

**მე არა ვარ არც სააქაოდან, არც საიქიოდან,  
არც სამოთხედან, არც ჯოჯოხეთიდან;**

**მე არა ვარ არც ადამისაგან, არც ევასაგან,  
არც ედემიდან, არც რიზვანიდან.**

**ჩემი ადგილი არის უადგილობა, ჩემი კვალი  
არის უკვალობა;**

**ესაა არც გვამი, და არც სული, რამეთუ მე ვეკუთვნი  
საყვარელის სულს.**

**მე განვიშორე ორობა, რამეთუ შევიცანი,  
რომ ორი სიტყვა არის ერთი;**

**ერთს ვეძებ მე, ერთს ვიცნობ მე, ერთს ვხედავ მე,  
ერთს მოვუნოდებ მე.**

**იგი არის პირველი, იგი არის უკანასკნელი, იგი არის  
გარე, იგი არის შიგნი;**

**მე არ ვიცი სხვა ამის გარდა „ია ჰუ“ და „ია მან ჰუ“.  
მე ვარ მთვრალი საყვარელის სასმისიდან,**

**ორი ქვეყანა განქარდა ჩემი ფიქრიდან;  
მე არა მაქვს სხვა საქმე გარდა ქეიფისა და ღრეობისა.  
თუ ერთ წუთს მაინც ჩემ სიცოცხლეში უცბად**

**უშენოდ დავრჩები,  
ამ დროდან და ამ ყამიდან მე ჩემ სიცოცხლეს ვინანებ,  
თუ უცბად მაინც ამ ქვეყანაზე ერთ წუთს მოვიგებ**

**შენთან,  
მე გავთელავ ორივე ქვეყანას, მე ზეიმით ავროკდები  
სამუდამოდ.**

**ო შამსი თაბრიზ, მე ისე ვარ მთვრალი ამ ქვეყანასა ზე,  
რომ სიმთვრალისა და ღრეობის გარდა  
არაფერი მაქვს სათქმელი.**

რასაკვირველია, ამ მაჰმადიან პოეტს, - აგრძელებს ეხლა უკვე კომენტარს ვიკტორ ნოზაძე, წარმოადგენა არა ჰქონდა იმაზე, რომ სწორედ ამგვარივე თქმა უუძველეს ბერძნულ პაპირუსზე ჰერმესისადმი მიმართულ შემორჩენილ ლოცვაში ნათქვამი იყო —

**შენ ხარ მე, მე ვარ შენ;  
სახელი შენი ჩემი არის, და სახელი ჩემი არს შენი,  
რამეთუ ვარ მე ხატი შენი...**

ამ სტრიქონების ავტორის გარდაცვალების შემდეგ დედოფლის ბრძანებითა და სახსრებით მის საფლავზე თურბე აიგო, „ამიტომაც ჰგავს კონიის ცენტრში გურჯი ხათუნის მიერ აშენებული მწვანე თურბე ქართული ტაძრების გუმბათის ყელს. ეს გურჯი ხათუნის, ქართველი დედოფლის უკანასკნელი საჩუქარი იყო საყვარელი მოძღვრისა და მასწავლებლის უკვდავსაყოფად“ (დათო ტურაშვილი).

„ქვეყნიერების დედოფალი“ — გურჯი ხათუნი — ასე დაარქვეს სელჩუკებმა, თუმცა „ქვეყნიერება“ ერთ ქუჩამდე დაკონკრეტდა, რომლის სახელი ამდენი ხნის შემდეგაც არავის შეუცვლია, არ „გადაურქმევია“. ეს იმიტომ, რომ ახსოვდეთ, არ დაავინწყდეთ... შეახსენებენ, ასწავლიან, რომ მისი დედოფლობის დროს, XIII საუკუნეში იზლარას ხეობაში გამოკვეთილ ეკლესიაში უჩვეულო, საოცარი ფრესკა არსებობს, უცნაური ფაქტის რეალური დასტური, სადაც მუსლიმანები და ქრისტიანები ერთად არიან გამოსახულნი. ეს მხოლოდ ე.წ. კედლის მხატვრობა არაა. ის, რაც შემონახულა, XXI საუკუნეში ადამიანებმა უნდა გაიხსენონ. კარგი ნათქვამია: „ყურით გავგონილს მაინც თვალთ ნანახი სჯობს“, ამიტომაც კარგია, რომ ფილმში ნაამბობს კადრებიც ამყარებს. ფრესკის წინაშე ადამიანები სანთელს ანთებენ, ან თავს ხრიან — ეს სამყაროს ერთიანობაა. თუკი დედოფალმა (და სულთანმა) ამგვარი ერთიანობის ნება დართო. აღარ გიკვირს რომ თამარის შთამომავლის სახელი ერთ ვარსკვლავს დაარქვეს. „ეს ვარსკვლავი ადრე უფრო დიდი და კაშკაშა იყო, ახლა კი ძნელად შესამჩნევად, ოდნავ თუ ციმციმებს... როგორც ლამაზი და სევდიანი ისტორია“. მთხრობელი თავს ინუგეშებს, რომ „იმედია, არ ჩაქრება“. ვფიქრობ, დათო ტურაშვილმა მკითხველს მეტაფორულად უთხრა, რომ თუკი ისინი ამ ყველაფერს, ანუ საკუთარ ისტორიას არ დაივინწყებენ — არ ჩაქრება, ხოლო თუ არ ეცოდინებათ, ნელ-ნელა მისი ნათება დაიკარგება. თუკი ის გზა არ გჭირდება, რომელზე გავლასაც შენი წინაპარი გასწავლის, მას არც სინათლე მოეფინება.

ეკრანზე ვკითხულობთ —

**„ინფორმაცია ფილმზე“:**

**დასახელება: გურჯი ხათუნი**

**ჟანრი: ისტორიული**

**რეჟისორი: დათო ტურაშვილი, გოჩა აბაშიძე**

**ქვეყანა: საქართველო**

**ხანგრძლივობა: 00:16:56**

**ენა: ქართული**

(ფილმის ყურების „დრო“ ეგებ ზუსტია, მაგრამ შთაბეჭდილების ხანგრძლივობა — ბევრად მეტი...)

ისტორიული ამბავი, რაღაც დოზით სათავგადასავლოც, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად საინტერესო და შთაბეჭედავი. მწერალი ისტორიის კარს „ღიად ტოვებს“... სურვილი გიჩნდება, ეკრანიდან ნანახი საკუთარი თვალით იხილო.

**ისტორია III**

**როსტომ ჩხეიძის**

**„ეკლიანი და პატარა გზა“**

ცხოვრება სულაც არაა ისეთი მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ის უყვართ. ის სძულთ. თითქოს ძნელი გასარკვევი არაა, რეალურად ვინ რას ფიქრობს, თუმცა არცთუ იშვიათად, გაურკვეველია საქციელის მოტივაცია. როსტომ ჩხეიძის წიგნში ე.წ. პოლიტიკური ქვეტექსტებიც ბლომდაა, უფრო ზუსტი იქნებოდა მეტეჟა — მამულიშვილური. იმას კი, რასაც აგრერივად იდეოლოგიურად არ დავეთანხმებით, მხატვრული თვალსაზრისით უფრო მეტი ფუნქცია აქვს: საუკუნის შემდეგ კიდევ ერთხელ შეაფოტოს მკითხველი. აქ არაა შიშველი პუბლიცისტიკა. კარგად მოფიქრებული მხატვრული ქარგა სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლების, წოდების ადამიანს ეპოქის დახატვის დიდ შესაძლებლობას აძლევს.

მთავარი — არის თუ არა საზოგადოებრივი სოლიდარობის განცდა. უნდა გაითამაშონ „ნამდვილი ქართველობა“, თუ იაფფასიანი პროვოკაცია დაგეგმონ. XX საუკუნის ბოლოს დაწერილი ეს წიგნი აღადგენს XX საუკუნის დასაწყისის ეპოქას.

...შიში არ ეკუთვნის რომელიმე დროს! ყველა ხელისუფალს „თავისი შიშის“ დანერგვის მეთოდი მოაქვს. მან უკეთ იცის, ამ კონკრეტულ საზოგადოებაზე როგორ იმოქმედოს. მეთოდები მისი მმართველობის დროს არ იცვლება, სახვის მხოლოდ მეორე ხელისუფალთან იცვლის. არადა, ის ინდივიდუალური განცდაა. ინდივიდუალური, მაგრამ ამა თუ იმ ეპოქის ნიშანი. მოდის ახალი ეპოქა. ეპოქა, რომელსაც თავისი „ნიშანი“ მოაქვს. ჯერ ატმოსფერულად, სიტყვით. „მართალია, უდიდესი საკითხია ხელოვნება, საერთო კულტურა, მაგრამ როცა ჩვენ ვინტოვკით ვწყვეთ საკითხს რევოლუციისას...“ — ეს საქართველოს მწერალთა კავშირის I ყრილობაზე პარტიის სახელით გამოსული ლიტერატორის სიტყვებია. 19 წელი გასულა ილიას მკვლელობიდან, რიტორიკა და მუქარა კი იგივე დარჩენილია. „ვინტოვკით“ გადაწყვეტილი საქმეების ბედი ყველამ კარგად უწყის — სასიკეთოს არაფერს მოასწავებს. ეს დაახლოებით იმგვარია: „მხოლოდ თითოთ დაგემუქრები“, — მითხრა და ის თითი ჩახმასხს მიადო.“

„კაკუნი“ — დიდ, დამანგრეველ, შემზარავ ხმაურად გაისმის. განსაკუთრებით, ლამის კაკუნი, ისეთივე დამთრ-

გუნველი, როგორც შუალამეს კართან ეტლის შენელებული ბორბლების ხმა ან მოგვიანებით, გაჩერებული ავტომობილი. ფანჯარასთან, ფარდის უკან ამოფარებული მუხლებაკანკალებული ადამიანები ელიან, იმ მანქანიდან გადმომხტარი შავლაბადიანების ამაღა რომელ კარზე დააკაკუნებს. ეს განაჩენია... (იგი საოცრად ხატოვნად უკვე მოგვიანებით, 30-იანი წლების და შემდგომ, ეროვნულ და ემიგრანტულ პროზაში დაიხატება; რაგვარ შიშს ნერვავენ ბოლშევიკები?... მერე ფორმასაც აღარ მიაქცევენ ყურადღებას... სიკვდილი — ზოგადად იმ ერთი, იმხანად გავრცელებული სიტყვით რომ გამოიხატება — დახვეწება).

ვთქვი, სიტყვით იწყებენ „შიშს“-მეთქი. თავიდან თითქოს არავინ აქცევს ყურადღებას; ზოგნი ფიქრობენ, რა სისულელეა ამის პარალელურად სიმართლეზე ლაპარაკი, ეს ხომ ცხადი ტყუილია. ზოგი უფრო ფრთხილია: ასეთი „შიშველი ტყუილი“ თუ იკადრეს, უარესსაც იზამენ! ისე, გმირობა (ხმამაღალი ნათქვამი სულაც არაა) ის მგონია, რომ ეშინიათ და მაინც ამბობენ, რომ ეშინიათ და მაინც წერენ. ალბათ, რომ არ „ეშინიათ“, სწორედ ამიტომ იქცევინას ასე. უფლის ნინაშე არიან მართლები და ამიტომ არ ეშინიათ. მსაჯული სხვაგან ეგულებათ და, სიმართლეს თუ არ იტყვიან, სწორედ იმ ცოდვის ეშინიათ. ვერც უსამართლობას ხედებიან მშვიდად: მენტორულ, განონასწორებულ ტონალობამდე შორი მანძილია. ისეთი დარბაისელი მანდილოსანი და ცნობილი მწერალი ქალი, როგორც ეკატერინე გაბაშვილია, დამსწრე საზოგადოების ნინაშე ქოლგას რომ მოიქნევს და ვილაცა ცოდვილს თავში რომ ჩაარტყამს... ერთმნიშვნელოვნაა შეფასება: საზოგადოებაში ასე არ იქცევინას! როგორ შეიძლება! სრული სიმართლეა — არ შეიძლება! მაგრამ ის კი შესაძლებელია, როცა სხვას — ამ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძეს უსირცხვილოდ ცილს დასწამებ?! როცა მანაც იცის, რომ ტყუილს იგონებს და არ ეშინია. არ ეშინია არც იმის, ვისზეც ამბობს, არც ცილისწამების ცოდვის და — რაც მთავარია — არც საზოგადოების! მერე ალბათ, სწორედ ამის შეეშინდება და ამიტომაც სთხოვს ქალბატონს პატივებს. ეს ოფიციალური ბოდიში და აღიარებაა.

მაინც რა ჟანრისაა როსტომ ჩხეიძის წიგნი — მემუარული (პირობითი განსაზღვრით), მხატვრული (ესთეტიკური გაანალიზებით) თუ დოკუმენტური (ქრონიკალური სიზუსტით). ყოველი მკითხველი იმას ამოიკითხავს, რასაც ეძებს. წიგნში დახატულია სოციალურად, ინტელექტუალურადც სრულიად განსხვავებული ადამიანების სილუეტები. მათ მიერ ნაამბობი ამბავი არა მარტო ილია ჭავჭავაძის პიროვნებას მატებს შავ-თეთრ შტრიხს, არამედ თვით მთხრობელთა შიდა დახასიათებაა, მათი პიროვნების („კოკასა შიგან...“) შიდა სამყაროს ცხადი ჩვენებაც. ცნობილი ჭეშმარიტებაა, ყოველ პიროვნებას თავისი „დიდი კაცი“ ჰყავს. საზოგადოების სიჭრელიდან გამომდინარე ის ბევრად განსხვავებულია: შეხედულების, განათლების, წინიების, ოჯახიშვილობის თვალთახედვიდან... შესაბამისად, „დიდი კაცებიც“ მრავალადაა: ვილაცისთვის „გენერლის შვილის“ საქციელია გასაკვირი, გონებას რომ დაკარგავდა სანდრო ყაზბეგი რუსების ხსენებაზე და „რას დაატრიალებდა?!“ ან კიდევ, თავადი ჭავჭავაძე ხეცსურებთან ერთად ღვინის დაღვევას რომ მოიწადინებდა; „საქმე მოიცდისო“, — რომ იტყოდა და გულახდით, მონატრებულ საუბარს ამჯობინებდა... და როცა „ცოცხალი“ ქართველებისგან სრულიად სხვას მოისმენდა, ვინც მისი გამოგონილი ლელთ ლუ-

ნია იტყოდა, ნირი ნაუხდებოდა, ხალისიც ნაერთმეოდა და მხოლოდ მასპინძლის მოვალეობა შეაჩერებდა სუფრასთან... ორი ქართველი ჭირისუფლის სახე ვინმე გამვლელის მეხსიერებაში ასე კონტრასტულად შემორჩებოდა: „ერთი იმის სახე მახსოვს, ალანძული და ცეცხლმოდებული, და მეორე ამისი: ერთბაშად ჩამქრალი და ჩანაცრებული.“ ნიგნში ავტორი განსხვავებულ ემოციასაც ჩართავს, რომელიც ამბის თხრობასთან არც კია პირდაპირ დაკავშირებული: მთხრობელს ახასიათებს. თუმცა საზოგადოება შინაგანად (უთქმელადაც), მაინც ოდიოვან შეთანხმებულია, რას ნიშნავს ქვეყნისთვის დიდი კაცი... და ის „შიში“, იმ კაცს არაფერი მოუვიდეს, მისი სიცოცხლის გაფრთხილებაცაა და იმ „იდეის“ მოკვლის სამიშროების დანახვაც.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“, — ამას გამინარებული ვაჟა-ფშაველა იტყვის...

„ილია ჩვენთვის იგივე, საქართველო იყო,“ — ამას გულმოკლული ვასილ ბარნოვი.

„Лес Рубят, Щепки Летят“ — უცხო ენაზე ნათქვამი „უცხო“ აზრი — ერთი კონკრეტული კაცი, ვალიკო ჯუღელის თავში გაჩენილი, მაგრამ არაერთის მიერ მრავალგზის განმეორებული: სხვადასხვა კონტექსტსა თუ ვითარებაში, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისში. გარკვეული დროის შემდეგ ყველა გაერიდება ამ ფრაზას, შეეცდებიან, მოიცილონ ამ რეპლიკის საკუთარ გვართან დაკავშირების შესაძლებლობა, მაგრამ დაწერილს, ისტორიის მიერ დაწერილს ძნელად გადაშლი.

სათქმელი ყველასა აქვს: მეეტლედან — მოაზროვნემდე შეფასების სხვადასხვა ხატი ჩადგება. თუმცა ხატად მაინც ილია დგას, ეს „მოგონებები“ კი სხვადასხვა ფერს ადებენ ტილოს. მუქი ფერები სჭარბობს, მაგრამ ბნელი სურათი არ შეიძლება, ნახატი ხომ უნდა დავინახოთ?! ის ბედნიერი გამოონათებები ამ ხატის დანახვის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა. ქვეყანაშიც ხომ ასეა: არც ძალიან ბნელი და არც ძალიან გაბრწყინებული. თუკი „ფერთა მრავალფეროვნება“ მეტ-ნაკლებად განონასწორებულია, ქვეყანას არაფერი უჭირს. დროს და ქვეყანას კი იმის მიხედვით განვსაზღვრავთ, რომელი ფერი ჭარბობს: მუქი თუ ნათელი. „შავი ღრუბლები იკრიბებოდაო“ ხშირად ნაგვიკითხავს ამ ეპოქის ირგვლივ, ცხადია, რომელი ძალების გაერთიანებაც იგულისხმება. ილია ჭავჭავაძის ფიგურამ ფერები გა-

ამკვეთრა კიდევ.

ზოგადად, სინანული კარგია თუ საქციელის შეცნობას გულისხმობს, მაგრამ როცა ის ძალიან ნაგვიანევი... „ახლა კი ვხვდები ამას, მაგრამ რაღა დროს“ (სამსონ ფირცხალავა), ან: „უვიცი ვიყავი, ბრიყვი და აჯამი“ (სოსო მაჭავარიანი), ან კიდევ, როცა საგანგებოდ, ნელ-ნელა შეაჩერებ ეტლის სვლას და გულაჩქარებული ელი, როდის დაიგრიანებს ბერდენკა და ყველაფერი დამთავრდება... სიკვდილს ელოდები... (თედო ლაბაური). თუმცა ავტორი „თავისმართლების“ შესაძლებლობას მაინც მისცემს და ისიც იტყვის: „კნინას როგორ ურტყეს კონდახები ან ისიც გზაზე დაგდებული როგორ აღმოჩნდა, არ მახსოვს, ისე ამერია გონება მომხდარით, იმ წუთებში კი არა, რამდენიმე დღეს ვეღარ გამოვფიზილდი“; „ნულებად გამოგაცხადესო,“ — პარტიის ლიდერი რომ ხარ (ნოე უორდანიანი) და იმ ხალხს მოატყუებ, თან ილიას სახელით მოატყუებ, ვის მომავალზე ზრუნვასაც იბრალებ?!  
რასაკვირველია, მომხრეც ბევრია! ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ ილიას ფასი საქართველომ არ იცოდა. სწორედ ამაშია საქმე, ყველამ ზუსტად იცოდა: მოყვარემაც და, განსაკუთრებით, მტერმა (ქვეყნის თუ პარტიულმა); მაგრამ როგორც არაერთხელ დადასტურდა, სიკეთეს ყოველთვის მეტი სიმკვეთრე, მეტი აქტიურობა, მეტი მხარდაჭერა და, ვიტყვოდი, ხმაურიც სჭირდება! უვიცობა პიროვნებებს ცერძვის,

არადა, პიროვნებების გარეშე — ქვეყანა ინგრევა! ერთ პერსონაჟს ათქმევინებს როსტომ ჩხეიძე: „მეფე ლირივით კი დაემართა“ (გიგა ყიფშიძე) და იგულისხმებს იმ სარედაქციო თუ სხვა საქმეებს, ილიამ სხვებს რომ გადაულოცა. კომენტარიც არ დააყოვნებს: „ილიას ასეთები არ ეშლებოდა, მაგრამ... ვეღარ ჩაუყვირდა, რომ მორალდარღვეულ საზოგადოებაში სახელი და ავტორიტეტი ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ის სოციალისტური იდეები, ყურები რომ გვაქონდა გამოჭედილი მესამედლასელთაგან.“

და მაინც — მეფე ლირი თუ საქართველოს მეფე?! ილია ჭავჭავაძე — საქმის კაცი, იაკობ გოგებაშვილი — სიტყვის („დედა ენა“). გიმნაზიაში მომავალი ქართველები იზრდებიან; მათი საქმე და სიტყვა ერთმანეთს არ უნდა დასცილდეს. ორივეს ერთობლიობა ქართველობას მტკიცედ და მყარად უნდა ახსოვდეს...

გასროლის ხმა მთელ საქართველოში გაისმა... იაკობ

**ნიგნები — წარმატებული სწავლისა და კარიერის საწინდარი**

მიჩნეულია, რომ ნიგნები ადამიანის გონებისა და სულის აღმზრდელია, აზროვნების მასწავლებელი და ღირებულებათა შკალის ჩამომყალიბებელი. მეცნიერებმა ამ გავრცელებული აზრის სამართლიანობა დაამტკიცეს. თუმცა მკვლევარები ირწმუნებიან, რომ არცთუ მეორეხარისხოვან როლს პიროვნების განვითარების პროცესში თვითონ ადამიანი და მკითხველი მშობლები ასრულებენ. მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მოსწავლეთა მოსწრების კვლევის შედეგები. დაამტკიცეს, რომ ცოდნას უფრო წარმატებითა და ეფექტურად ის ბავშვები იძენენ, რომელთაც შინ დიდი ბიბლიოთეკა აქვთ.

სპეციალისტთა აზრით, მკითხველი მშობლები სასიკეთო მაგალითს აძლევენ შვილებს, რომლებიც სულ პატარაობიდან წიგნის გარემოცვაში არიან, შედეგად კი კითხვა მათი ყოველდღიურობის ბუნებრივი ნაწილი ხდება.

ასეთი ოჯახების ბავშვებს უყვართ სწავლა, ამიტომ წარმატებული კარიერაც აქვთ. კლევა 20 წლის მანძილზე გრძელდებოდა. გამოკითხვაში 70 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა 27 ქვეყნიდან. ასე რომ, თუ გასურთ ინტელექტუალის აღზრდა, იკითხეთ წიგნები და შექმენით დიდი ბიბლიოთეკა.

ნინო ვახანია

## გაუღილ ზღვაში, ღია გემგანზე

□

### შიო არაგვისპირელის მონატრება

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ტურნე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გრძელდება. ამჯერად დუშეთი გემასპინძლობს — ალექსანდრე როინაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „მზე და მწუხრი“ (შიო არაგვისპირელის ცხოვრების ქრონიკა) განხილვას.

შეხვედრის თაოსნები ბიბლიოთეკის დირექტორი **ირმა ნამალაიძე** და ფოტოხელოვანი **ბაბუა ალუდაური** არიან.

ქალბატონი ირმა საუკუნეზე მეტი ხნის ბიბლიოთეკის შექმნის გარემოებებს გვაცნობს და საინტერესოდ გვიყვება დუშეთის ბიბლიოთეკების ისტორიას: XIX საუკუნეში ცნობილი იყო მოზდოკელების, ყარანგოზიშვილების, ერისთავებისა და რაზიკაშვილების საოჯახო ბიბლიოთეკები. პავლე მოზდოკელის ბიბლიოთეკა არა მარტო დუშეთში, არამედ მთელ საქართველოში განთქმული იყო უნიკალური წიგნებითა და ძვირფასი ხელნაწერებით. ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. სხვადასხვა დროს მოზდოკელის ბიბლიოთეკას წვევიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგები, ნიკო ნიკოლაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვები.

თითოეული დუშეთისთვის საამაყოა, რომ პირველი სამკითხველო სახლის გახსნას სათავეში ედგა ცნობილი მესურათხატე, წარმოშობით დუშეთელი ალექსანდრე როინაშვილი. მშობლიური ქალაქისთვის ბიბლიოთეკის გახსნა იქცა მისი ცხოვრების ერთ-ერთ საფიქრალად. მიზანს მიაღწია, მაგრამ დუშეთის ბიბლიოთეკისათვის შეწირული ინვენტარისა და წიგნების გამოგზავნის დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა. 560 რუსული და ქართული წიგნით, ავეჯით მოწყობილი წიგნთსაცავი და 1898 წლის 6 ნოემბერს აკურთხეს კიდევ.

იმავე წლის დეკემბერში „დროება“ წერდა: „ვერ წარმოიდგენთ რაგვარი სიხარულით შემოსხდომია ყმაწვილები დიდ სტოლს სამსეს გაზეთებით, ჟურნალებით. როგორც მშიერი კაცი პურს, ისე მისცვივდნენ გაზეთებს და ჟურნალებს. ეს დაწყობილობა მგონია პირველია პროვინციაში და ინებოს ღმერთმა, რომ სხვა ქალაქებმაც მიბადონ დუშეთის საზოგადოებას“.

საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ... ჩვენი ბიბლიოთეკის კედლებში იზრდებოდნენ და იცვლებოდნენ თაო-

ბები, არ შეცვლილა ბიბლიოთეკის უმთავრესი პრინციპი — მკითხველზე ზრუნვა. უკვე ორი წელია, სისტემატურად ვიღებთ ჟურნალს „ჩვენი მწერლობა“. ბაბუა ალუდაური ბატონი როსტომის წიგნებიც მოგვანოდა და ამის შედეგად ჩამოყალიბდა დღევანდელი შეხვედრის იდეაც. დღეს ბიბლიოთეკისთვის, მისი მკითხველისთვის განსაკუთრებული დღეა. სტუმრად გვყავს ის ხალხი, რომელსაც ვაფასებთ, ვკითხულობთ, რომლებიც ქართულ საქმეს ემსახურებიან.

იყო დრო, როდესაც შიო არაგვისპირელის სახელი ქუხდა, მას აფასებდნენ როგორც მწერალს და როგორც ადამიანს. მერე რატომღაც თითქოს დავიწყებდას მიეცა ყველაფერი და ბატონი როსტომის ბიოგრაფიულმა რომანმა კვლავ დაგვაბრუნა მასთან.

ქალბატონმა ირმამ მადლობა გადაუხადა ბატონ როსტომსა და ყველა სტუმარს და სიტყვა მეორე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **მანანა შუკაკიძეს** გადასცა.

„ამ წიგნით ძალიან ბევრი, მანამდე ჩემთვის უცნობი ფაქტი გავიგე შიო არაგვისპირელის შესახებ, — ბრძანა ქალბატონმა მანანამ. — თურმე როგორი თავდადებული ადამიანი ყოფილა ხალხისა და ქვეყნისთვის. იყო დრო, როცა სკოლაში ამ დიდი ნოველისტის რამდენიმე ნაწარმოები მაინც ისწავლებოდა, ახლა კი, სამწუხაროდ, სასკოლო პროგრამიდან მთლიანად ამოღებულია მისი შემოქმედება“.

ქალბატონმა მანანამ გულისტკივილით აღნიშნა ისიც, რომ მის მხარეში არ გაგვანია შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმი. „მზე და მწუხრი“ გახდა საბაბი, საფუძველი არაგვისპირელის ნაწარმოებებით მოსწავლეთა დაინტერესებისა.

პედაგოგის თქმით, მთელმა კლასმა სიამოვნებით ნაიკითხა შიო არაგვისპირელის ნოველები. ამაში მალევე დავრწმუნდით, როცა II საჯარო სკოლის მეოთხეკლასელებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

**ჯაბა დუდაური, აკაკი ძლიერიშვილი, თორნიკე ლალიაშვილი, რატი მნითური, სალომე ქავთარაძე, სალომე სალირაშვილი, სალომე მჭედლიშვილი, ელენე ჯავახიშვილი** ბავშვური გულწრფელობით, გამართული ლიტერატურული ქართულით, დახვეწილი დიქციით გვესაუბრებიან, გვიყვებიან, როგორ დაინტერესა მასწავლებელმა შიო არაგვისპირელით. როგორ მოიხიბლნენ ნაკითხული ნოველებით („მოგონება“, „ბედნიერი დედა“, „ჩემო შვინდავ“...). სოფელ ქაისხევში დაბადებული მწერლის ბიოგრაფიაც შეუსწავლიათ, პერსონაჟებს კი, როგორც რეალურ პიროვნებებს, დამეგობრებიან. თავიანთი ცხოვრება პერსონაჟთა ცხოვრებასაც შეადარეს და ზოგი ნოველის თავისებური დასასრულიც შემოგვთავაზეს.

მათი თვალების სითბო და სინათლე აბრწყინებდა იქაურობას და სულში ჩუმ, მაგრამ ძლიერ სიხარულად გველერებოდა. კითხვის დროს რამდენიმე გაუგებარი სიტყვაც შეხვედრიათ. მასწავლებლისა და ლექსიკონების დახმარებით გაიგეს თურმე, რას ნიშნავს ყადაღა, მეჯავგე, როგორია კევრსა და გუთანში შებმული ხარი... და მარტო სასაუბრო ლექსიკა ან ფანტაზია კი არ გაიმდიდრეს, არამედ იმ, დასაფარი სიყვარულის ფესვები გაიდგეს გულში, და გვჯერა, ისე ღრმად, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვებათ.

იმავე სკოლის XI კლასის მოსწავლე ნათია თანიაშვილმა გაგვაცნო მშობლიური ქალაქის წარსული, გაიხსენა მისი სახელოვანი შვილები. ნათიას სასიამოვნო და სასარგებლო ექსკურსი ასეთი გახლდათ:

„მოგესალმებით. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს საპატიო სტუმრებს მობრძანებისათვის და მსურს მოკლედ გაიგებოთ ჩემი ქალაქის — დუშეთის შესახებ.

სახელწოდება „დუშეთის“ წარმოშობაზე ეჭვიმუტანელი დოკუმენტი, ისტორიული წყარო არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ხალხური თქმულებები.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, მე-14 საუკუნის დამლევს ბარბაროს თემურ ლენგს საქართველოში ლაშქრობის დროს ცხენი შეუყენებია იმ ადგილზე, სადაც ახლანდელი დუშეთია, და რადგან თვალად საამო და ლაშქრის დასაბანაკებლად ხელსაყრელი ფართო ადგილმდებარეობა მოსწონებია, ხელაწეულს ბრძანება გაუცია „დუშ-ათ“, რაც თათრულად „სდექ, ცხენოს“ ნიშნავს და ამის შემდეგ ამ ადგილს „დუშეთი“ შეერქვა.

მეორე თქმულების მიხედვით, სახელწოდება „დუშეთი“ წარმოშობილია ჩერქეზული სიტყვისაგან „დიშეთი“, რაც ნიშნავს „შესვენებას დიდი მანძილის გავლის შემდეგ“. ამ თქმულების თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიაში ბინადარი ხალხები, მშვიდობიანი ურთიერთობის უამს, საქართველოში ჯოგებს მოერეკებოდნენ გასაყიდად, და როდესაც კავკასიონის მთებს გადმოლაზავდნენ, პირველ შესასვენებელ ადგილად და სავაჭრო პუნქტად დუშეთის მიდამოები ჰქონდათ შერჩეული.

არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლის საფუძველზეც ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „დუშეთი“ ქართული წარმოშობისაა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით წარმოსდგება სიტყვისაგან — მთუშეთი — მთათაშორისი ადგილი.

ეს რაც შეეხება ხალხურ ვერსიებს.

ფაქტი კი ასეთია: დუშეთის ტერიტორიაზე სამაროვანის გათხრები ადასტურებს, რომ ადამიანი აქ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ცხოვრობდა — მე-17 საუკუნეში დუშეთი არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო. მისი ისტორია კი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია, სადაც იყო ბრძოლა მტრის წინააღმდეგაც და ქართველის ხელით ქართველის წინააღმდეგაც. ორჯერ გადაიწვა ჩვენი დუშეთი. 1635 წელს — ქართლის მეფე როსტომმა არაგვის ერისთავის დასამორჩილებლად მოწყობილი ლაშქრობის დროს გადაწვა პირველად დუშეთი, ხოლო 1688 წელს დუშეთი კვლავ დაარბია ქართლის მეფე გიორგი XI. როგორც ქალაქს კი — პლატონ იოსელიანის ცნობით — ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს: დუშეთი ერეკლეს 1784 წლის ბრძანებით ქალაქის ხარისხამდე აიყვანეს.

საინტერესო და მდიდარი კულტურული წარსული აქვს დუშეთის რაიონს, XIX საუკუნეში ამ მხარემ ქვეყანას გაუზარდა მრავალი სახელოვანი ადამიანი. დუშეთის რაიონი

არის სამშობლო კუთხე ლუკა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილებისა, გიორგი და დავით ერისთავებისა, დანიელ ჭონქაძისა, შიო არაგვისპირელისა, ცნობილი ფოტოგრაფის და საზოგადო მოღვაწის — ალექსანდრე როინაშვილისა. ათი წელი ცხოვრობდა, მსახურობდა და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა დუშეთში ილია ჭავჭავაძე.

ქალაქ დუშეთში ცხოვრობდა დიდი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. მან ცალკე წიგნად გამოაქვეყნა წიგნი დუშეთზე.

დუშეთის რაიონიდანაა კომპოზიტორი შალვა მშველიძე, პროფესორები ქაიხოსრო და მიხეილ ზანდუკელი, ნიკოლოზ ბექაური, მხატვრები, ძმები ირაკლი და გიორგი ოჩიაურები, ილო პატაშური, საქართველოს დამსახურებული არტისტები — იაკობ ტრიპოლსკი, ილია ზაქაიძე. პოეტები — მიხა ხელაშვილი, გაბრიელ ჯაბუშანიური, ირაკლი არაბული, მინდია არაბული, ჯარჯი ფხოველი, თედო ბექიშვილი, მამუკა ნიკლაური. პროზაიკოსები გიგი ხორნაული და გოდერძი ჩოხელი, ვაჟას მშობლიურ სოფელ ჩარგალში დაიბადა ცნობილი პოეტი და დრამატურგი ილო მოსაშვილი.

დღითიდღე მშვენიერება და ლამაზდება ჩვენი დუშეთი. განახლდა გზები, შენობები... ტარდება კულტურული და სპორტული ღონისძიებები. ქალაქი ქალაქს ემსგავსება, იქმნება ყველა პირობა იმისა, რომ მომავალმა თაობამ ღირსეულად დაიცვას და გააგრძელოს ის ტრადიციები, ჩვენი წინაპრებისგან რომ გამოგვეცა“.



ირმა ნამალაიძე, როსტომ ჩხეიძე და ნათია თანიაშვილი

შიო არაგვისპირელის ნაწარმოებებით მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და თავისი ჭკვიანური დაკვირვებებით, დინჯი საუბრით, მიმზიდველი მეტყველებით მოგვცინებდა მეთაველასელომ **სოფო ჩერქეზიშვილმა**:

„შიო არაგვისპირელის მოთხრობები იმ დროს აცოცხლებენ, როცა ადამიანი სოფელში ცხოვრობდა არ თაკილობდა და მხოლოდ თავისი ზურგიდან გამოდენილი ოფლით მოპოვებული სარჩოს იმედზე იყო, როცა მის ერთადერთ სიმდიდრეს მისი ოჯახი წარმოადგენდა.“

მათი უმრავლესობა მოულოდნელი ან მოსალოდნელი სიკვდილით მთავრდება. თუმცა ამ ყველაფერს თავისებური დასაბუთებაც აქვს. მიუხედავად ამისა, მისი მოთხრობები ძალიან ლამაზი და სევდიანია... თანაც შიო არაგვისპირელს არ ახასიათებს თხრობის დიდი ფორმა, რაც ბავშვებისათვის აადვილებს მის გაგებას და უფრო მიმზიდველ საკითხავს ხდის.

ისინი თავს არ გაბეზრებენ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებებით, ძალიან ლაკონურად გადმოგვცემენ მთავარს, მაგრამ ადამიანის ემოცია და ხასიათი სულაც არ არის უკან გადაწეული. შიო არაგვისპირელის თითოეული მოთხრობა გამოირჩევა დახვეწილი, მოკლე, მკაფიო და სადა მეტყველებით.

მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი პესიმისტურია, მაგრამ, დამეთანხმებით, იმ დროს ეს ბუნებრივიც იქნებოდა. ერთი შეხედვით ის ყურადღებაც ცხოვრების მხოლოდ ნაკლო-

ვანებებს აქცევს, მაგრამ მისი მოთხრობები დიდ სიყვარულს, სიმტკიცეს და რწმენას გვინერგავენ.

ცოტა განსხვავებული მიდგომა აქვს ბუნების მიმართ — მისთვის ბუნება ძალიან ლამაზი და მომხიბლავია, მაგრამ ადამიანური ტანჯვისადმი გულგრილად განწყობილი. საერთოდაც, მის მოთხრობებში ბუნება თითქოს სულიერია და თავისი განცდები აქვს...

ძალიან მომწონს მისი ერთ-ერთი ეტიუდი „იუდა“. ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავია იუდას თვალთ დასახული ქრისტეს ჯვარცმა. ისეთი მღელვარე საკითხავია თუ როგორ განიცდის იუდა მთელ ამ ისტორიას, როგორ აწუხებს სინდისს ქენჯნა, და ერთი ახალი დეტალი, რომ იუდას უყვარს მარიამი, დედა უფლისა...

გარდა ამისა, მისი მოთხრობები საკვება მოულოდნელობებით. თითქოს ერთი სტილით დაწერილი მთელი მისი შემოქმედება აღსავსეა სტრიქონებსშუა დაფარული აზრებით. ყოველი სიტყვის უკან გარკვეული ფიქრია დამალული და ამას ერთი ნაკითხვით ვერ მიხვდებით.

შიო არაგვისპირელის სიცილიც სხვანაირია. ერთი შეხედვით უაზრო ან უსაფუძვლო სიცილის მიღმა იმალება მწარე, ბედისადმი ირონიული დამოკიდებულება.

კიდევ ერთი კარგი თვისება, რაც მის შემოქმედებას ახასიათებს, პერსონაჟთა სიმცირეა. მის მოთხრობებში ყოველთვის მხოლოდ ორი-სამი პერსონაჟია წარმოდგენილი. სამაგიეროდ, თითოეული პერსონაჟი დასამახსოვრებელი ხასიათისაა და ყველასათვის ახლობელი ხდება, თითქოს უკვე იცნობ, თითქოს კარგად დავიწყებული, მაგრამ მაინც ნაცნობია...

წარმომიდგენია შიო არაგვისპირელის თანამედროვე საზოგადოება. რამხელა შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე ეს მოთხრობები... ისინი ხომ თავისი დროის სიმართლეს ასახავენ“.

შეხვედრაზე პოეტმა ნოდარ ოდიშელიძემ ბრძანა:

„შიო არაგვისპირელი დღესაც პირველი ნაკითხვის ინტერესით იკითხება. ისეთივე სულისშემძვრელია, როგორც პირველი გაცნობისას, მაგრამ დღემდე ცოტამ თუ იცოდა, რა გზა გამოიარა მისმა თითოეულმა სიტყვამ ავტორის სულის სიღრმიდან მკითხველამდე.

შიო არაგვისპირელის ფასდაუდებელი მემკვიდრეობის კითხვისას უნებლიეთ გეუფლება განცდა ასეთი სურათის ხილვისა — დგას ავტორი და მის ირგვლივ თვალშეუსწრები სისწრაფით ბრუნავს სანუთროს ბორბალი. აზვირთებულა ქუფრი ზღვა ცხოვრებისა, ჩანთქმას რომ უქადის ყოველს. შემოქმედი კი ნირმეუცვლელი და გულუძვრელი ეგებება სტიქიონს, როგორც იქ, ოდესისაკენ მიმავალი გემის გემბანზე. ის სწორედ დაუნდობელი სინამდვილის ნიაღში აგნებს მთავარს — ერთეულს, ცოტას, მაგრამ იმდენად ნიშანდობლივს, რომ შეძლებს ზოგადქართული ხასიათი ერთ კაცში გაანივთოს, მთლად საქართველო ერთი მუჭა მინით წარმოგვიდგინოს და შთამომავლობას გადასძახოს — გახსოვდეთ მთავარი.

როსტომ ჩხეიძის წიგნი — „მზე და მწუხრი“ თვითონ შიო არაგვისპირელია წარმოდგენილი დინამიკაში და მშფოთვარე თანამედროვეობის ორომტრიალში თვითონ გაივლის იმ გზას, შემდგომ რომ თავისი გმირების გავლილ გზად წარმოგვიდგენს. ამ წიგნით შიო არაგვისპირელი ჩვენს წინაშე ხელახლა დაიბადა როგორც პიროვნება, შემოქმედი, მამულიშვილი. ეს როსტომ ჩხეიძის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია ქართული სალიტერატურო აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების

გზაზე. აქ სრული სიცხადითაა წარმოდგენილი არა მხოლოდ იმ ეპოქის ობიექტური რეალობანი, არამედ დიდებული პიროვნების სულიერი კავშირი, დამოკიდებულება იმ მოვლენებთან, ასე ტრაგიკული რომ იყო სამშობლოსთვის და პირადად მისთვის.

„მზე და მწუხრი“ კითხვისას თანდათან ფერმკრთალდება შიო არაგვისპირელის უდავოდ საინტერესო, სხვათაგან გამორჩეული გარეგნული იერი და თითქოს არა მარტო ხედავ, არამედ ხელითაც ეხები ამ დიდი შემოქმედის განცდებით დატვირთულ სულს. ეს როსტომ ჩხეიძის ხელწერაა — შევეყვართ პიროვნების სულის ლაბირინთებში, რათა ჩვენთვის ხილული გახადოს პიროვნების შინაგანი სამყარო. შიო არაგვისპირელის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნი, ისევე, როგორც როსტომ ჩხეიძის მრავალი სხვა ნაშრომი, უაღრესად საჭიროა დღევანდელი ქართველი საზოგადოებისათვის და აუცილებელი იქნება ხვალისდელი მკითხველისათვის.

მადლობას ვუხდით ბატონ როსტომს არა მხოლოდ ამ წიგნისათვის, არამედ იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მას მიუძღვის ქართული სალიტერატურო აზროვნების განვითარების საქმეში. იმედს გამოვთქვამ, მომავალშიც არაერთხელ მოგვევრის ასეთ სიამოვნებას“.

შემდეგ ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილი მკითხველი ინტერესით უსმენდა „მზე და მწუხრის“ ავტორს, როსტომ ჩხეიძეს.

ბატონმა როსტომმა გაიხსენა, რომ ეს არ არის დუშეთში პირადად მისი და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების პირველი შეხვედრა მკითხველთან. ჭილაშვილების სასახლეში სწორედ ამ საზოგადოების თაოსნობით გაიმართა **მისა ხელაშვილისა და ფოთოლათ მერცხალას** ხსოვნის საღამოები, კულტურის სახლში კი **ბაბუა ალუდაურის ფოტოგამოფენა**, ხოლო გახსნით დუშეთური კალმასობა გახსნა **ამირან არაბულის** წიგნის განხილვამ **„არხოტ რო წყართგორია“ — ლადო ბალიაურსა და გაბრიელ ჯაბუშანურზე**.

შიო არაგვისპირელს მსოფლიო ნოველისტი უწოდა. აღნიშნა, რომ მისი ერთადერთი რომანი — „გაბზარული გული“ — ზღაპრის ფორმით, მიმზიდველი სიუჟეტითა და საათქმელის სიღრმით ყველა თაობის მკითხველისთვის მისაღებია და საინტერესოა.

მწერალმა ისაუბრა შიო არაგვისპირელის ბავშვობაზე, სემინარიის წლებზე, ვარშავაში სტუდენტობის წლებზე, მის გამოჩენაზე სამწერლო ასპარეზზე... თხრობამ მოიყოლა დიდი ქართველების სახელები. ახსენა შიოს გიმნაზიისდროინდელი მეგობრები თედო სახოკია და იოსებ ლალიაშვილი; ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა — დიმიტრი ყიფიანი — ვის გმირულ საქციელსა და მონამებრივ სიკვდილსაც საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების შემოტრიალება მოჰყვა. მერე იყო ვარშავაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგა და მისი წევრების გაბედული გეგმები. ფილიპე მახარაძის — შემდეგში ილიას ერთ-ერთი მკვლელის მიერ — ლიგის წევრთა გაცემა...

ორატორმა მოკლედ მიმოიხილა ქართული ნოველის ისტორია და დაასკვნა, რომ თუმცა ნოველები მანამდეც იწერებოდა, მოქალაქეობა ამ წანრს შიო არაგვისპირელმა მოუპოვა. სოფელთან ერთად მან დახატა თბილისიც, მისი ყოფა, ყველა სოციალური წრის, ყველა შრის ცხოვრება. მრავალფეროვანი ხასიათებითა და მახვილი სიუჟეტებით არაგვის-

პირელის შემოქმედება დიდი განძი, ამოუწურავი სალაროა. ამ ბიოგრაფიული რომანის მერე შიოზე წერა კი არ უნდა შეწყდეს, არამედ ახლა უნდა დაიწყოს. მით უმეტეს, რომ წიგნში მონიშნული ზოგიერთი საკითხი, ცალკეული თემა შეიძლება რომანადაც კი გამოადგეს ვინმეს. მაგალითად, რომანის თემაა შიოს დრამატული სიყვარულის ისტორია.

ბატონმა როსტომმა ევროპული რანგის მწერლად დასახა შიო არაგვისპირელი და გამოთქვა რწმენა, რომ მსოფლიო ნოველის ანთოლოგია რომ შედგეს, ქართველი ნოველისტის თხზულებანი ბუმბერაზი მწერლების გვერდით არ გაფერმკრთალდება, თამამად დაუმშვენებს მათ გვერდს.

იქვე დაიგვემა შეხვედრები მომავალში. გადანყდა, ზაფხულში შიო არაგვისპირელის მშობლიურ სოფელსაც ვენჯიონთ.

#### თამარ ღონღაძე:

„დღევანდელმა შეხვედრამ იმედითა და მაღლიერებით ამავსო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს შენგლებული პულისსა და სასიცოცხლო ძალის აღსადგენად სუფთა ჟანგბადი ჭარბად შემესუნთქოს.“

დიდი მადლობა ამ პატარა ბიჭუნებსა და გოგონებს, რომელთაც თავიანთი არაჩვეულებრივი მასწავლებლის ხელშეწყობითა და დახმარებით ისე საინტერესოდ და ცოცხლად წარმოგვიდგინეს ნაფიქრი და განცდილი. მადლობა უფროსკლასელ გოგონებს — ნათიასა და სოფიოს — შესანიშნავი მოხსენებებისთვის. ერთმა დუშეთის შესახებ საინტერესო და მრავალმხრივი მასალა გაგვაცნო, მეორემ კი შიო არაგვისპირელის ღრმად გააზრებული შემოქმედება მიმოიხილა. ჩემთვის თქვენთან ერთად გატარებული წუთები იმ უღვევი საგანძურის მარცვლებია, რომლებიც მთელ საქართველოში გაბნეულა და აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წყალობით მეც ვხდები ხოლმე მათი „შეგროვების“ თანამონაწილე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ როსტომ ჩხეიძის წიგნებს საოცრების მოხდენა შეუძლიათ. ისინი მხოლოდ კი არ გვახსენებენ უსამართლოდ მივინყებულ მოვლენებსა და პიროვნებებს, არამედ „აღცოცხლებენ“ მათ და ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცევენ. ასე მოხდა დღესაც, როდესაც შიო არაგვისპირელზე ვსაუბრობდით.

განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ირმას — ბიბლიოთეკის დიასახლისს. ამ საუკუნოვან დარბაზში მდგომს მახსენდება რეი ბრედბერის სიტყვები: მე სკოლასა და უნივერსიტეტებზე მეტი ბიბლიოთეკებმა შემძინაო. თქვენი ბიბლიოთეკა, როგორც ჩანს, მართლაც რომ ამდიდრებს ახალგაზრდებსა და არა მხოლოდ მათ — ყველას, ვინც აქ უკვე „შინაურია“.

#### ნინო ვახანია:

„შეხვედრა მწერალთან ყოველთვის საინტერესოა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მკითხველი მართალ, პირუთენელ მწერალს ხვდება. მწერლის მოვალეობაც ხომ ის არის, რომ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებული თვალთ, ღვთიური ნებით აღიქვას სამყარო, დეტალში, კერძოში, როგორც ნვეთში ოკეანე, შეამჩნიოს ზოგადი, დამახასიათებელი ტენდენცია და მერე მხატვრულად დამუშავებული მიანოდოს მკითხველს. როსტომ ჩხეიძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ამჯერად ერთს გამოვყოფ — ბიოგრაფიულ რომანთა სერიის შექმნას. ამ სერიის ერთ-ერთი წიგნია „მზე და მწუხრი“. იმ წიგნის წაკითხვის შემ-

დეგ შიო არაგვისპირელი ჩემთვისაც, ისევე, როგორც ნოდარ ოდიშელიძისათვის, გაშლილ ზღვაში ღია გემბანზე უშიშრად მდგარი კაცია და ასევე წარმომიდგება თვით ბატონი როსტომიც. როგორც თავის დროზე ილიამ საჭიროდ მიიჩნია ერის გამხსნევება, მისთვის რწმენის ჩანერგვა, ასევე ამ საყოველთაო სკეფსისის, გულგატეხილობის დროს როსტომ ჩხეიძე ღირსეულ წინაპრებს, უსამართლოდ მივინყებულთ, გვიცოცხლებს და ამით მომავლისკენ გაგვახედებს. განსაკუთრებული მადლობა ახალგაზრდებს წიგნის, მწერლის, სამშობლოს სიყვარულისთვის“.

#### იოსებ ჭუმბურიძე:

„მიხარია და სასიამოვნოდ გაცეცხული ვარ, რომ ჩვენს დროში ბიბლიოთეკა ისე არსებობს და ისე ასრულებს თავის მოვალეობას. როსტომ ჩხეიძე როცა ირლანდიაზე წერს, მაშინაც საქართველოზე ფიქრობს, ქართულ ტკივილებს შეგვახსენებს. როცა ქართველ მოღვაწეებზე წერს — მითუმეტეს, ცდილობს მინავლებული პატრიოტული, ეროვნული სულის გაღვივებას. როცა ამ პატარა გოგონებსა და ბიჭებს ვუყურებთ, არ შეიძლება იმედი არ გაგიჩნდეს, რომ გადავრჩებით.“

გუშინ არსებობდა და წერდა ოთარ ჩხეიძე, დღეს არსებობს და წერს როსტომ ჩხეიძე“.

ბატონი იოსები თვითონაც დაიმედებულია და ჩვენც გვარწმუნებს, რომ მწერლობა თავის საქმეს ასრულებს.

სტუმრებსა და საღამოს თაოსნებს მადლობა გადაუხადა და დუშეთის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა **თამარ გედევანიშვილმა** და უკანა ფშავში ზაფხულში დაგვემღიმა მიხა ხელაშვილის საღამოზე მიიპატიჟა ისინი.

ადგილობრივი გაზეთის რედაქტორმა **მიხეილ ჭონქაძემ**, დუშეთის გამგეობის აპარატის უფროსმა **ზაქარია სიანაიძემ** მადლიერება გამოთქვეს როსტომ ჩხეიძის მიმართ შიო არაგვისპირელის ასეთი დაფასებისთვის, წარმოჩენისთვის, საერთოდ, ქართულ ლიტერატურაში შეტანილი მისი თვალსაჩინო ღვაწლისათვის.

შეხვედრის ერთ-ერთმა თაოსანმა ბაბუა ალუდაურმა ორი დასკვნა გამოიტანა: 1. თამარ ღონღაძის რედაქციით შედგენილი სახელმძღვანელოებით დუშეთის სკოლის მოსწავლეებმაც უნდა ისწავლონ და 2. აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოების შეხვედრები დუშეთის რაიონის საზოგადოებასთან მეტი ინტენსიურობით უნდა გაგრძელდეს. ბაბუას კვერი დაუკრა და ბიბლიოთეკაში შეხვედრების ტრადიციად დამკვიდრების სურვილი გამოთქვა ქალბატონმა **ირმა წამალიაძემაც**.

მოუწყვებით არაგვის ულამაზეს ხეობას და, აბა, ქართველს გული როგორ გაუძლებს, რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს... „თეთრ დუქანში“ შიო არაგვისპირელის მადლით ცხებული საზრდელი დავაგემოვნეთ. არსად არლანი, არსად არლნის ტირილის ხმა, მხოლოდ სტუმრისა და მასპინძლის თანაზიარობის განცდა, ერთი სული ჩვენ შორის განაწილებული. ვახსენებდით დიდი დუშეთლებისა და თავიანთი ცხოვრებით დუშეთთან დაკავშირებული მოღვაწეების სახელებს. ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, მერცხალა ფოთოლაშვილის, მიხა ხელაშვილის... აწრდილებს ვგრძნობდით ცხადად თუ უხილავად და რალაც იდუმალი ძალა ბაზალეთის ტბის ძირას ჩადგმული აკენისკენ გვეზიდებოდა...“

თეკლე ჯანელიძე

# ქართლში ყაყაჩო — ქრისტეს კვარტივით

□

## შხვებრა მანანა ჩიტიშვილთან

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში კიდევ ერთი პოეზიის საღამო გაიმართა. ამჯერად მკითხველი **მანანა ჩიტიშვილს** შეხვდა. სამების გუნდის გალობამ საუკეთესო ფონი შექმნა ლექსის მოსასმენად და ლექსზე სასაუბროდ. შეხვედრას უძღვებოდა **ერეკლე საღლიანი**. მისი თქმით, ბედნიერებაა, როცა ადამიანს შეუძლია ცას აუმღვრეველი თვალით შეხედოს. ასეთი სუფთა, ხალასი ხმის პოეტია მანანა, რომელსაც ლექსის შექმნა არ სჭირდება იმიტომ, რომ ლექსი თვითონ მოდის სულიდან. მას ერთი წამიც არ უცხოვრია სიყვარულისა და პოეზიის გარეშე. როცა მანანას ლექსებს კითხულობს, ჰგონია, რომ უშუალოდ ესაუბრება ავტორს.

**ომარ სიხარულიძის** გოგონათა ანსამბლი „ქაღვულ“ ტკბილი ხმით ავსებდა დარბაზს.

**მამა ელიზბარი (დიაკონიძე)** თურმე კარგა ხანია, რაც მანანა ჩიტიშვილის პოეზიას იცნობს, პირადად კი იმ დღეს გაიცნო. პოეტი ქალის ლირიკა ძალიან ეხმარება ყველა განსაცდელის გადატანაში. განსაკუთრებით კი სამშობლოს თემაზე დაწერილი ლექსები მოსწონს.

მოსწავლეები **ნუცა მშვენიერაძე, მარი სახვაძე, ია გუნდაძე, ზეკა ბაკურაძე** მიესალმნენ პოეტს, საკუთარი და მასპინძლის ლექსები წაიკითხეს და თავიანთი სიყვარული დაუდასტურეს ავტორს. ქალბატონ მანანას ლექსი უძღვნა და შეკრებილ საზოგადოებას მოასმენინა **ტარიელ ხარხელაურმა**.

**ჯანსუღ ჩარკვიანმა** მანანას პოეზია დაახასიათა, როგორც სიმღერა და ტირილი. ეს ის პოეტია, რომელიც თავისი ლექსებით ემსახურება საქართველოს. **„ქსანზე რომ ბალახს ხელს გადავუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები“**, — გულიდან ამოსული სიტყვებია ნამდვილი პოეტისა. ბატონ ჯანსუღს ეამაყება, რომ ერთ-ერთი პირველია, ვინც გზა დაულოცა მწერლობაში მანანა ჩიტიშვილს.

**ელგუჯა ლებანიძე** ამაცობს ქართველობით იმიტომ, რომ ამის საბაბს მანანასნაირი პოეტები და ქალები აძლევენ. ქართველი მუდამ იბრძოდა და ქმნიდა. ჩვენ ისევ ვიბრძვით და ერთ-ერთი, ვისიც გვეიმედება, მანანა ჩიტიშვილია. ბატონმა ელგუჯამ საჩუქარი გადასცა (თავისი ხელით გაკეთებული ნივთი) და მისადმი მიძღვნილი ლექსიც წაუკითხა.

ლექსები უძღვნეს და საზოგადოებას მოასმენინეს აგრეთვე **შოთა ტოგონიძე** და **ალექსი ჭინჭარაულმა**, რომელმაც საღამოზე მოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ საკუთარი ნიგნით მიულოცა პოეტს ეს დღე.

**თამარ შაიშმელაშვილი:** „ჭეშმარიტად, შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი! ერის სულთან ეს იდუმალი შეხება არ შემთხვევითია.“

**და ეს პნკარები, ტანჯვით ხედნილი, ლექსი კი არა, სისხლია ჩემი.**

პოეტი და ერის სული ერთმანეთს გადახლართვია. გალობენ, გალაღებულან და გულოვნებენ სიტყვები, სიტყვები, რომელთაც ერთმანეთი უყვართ. ასე მგონია, გაცოცხლებულან დიდი მამები, სახარებისა და ლოცვანთა მთარგმნელები, სიტყვით მეკირითხურონი და შენს სტრიქონებს ის ღვთაებრივი სურნელი მოაქვს, ამ დიდმა მოღვაწეებმა რომ შთაბერეს ენას ქართულს...

**ელავდა პნკარი, ვით მთვარის კვესი, განისს თუ ჩაქერი, ვენთე დიდგორთან და სისხლმდინარი, მფეთქავი ლექსი ურუნა მიმინოს ცისკენ მიჰქონდა...**

ეს სისხლმდინარი, მფეთქავი ლექსი დამდგარა მტრის პირისპირ. ირგვლივ ბინდია, ღრუბლები ქართლის ზეცას კაფავენ, გზა ლოდებით ჩახერგილია. ლექსი და სული პოეტისა ეომება ტანკსა და მახვილს:

**ქსანზე ვარ, სიმწრის მარილს ვლოკ, მხრებით ქართლის ცა მიჭირავს.**

წრიალებს სული ცხმორისთან, ანანურთან, შენაქოსთან, არაგვთან... მხრებით კი ცას შეხიდებია.

მერე შემოდის ყაყაჩო. გაბრიელ ჯაბუშანური ამბობდა: მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთით, ლადო ასათიანმა კრწანისის ყაყაჩოები აგვიბრიალა, შენი ტკივილი კი ქართლის ყაყაჩოებია, რადგანაც ახლა კრწანისი ქართლში განმეორდა.

**ჭრილობასავით გაიხსნება ქართლში ყაყაჩო — მენამული და მოელვარე ქრისტეს კვარტივით...**

შენნაირად ვინ იტირებს და მოეფერება სამშობლოს? შენ ხომ მარტო ერთი ცრემლით მეტი კი არ ხარ სხვაზე — მოკვდავზე, არამედ სული ცრემლის კირით ნალესია. როგორც შენი პოეზიით მოხიბლული ბატონი ოთარ ჩხეიძე იტყოდა, ეს უღმერთო ნგრევაი ქვეყნისა ისევ შენმა „ცრემლმავე უნდა ააგოს, ააშენოს, კვლავ აიტანოს სული იგი ნანგრევებიდანა. ააშენოს. აიტანოსა.“

შენება კი უსიყვარულოდ შეუძლებელია — სამშობლოს, ოჯახის, შვილის, მოყვასის სიყვარულითაა შექმნილი ყოველი სტრიქონი და ლექსი. ქართლის ცაზე ყელნაგებობით მიცურავს სიყვარულის სიმბოლო — ნერო, თეთრი ქათმა ჯვარივით ირკალება სივრცეში...ეს ჯვარი სიყვარულიცაა და სინათლეც, ტკივილიც და სასოებაც... ჩვენ გადავრჩებით! ჩვენ პოეტის სული და სიტყვა დაგვიცავს.“

მანანა ჩიტიშვილმა განსაკუთრებული სიხარული და ბედნიერების განცდა გამოხატა იმის გამო, რომ მისი სალა-

მო ტაძარში გაიმართა. პოეტისთვის ლექსი ლოცვაა, რომლითაც უფალს თავის ტკივილსა და სიხარულს უზიარებს. მისი სიცოცხლე ლექსია, იგი სუნთქავს და არსებობს ლექსით. ქალბატონმა მანანამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი მღელვარე სიხარული გაიზიარა. მას იმედი აქვს, რომ ქსნის საერისთავო ისევ ქართული დროის ქვეშ იქნება და კვლავ ქართული ბედნიერი მზე ამოვა.

სალამოს განმავლობაში შიგადაშიგ ისმოდა და გულს აფორიაქებდა „ქალგულოს“ მესხურული „მრავალჟამიერი“ და ვაჟთა ანსამბლ „კვირიას“ მიერ შესრულებული სვანური სიმღერა.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის **მეუფე ესაია** დარწმუნებულია, რომ ჩვენ დღეს სწორედ ასეთი შეხვედრები გვჭირდება, რის შემდეგაც გასავლელ გზას იმედიანად შევუდგებით. მეუფემ ქალბატონი მანანა ნიქოზში მიიპატიჟა.

**მეუფე თადეოზმა**, რომელიც მანანას თანაკურსელი აღმოჩნდა, დალოცა შეკრებილი საზოგადოება. მან ბრძანა, რომ მანანა ბავშვობიდანვე ვარდფენილი, ყვავილფენილი სიყვარულით მოდის. მან პოეტი შეადარა იმ საკვირველ ქართველ ქალბატონებს, რომლებსაც საქართველოს ომებში მიუღიათ მონაწილეობა. ამ სამყაროს მშვენიერი აღმწერი უწოდა მან პოეტ-ქალბატონს.

მანანა არის ქეთევან დედოფლის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების კუთხიდან. მას სხვანაირად ცხოვრების და წერის უფლება არა აქვს, აღნიშნავდნენ სტუმრები. ისიც გავივით, რომ მანანა ჩიტიშვილის პოეზია **ოთარ ჩხეიძის** ხელდასხმულიც ყოფილა, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მას. სალამო ლექსით მთავრდება, პოეტის მიერ ნაკითხული საკუთარი ლექსით და აღელვებული და ნასიამოვნები მსმენელისთვისაც **„ცრემლი გულიდან დაძრული სადღაც ყელზემოთ გაჩერდა.“**

თამარ სუბელიანი

**„მე ცისფერ ყვავილს ამოვქარბავ შენს ყაბალახზე“**

ხმაური.  
დარბაზი სავსეა.  
ადგილს ვერ იპოვნი. შენს ადგილსაც ვერ იპოვნი.  
შუქი ქრება.  
„ჰა, მიიღე ეს სალამო ჯილდოდ“...

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი **ნუგზარ ჩიქოვანი**, სოხუმის მოზარდ მაცურებელთა თეატრის მსახიობები: **გიორგი რატიანი**, **მაკო კობახიძე**, **ნინო ჯავახიშვილი**. საუბრობენ **ეთერ სამხარაძის**, პოეტისა და ულამაზესი ქალბატონის, ცხოვრებაზე. კითხულობენ მის ლექსებს, ფელეტონებსა და მინიატურებს.

**რამდენჯერ ტყვია გასროლილი მტარვალთა ხელით გიშრის ნაწნავზე მოშრიალეს შიგ გულში მომხვდა...**

მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს ასრულებენ: კომპოზიტორი **ია მაისია** (რომელიც პროექტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია) და **არჩილ ნიჟარაძე**. მღერიან **ეკა მამალაძე**, **სოფო ბეღია**, **ანრი ჯოხაძე**, ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მაფშალია“ (ნანა ბოჯგუას ხელმძღვანელობით) და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (დირიჟორი **დათო ოკუჯავა**), კიდევ ერთხელ ამტკიცებს **ჯანსუღ ჩარკვიანის** სიტყვებს: „ქართული სიმღერა და ქართული ტირილი ისევ გავს ერთმანეთს, როგორც გაჭრილი ვაშლი. ჩვენ ტირილიდან მოვდივართ, მაგრამ მაინც ვმღერით“.

და ეს დღეც წააგავს ტირილს,

\* **ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის** ხსოვნის სალამო ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა თეატრში.  
21, ღრუბლიანი, მაისი

და ეს დღეც წააგავს სიმღერას,  
აქ დამსწრეთა სევდა, გამოწვეული პოეტი ქალისა და მისი მეუღლის აფხაზეთში დაღუპვით, იმ სიხარულთან ერთად ჩამოშდარა სცენის კიდეზე, რომელიც უარყოფს სიკვდილს, უარყოფს დავინყებას, და ერთგვარ იმედს სახავს, რომ დავბრუნდებით...

„ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი“ (**გურამ დოჩანაშვილი**), ჩვენი თეთრი ქალაქი, ჩემი თეთრი ქალაქი, მზიანი მხარე. ცხადში თუ ვერა, სიზმრად მაინც იქ ეცხოვრობოთ, სულ პატარები (თუმცა ამ სიზმრებში ასაკიც, სქესის ცვალებადია) კიბეებზე ავრბივართ, ცერებზე ვდგებით და აივნიდან გავყურებთ ზღვას.

„ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა...“

ალბათ, სანამ ეს სიზმრები გვაქვს, სანამ, გამოღვიძებული, ისევ ტალღების დამაყრუებელი ხმა ჩაგვესმის, სანამ ისევ აჟღერებენ ლექსებს აფხაზეთზე („შენი ზღვა და მზის ბრდღვიალი“), სანამ ისევ წერენ, მღერიან, ახსოვთ და უყვართ, იმედიც არის, ძალაც...

აფხაზეთიდან ჩამოტანილ საოჯახო სურათების ალბომს გვიჩვენებენ, ეთერს რომ სიკვდილის წინ გულზე მიუბნევია.

ლექსები.  
ახლა შვილთაშვილები კითხულობენ. საუბრობენ ეთერ სამხარაძის ძმა, შვილი და მეგობრები, ისინი, ვისაც უყვართ. იხსენებენ, უძღვნიან ლექსებს.  
მომყვება —

**ცაო, ღრუბელს კარი გადაურაზე, ღრუბლიანი აპრილები გვეყოფა...**

ხმაური.

საბა სულხანიშვილი

# დუდუკის სევდა, ტკბილი დუდუკის

□

## ვასილ გარნოვის მოთხრობის გახსენება

ელენე ამალლობელის ჩანახატმა „დუდუკი ქართული წარმოშობისა“ („ჩვენი მწერლობა“, 2010, №14) ძალდაუტანებლად წამომავონა ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ტკბილი დუდუკი“, და მხოლოდ იმიტომ არა, რომ სათაურში იქაც ეს საკრავია ნახსენები.

უფრო მეტს უნდა გულისხმობდეს „ტრფობა წამებულის“ შემოქმედის მიერ მანცადამანც დუდუკის შერჩევა იდუმალ საკრავად, ვიდრე ერთი შეხედვით მოეჩვენება ადამიანს.

ელენე ამალლობელი ანსამბლ „ქსოვრელებს“ წარუდგენს მკითხველს ორიოდ ტევადი მონასმით, მათ ხელმძღვანელს ელდარ შოშიტაშვილს უფრო რელიეფურად აცნობს და საგანგებოდ იმონებს მის მტკიცებას, დუდუკის ქართული წარმოშობის დასადასტურებლად გარკვეული საბუთებისათვის რომ მოუყრია თავი და, როგორც კი შესაფერისი შემთხვევა მიეცემა, იმეორებს, რათა ჩვენს წიაღში შობილი ეს საკრავი ზოგად აღმოსავლურ კულტურას არ მივანეროთ ხელაღებით.

ვირწმუნით და გვახარებდეს დუდუკის ქართული სათავე. ნეტა ვასილ ბარნოვს თუ ეფიქრა ამ მხრივ?

მოთხრობას დუდუკის სევდიანი მოთქმა გასდევს ფარულ მუსიკალურ მოტივად, მისი მისტიკური ფონის გასამკვეთრებლად.

მოთხრობა აგებულია მწერლის მხატვრული მრწამსისათვის ნიშანდობლივ მარადიული დაბრუნების მოტივზე, სულთა გადასახლების თავისებურ ვარიაციაზე — თუკი თავიდან მკითხველსაც აოცებს მიხას უცნაური ქცევა (გაუთავებლად რომ იმეორებს, ეს ყოველივე ნანახი მაქვს, ოდესღაც აქ უკვე ვყოფილვარ და ახლა ბუნდოვნად ვისხენებ ჩემი წინარე მოვლენების ამბებს), თანდათან ნდობით ეკიდება მის ამ მტკიცებას, რადგანაც თვალნათლივ გრძნობს მის სინრფელესაც და მოთხრობის დედა-აზრსაც, სულთა იდუმალ კავშირამდე რომ აღამაღლებს ამქვეყნიურ სიყვარულს, ზეციური მადლით გააბრწყინებს და წამიერსა და წარმავალს გარდასახავს მარადისად და დაურღვევლად.

მიხა ამტკიცებს: წინარე ცხოვრებაში ცოლიც მყავდა, არა სატრფო ან საცოლე, არამედ სწორედაც ცოლი, ოღონდ ვეღარ ვისხენებ მის სახეს, მარტოდენ ხმა მაგონდება და, თუ ვიპოვნი ამ ახალ ცხოვრებაში, ხმით ვიპოვნიო.

ისე ხმა ათასგვარი ესმის, თითქოსდა მინდიასავით მიყურადებია სამყაროს იდუმალუბასო. და ჰგონია, რომ ეს ხმები სხვებსაც მასავით უნდა ესმოდეთ. ამიტომაც ჩაეკითხება ხოლმე სიყრმის მეგობარს, ამიტომაც სთხოვს: კარგად და-

უგდე ყური, შენც ხომ მოგესმისო. მაგრამ არც მის და არც არავის სმენას ეს ხმები არა წვდება.

მიხა სრულიად ამოვარდნილია ყოფითობიდან, თუმც ეს ხელს არ უშლის, მუყაითი ნოქარი იყოს — მეოცნებე პიროვნებისათვის სრულიად შეუსაბამო საქმიანობაა, მაგრამ მწერალი საგანგებოდ ამჯობინებს პერსონაჟის ნოქრობას, ფრანც კაფკას გმირებისა არ იყოს, ამგვარი კონტრასტიც მისი თხზულებების იდუმალუბით რომ არის ნაკარნახევი — ყოფითობაში შეჭრილი მისტიციზმით.

საგულისხმოა, რომ ამ სტილურ ხერხს თანადროულად იყენებს როგორც ქართველი, ისე გერმანელი მწერალი, ოღონდ ესეცაა — რაც ვასილ ბარნოვისათვის ქვეშეცნეული მიხედვრია, ფრანც კაფკასათვის მხატვრულ სისტემად გადაქცეულია და მისი სამყაროს ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია.

მიხა კი ისეთი დაჟინებით ეძიებს საუკუნეთა წიაღში ჩაკარგულ, ოღონდ ხელახალი მოვლინებისათვის შეგულებულ ცოლს, მკითხველი ხვდება, რომ ეს მოლოდინი ამაოდ არ ჩაივლის და მათი შეხვედრა გარდუვალია.

ამაღლებულ ოცნებას წინ უნდა გადაელობოს ყოფა, მიხას — ივან ივანიჩი, ვინც უნდა დაისაკუთროს ქეთეთო, სწორედ ის ქალი, ვინც წინარე ცხოვრებაში მიხას ცოლი ყოფილა და ახ-

ლაც თითქოს უნდა განმეორებულიყო მათი ქორწინება, რომ არა უცხო ტომის კაცი, ვინც საბოლოოდ სიკვდილამდე უნდა მიიყვანოს ქეთეთო.

სიმბოლური მინიმება საკმაოდ გამჭვირვალეა. ცოლ-ქმრის შეუთავსებლობა ქალის გარდაცვალებას იწვევს, ოღონდ სამუდამო დასამარებას კი არა, არამედ იმგვარ მოდუნებას, აკაკი წერეთელი ძილს რომ ადარებდა („არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“) და ყველას შეაგონებდა: ვინც შენატრის მისი სიკვილის, უმალ მასვე დაამინებსო.

ამ იმედოვნებით აღვსილა „ტკბილი დუდუკის“ ფინალიც — ქეთეთოსა და მასთან ერთად აღსრულებული მიხას კვლავდაბრუნების მოლოდინით.

არ მომკვდარან, მხოლოდ სძინავთ!..

მიხას ბევრგვარი საკრავი რომ უტკობდა ყურთასმენას, განსაკუთრებით მაინც დუდუკი იზიდავდა და, ქეთეთოს მონატრებაში ჩანთქმული, ამიტომაც ამჯობინებდა რესტორნის მყუდრო კუთხეში მიმჯდარს დუდუკის სევდიანი მოთქმისათვის დაეგდო ყური, მტკვრის დუდუნს რომ უერთედობა, და მისი ხმები ხან გულში რომ ეკვროდნენ მდინარეს, ხან კი სხლტებოდნენ მის კამკამ მკერდზე და მარგალიტის მარცვლებად იბნეოდნენ მიდამოში.

ანდერძადაც ამას დაიბარებდა: ქეთეთოს გვერდით რომ დამმარხავთ, ყოველწლივ მოიხსენიეთ ჩვენი სულელები და დუდუკი აკვენესეთ ჩვენს საფლავებზეო.

და სიყრმის მეგობარიც უკლებლივ რომ შეუსრულებს ანდერძს, მისი გარდაცვალებით დღეს ტკბილი დუდუკიც დასტორის შეყვარებულთა სამარეს.

არსად ახსენებს ვასილ ბარნოვი დუდუკის ქართულ წარმოშობას, მაგრამ ეს მოთხრობა სხვა რა არის, თუ არა ამ საკრავის აპოლოგიაც და მისი განსაკუთრებული სიახლოვის დადასტურებაც ქართველი კაცის ბუნებასთან.

...და ელდარ შოშიტაშვილს — თავის მტკიცებას კვლავ და კვლავ რომ გაიმეორებს დუდუკის ქართული წარმომავლობის შესახებ — შეუძლია ვასილ ბარნოვის „ტკბილი დუდუკიც“ გაიხსენოს, როგორც მისი მტკიცების ერთ-ერთი თვალნათლივი დასტური.



აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. დაიბადა 1943 წლის 13 მაისს, ბაქოში, XX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის ილიას ეფენდიევის ოჯახში. პირველი მოთხრობა 16 წლისამ გამოაქვეყნა. მისი პირველი წიგნი სათაურით „ათას ერთი ღამიდან ერთ-ერთი“ 1965 წელს გამოიცა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

ელჩინ ეფენდიევი

## სუთკაპიკიანი მოტოციკლი

ტოლიკმა მკითხა, მთა პაპიროსს თუ ეწვევო? ვუთხარი არა, პაპიროსს ადამიანი ეწვეა. „არ ხარ მართალი – მითხრა – მაიმუნიც ეწვეა, ჩემი თვალთ ვნახე ტელევიზორში“. აუფხსენი, რომ მაიმუნი მისდღემში ვერ მონევს პაპიროსს, მასაც ადამიანებმა ასწავლეს. მეკითხება: „განა მთასაც ადამიანებმა ასწავლეს პაპიროსის მონევა?“ მეც ამდენი შეკითხვებით თავგაბებრებულმა ცოტა არ იყოს უკმეხად მივხალე: „რა მთობანა აგიტყდა ბოლოსდაბოლოს, მთა პაპიროსს ვითომ რატომ უნდა ეწვეოდეს?“ პასუხად ხელი გაიშვირა და მითხრა: „აგერ ე მანდ, ვერ ხედავ? მთა პაპიროსს ეწვეა!“

მართლაც და, უცნაურ პაპიროსს ეწვეოდნენ კავკასიონის ჩამწკრივებული ქედები: ღრუბლებს ნაფაზად ისრუტავდნენ და რგოლებად უშვებდნენ თავზემოდან.

– პაპიკ, ხედავ?

ტოლიკმა ასი პროცენტით გაიმარჯვა – ადამიანი ამხელა მთასაც ხომ ვერ ასწავლიდა პაპიროსის მონევას? ახლა მოდი და ტოლიკს დაუძვერი, ვნახოთ, როგორ დაუძვრები. ჰმ! ერთბაშად არ გამოგივიდეს.

– პაპიკ, ვერ ხედავ?!  
– პაპიკ, ვერ ხედავ?! – შეწუხებული სახით ამომხედა.

ამ ბოლო დროს სულ „პაპიკ“-ს მეძახის, „მამა“ მიაგდო სადღაც კუნჭულში, როგორც მე „ტეჰმეზი“ და ტოლიკს ვეძახი. ისე კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ვითომ, ტეჰმეზს დავუძახებ თუ ტოლიკს?

– პაპიკ, ნუთუ ვერ ხედავ?! – შეწუხებული სახით ამომხედა.

რა თქმა უნდა, რომ მეთქვა, ვხედავ-მეთქი, მაშინვე შემეკითხებოდა, კი მაგრამ როგორ მოხდა რომ ადამიანმა მთასაც ასწავლა მონევა? მთას ხომ პირი არ გააჩნია? ან რა მარკის პაპიროსს ეწვეა და ა.შ.

„ნამო, ნავი ვიქირავოთ, ტბაზე ნიჩბები მოვუსვათ და დრო ვატაროთ ჩვენთვის“ — შევთავაზე. მყისვე პაპიროსის მწვეელი მთა გადავიწყდა, ხელი ჩამჭიდა და ტბისკენ გამექაჩა. მერე შეჩერდა, შეფიქრიანდა და – „დედამ ხომ თქვა, ტბაზე წასვლა არ შეიძლებაო“. რა მექნა, დავამდე: „ჩვენც ისე მოვიქცეთ, რომ დედამ ვერაფერი შეიტყოს“.

მაგრამ სურათი უეჭველად გაიგებს – როგორც ყოველთვის ტოლიკი თავს ვერ შეიკავებს და ყველაფერს ეტყვის, ისიც ჩვეულებისამებრ მომვარდება და ბავშვის ცუდად აღზრდაში დამადანაშაულებს. თურმე მე ბავშვს სიყალბეს ვაჩვენე – ის მეუბნება ტბაზე წასვლა არ შეიძლება, სახიფათოა – მე მიმყავს; რომ მე პედაგოგიური მეთოდების მი-

მართ გულგრილობას ვიჩენ, „იმიტომ, რომ შტერი ხარ“ – მეუბნება სურათი. მე? მე ვარ შტერი? ჰმ! მომილოცავს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მელიქოვ საბირ, ამიერიდან შეგიძლია შენს სტატიებს საბირ მელიქოვი კი არა, ფსევდონიმი – საბირ შტერი მიაწერო.

ცხადია, ამ სისულელეებს ჩემთვის ვფიქრობ. სურათისათვის ასეთი რამეების თქმა არ შეიძლება – სულერთია, აზრი არა აქვს, რადგან პასუხი ამთავითვე ცნობილია: „Ради бога, не остроумничай не подходит“.

საათი ბილეთის კიოსკში დავტოვე და ნავისთვის ნომერი ავიღე: 13 შემხვდა. 13 სიმბოლური ციფრია. რატომაა სიმბოლური, ღმერთმა უწყის. მე ახლა სიღრმეების წვდომის ხალისი არ მაქვს, და რატომ არ მაქვს, ესეც ღმერთს უკეთ მოეხსენება.

ამ ზაფხულს პირველად ვუსვამ ნიჩბებს. „პირველად“ რომ ვამბობ, სულ ერთი კვირაა, რაც კისლოვდსკში ჩამოვედით. მაგრამ ამ ერთი კვირის მანძილზე პირველად ვუსვამ ნიჩბებს და ეს არც ისე ბევრია, რადგან ავტო-პანსიონატი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამ ხელოვნური ტბის გვერდითაა.

წინათ ნიჩბებს დღეში რამდენჯერმე ვუსვამდი. მაშინ ჯერ კიდევ მშობლებთან ერთად ჩამოვდიოდი აქ. ეს ის დროა, როდესაც ტოლიკი ამქვეყნად არ მოვლენილიყო და მეც კულტურიზმით მიხდოდა დავკავებულებოდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ერთ დროს ტოლიკი ამქვეყნად არ არსებობდა და კაციშვილი ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ადამიანი გაჩნდებოდა. მე კი ვარსებობდი, ახლა ტოლიკიც არსებობს. მოვა დრო, მე არ ვიქნები. ტოლიკიც არ იქნება.

ტოლიკმა მკითხა, დედამ ხომ გითხრა, სტვენა არ შეიძლება! კი-მეთქი, მივუგე.

– „თუ ასეა, რატომ უსტვენ?“ მეც ბოდიში მოვუხადე. საბედნიეროდ, „ბოდიშს ვიხდი“ რა არისო, არ უკითხავს. ამიხსნია ალბათ და იცის.

მერე სანაპიროზე ჩამწკრივებული ხის ქოლგები დამანახა და „ეს რა არის ასეთი?“ – რომ მეთქვა, ადამიანებს მზის ემინათ და მის ქვეშ ისვენებენ-მეთქი. მაშინვე მოაყოლებდა: „ადამიანებს მზის რატომ ემინათ?“ რომ მეთქვა, მზე ადამიანებს წვავს-მეთქი, ისევ შემეკითხებოდა თუ რატომ? და ა.შ.

„იბანავებდი ახლა?“ ქოლგები მყისვე დაივიწყა და თავი თანხმობის ნიშნად დამიქნია ანუ „აუ რას ვიბანავებდიო“, მაგრამ ძალიან საცოდავადც დამიქნია, რადგან იცოდა რეალური რომ არ იყო ეს.

მე და სურათი პირველად აგერ იმ სანაპიროზე შევხვდით ერთმანეთს. ეს შეიძლება წლის წინათ მოხდა. გამხდარი, მაღალი გოგო იყო სურათი მაშინ. დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა; ჰქონდაო, ვამბობ, თითქოს ახლა მის თვალებს ფერი შეცვლოდეს. არა, ისევ ცისფერი თვალები აქვს სურათისა. მაშინ თავისიანებთან ერთად პანსიონატში ცხოვრობდა. მეც ჩემებთან ქალაქში ნაქირავებ ბინაში ვიყავი. ახლაც, ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ აქ; ზუსტად 6 წელია, რომ თვენახევ-

რის განმავლობაში კისლოვოდსკუი ვისვენებ, – ერთ თვეს შვებულებით, დანარჩენს კი ჩემი სურვილით. მომავალში ამ ავტო-პანსიონატის წინ მემორიალური დაფა უნდა გახსნან ნარნერი: „აქ 6 წელიწადს ზაფხულობით ცხოვრობდა გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე საბირ შტერი“. ქვემოთ კი ჩემი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უნდა მიაწერონ (1937-19 რალაცა წელი), თუმცა რატომ 19... რომელიღაცა? იქნებ 2000 წლამდე ვიცოცხლო?

ამ ზაფხულს მხოლოდ ჩვენ ჩამოვედით, ანუ მე, სურაია და ტოლიკი. სურაიას მამის ოჯახობას ბაქოში დარჩენა მოუნდა, რადგან მათი უმცროსი ვაჟი – დემირი – უნივერსიტეტში მოსაწყობად ემზადება. ჩემები კი ბუზოვანაში, ჩვენს ბაღში ისვენებენ და ამიტომაც მარტო ჩამოვედით პანსიონატში. წელან სურაიას საპასუხო ტელეგრამა რომ გავუგზავნე, მგონი კარგად არ მოვიქეცი; რაც უნდა იყოს პანამვიდზეა მაინც.

დღით სურაიასგან ტელეგრამა მივიღე, ახლაც ჯიბეში მიდევს: „Прилетела Блогополучно тчк Здес ужасно тчк Послезавтра Буду там тчк Целую вас тчк Жду вашего ответа = Сура Мама“.

ამ ორი ხელისმომწერიდან ორივე სურაიაა. პირველი ანუ სურა ჩემთვის არის გათვალისწინებული, მეორე – ტოლიკისათვის. თუმცაღა ტოლიკს ტელეგრამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს. რომ შეიტყოს, მაშინვე მომყარის უამრავ კითხვას და მეც ვერასოდეს ავუხსნი, რომ დეიდა ფირა ანუ ფირენგიზი მოკვდა. როგორ თუ მოკვდა?!

რაც თვალი გავახილე, იოსებ სამოილოვიჩ ბასი ამ „ავტო-პანსიონატის“ დირექტორია. თითქმის ასი წელია, რაც ეს მწითური კაცი, ყოველთვის მისთვის ჩვეული ღიმილით, მორიდებული მანერებით, ყოველთვის რაღაცის მოლოდინით ანთებული თვალებით ჩამომსვლელთ ხვდება და ნამსვლელთ აცილებს. მეც წელან, ნასადილევს ტოლიკის თანხლებით ფოსტაში შევიარე და სურაიას პასუხად ასეთი ფოტო-ტელეგრამა გავუგზავნე:

„ძველი აბანო და ძველი თასი  
ძველი პანსიონი, ძველი ბასი“.

რომ წაიკითხავს, ალბათ თავისთვის ჩაილაპარაკებს, რა თქმა უნდა შტერებს ამის მეტი, აბა, რისი მიღწევა შეუძლიათო. თავისთვის იტყვის, ჩვენს საუბარს არავის გაანდობს, მამამისი კი არა, თუგინდ დედა – მუშგუნაზ ხანუმი – იყოს.

ისე კარგად არ მოვიქეცი, რაც არ უნდა იყოს პანამვიდზეა მაინც.

მაჯაზე საათის ადგილი თეთრად მამჩნევია: საათი არ მაქვს. მის ქონას კი მისგან დანატოვარი თეთრი რკალილა ამჟღავნებს. ფირენგიზიც მოკვდა, ფირენგიზიც აღარ არის. თუმცა ყველაფერი უწინდებურია: უწინდებური ჰაერი, ცეცხლი; უწინდებური მინა და წყალი. ფირენგიზი აღარ არის მხოლოდ. მისი ადგილი სიცარიელემ დაიკავა. მაგრამ ამით არც ჰაერს, არც ცეცხლს, არც მინას და არც წყალს არაფერი დასტყობია. მათთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ბილეთის გამყიდველმა ქალმა, საათი რომ დამიკარგოს და უსაათოდ დავრჩე, თეთრი რკალი, რომელიც მაჯაზე მეტყობა, რამდენიმე დღეში ისე გაშავდება, რომ ფრჩხილიც არ მეტკინება. ფირენგიზიც ნელ-ნელა შთაინთქმება და გაქრება. რატომ? რატომ? რატომ?

ტოლიკმა ისევ ხის ქოლგებზე მკითხა. პასუხს თავი ავა-რიდე და: „თუ გინდა ჩემთან გადმოდი, ნიჩბებს ერთად მოვუსვით“ – შევთავაზე. სიხარულისგან თვალები აუციმციმდა. თუმცა ეშმაკურადაც ჩაილიმილა – მიხვდა, პასუხს თავს განგებ რომ ვარიდებდი. მერე ხელზე დამეყრდნო და ჩემს გვერდით გადმოინაცვლა. ნიჩბების მოსმას ერთად შევუდექით.

ტოლიკის თვალები მუშგუნაზ ხანუმის თვალებს დამგვანებოდა.

ხელოვნური ტბის სანაპიროზე ხის ქოლგები ამ ხელოვნურობის სიმბოლოსავით ერთიმეორის მიყვლებით ჩამწკრივებულყო. უკანა მხრიდან კი კავკასიონის მთათა მწკრივი მოჩანდა და ეს ისეთ წინააღმდეგობრივ სურათს ქმნიდა, თითქოს ყაჩაღი ქერიმი ხელში პორტფელით გამოცემლობაში მიდიოდა.

ერთხელ, მგონი შარშან, კისლოვოდსკის პარკში სეირნობისას სურაიამ სარკესავით პატარა ჩანჩქერი დამანახა – “შეხე რა ლამაზია. მდინარე ოსტატურად როგორ შეუფუბებიათო”. მეც ვუთხარი, რომ მართლაც ლამაზია, გეგონება ქოროლი ქოლგით ხელში წვიმას ერიდება-მეთქი. სურაიას მყისვე გუნება გაუფუჭდა, მითხრა, მთელი წელი ვმუშაობთ, ფულს ვაგროვებთ დასასვენებლად ჩამოვდივართ. მაგრამ შენ აქ ყოველგვარ მშვენიერებას, სილამაზეს დასცინი, ყველაფერ გულისგამახარებელზე თვალს ხუჭავო. რა თქმა უნდა, მე სურაიას ვერ ავუხსნიდი, რომ ხელოვნურად დაგუბებული მდინარე და ხელოვნურად წარმოქმნილი ჩანჩქერი ჩემში არანაირ ემოციას არ ინვევს. ვერ ავუხსნიდი იმიტომ, რომ სურაიას ჩემთვის მთის ბუნებრივი ჩანჩქერების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამოც არაერთხელ უსაყვედურია და მართალიც ყოფილა. მაგრამ ალბათ საქმე ისაა, რომ მე ბუნებრივ მშვენიერზეც ხელოვნური აღტაცება არ მჩვევია; არ შემძლია ძალით გავიხარო. აი, რას ვერ ავუხსნიდი სურაიას, რადგან თვითონაც არ ვიცი, რა არის ეს.

ტოლიკმა მითხრა, ახლა მინდა მეორე ნიჩაზს მოვეჭიდო. მეც მარჯვენა გვერდზე გადმოვსვი – ბუმბულის წონა აქვს. ერთი კოვზი რძე რომ დავალევი, სიქა მძვრება: ხან ვიყივლებ, ხან ყირამალას გადავდივარ, თვალებს ვიელამებ და კიდევ რა ვიცი, რას არ ვაკეთებ. ჩემი შემხედვარე თვითონ სურაიაც თავს ვერ იკავებს და ეცინება; მეუბნება, შენ თეატრზე კი არ უნდა გენერა, იქ უნდა გეთამაშაო. ამ დროს, ანუ როცა ტოლიკს ვაჭმევდი, ამ ამბავს ფირენგიზიც თუ შეესწრებოდა, ისიც იცინოდა. იტყოდა, საბირი ყველას მოსანყენ პიროვნებად მიაჩნიაო, მაგრამ წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ხელთეფშიანი საბირის ყურება ერთ რამედ ღირს – ცირკში ოლეგ პოპოვის საყურებლადაც არ ნახვალო.

ახლა ფირენგიზი არასოდეს გაიცინებს, ვერასოდეს ნახავს, თუ როგორ ვაჭმევ ბავშვს. ვერასოდეს შემადარებს ოლეგ პოპოვს. რატომ? იმიტომ, რომ მკვდარია.

– კიდევ უსტვენ? – მომესმა ტოლიკის ხმა.

– მოდი იმ ხიდის ქვეშ გავცუროთ – ვუთხარი. ტოლიკმა ისევ მუშგუნაზ ხანუმის თვალებით გაიღიმა და „კარგიო“ – მითხრა.

ტოლიკი ჩემი შვილია, თუმცა ბებიაშვილივით იღიმება. ალბათ ტოლიკის შვილიშვილსაც ექნება რაღაც ჩემეული. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მუშგუნაზ ხანუმმა სურაიას გუშინ დღით უდეპემა და ფირენგიზის სიკვდილი აცნობა. მერე სურაიამ გადაურე-

კა. მუშგუნაზ ხანუმმა უთხრა, ფირენგიზი ავტობუსმა მოიყოლა ქვეშ და ვაშლივით გაჭყლიტაო. იმნამსვე მომკვდა-რა საბრალო ფირა. მერე თქვა, ბაქოში ჯოჯოხეთური სიცხეა, ხვალ კი დემირს პირველი გამოცდა აქვსო.

სურაიას გულისნასვლას ცოტაღა აკლდა. რის ვაი-ვაგლახით დავამშვიდე. მგონი თვითონაც დაიმშვიდა თავი – ბავშვი არ შემიშინდესო. თვითმფრინავში ბილეთი დაუფუჯაშენ და გუშინ საღამოსვე გაფრინდა ბაქოში.

ფირა და სურაია პირველი კლასიდან მოყოლებული ერთად სწავლობდნენ. ერთად ჩაირიცხნენ და ერთად დაამთავრეს სამედიცინო ინსტიტუტიც. ახლაც ერთად მუშაობდნენ ონკოლოგიის, რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის სახელი ტოლიკმა უფრო დაზუსტებით იცის.

ფირა სურაიას ხნის – 29 წლისა იყო. ფირასთან შეხუმრებულები ვიყავით და შინაურული ურთიერთობა გვქონდა. ის როგორც კი ოლეგ პოპოვის მადარებდა, მეც ვპირდებოდი, ტოლიკი როცა გაიზრდება, მას მიგათხოვებ, სიკვდილამდე შინაბერად ხომ არ დარჩები-მეთქი? სურაია ყოველთვის მსაყვედურობდა, ფირას ძალიან უხეშად ეხუმრებო.

– „სულაც არ ვხუმრობ – ვუარობდი მე – ფირას მართლა შევრთავ ტოლიკს“.

თვითონ ფირას არ სწყენდა, რომ სწყენოდა მაშინვე ვიგრძნობდი.

ფირა გათხოვილი არ ყოფილა. იმიტომ კი არა, რომ მთხოველი არ ჰყავდა, არა, იმიტომ, რომ თავისი შესაფერი ვერავინ ენახა. ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე ამბობდა და დაეჯერებოდა ფირას, რადგან ლამაზი იყო ფირა. ერთი კია, მაშინაც მეგონა და ახლაც მგონია, რომ ფირას ვილაც უყვარდა და თანაც ფარულად უყვარდა, რომ იტყვიან, შორიდან ეტრფოდა. ერთხელ პირდაპირ ვუთხარი კიდეც. ჯერ გაიცინა და მერე ხუმრობით მითხრა: „გამოიცანი, მაგრამ ნუ სწუხხარ, ტოლიკი გაიზრდება თუ არა, მაშინვე მივივინყებ ჩემს ფარულ სიყვარულს და ისიც თავის გზას გაუდგებაო“. შევნიშნე, შესამჩნევად განითლდა.

იქნებ მე ვუყვარდი ფირას?

ტოლიკმა მითხრა – „კიდევ უსტვენო!“ სტვენა შევწყვიტე და ბოდიში მოვუხადე. მერე მინდოდა საათისთვის დამეხედა, მაინტერესებდა, ნავის დაბრუნებამდე რა დრო დარჩა-მეთქი. მაგრამ მაჯაზე საათის დანატოვარი თეთრი რკალიღა ლაპლაპებდა. მალე საათს დავიბრუნებ და ყველაფერი ისევ თავის მწყობრში ჩადგება. ფირენგიზის ადგილი კი ყოველთვის ცარიელი დარჩება. თუმცა ყოველთვის არა, სანამ მზე გააშავებდეს, მანამდე.

ნიჩბების წყნარად მოსმა-მოსმით ერთი ქალი წამოგვეწია. მხოლოდ საცურაო კოსტუმი ეცვა. თვითონაც კაი სანახავი იყო – გარუჯვისაგან დასაცავად ცხვირზე ფოთოლი

ჰქონდა მიკრული. ამ ფოთოლმა ბელვედერელი აპოლონი გამახსენა. ოლონდ ბელვედერელ აპოლონს ფოთოლი სასირცხვოს უფარავდა, ამ ქალს კი ცხვირს. სიცილი წამსკდა. ქალმა ჩემი სიცილი, ეტყობა, თავისებურად ახსნა და ამიტომ მანაც თავისი ცისფერი თვალები შემომანათა, მაგრამ ჩემს გვერდით ტოლიკს თვალი მოჰკრა თუ არა, სიცილი მყისვე მოსხიბა, გაჯავრებულივით ნიჩბებს ბეჯითად მოუსვა და გაგვშორდა.

ტოლიკმა თავი გაიქნია და „ყველაფერს დედას ვეტყვიო“ – დამემუქრა.

– მაშინ დედა გაიგებს, რომ ტბაზე იყავი – ვუთხარი ნიშნისმოგებით.

– მე არაფრის არ მეშინია – მტკიცედ განაცხადა ტოლიკმა.

– არც მე მეშინია – არც მე დაუთმე.

– არა, შენ გეშინია – მითხრა ტოლიკმა და მეც გამიკვირდა, ნეტა რისი მეშინია-მეთქი, გავიფიქრე. ჩემი ჩაფიქრება რომ შენიშნა, მითხრა: „აბა ნახე როგორ გიკავივარ, გეშინია, წყალში არ ჩავვარდე და არ დავიხრჩო“.



**მხატვარი თამარ მინაშვილი**

მართლაცდა, ტოლიკი წყალში რომ ჩამივარდეს და დამერჩოს, ჩემი სიცოცხლეც ხომ დამთავრდება და მეც მოკვდები? ნეტა რისი უფრო მეშინია – ტოლიკის დახრჩობისა თუ ჩემი სიკვდილის?

ფაქტი ერთია, მართლს იძახის – მეშინია.

არა, ფირა ვერასოდეს შემეყვარებდა. გაბედული გოგო იყო ფირა, მისი რჩეულიც გამბედავი იქნებოდა. აი, მე კი სულაც არა ვარ გაბედული.

საიდან ვიცი, რომ გაბედული არა ვარ? ყოფილა კი ისეთი შემთხვევა, რომ ჩემს თავში გაუბედაობა აღმომეჩინოს? არა, რალაც არ მაგონდება. იქნებ მეც გულადი და გაბედული ვარ? იქნებ მართლაც ვუყვარდი ფირას? რომ მცოდნოდა, ფირას ვუყვარდი, ნეტა მის სიკვდილს უფრო მწვავედ განვიციდი? და საერთოდ, განვიციდი კი მის სიკვდილს?

განცდა და სიბრაღული ერთიდაიგივე არ არის.

გაბედული გოგო იყო ფირა.

კი მაგრამ მე საიდანღა ვიცი, ფირა გაბედული რომ იყო? ჩემთან ოდესმე გამბედაობა გამოუჩენია? არა, მაგრამ მაინც გაბედული გოგო იყო ფირა.

ერთხელ, როცა სურაია ჩემზე წუნუნებდა, ფირამ მთელი სერიოზულობით განაცხადა, საბირი სულაც არ არის

ისეთი, როგორც ჩანს; მასში სულ სხვა პიროვნების პოტენციული დევსო. ფირა ცდებოდა. თუმცა თვითონ იყო ამგვარი. ორივე ფირენგიზი მშვენიერი იყო, მაგრამ ჩემთვის მეორე ფირენგიზი უფრო ახლოს იდგა. იგი გაცილებით რთული და საინტერესო გახლდათ. მე კი, მე კი მხოლოდ ერთპლანიანი საბირი ვარ.

„წელანდელი მოტოციკლეტი რომ გვეყიდა, მაგარი იქნებოდა“ – დანანებით წამოიძახა ტოლიკმა. წელან სასადილოდ ქალაქში რომ გავიარეთ, ერთ-ერთი მალაზიის ვიტრინიდან ახალთახალი, წითელი, პრიალა მოტოციკლეტი მოჩანდა. ტოლიკმა ნახევარი საათი ადგილიდან ფეხისმოუცვლელად უყურა. ახლაც იმას გულისხმობდა.

ჩემს სიცოცხლეში მოტოციკლეტი არ მიტარებია. „მიტარებია“ ვამბობ, საერთოდ არც გავკარებოვარ. ბავშვობაში სამბორბლიანი ველოსიპედი მქონდა, მეხუთე კლასამდე დავაქროლებდი აქეთ-იქით.

სურაიას მამას „მოსკვირი“ ჰყავს. აქ, ანუ იოსებ სამოილოვიჩ ბასთანაც ყოველთვის მაგ „მოსკვირი“ მოვდიოდით – თვითონ დაჰყავდა. წელს კი „მოსკვირი“ პატრონთან ერთად ბაქოში დარჩა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჩამოვედით. იოსებ სამოილოვიჩ ბასის გამოისობით, უფრო სწორად, მისთვის ნაჩუქარი ორი ბოთლი კონიაკ „გოი-გოლისა“ და შავი ხიზილალას წყალობით კარგად მოვეწვეეთ. ახლა კეთილმოწყობილ ოროთახიან სახლში ვცხოვრობთ, თუმცა ეს დროებითია – სანამ აქ ვართ, მანამდე.

ისე რატომ დროებით? ნუთუ მომავალ წელს ისევ არ ჩამოვალთ? ანდა სიცოცხლის ბოლომდე ერთხელაც არ ჩამოვალთ?

“ძველი აბანო და ძველი თასი ძველი პანსიონი, ძველი ბასი“.

სიცოცხლის ბოლომდე ყოველ წელსაც რომ ჩამოვიდეთ, მაინც დროებითი იქნება. და მაინც, რისთვის უნდა ჩამოვიდე ყოველ წელს აქ? რატომ და რისთვის ვნახო იგივე სახლები, იგივე სახეები: დამლაგებელი ლიონია, მეტუფეტე სერგეი, მრეცხავი ფენია, მეთვალყურე ფომა გერასიმოვიჩი და კიდევ ვინ ჩამოთვლის, ვინ აღარ. მოვიარო ათასჯერ ნამყოფი ადგილები, ვნახო იგივე პეიზაჟები? ამგვარად თუ სხვაგვარად, ესენი ჩემთვის რაიმე მნიშვნელოვან სხვაობაა? არა, მამ რატომ ვფიქრობ ამაზე?

ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის დროს ფირა და სურაია ერთმანეთს ყოველ დღით ეჩხუბებოდნენ. ფირა ჩვენი სახლიდან – სურაიას მამის სახლს ვგულისხმობ, დაქორწინების შემდეგ მეც მათთან ვცხოვრობ – ცოტათი მოშორებით სახლობდა. ყოველ დღით სურაიას აკითხავდა და ერთად მიდიოდნენ. ფირა მუდამ სხვადასხვა გზებით დადიოდა, ამბობდა, ერთიდაიმავე გზით სიარული მოსაწყენი ხდება, მძულს ერთფეროვნებაო. ზოგჯერ თითქმის ნახევარი ქალაქის შემოვლა უხდებოდათ, რაზეც სურაიას ნერვები ეშლებოდა.

ტოლიკმა მითხრა, დავილალო. მერე დასძინა: საერთოდ გული გამიწყალა ამ ტბამ. შენც არაფერს ლაპარაკობო.

- რა ვილაპარაკო? – ვკითხე
- ზღაპარი მომიყვიე.
- ცეროდენა ბიჭისა მოგიყვიე?
- ეგ ვინლა? – შემეკითხა.
- არავინ – მიუყვიე.

– მაშინ თოვლის გოგონას ზღაპარი მომიყვიე.

– მერე მოგიყვიე, ახლა ნავი დავაბრუნოთ, თორემ საათი იქ დაგვრჩება.

ისე საათი იქ რომ დამრჩეს, რა იქნება რო... რამდენიმე დღეში მაჯაზე მისი ნიშანკვალიც არ დამრჩება. აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? ანუ აქვს მნიშვნელობა იმას, მაჯაზე საათის ნაკვალევი დამეტყობა თუ არა? თუ საათი არ მექნა, გინდ დამეტყობია, გინდ არა.

ფირა ვერასოდეს შემეყვარებდა, იმიტომ, რომ მე იმავე ადამიანთან, არ აქვს მნიშვნელობა, მომწონს თუ არა, შემიძლია ერთ ოთახში ერთი წელი დავყო. დაუსრულებლად ვეთამაშო ნარდი ან „დურაკა“. ნაგება არ გამაბრაზებს – მოგება არ გამახარებს.

საათი მაჯაზე გავიკეთე. ტოლიკმა მითხრა, მომწინდა, შენ არაფერს ლაპარაკობ. დედაც ბაქოში წავიდა, რათა პაპაჩემის „მოსკვირი“ ჩამომეყვანოს, მაგრამ ისიც არ ჩანსო. ტოლიკი მართლაც შენუხებული ჩანდა. ისე მის ადგილას მეც შევწუხდებოდი. თუმცა ბოლოს როდის შევწუხდი, აღარ მახსოვს. ალბათ იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს სრულ აუტანლობაში ვცხოვრობ და ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. – აზრი არა აქვს და იმიტომ.

მამ რატომ ვფიქრობ ახლა?

რაკი ვფიქრობ, ბარემ კარგად ჩამოვყავალიბებ: „ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატო, ბატონო საბირ მელიქოვ, თუ იცით, რატომ არ ხართ შენუხებული, უფრო სწორად, ნუხილი რატომ არ ვაგონდებთ? იმიტომ, რომ სულ ერთთავად დუმილით ხართ მოცული, რადგან შენუხდებით თუ არა, ამას თქვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს“.

ჰმ! ეს რა აზრები მომდის თავში?

ტოლიკს ვუთხარი, წამოდი პარკში გავისეირნოთ, მერე კი ვივანშმოთ-მეთქი. ტოლიკმა შემისწორა: „არა, ჯერ „ფანტომასს“ ვუყუროთ, მერე გავისეირნოთ და სულ ბოლოს ვივანშმოთ“. მერე კი დასძინა: „ფანტომასი ასე იცინის – ჰა, ჰა, ჰა“. მე არ დავეთანხმე: „ისე კი არა, ასე იცინის ხა, ხა, ხა“. ავტობუსის გაჩერებაზე მდგომნი ჩემკენ შემობრუნდნენ. ერთი კი გავიფიქრე, მოდი ასეთი ყურადღების გამოჩენისთვის თავს დავეუკრაგ-მეთქი.

როცა ტოლიკს ვავანშმებდი, ფირა ყოველთვის ტაშს მიკრავდა. მეც ფეხზე ვდგებოდი და თავს ვუქნევდი. ფირა ამბობდა: „არ ვიცი, საბირს უინტერესოს რატომ ეძახიან, უხალისო რომ ეთქვათ, კიდევ ხოო“. მთელი ჩვენი ნაცნობობის მანძილზე ფირამ პირველად და უკანასკნელად მიწოდა უხალისო და, შეიძლება ითქვას, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და იმაზე ვფიქრობდი, თუ რა ზუსტად მოარტყა ფირამ. უნდა ვალი-არო, რომ ეს ჩემთვის აღმოჩენის ტოლფასი იყო. ვფიქრობდი, უხალისო ადამიანი ვიყავი იმიტომ, რომ სანატრელი რამ არ გამაჩნდა, ხალისს რომ შემმატებდა, ისეთი.

აი, რას ვოცნებობ ახლა? უპირველეს ყოვლისა სურაიას მალე დაბრუნებაზე, თორემ ტოლიკი წუხს. მეორე – მომავალ წელს კიდევ ჩამოვიდეთ აქ. აქაური უმოქმედობა ჩემთვის დღეში არხეინად ხუთი ბოთლი ღვინის სმას და სამოგარივით მუდმივ დაბალ ხმაზე დუღილს უდრის – არაფერი გადარდებს, არაფერზე ფიქრობ. ხმამალა ნათქვამად თუ არ გამომივა, ვიტყვი, რომ ეს იდილიაა ფიქრის გარეშე. მესამე – სადოქტორო დისერტაციის დამთავრებაზე და რაც შეიძლება მალევე დაცვაზე, რათა ხელფასი მომემატოს. თანაც

ტვირთს მოვიცილებდი და ამოვისუნთქავდი. მეოთხე, რომელია მეოთხე? მეოთხე არ არსებობს.

ფირა ვერასოდეს შემეცვარებოდა.

ავტობუსში ბილეთის გამყიდველისგან ორი ბილეთი ავიღე. ხურდა 5 კაპიკით ზედმეტი დამიბრუნა. სულმთლად ახალთახალი ხუთკაპიკიანი იყო და ოქროსავით ბზინავდა. ტოლიკმა მაშინვე წამართვა.

ახლა ფირენგიზის სახლში დიდი არეულობა, ვაი-უშველებელი დგას ალბათ. ფირენგიზს ორი და ჰყავდა. ორივე – მასზე უმცროსები – გათხოვილი იყო, მაგრამ ფირა ორივეზე ლამაზი იყო. მამა არ ჰყავთ, დედა კი – დეიდა ბიჭა – შესანიშნავად ამზადებს დუშბარასა და გუთაბს.

რა მოუვიდა ფირას მამას ან როდის გარდაიცვალა, არ ვიცი. აქამდე არაფერი მიკითხავს. იქნებ ომიდან არ დაბრუნებულა ან იქნებ მასაც მანქანა დაეჯახა? – არ ვიცი.

შვიდი წელი ყოველდღე ვხვდებოდი ფირას. გარდა იმ დღეებისა, როცა იოსებ სამოილოვიჩ ბასის პანსიონატში ვიმყოფებოდი.

ტოლიკმა გამაფრთხილა: „იცოდე, ჯერ ფანტომასს უნდა ვუყუროთ.“ მეც დავაიმედე და ვუთხარი: ნუ გეშინია, ვიდრე არ დაღამდება, არ ვივანხმებთ. თანაც საღამომდე დრო გვაქვს.

ერთხელ, როცა პირველ კურსზე ვიყავი, ჰაჯისთან შევიკრიბეთ. ჰაჯიმ, როგორც სჩვეოდა, მდიდრული მეჯლისი მოგვიწყო. მამამისი რაიონში მალმალე ჩადიოდა, დედა კი სულ ერთთავად სამსახურში იყო. ასე რომ, სახლი ჰაჯის განკარგულებაში რჩებოდა. ოთხი-ხუთი ბიჭი ვიყავით, ყველანი ერთად ვსწავლობდით. მოულოდნელად ასეთი რამ შემოგვთავაზა: „მოდი ერთმანეთს ჩვენი ყველაზე დიდი ნატვრა გაუფხილეთო“. ჩემი რიგი რომ დადგა, არ ვიცოდი, რა მეთქვა, ძალზე არაფრისმთქმელი ნატვრა შევაკონინე და ექსპრომტად ვუთხარი; ვუთხარი, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა თქვენი ნატვრის ახდენა არის-მეთქი. ჰაჯიმ მაკოცა და „ყველაზე დიდი ნატვრა შენა გქონიაო“-მითხრა. მე კი ჩემი ხელოვნური ნატვრისა ძალიან შემრცხვა. ღამით ნატვრის უქონლობამ გამანამა და ძილი გამიფრთხო. დავინყე ნაირ-ნაირ ფანტასტიკურ რამებზე ოცნება: ხან ჩემი ხალხის გმირობა ვინატვრე, ხანაც სენტმეურნალობა მომინდა... თვითონ ესენიც ყმანვილური ოცნებებისა და ნატვრებისაგან ძალიან შორს იდგა და უფრო ობივატელურ ოცნებებს წააგავდა – თვითონაც მშვენივრად ვხვდებოდი...

უხალისობას ნატვრის არარსებობა იწვევს, უნატვრობა გულგრილობისაგან მოდის. მამ გულგრილობის მიზეზი რაღაა. ნუთუ მხოლოდ ის, რომ მოვა დრო და ყველანი დავიზოცებით?

ჟან მარემ პირველად რომ გაიცინა, ტოლიკმა ჩვეულისამებრ „ოო ოო“ – ამოიძახა. მერე ჩამჩურჩულა: „ხედავ? ფანტომასი ჩემსავით იცინის“. მეც ვითომ ამ მსგავსებას გამოაცხადე და ჩუმად: „კი, კი“ – დავუდასტურე.

ორი-სამი თვის წინათ ჰაჯიმ რაღაც მითხრა და არასოდეს მავინყელება, რადგან მძულს ეს სიტყვა. ქუჩაში შემთხვევით შემომხვდა, მითხრა, დღეს „ნეფთჩი“ და კიევის „დინამო“ თამაშობს, ნამო ვუყუროთო. ვიუარე – ტელევიზორში ვუყურებ-მეთქი. ჰაჯიმ ერთხანს მიყურა და: „რა მოგივიდა, შე კაცო – მითხრა – სიზარმაცეს სულ შეუპყრიხარ, გამოფხიზლდი ცოტაო“. მახსოვს, ძალიან გავბრაზდი. თუმცა შინაგანი ხმა მეუბნებოდა, დამშვიდდი, ტყუილად ნუ ბრაზობ, მართალს ამბობსო.

კი მაგრამ, რატომ და რა მიზეზით შევეპყრივარ სიზარმაცეს?

სიზარმაცის საბაბი უსაგნობაა და მიზნის უქონლობა.

პირველი შემთხვევაა, როცა კისლოვოდსკი ამგვარ რალაცებს ვფიქრობ. სიზარმაცისამგვარ აბსტრაქტულ ცნებათა სოციოლოგიური ძირების ძიების შესანიშნავ უნარსა და მცდელობას ვამყლავნებ – აფერუმ მე ასეთი აზრებისა და ამგარი ხმამალალი და მქუხარე წინადადებებისთვის. მაგრამ დე ფიუნესის თვალ-წარბთა თამაშს რომ ვუყურო, მგონი აჯობებს.

ნეტა ტოლიკივით გაცინება შემეძლოს. ესეც ერთგვარი ნატვრაა, მეოთხე ნატვრა. ტოლიკივით ვერასოდეს გაცივინებ, იმიტომ, რომ ტოლიკი ყველაფერს ჭეშმარიტებად და სინამდვილედ აღიქვამს – მას ეს ახარებს, ეს ყველაფერი მის ცხოვრებას აზრს სძენს. მე კი ყოველგვარ სინამდვილეში რალაც სიყალბის ნატამალს, ნარევს ვხედავ ე.ი. სინამდვილე უაზრობის ელფერს იძენს.

ძმაო ხელოვნებთმცოდნეობის კანდიდატო, უმჯობესია კრინტი არ დაძრა და დე ფიუნესს უყურო. უყურე, ძვირფასო საბირ, რადგან ერთი რამ დანამდვილებით ცნობილია: ეს სოფელი ალექსანდრე მაკედონელს არ შერჩენია და არც შენ შერჩება. და ისიც ცხადია, რომ ამ სამყაროს სინამდვილის წინააღმდეგ შენი პრეტენზიებით ვერაფერს გახდები.

მთვრალი ისკანდერიც ამბობდა: „მე არაფერს წარმოვადგენო“.

ერთხელ, შემოდგომისას სამსახურში უგუნებოდ ვიყურებოდი ფანჯარაში. ოთახში ორნი – მე და ხელოვნებთმცოდნე და ამასთანავე გარდამეტებულად მსმელი, მსცოვანი ბატონი ქემალი, ფსევდონიმით „უკვდავი“ – ვიყავით. ერთხანს მიყურა და მითხრა: „მაგ ნაცრისფერ ცხოვრებას რას შესცქერი ასე და გუნებას რად იფუჭებ. მოდი, კარგ საკურთხეველს გირჩე და შენც ამ ცხოვრებას ჩემსავით ზურგი შეაქციე სამუდამოდ“ – ეს თქვა და უცნაური ფერის პორტფელიდან ნახევარლიტრიანი „მოსკოვსკი“ ამოაძვრინა, დამანახა, ისევ პორტფელში ჩააბრუნა და მთელი სერიოზულობით მომამტერდა.

– არა, – ვუთხარი, – არა, უკვდავო, მე ამ საკურთხეველის წინაშე ვერ ვილოცებ. „შენ იცი, ჩემი ვალი გზის ჩვენებააო“ – მითხრა და ისევ თავის ძველ ხელნაწერებს მიუბრუნდა.

ასე იმიტომ ვუპასუხე, რომ არაყს ვერ ვსვამ. განსაკუთრებით „მოსკოვსკის“ ვერ ვიტან, რადგან არაყში ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ და მეორეც ოჯახი მყავს. თანაც ტოლიკი უნდა აღვზარდო. აი ესეც მეხუთე ნატვრა – ტოლიკის აღზრდა.

საინტერესო ის იქნებოდა, ახლა ფოსტაში რომ შემერბინა და ჰაჯისათვის დამერეკა, უსალამქალმოდ მეთქვა: „გახსოვს, ერთხელ შენთან შეკრებილებმა საკუთარი ნატვრა ერთმანეთს გაუფხილეთ; მეც ვთქვი, ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა თქვენი ნატვრის ახდენა არის-მეთქი, ახლა როგორაა საქმე, ავიხდათ, რასაც ნატვრობდით?“ ალბათ ეგონება, გადაკრულში ვარ ანდა შემეკითხება: „რომელი ნატვრის ახდენაზე მელაპარაკებო“. მეც ვეტყვი: „ე.ი. ფუჭი ყოფილა, რაც გინატვრიათ, რადგან მიგივინყებიათ უკვე. ჩანს, თქვენსავთ თავს იტყუებდით. ალბათ ნატვრა იმიტომაც არ ავიხდათ, რომ ჩემი ნატვრა არ ყოფილა გულწრფელი, სინამდვილეში მე თქვენი ნატვრის ახდენა სულაც არ მინატვრია“.

მამ ასე, არც ერთი ჩვენგანის ნატვრა არ ახდენილა. მამ რატომ არ გგავართ თქვენ? რატომ, მაგალითად შენ, ჰაჯი,

ფეხბურთს სტადიონზე უყურებ, მე კი ტელევიზორიდან, და შენ გგონია, რომ მე მოთენთილი ვარ, და ეს მაშინ, როცა მე შენში ოპტიმიზმსა და ენერჯიას ვხედავ? ფირას უხალისო ადამიანი რატომ ვეგონე, როცა თვითონვე მადარებდა ოლეგ პოპოვს?

თქვენ თქვენი ნატვრისა გნამდათ, თუმცაღა თავს იტყუებდით. ჩემი ნატვრა კი მოულოდნელი იყო. იმიტომაც არ გგავართ თქვენ, რომ თქვენ ახლაც ნატრობთ, ოცნებობთ და გჯერათ მისი. მე კი... დღეს არაფერი, დღევანდელი დღე გამონაკლისია, ხვალ ყველაფერი თავის მწყობრში ჩადგება. ხვალ მზე მაჯვას გამიშავებს, საათი რომც არ მქონდავს, დრო დღეობით, თვეობით, წლებითა და საუკუნობით გავა.

ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. ადამიანის ბედი მისსავე ხელშია. ადამიანს შეუძლია თავისი ცხოვრება შეცვალოს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამისათვის სურვილია საჭირო. მე კი ასეთი სურვილი არ გამაჩნია, რადგან აქ აზრს ვერ ვხედავ და ამ საკითხზე არ ვფიქრობ. არ ვფიქრობ იმიტომ, რომ ფირენგიზი ყოველდღე არ კვდება.

ტოლიკმა მითხრა: „ცუდია, ფილმი რომ დამთავრდა. მოდი თავიდან ვუყუროთ“.

„ხვალ ვუყუროთ – შევპირდი-დღეს კი გვეყოფა“.

ქემალს უცნაური ფსევდონიმი აქვს „უკვდავი“ ანუ მე სიკვდილის არ მჯერა. დაე სადაც წვრილია, იქ განყდესო. ესეც ერთგვარი პროტესტია, ქემალ „უკვდავის“ შესაძლებლობათა ფარგლებში არსებული პროტესტი. თუმცა ფირა ამბობდა – იგი სამ-ოთხჯერ ტოლიკის დაბადების დღეზე ენახა – ამ კაცს ფსევდონიმად „უკვდავი“ კი არა, „უილაჯო“ უნდა დაერქვაო. ფირა თვითონაც უილაჯო გახლდათ, რადგან იგი მოკვდა. ჩვენ ყველანი უილაჯონი ვართ, მაგრამ თავი უნდა მოვიტყუოთ. არ მოვიტყუებთ და ჩემნაირი ბოლო გვექნება.

კი მაგრამ, მე რა მჭირს ვითომ?

თავიდან დავიწყობ? უხალისო და უინტერესო ვარ; უხალისობას კი ნატვრის უქონლობა იწვევს. ამას კი სხვა... მოკლედ, წელანდელი თანმიმდევრობით.

ტოლიკმა მითხრა: „მომწყინდა ჩქარა სიარულიო.“ ნეტა მეც შემეძლოს მოწყენა. ესეც მეექვსე ნატვრა და ეს ექვსივე ნატვრა ერთ გახვრეტილ გროშადაც არ ღირს. ტოლიკის აღზრდის ნატვრის გამოკლებით რა თქმა უნდა. თუმცა ესეც ნატვრად ვერ ჩაითვლება, რადგან სრულიად ბუნებრივი სურვილია – ცხოველებსაც აქვთ.

ტოლიკი უნივერსალის ვიტრინის წინ შეჩერდა. წითელი, ნიკელიანი მოტოციკლეტი, როგორც შუადღისას, ისევე ისე იდგა. ჩვენ კვლავ თვალთერება დაეუწყეთ.

ტოლიკს თვალეები აუციმციმდა – ისეთი გატაცებით, ისეთი მონატრებით უყურებდა, რომ... ჯერ მე ამომხედა, მერე მოტოციკლეტს შეხედა. მერე — ისევე მე და მთხოვა: „ეს მოტოციკლეტი მიყიდო“. გამეცინა, ვუთხარი: „აბა რითი ვიყიდოთ, სადა გვაქვს საამისო ფული?“ ჯიბიდან წელანდელი ხუთკაპიკიანი ამოიღო: „აი, ამით ვიყიდოთ“.

ხუთკაპიკიანი ოქროსავით ბრჭყვიალებდა.

რა თქმა უნდა, მოტოციკლეტის ყიდვა შემეძლო. მთელი ზაფხულისთვის განკუთვნილი ფული ჯიბეში, საფულეში მედო. ალბათ განვდებოდა. რატომღაც მომეჩვენა, რომ ამ მოტოციკლეტის შეძენით ჩემს ცხოვრებაში გარდატეხა მოხდებოდა. სურაიასაც გავცემდი პასუხს. თუმცა სასწრაფოდ ბაქოში დაბრუნება მოგვიწევდა. ეს მოტოციკლეტი რომ შემეძინა, არავითარი ტრაგედია არ დატრიალდებოდა,

ან რომც დატრიალდებოდა, ეს ნიშნავს, რომ ასეც უნდა მომხდარიყო. მაგრამ მისი ყიდვის არავითარი სურვილი არ გამაჩნდა, რადგან ყველაფერი უკან მოვიტოვე.

ხუთკაპიკიანი ტოლიკს გამოვართვი და უნივერსალში შევედით. სათამაშო განყოფილებასთან მივედი და ტოლიკისათვის მანეთ და ორმოცდათხუთმეტ კაპიკად მოტოციკლეტი ვიყიდე.

– ნამდვილი რატომ არ იყიდე?

– როცა გაიზრდები, მაშინ ვიყიდით.

– ბარემ ახლა გეყიდა, შენ ატარებდი.

– კი მაგრამ, მე ხომ მართვა არ ვიცი.

– რატომ არ იცი?

– იმიტომ, რომ ალბათ არავის უსწავლებია. ანდა, ანდა...

მე თვითონ ტარების შემშინებია, ანდა... არ ვიცი, რატომ.

– მაშინ ახლა ისწავლე.

– არა, ახლა ვერ შევძლებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ უკვე გვიანია.

ცოტათი ჩაფიქრდა და მერე მითხრა: „როცა გავიზრდები, მოტოციკლეტის ტარებას ვისწავლი“.

– კარგი იქნება – ვუთხარი.

დღეს სურაიას თვალთაგან შორს ტოლიკი ვახშმის სატანჯველისგან ვიხსენი, მერე ავტობუსში ჩავეჯექით და უკან, იოსებ სამოილოვიჩ ბასის პანსიონატისკენ გავემართეთ.

„ძველი აბანო და ძველი თასი

ძველი პანსიონი, ძველი ბასი“.

ფირას ერთიდაიმავე გზით სიარული ეჯავრებოდა, სურაია კი ყოველ დღით ეჩხუბებოდა. მე რამდენი წელია იმავე გზით ვბრუნდები ბასის პანსიონატში. ამ გზის გავლა მოტოციკლეტითაც შეიძლებოდა; თანაც მაშინ იგივეობას ვერ შეამჩნევ. თუმცა იგივეობა გინდ შემჩნეულიყოს, გინდ არა – რა მნიშვნელობა აქვს?

...იმ ხუთკაპიკიანს სამახსოვროდ ვინახავ. ახლაც საფულეში მიდევს – ერთადერთი ოქროსავით ბრჭყვიალა ხუთკაპიკიანი.

**ახერბაიჯანულიდან თარგმნა  
ოქტაინ ქაჯუმოვიძე**

**ჩვენი ფოსტა**

ბატონო როსტომ, როგორც ხალხში იტყვიან „ათიანში არტყამთ“ ხოლმე დროის ყოველი მომენტის შესაფერისი ტექსტის გამოქვეყნებით ჩვენთვის საყვარელ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“. ამჯერადაც ასეა – გურამ ქართველიშვილის „ოჯახი“ უკანასკნელი იმედივით კიაფობს ამ მღვრიე წუთისოფელში. იქნებ ტრადიციულმა ქართულმა ოჯახებმა გადაგვარჩინოს!..

ღმერთმა ჩვენი გულის და სულის გამამხნეველები შემოქმედებითი ცხოვრება სანგრძლივად მისცეს და არ მოუშალოს ჩვენი გახარება ამ მწერალს.

ღრმა პატივისცემით

**გ. გუჯაბიძე**

\* \* \*

უკვე ის დროა, ელისაბედს „არსენას ლექსი“ რომ უნდა წაუფუკითხო.

ჩემგან განსხვავებით, შვიდი წლისამ, სკოლაში შესვლის წინ რომ დავეინყე აბანოს შესწავლა, ხუთი წლისამ უკვე იცის კითხვა, მაგრამ თავისით პოემის გაცნობა მაინც გაუძნელდება და ამიტომაც გადმოვიღებ „ხალხური სიტყვიერების“ პეტრე უმიკაშვილისეულ გამოცემას.

როგორც მოველოდი, ცნობისნადილით მომჩერებია და ცალკეულ სტრიქონებს მეც მამეორებიანებს და თვითონაც იმეორებს.

ბევრს იცინის, არსენა ათ-თორმეტ კბილებამდე შეიარაღებულ ყაზახს ცხვარით რომ გადმოდენის, და ქალაქში სირბილით ჩამოსულნი უფროსობას შესჩივიან: უზარბაზნოდ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერაო.

ძალიან განიცდის, ფარსადანი თავისი სამი შვილის მომნათლავ გმირს ცბიერებით რომ შეიტყუებს შინ და ათ-თორმეტ მეცხვარეს გააკოჭინებს.

ცოტა გაახალისებს, ფარსადანს დაჯილდოების ნაცვლად ოთხიოდ პანლურს რომ ამოჰკრავენ და გამოაგდებენ („შე წუნკო და მამაძაღლო, რად იჭერდი ემაგ ტყვესა?“).

და გადიდებული თვალებით და სუნთქვაშეკრული მიგდებს ყურს, თუ როგორ დაადებენ არსენას ფეხზე ბორკილებს და ნარიყალას ციხეში შეაგდებენ, შვიდი კვირა და შვიდი თვე იქ ამყოფებენ და საციმბიროდაც გაამწესებენ — ცალ წვერს მოპარსავენ.

მე ვუხსნი, თუ რას ნიშნავს საციმბიროდ გამწესება. არსენას ბედი გადაწურულია.

მაგრამ ელისაბედს სჯერა მისი — ასე ადვილად თუ გადაკარგეს, მაშ მის საქებარ სტრიქონებს ვინდა შეთხზავდა, თავგადასავალს ვინ გაუღებდა, აკი არსენაც ამასვე შესჩივის საკუთარ გულს: ვაი დედიჩემის ღმერთსა! მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ გამიგდებსაო? — და, ილბალს მინდობილი, ციხიდან თავდაღწევის ერთადერთ გზას მოიფიქრებს.

მესტვირე ამ სტრიქონებით დაინყებდა ამ დიდებული ეპოსის ერთ უმთავრეს ეპიზოდს, რეალისტურ გარემოსა და ფონს იღუმალად მითოსური მოტივიც რომ გადაეჯაჭვება და ისტორიულ პერსონაჟს ასერიგად აამაღლებს:

**იმ აფიცრებს შეეხვენა: „იმ თქვენი დედ-მამის მზესა, აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მან-უხებსა, წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა“.**

ამის მერეა, მართლაც რომ წაიყვანენ აბანოში, არსენას კი ერთი საწყალი მანეთი უგდია ჯიბეში, მიკიტანს და სირაჯებს რომ გადაუგდებს და... წინასწარ მიხარია, ელისაბედს

რომ ვაცინებ ამ იუმორით შეზავებული ეპიზოდის მოსმენისას, მაგრამ ის აღარ მაცლის:

— რატომ უთხრა, აბანოში ნაჩვევი ვარო?

— როგორ თუ რატომ — რომ მოეტყუებინა და იქ მისულს რაღაც მახვილგონივრული მოეფიქრებინა... აბა, ნახე...

მაგრამ ის:

— კი მაგრამ, როგორ მოატყუა — ტყეში გასული კაცი აბანოში ნაჩვევი რანაირად იქნებოდა?

„ვაჰ!“

მცირე მონოგრაფია მაქვს დაწერილი „არსენას ლექსზე“ და ამ სტრიქონს არ ჩავკვირვებოვარ. ისიც არ მაგონდება, რომ სხვა მკვლევარი ჩაფიქრებოდეს.

მართლაც ასე როგორ უნდა გაცუცურაკებულიყვნენ, გონებაზე ბინდი გადაეკრათ თუ რა — ტყეში არსენას აბანოს ვინ მიართმევდა.

მითუმეტეს, ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ერთადერთი აბანო — თბილისის გოგირდისა... და ნაკლებ მოსალოდნელია, რომ იქ სიარულს ისე დაჩვეულიყოს, უიმისობა ვერაფრისდიდებით ვეღარ აეტანოს!..

აბანოში არასოდეს ვყოფილვარ და ციმბირში გასტუმრებამდე ეგებ მისი მადლი შემაგრძნობინოთო, — ეს რომ ეთქვა, გასაგებია... მაგრამ „ნაჩვევი“?

მესტვირეთა უნებლიე კაზუსია თუ... გროტესკულ ეპიზოდს სწორედაც ეს დაუჯერებელი გამოთქმა შეჰფეროდა ყველაზე მარჯვედ? არსენა ონავრობის გუნებაზე დგება და ექილიკება და სულაც აბუჩად იგდებს ოფიცრებსა და მათ უფროსობასაც — აბა, ასეთი თავზეხელაღებული და სახელგანთქმული ყაჩაღის აბანოში წაყვანას ოფიცრები თავისით ვერ გადაწყვეტდნენ.

მსოფლიო მწერლობის თვით შედეგრული ნაწილისთვისაც ნიშანდობლივია მხატვრული შეუსაბამობანი — ეს ხან უბრალოდ მეხსიერებისმიერი შეცდომაა (გამოჩენილი მწერლებიც და გენიოსებიც ჩათვლემენ ხოლმე!) და ხანაც გროტესკული სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი აბრუნდები — უფრო მეტადაც რომ უნდა გაგახალისოს, ვიდრე მკაცრი რეალისტური თხრობა დაგაყენებდა სიცილის გუნებაზე.

„არსენას ლექსის“ ამ პასაჟშიც ან ერთი შემთხვევის მონმენი ვართ და ან მეორისა.

ცხადია, მეორის არსებობა გვიჯობს.

თუმც მესტვირის უნებლიე ცთომილებაც რომ იყოს, მერე რა — რას აკლებს ეს შეცდომა ამ ეპოსის დიდებულებას.

ასეა თუ ისე, ამ სტრიქონს სულსწრაფად არ უნდა გავცედეთ: ახლა იწყება თუ იწყება მხიარული თავგადასავალიო. და აკი მესტვირეები მოლოდინს არც გიცრუებენ, ისეთ შთამბეჭდავ, თანაც კომიკურ ეპიზოდს გთავაზობენ.



ეს ყველაფერი თავისთავად, მაგრამ ახლა, რაც ელისაბედმა აღმოგვიჩინა, გულიანად არ გაცინებთ არსენას ის გამოთამაშება ოფიცრებთან: აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მანუხებსაო?!

დაახ, როგორ არა — აბანოებით გადავსებულიყო ჩვენი ტყეები, ყაჩაღებს კი არასოდეს მოკლებიათ ფუფუნება და ნეტარება, დაქანცულ სხეულებს რომ მიაწვებდნენ ხოლმე!..

თქვენი არ ვიცი და მე ყოველთვის მჯეროდა კორნეი ჩუკოვსკისა: ყური კარგად დაუგდეთ ბავშვებს ორიდან ხუთ წლამდე, იმდენი რამ გაგაოცებთ, ველარც დაითვლითო.

და გიხარია, რომ შენც გაგივლია ეს ასაკი — ორიდან ხუთ წლამდე, და ახლა თუ ველარაფრისათვის მიგიგნია, მაშინ ხომ მაინც ფანტავდი უშურველად ათასგვარ დაკვირვებასა თუ აღმოჩენას.

...არსენა ოძელაშვილი კი წინასწარვე ხედავდა თავის მომავალ მომღერალთ თუ ეპიკოსს და გულში მჯიღს რომ

\* \* \*

თეიმურაზ მაღლაფერიძისაგან სტუდენტები ბევრ ისეთ რაიმეს ისმენდნენ, რაც სრულიად უპირისპირდებოდა საბჭოურ-პროპაგანდისტულ განათლებას. ჯერ მარტო არჩილ ჯორჯაძის ხშირი სსენება და მის ნაწერთა და შეხედულებათა დამონშება რად ღირდა!.. ეს ამხელა მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, ვინც ილია ჭავჭავაძის შემდგომ იტვირთა ერის მამობა, ვითომც არც არსებულიყო, და მარტოდენ სწავლულთა მცირე წრე ინახავდა მის სახეებს.

თეიმურაზ მაღლაფერიძე სულაც აპოლოგეტად დაუდგებოდა მის სსოვნას, სამეცნიერო მიმოქცევაშიც მიზანმიმართულად შემოიტანდა მის პუბლიცისტიკასა და ესეისტიკას და ახალგაზრდებსაც აღანთებდა, რათა უფრო ღრმად გარკვეულიყვნენ არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიასა და ნაზრევიში.

საერთოდ სჩვეოდა მოულოდნელი იდეების გამჟღავნება, ისეთი პედაგოგიური ხერხების გამოძებნა, სტუდენტები მეტი ცნობისნადილით რომ განემსჭვალა და სასწავლო პროცესიც უფრო სახალისო გაეხადა.

ერთხელაც აუდიტორიას გამოუცხადებდა: ჩამომინერეთ გალაკტიონის თქვენთვის განსაკუთრებით საყვარელი ათი ლექსის სახელწოდებო.

მართლაც საინტერესოა, არა?

რა გამეორდება ყველაზე ხშირად სამოცი-სამოცდაათი ახალგაზრდის მიერ შედგენილ სიაში, რა — ერთი-ორჯერ, რა კიდევ სრულიად განსხვავებული იქნება.

ისე არ გინდა გალაკტიონის სამას შედეგში ათი გამოარჩიო?

არადა, შენთვისაც რა დამაფიქრებელი იქნება!..

ბაბუა ალუდაურიც თავისი უსაყვარლესი ლექსების ჩამოთვლას დაიწყებდა, ცხრას ჩამოწერდა და კიდევ რომ მიადგებოდა ზღურბლს, იმ ლექსს მოისაკლისებდა, ფედა

ჩაირტყამდა: მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსაო, — თითქოს იმათ პირდებოდა: ნუ შიშობთ, უსახელოდ არ ჩავკვდები და მასალას არ მოგაკლებთ პოეტური გააზრებისათვის, ჩვენი დროც ახალ ეპოსსა და ეპიკურ გმირს ელის და რა კაცი ვარ, თუ არ გაპოვნინეთო.

ასე გაცნობიერებულად თუ არა, გუმანით იქნებ მართლაც თავის მომავალ მეზობლებს გაჰყურებდა, იმათ, რომელნიც თავიანთი წარმატებული მცდელობით თვითმყოფად საგმირო პოემასაც ქმნიდნენ „არსენას ლექსის“ სახით და იდუმალად წინასწარმეტყველებდნენ ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გარდუვალ გამოჩენასაც თავთან თავიანთი საგმირო ეპოსებით.

აბანოში ნაჩვევი ვარო...

რატომაც არა, თუკი თხრობის მანერა ამ ეპიზოდში სწორედ ამის თქმას მოითხოვს შენგან — ჰეროიკაში გაბნეულ ღიმილს.

ჩუდეცკის რომ ეძღვნებოდა და იმ სამას შედეგში ალბათ არც არავინ იგულისხმებდა...

მაგრამ ბაბუას რომ ძალიან უყვარდა მისი გადაკითხვაც და გუნებაში გამოეოცებაც?

და ახლაც ისე დარეკავდა მის გონებაში, თითქოს ზა-

რის ხმააო: იყო ღრმად ფილოსოფოსი, სახელად ერქვა სპინოზაო. და ის სპინოზა, ბარუხი, მაინცდამაინც ქართული ენის დიალექტით მეტყველებდა, როდესაც ირწმუნებოდა და ურჩევდა ყველას: ნუ სომთო ამდენ არაყს და ღვინოსაო.

სიკვდილიც თითქოსდა მას ეხმაურებოდა, როდესაც ქართულის დიალექტზე დაიქაფნიდა: ცოტა მამით-მინოსაო. და კიდევ შეასრულებდა დანაქადებს: გამოუქროლებდა (ლექსის მიხედვით: გამაუქროლებდა!) და თან ნაიყვანდა ამ ერთ უდიდეს სახელს ფილოსოფიის ისტორიაში.

გალაკტიონი ენობრივი გროტესკის (როგორც ლევან ბრეგაძე განსაზღვრავდა ამ სტილურ ხერხსა და

მის მხატვრულ დანიშნულებას ამ პოეტურ ნიმუშში) მოშველიებით უკვე ქმნიდა იუმორისტულ განწყობილებას და მიგანიშნებდა რაღაც ეფექტურ დაგვირგვინებაზე, სპინოზას სახელი მოხდენილ ფონად რომ უნდა დასდებოდა.

და კიდევ ამოტივტივდებოდა ლექსის ადრესატი, გალაკტიონის მეგობარი მხატვარი თეოდორ ჩუდეცკი, ვისი მიდრეკილებაც ალკოჰოლისაკენ სახალისო კონტექსტში მოექცეოდა: ესე ამბავი ამბობენ სასაცილოზე მეტია, რაც იმას ქვეყნად დააკლდა, შენ შეგემატოს, ფედაო.

აი, ბაბუაც ჩააბარებს ფურცელს თეიმურაზ მაღლაფერიძეს.

ის ჩაავლებს თვალს და გაღიმებული ამოხედავს:

— ლექციებს რომ ვამთავრებ, რომ იცოდე, მეც ეს ლექსი მაგონდება ხოლმე და ძალიანაც მიყვარს!..

იყო ღრმად ფილოსოფოსი, სახელად ერქვა სპინოზაო...



მხატვარი ზალ სულაკაური

სამშობლო — ყველაფერზე მაღლა!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე თამარ მეფის დარად სხვა არაფერია შეუმკიათ.

ზოგჯერ ვერც კი გაარკვევ, საისტორიო თხზულებას კითხულობ თუ სახობტო პოემას. ქართველი მემკვიდრეები დედანის ბავაღლო სიტყვებსა და თავიანთი მჭევრმეტყველების მარგალიტებს არ იშურებდნენ, რათა ღირსეული პატივი მიეგოთ მშობელი ქვეყნის სწორუპოვარი მოღვაწისათვის. კითხულობ საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებს და ასე გგონია, ფერად-ფერად ზმანებათა სამყაროში გადაგისროლესო (უნყვეტლივ გრძელდება უკვდავი ტრადიცია და აგერ, XX საუკუნის დიდებული პოეტიც ბეჯითად მიჰყვება ნინაპართა ნაკვალევს: „ჩვენ ყველა ციხე მისი გვეგონია, მზის სხივიც — მისი ნანამზამარი“).

კითხულობ „ქართლის ცხოვრებას“ და გიხარია, რომ „ყოველთა უბრწყინვალესი თამარ“, ვითარცა მზე მანათობელი, თავისი შარავანდის სინათლესა და სითბოს ყველას უნილადებდა, რომ ღვთის მცნებათა ერთგული დაცვით მოიგო წყალობა ღვთისა, კურთხეულ იქნა ცხოვრება მისი და „ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა“, რომ დღენიდავ დაჰფოფინებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა, ქვრივ-ობლებსა და მიძძლავრებულთ იმედად ესახებოდათ, რომ „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწველ“. და სიკეთე მისი ეფინებოდა არა მარტო საქართველოს სამეფოს, არამედ ყველა ქრისტიანს მეზობელსა თუ შორეულ ქვეყნებში.

„ოქროს ხანა“ იდგა საქართველოში, მაგრამ „გარდუვალი ბეგარის“ ყამიც მოვიდა და სახელოვანი მეფის ნაადრევი აღსასრულით გამონვეულ საყოველთაო მწუხარებას ლაკონიურად გვაუწყებს ერთი ხატოვანი ფრაზა: იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისაო.

ჰოდა, რას იფიქრებდა „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალგზის ხოტბაშესხმული და ლამის ღმერთთან გატოლებული თამარი, რომ იმავე თხზულების ფურცლებზე საუკუნოდ შეაჩვენებდნენ მის შვილებს და ხალხის გადაგვარება-დამცრობის უმთავრეს მიზეზად შერაცხავდნენ.

XIV საუკუნის ქართველმა ჟამთააღმწერელმა არ დაინდო არც ლაშა-გიორგი, არც რუსუდანი და ქვეყნის თავს დატეხილი ვაებანი მათი ცხოვრების დასავგომბი წესით ახსნა. თუკი ლაშა-გიორგის „უკეთურებას“ უცხოური წყაროები არ ადასტურებენ, რუსუდანს ბედმა ზურგი შეაქცია. XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი თავისი მრავალტომიანი თხზულების იმ თავში, რომელსაც სათაურად აქვს „უცხო და გაუგონარი ამბავი“, გადმოგვცემს არცთუ თავმოსანონ ეპიზოდებს რუსუდანი დედოფლის ცხოვრებიდან.

იბნ ალ-ასირის სიტყვით, არზრუმის მფლობელმა მოღის ად-დინ თოღრილ-შაჰმა განიზრახა თავისი ვაჟის დაქორწინება ქართველთა დედოფალზე, მაგრამ უარი მიიღო იმ მოტივით, რომ არ ეგების ქრისტიანული ქვეყნის საქმენი მაჰმადიანმა განაგოსო. მაშინ არზრუმის მფლობელმა საქართველოს სამეფო კარს შემოუთვალა, ჩემი ძე გაქრისტიანდებაო. ქართველები დათანხმდნენ და საქართველოს მეფე-ქალის თანამეცხედრე გახდა რჯულგამოცვილი უფლისწული თურქ-სელჩუკთა მოდგმისა. ეს ამბავი მომხდარა 1223 წელს.

იბნ ალ-ასირი განაგრძობს, რომ გამოხდა ხანი და რუსუდანი დედოფალს თავისი მამულეჟი შეუყვარდა. ქმარმა შეიტყო ღალატი, მაგრამ ვერაფერს ამბობდა „თავისი სისუსტის“ გამო. ის მხოლოდ თანამეცხედრე იყო მეფისა. ერთხელაც იმ მამულეთთან შეუსწრო მეუღლეს და მოთმინების ფულადა აეგსო. საქციელი არ მოუწონა და ღალაობა აუკრძალა. რუსუდანი გაენუცხადა: ან დაყაბული ანდა შენი საქმისა შენ იციო. ქმარს

არ ექაშნიკა დაყაბულება. მაშინ სხვა ქალაქში გადასახლეს და მეთვალყურეც მიუჩინეს, რომ იქიდან ფეხი არ მო-

ცვალა. რუსუდანი მერე აღანთა ქვეყნიდან ჩამოიყვანა ორი ჯველი, რომელთა მშვენებაც ნინასწარ აღუნერეს, და ერთი მათგანი აირჩია ქმრად. მასთან მცირეხანს დაჰყო, გაეყარა და ახლა განჯიდან მოჰგვარეს ერთი მაჰმადიანი, რომელმაც გაქრისტიანება არ ინდომა. რუსუდანი მაინც მზად იყო, ცოლად გაჰყოლოდა იმ განჯელს. მაშინლა აწრილდა საქართველოს სამეფო კარი. დიდებულებმა, ივანე მხარგრძელის თავკაცობით, დედოფალს განუცხადეს: შენი ქცევით უკვე საქვეყნოდ მოგვჭერი თავი. ახლა კი მაჰმადიანზე დაქორწინება გენბავს? ჩვენ ამის ნებას არასოდეს მოგცემთო...

იბნ ალ-ასირი დასძენს, ის განჯელი ისევ საქართველოშია და თუმცა რჯულის გამოცვლას უარობს, დედოფალს კვლავინდებურად უყვარსო.

XIII საუკუნის სომეხი მემკვიდრე კირაკოს განძაკეცი რუსუდანს ავხორც დედაკაცად ახსიათებს და ლეგენდარულ სემირამიდას უდარებს. კირაკოსის მტკიცებით, დედოფალს ძალზე მოსიყვარულე გული ჰქონია.

მაგრამ რუსუდანის პირად ცხოვრებას ვილა ჩივის, როდესაც ქართლის ცხოვრებას მოაწყდა შექირვებათა ტალღა — ნინამორბედი „დიდი ღამისა“.

ხუთ წელიწადს გრძელდებოდა ავადსახსენებელი ჯალალედინის ურდოების თარეში საქართველოს მიწა-წყალზე. მერე დადგა მონღოლთა ყამი.

ესოდენ მოულოდნელი და საზარელი კატასტროფა ჟამთააღმწერელს ქვეყნის წინამძღოლთა ცოდვებისათვის ზეციდან მოვლენილ სასჯელად მიაჩნია. ღმერთი დავეინწყეთ და ღმერთმაც დავეინწყაო.

ანალოგიურ ვითარებაში ასე ფიქრობდნენ ყველგან და, ბუნებრივია, რომ ასე ფიქრობდა ქართველი მემკვიდრეც.

ეგებ იყო შანსი ქვეყნის გადარჩენისა? როგორ არ იყო!

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ გარნისის ომში (1225 წ.) გამარჯვებულმა ჯალალედინმა რუსუდანი დედოფალს შემოუთვალა, მშვიდობა და შენი ცოლად შერთვა მწყურია, მონღოლებს ერთად ვეომოთო.

სხვაობა გაქრისტიანებულ არზრუმელ უფლისწულსა და მაჰმადიანური სამყაროს მფლობელ შერაცხულ ხვარაზმშაჰს შორის უფსკრულივით ღრმა იყო. თუკი ჯალალედინს ნადილი აუხდებოდა, ქართველი დედოფლის სარეცელთან ერთად მთელ საქართველოსაც დაეპატრონებოდა.

რუსუდანის თანხმობას ჯალალედინის ცოლობაზე, ვინ იცის, ეგებ სრულიად სხვა გზით წარემართა ისტორია. საქართველოსა და ხვარაზმელთა სამხედრო კავშირს ეგებ მონღოლთა გრიგალიც უკუეგდო.

მაგრამ ქართველი დედოფალი სასტიკი უარით პასუხობს ძლევაგამოსილი ჯალალედინის მაცდუნებელ წინადადებას და აღმშოთებით წარმოთქვამს: სხვა ვილა გაათარებულა ბაგრატიონთა ქალიო!

არ არის გამორიცხული, რომ პირმშვენიერ რუსუდანს, ამქვეყნიურ სიამეთა ტრფიალს, მიჯნურად ეგებ წარმოედგინა კიდევ ვაჟკაცობით სახელგანთქმული და მოხდენილი გარეგნობის ხვარაზმშაჰი, მაგრამ საქართველოს მეფედ ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა! ანუ, როგორც რუსთველი ნესტან-დარეჯანს ათქმევინებს, ესე ამბად არ ეგების, რომე ჰპარსნი გაგვიხსადენო (და ისიც ხომ სწორედ ხვარაზმშაჰს ცოლობას უარობს).

რუსუდანი დედოფალი სამშობლოს ვერ უღალატებდა! ერთთა ქვეყანაზედა!

სამშობლო — ყველაფერზე მაღლა!

ორივენი ბედკრული  
უკრაინის შვილები იყვნენ

1957 წელს სტამინსკიმ განხორციელა პირველი ტერაქტი. უკრაინელ ემიგრანტთა პრესის მიხედვით, ლევ რებეტი

სადარბაზოში შემოსულ კაცს პროდუქტებით სავსე ჩანთა ეჭირა მარჯვენა ხელში და მარცხენა ხელით კი შემოსასვლელი კარის კლიტეში გაჭედილი გასაღების გამოძირობას ღამობდა. ზემოდან მომავალი უცნობი პირი რომ მიუახლოვდა, თავაზიანად ფეხით შეაკავა კარი, მიბრძანდითო. იმავდროულად, კვლავ ეჯავჯურებოდა კლიტეს. უცნობმა მარცხენა ხელი ჩასჭიდა კარს, ზრდილობიან კაცს მიუბრუნდა და გერმანულად ჰკითხა, რაღაც გაგიფუჭდათო? ზრდილობიანმა უპასუხა: არა, ჩემო ბატონო, ყველაფერი რიგზე არისო და შეხედა უცნობს, რომელმაც იმნამსვე აღმართა გაზეთში გახვეული იარაღი და პირდაპირ სახეში ესროლა. მერე გარეთ გაეარდა და მოასწრო თვალი მოეკრა, თუ როგორ გაიმხლართა ძირს ზრდილობიანი კაცი.

ეს ტრაგიკული ეპიზოდი გათამაშდა 1959 წლის 15 ოქტომბერს, დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში. მოკლულს გერმანული პასპორტი ედო ჯიბეში, ხოლო მკვლელს შინ, ალბათ საბჭოთა პასპორტი ექნებოდა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო გერმანელი და არც მეორე — რუსი. ორივენი ბედკრული უკრაინის შვილები იყვნენ.

პირველი გახლდათ უკრაინელ ნაციონალისტთა სახელგანთქმული ლიდერი, „ცბიერ მელად“ წოდებული სტიფან ბანდერა, რომელსაც ამას წინათ (ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობისას) მიანიჭეს უკრაინის ნაციონალური გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ). ახლა შეიძლება ჩამოართვან.

მეორე კი ბრძანდებოდა საბჭოთა „კავებეს“ დივერსიული განყოფილების თანამშრომელი ბოგდან სტამინსკი, რომელსაც ორი წლით ადრე, იმავე დასავლეთ გერმანიაში, უკვე ჰყავდა მოკლული ბანდერას გამოჩენილი თანამებრძოლი, „ოუნ“-ის მთავარი იდეოლოგი ლევ რებეტი.

ბანდერას გვამს ნაანყდენ არა სადარბაზოს შესასვლელ კართან, სადაც ესროლეს, არამედ კიბეზე მეორედ და მესამე სართულს შორის. როგორც შემდგომში დადგინდა, სულთმობრძავს რამდენჯერმე დაუყვირია. პირისახე ნაკანრი და ჩაღურჯებული ჰქონდა. გვამის გაკვეთამ აჩვენა მონამვლა კალიუმციანიდით.

ბოგდან სტამინსკი, დაბადებული 1931 წელს, ერთხელ უბილეთოდ მგზავრობდა მატარებლით; რევიზორმა ჩაავლო და დაკავებულ იქნა. ამგვარად ჩაითრეო კავებეს ბადეში. 1952 წლიდან კიევში გადიოდა ინტენსიურ მომზადებას უკრაინელ ნაციონალისტებთან საბრძოლველად. სწავლობდა გერმანულ და პოლონურ ენებს, ეუფლებოდა საიდუმლო აგენტის საქმიანობის ანაბანას. წარმატებით განვლო სწავლების კურსი, გაგზავნეს ჯერ პოლონეთში, მერე — აღმოსავლეთ გერმანიაში (გდრ), რათა თანდათან შესწავლოდა საზღვარგარეთ ცხოვრებას.

დაიღუპა „გულის თანდაყოლილი უკმარისობისგან“.

მერე დადგა ბანდერას ჯერი.

სტამინსკის მიართვის სპეციალური იარაღი, რომელიც ტრადიციულ პისტოლეტს არაფრით არ ჰგავდა. ეს იყო მსუბუქი ლითონისგან დამზადებული ცილინდრი, წონით — ორას გრამამდე, სიგრძით — ექვსი სანტიმეტრი და დიამეტრით — თითქმის სანტიმეტრი. ცილინდრი „ისროდა“ სითხის თხელ ნაკადს, რომელსაც არც ფერი ჰქონდა, არც სუნი და წარმოადგენდა სწრაფმოქმედ, ძლიერ სანამლავეს.

მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, მოსკოველი სპეციალისტის დარიგებით, სტამინსკის მსხვერპლისთვის უნდა ესროლა პირდაპირ სახეში, რათა მას კარგად შეესუნთქა სანამლავე. მანძილი მსხვერპლამდე 45 სანტიმეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტამინსკის ურჩიეს, რომ კიდევ უფრო მიახლოებოდა ობიექტს. მომწამვლელი გაზები ორგანიზმში ხვდებოდნენ ისევე, როგორც ინჰალაციის დროს, რის შედეგად არტერიებს, რომლებიც სისხლს აწვდიან თავის ტვინს, მყისვე დამბლა ეცემოდათ და თავისებურ ტრომბოზს იწვევდნენ. სიკვდილი დგებოდა ზუსტად ერთ წუთში. სანამლავე სწრაფად ორთქლდებოდა და გვამის გაკვეთისას კვალის აღმოჩენა ძნელი იყო.

მოსკოვიდან კარლშორსტში (გდრ) ჩასულმა სპეციალისტმა სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა სტამინსკის. შემდეგ გავიდნენ ტყეში, ბერლინის გარეთ, ძალით მიაბეს ხეზე და იარაღი ზედ დრუნჩთან მიუტანეს. სტამინსკიმ ხელი დააჭირა კნოპს, სითხის ნაკადმა იფეთქა ნახვრეტიდან და ძალი უმალვე მიწაზე გაიშხლართა. ვერც კი მოასწრო წკმუტუნი, თუმცა მთელი სამი წუთი ფართხალდებდა.

ასეთი იყო რეპეტიცია ბანდერას მკვლელობისა.

სარკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ბოგდან სტამინსკი დააჯილდოვეს წითელი დროშის საბრძოლო ორდენით „განსაკუთრებულად რთული დავალების შესრულებისათვის“.

საუცხოო ბანკეტი გაუმართეს. თავი მეცხრე ცაზე ეგონა.

დაპირიდან, რომ სპეციალურ მომზადებას გაივილიდა და სამუშაოდ გაგზავნიდნენ შეერთებულ შტატებში — იქ დაბინავებულ უკრაინელ ნაციონალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ რა იცოდნენ ლუბიანკაზე, რომ ამასობაში ზეცამ წყალობის თვალთ გადამოხედა ახალგაზრდა უკრაინელ კილერს და მისი ბედის ვარსკვლავი შეივრდომა. უღმობელი და გულცივი კაცისმკვლელი თვალის დახამხამებაში გადაიქცა გულანთებულ და თავდაუზოგავ რომეოდ!



23 მაისს თბილისში, ათონელის თეატრში გაიმართა კატო ჯავახიშვილის ახალი პოეტური კრებულის „მარცხნივ“ პრეზენტაცია, რომელიც თეატრალიზებული იყო. მასში მონაწილეობდნენ მსახიობები და პოეტები (დამდგმელი რეჟისორი ვანო ხუციშვილი): კატო ჯავახიშვილი, ნინო სადღობელაშვილი, გიორგი არაბული, სანდრო ლორთქიფანიძე და ბექა რამიშვილი.

19 ივლისს კი ამავე წიგნს ბათუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრმა უმასპინძლა.

ეს პოეტის მესამე კრებულია და მასში ბოლო ორი წლის მანძილზე შექმნილი ლექსებია თავმოყრილი. წიგნი დაყოფილია ხუთ კარად, თითოეულ კარს წინ უძღვის ვლადიმერ რამიშვილის ნახატები. რედაქტორია როსტომ ჩხეიძე. დაერთვის პოეტ გივი ალხაზიშვილის ბოლოთქმა „ძიებისა და გარდასახვის პროცესი“, რომელშიც აღნიშნულია: „ვხედავ, რომ იგი ვითარდება და იზრდება, მუდმივ ძიებაშია და თემატურად და სტილისტურადაც სახეს იცვლის... თვალი მივადევნოთ ახალგაზრდა პოეტს, მისი სულის მოძრაობას, გარდასახვის მტკივნეულ პროცესს, რომელსაც აშკარად ვამჩნევ და იმედით შევყურებ“.